ბუტრი ნაკაიძისი

ბოლო ბიჯის

ამბავი

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნ ა კ ა დ უ ლ ი“
19 თბილისი 61

გამომცემლობისაგან

იური ნაგიბინი 1920 წელს დაიბადა. ცხრამეტი წლის კაბუკი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის. მისი პირველი მოთხრობა „ორმაგი შეცდომა“ დაიბეჭდა 1940 წელს ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე. დიდმა სამამულო ომმა ი. ნაგიბინს დროებით დააგდებინა კალამი და მოხალისედ წავიდა ფრონტზე, მოქმედ არმიაში.

1943 — 45 წ.წ. მუშაობდა გაზეთ „ტრუდის“ სამხედრო კორესპონდენტად, ომის დამთავრების შემდეგ კი პროფესიონალი მწერალი გახდა. მის კალამს ეკუთვნის საბავშვო მოთხრობები: „ჩვენ ოთხნი ვიყავით“, „ბებერი კუ“, „ტივზე“ და სხვა. როცა პატარებზე გვიამბობს, მწერალი გვიხატავს მომავალი საუცხოო მოქალაქის სახეს. ცდილობს შეამკოს იგი ჭეშმარიტად უმშვენიერესი თვისებებით.

მოთხრობას „ბოშა ბიჭის თავგადასავალი“ საფუძვლად ედება ამბავი უდევს.

1952 წელს იური ნაგიბინმა ჟურნალ „ნოვი მირში“ გამოაქვეყნა პატარა მოთხრობა „ჩიბუხი“. მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი. ბოშა ბიჭი კოლია, მკითხველებს პირდებოდა, როდისმე მოგიყვებით. როგორ ვეწიეთ საწადელს მე და ჩემი თვისტომნიო. და აი, 1956 წელს მწერალმა ვრცლად გვიამბო ბოშა ბიჭის თავგადასავალი. მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში „დრუჟბა ნაროდოვ“. შემდეგ კი ორჯერ გამოიცა ცალკე წიგნად.



1

ჩემი ბავშვობის აკვანი ბოშათა ფურგონი იყო. ადრეულმა ბავშვობამ დაუსრულებელ მგზავრობაში გაიარა. როცა შორეულ წარსულს ვიგონებ, არც ბუნების სურათები მახსენდება, არც ახლობელ ადამიანთა სახეები, არც დედის ხმა, არც მისი ხელი. მეხსიერებაში მხოლოდ გულის წამღები, დაუსრულებელი ხეტიალი ცოცხლდება. საკმარისია თვალები დავხუჭო, რომ ეს გრძნობა არაჩვეულებრივი სიღრმითა და ძალით მეუფლება. მთელი არსებით ვგრძნობ ფურგონის შეუნელებელ ჯაყჯაყს, რყევას, როცა ოღროჩოღრო გზაზე ბორბალი თხრილსა და ღრანტეში ვარდება.

გარემო სამყაროც განუწყვეტლივ მოძრავი მეჩვენებოდა. მიდიოდა გზა ბორბლების ქვეშ და თან მიჰქონდა გზისპირა თხრილები, ბუჩქები, სირბილში გვეჯიბრებოდნენ შორეული ჭალები, წარაფები, პურის ყანები, გარშემო გვივლიდა ცისა და დედამიწის შემაერთებელი ლურჯი არშია.

ცხრა წლის ვიყავი, როდესაც ხეები, სახლები, ველები. ბუჩქები — ყველაფერი სამუდამო სიმყუდროვემ მოიცვა. დედის მძიმე ავადმყოფობამ გვაიძულა მიგვეტოვებინა ბანაკი და დავსახლებულიყავით ყოფილი ვორონეჟის გუბერნიის სოფელ ბოგდანოვოში, ჩვენს შორეულ ნათესავ წითურ მიხაილოსთან.

მჭედლობით გატაცებული მიხაილო ერთი იმ ბოშათაგანი იყო, რომელსაც თავი დაენებებინა მომთაბარე ცხოვრებისათვის. მის სამჭედლოს, დაბალ, გამჭვარტლულ შენობას რკინის კილოზე ჩამოკიდებული კარი და დამპალი სახურავი ჰქონდა. სახურავს ამშვენებდა სამოვრის გადაჭრილი მილი. რომელიც ცისკენ წარამარა ისროდა ნაპერწკლებს. სამჭედლოზე მიშენებული იყო ძველისძველი ხუხულა. როცა მიხაილო დიდ უროს მძლავრად შემოჰკრავდა, ისედაც ძალაგამოლეული ფლიგელი ირყეოდა და ყველაფერი ჭრიჭინებდა: კარები, ფანჯრები, კედლები, იატაკი. როგორც კი ოთახში ფეხს გადაადგამდით, ჭურჭელი მაშინვე აწკარუნდებოდა, ხოლო როცა უზარმაზარი, ზორზოხი მიხაილო ზღურბლზე გადმოაბიჯებდა, ყველა მაგიდა და სკამი ერთად შეხტებოდა და ახმიანდებოდა.

ამ გამჭვარტლულ სახლში ვიწროდ ვცხოვრობდით, მაგრამ მუდამ სიმღერა ისმოდა და მხიარულად ვიყავით. დედამ მალე მოიკეთა და ხალისით შეუდგა მისთვის ახალ საქმეს — დიასახლისობას. მიხაილო ჭედავდა, მამინაცვალი კი ქვაბებს კალავდა, თან ორივენი მღეროდნენ ჩვენი ტომის ლაღ და სევდისმომგვრელ სიმღერებს.

ასე ვცხოვრობდით 1919 წლის ზაფხულამდე, სანამ გენერალ მამონტოვის ყაზახთა რაზმმა არ გადასწვა ჩვენი სოფელი. მაგრამ მაშინ არ მესმოდა, ვინ ან რატომ ჩაიდინა ეს. სოფელი ჩვენს ქვემოთ, დაბლობში იყო გაშლილი. ერთხელ, დილით. ისლისა და ყავრის სახურავების ნაცვლად დავინახე შავად დანახშირებული ჩალანგრები, რომელთაც წვრილად დახვეული კვამლი ასდიოდა.

აი, მაშინ გავიგონე ჩვენს სახლში სიტყვა „სრბოლა“,

რომელიც დავიწყებული მქონდა. ამ სიტყვაში გამოსჭვივის ბოშათა ფარული ნაღველი. ამ სიტყვის სიმბოლოდ იქცა რკინიგზის ხაზი. ბოშები ამ სიტყვით თითქოს ერთმანეთს ადარებდნენ ფურგონის ნელ სვლას და მატარებლის ჯადოსნურ ქროლვას.

გაიგო თუ არა მიხაილომ, რომ ჩვენ ხეტიალს ვიწყებდით, მოიგდო ერთ მხარზე თავისი ორფუთიანი ურო, მეორეზე საბერველი და სამუშაოს საძებნელად გასწია.

ჩვენ კიდევ დიდხანს დავრჩით. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე ამელკას ბანაკს ველოდებოდით. ხმა დადიოდა, ისინი ამ ადგილებში გამოივლიანო. მათთან ერთად ხეტიალობდა ბებიაჩემიც.

ერთხელ ღამით გამაღვიძეს. დედამ თვითონვე ჩამაცვა ფეხზე და გარეთ გამომიყვანა. ნახევრად მძინარეს არაფერი გამეგებოდა. სამჭედლოს ირგვლივ მთელი მიდამო დახერგილი იყო ტილოგადაფარებული ფურგონებით — ღამე ისინი უზარმაზარნი ჩანდნენ. მათ შორის ირეოდნენ ადამიანები, რომლებსაც ხელში ცეცხლმოკიდებული ძენძის ნაგლეჯები ეჭირათ. მბჟუტავ სინათლეზე გაიელვებდნენ ხოლმე რაღაც ჯადოსნური სახეები: კაუჭა ცხვირები, თითქმის ლურჯი. შავგვრემანი სახეები, კუპრივით შავი გაბურძგვნილი წვერები. მიხაილოსთან ცხოვრებამ თვისტომთ გადამაჩვია. დამავიწყდა მათი სახეები, აღარ მახსოვდა არც ჩახლეჩილი ხმა, არც მამაკაცთა მიხრა-მოხრა, არც ქალების მოუსვენარი ფუსფუსი. ადამიანები გართულნი იყვნენ საქმიანობით, რომელიც აუცილებელია ხანმოკლე შესვენების დროს. ხსნიდნენ ცხენებს. აძლევდნენ მათ საჭმელს, სინჯავდნენ თვლებს, ზეთავდნენ ღერძებს, აკერებდნენ გაწყვეტილ თასმებს, მაგრამ მათი ეს ჩვეულებრივი ქცევა იდუმალი და მრისხანე მეჩვენებოდა. თანაც ამ აურზაურში მშობლები დავკარგე.

ცრემლები ყელში მომებჯინა. პირი გავაღე და მინდოდა ისე მეყვირა, დედაჩემს ქვეყნის დასალიერშიც რომ ყოფილიყო, მაინც გაეგონა და უმალ ვეპოვნე. ამ დროს ბუმბული-

ვით შემომეხვია რაღაც თბილი და ფაფუკი. მან უჩვეულოდ ნაზი ხმით წარმოთქვა:

— ჩემო შვილიშვილო, ჩემო ბიჭიკო!

გულით გავიხარე და ბებიას თბილ სხეულს ჩავეხვიე.

შემდეგ ისევ გამეჭედა ყურები ხმაურით, ჭრიჭინით. გზას გავუდექით. ერთ ადგილზე მთელი წლით ცხოვრება მოკლე სიზმრად მეჩვენებოდა.

დილით ბებია შევათვალიერე. მას შავგვრემანი, გადატკეცილი სახე და ალუბლისფერი თვალები ჰქონდა, ჭაღარაზე ნახშირივით შავი თმის ზოლები დაუყვებოდა, მაგრამ ამ თეთრ თმებშიც კი არ ჰგავდა ბებია ხნიერს. მხოლოდ ყურის ბიბილოებზე შეატყობდით, რომ ბებია ძალზე მოხუცი იყო. ყურები დამჭკნარი და საყურეებისაგან დაგრძელებული ჰქონდა. საყურეების ნაჩვრეტები კი გეგონებოდათ დანით გაუჭრიათო.

ფურგონში ჩვენი ოჯახისა და ბებიას გარდა იყვნენ დედაჩემის მული ძუძუთა ბავშვით და მისი ქმარი, რომელიც ცხენებს მიერეკებოდა. მე მთელი გზა, დილიდან საღამომდე. მხოლოდ მის ბეჭებს ვხედავდი, ვარდისფერი ჩითის ხალათიდან რომ ამობურცოდა. აქვე იყო დედაჩემის უმცროსი ძმა პეტია.

პეტია თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო, მორგვივით ხელ-ფეხი, მოზრდილი მამაკაცის ტანი და ცხვირპაჭუა გულღია სახე ჰქონდა.

შემამჩნია თუ არა. მომიცოცდა და მკითხა, თამბაქოს ეწევიო?

— არა.

— საათი გაქვს?

— არა.

— და ამის შემდეგ კიდევ იტყვი, ბოშა ვარო? — ჩაიცინა პეტიამ.

— ვითომ შენ კი გაქვს საათი? — ვკითხე მე.

— როგორი, ძეწკვიანი?

— ჰო.

— არა, ძეწკვიანი არა მაქვს. — ოხვრით გამოტყდა პეტია.

— უძეწკვო?

— არც უძეწკვო მაქვს, — ისე ნაღვლიანად მიპასუხა, რომ დაცინვის ყოველგვარი სურვილი გამიქრა.

მაგრამ პეტიამ არ დააფასა ეს დიდსულოვნება. მოიღუშა და აღარ ისურვა ჩემთან საუბარი. არაფრად ჩამიგდია. ბებიას უნდოდა პეტიასთვის „ბიძია“ დამეძახა. მე კი სულაც არ მსურდა „ბიძიას“ დაძახებით მისი გაყოყოჩება.

ჩვენს ბანაკში მხოლოდ მექვაბე ბოშები იყვნენ. საქმიანობის მიხედვით მთელი ბოშები სამ დიდ ჯგუფად იყოფოდნენ. გადამყიდველი ბოშები. რომელთა ხელობას შეადგენდა ცხენების ყიდვა-გაყიდვა. მთელ რემებს მიერეკებოდნენ ოლქიდან ოლქში და დიდ თანხას აგროვებდნენ. ესენი „ბობოლები“. მდიდარი ბოშები იყვნენ. მათგან სავსებით განსხვავდებოდნენ „ბაცაცები“, რომლებიც მათხოვრობით, ქურდობით, მატყუარობით და „ჯადოსნობით“ ირჩენდნენ თავს. თუ რომელიმე ქვრივი ქალი ახალგაზრდა ვაჟის „მოჯადოებას“ განიზრახავდა. ამ საქმისათვის ბევრი ჩემი თვისტომი ოსტატი გამოადგებოდა. და ბოლოს, მესამე ჯგუფს შეადგენდნენ ხელოსანი ანუ „მექვაბე“ ბოშები. ისინი კალავდნენ ქვაბებს, აკეთებდნენ ქვაბის სატაცებს. ასევადებდნენ თუჯიებს, აკერებდნენ გატეხილ ტაფებს.

ვგონებ, არც ჩვენი მექვაბეები იტყოდნენ უარს ხელის მოთბობის სხვა ხერხებზე. მართლაც, არა ერთი კარგი ვაჟკაცი მოგვიჯადოებია შავთვალწარბა ქვრივით, არა ერთი ბოსტანი მოგვისუფთავებია, არა ერთი ალუბალი დაგვიფერთხია. ამ ცოდვებს გზის სიმძიმით ვინანიებდით.

მივყვებოდი გატიალებულ გზებს, ჩავუარეთ გადამწვარ სოფლებსა და დაბებს, დანგრეულ ფაბრიკებსა და ქარხნებს. გავიარეთ დიდი სადგურები, სადაც ჩიხში მომწყვდეული გრძელი მატარებლები სხვადასხვა ხმაზე ითხოვდნენ გზას.

მივდიოდით გადაბუგულ, ნახშირის მტვრით დაფარულ მიწაზე. გამოფიტული ქანების კონუსისმაგვარი ჩამონანგრევები შავ სამკუთხედებად იჭრებოდა ცის სარკისებურ სიგლუ-

ვეში, მიტოვებული მაღაროების დაჟანგული მექანიზმებ-
ჭკებისა და ყვავების თავშესაფრად იყო ქცეული.

წინ ვუსწრებდით სასოწარკვეთილ ადამიანებს, რომლებიც
ვინ იცის საით მიდიოდნენ. ადამიანები ეცემოდნენ და გზაშივე
იხოცებოდნენ. სხვის უბედურებას ვერ თანავუგრძნობდით.
ყველაფერზე ხელი გვქონდა ჩაქნეული და ჩვენი მგზავრობის
მეტი არაფერი გვაინტერესებდა, სამხრეთისაკენ მივიწევდით.

სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მაგრამ ჩვენ არც ერთხელ
არ შევჩეხებივართ სამხედრო ნაწილებს; როგორც ჩანს, ამელ-
კამ იცოდა, როგორ წაეყვანა ბანაკი. მხოლოდ ერთხელ შეგვა-
ჩერეს რკინიგზის გადასასვლელთან. დასავლეთისაკენ მიმავალ-
მა უცნაურმა მატარებელმა აუჩქარებლად ჩაგვიარა. თვლე-
ბზე შემდგარ ფოლადის სახლებზე ზარბაზნის ლულები დაკრე-
ჭილი კბილებივით მოჩანდა. ჯავშნიან ბაქანზე სამოქალაქო
ტანსაცმელში გამოწყობილი, წელზე ქამარშემორტყმული
ადამიანები იდგნენ. გარკვევით ვხედავდი მათ მკაცრ-
დაღლილ სახეებსა და დაძარღვულ ხელებს, რომლებითაც
შაშხანა ჩაებღუჯათ.

გაფაციცებით ვუყურებდი ამ უცნაურ მატარებელს და
უცებ შემეშინდა. შიშმა ჩაკლა ცნობისმოყვარეობა. ჩავემხე
ბებიას კალთაში და თავი აღარ ამიწევია, სანამ არ მიწყდა
ფოლადის მატარებლის მძიმე ქშენა.

ამ ხანგრძლივი მგზავრობის წვრილმანები ჩემს მეხსიერე-
ბაში წაშალა მოწყენილობამ, რაც ხეტიალის დროს მტანჯავდა.
ყველაფერი საოცრად მკაფიოდ და გამოკვეთილად მესახება
მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ფურგონის თვლებმა სილაში
ჩაფლობა დაიწყო.

მახსოვს, გამოვიხედე ოთხთვალადან და გავშეშდი. მოკრი-
ალებული ციდან ზაფხულის მიწურულის მცხუნვარე მზე ანა-
თებდა, მიწას კი თოვლის საბანი ეხურა. ძირს ჩამოვხტი და
კოჭებამდე ჩავეფალი მშრალსა და ცხელ თოვლში, რომელიც
ბაცი ლილისფერი და ოქროსფერი თევზის ქერცლივით ლივ-
ლივებდა. ბებიასთან მივირბინე.

— ბები, თოვლი!..

— არა, გენაცვალე, ეს თოვლი არაა, მლაშობია, სილ-მარილია, — მიპასუხა ბებიამ.

არ დავიჯერე, მარილს დუქნებში ყიდულობენ, აბა რომელი სულელი მიმოფანტავდა მიწაზე ამ ძვირფას დოვლათს, რომელიც ფული ღირს... რა თქმა უნდა, ეს თოვლი იყო, მაგრამ ზამთრის კი არა, ზაფხულის თოვლი და მე ძალიან მინდოდა მენახა, როგორ ცვიოდა ციდან.

ჩვენი ფურგონი თითქმის ერთ ადგილზე იყო გაჩერებული. გვესმოდა მეეტლეების გამწარებული ყვირილი, ხელნების ჭრიალი და სილის ხრაშუნი. ფურგონი ირყეოდა, მაგრამ დაგრეხილ ხმელ ფიჭვს, რომელიც ჩვენს წინ იყო აღმართული, ერთი ნაბიჯითაც ვერ გავცდით. ფურგონებიდან ჩამოსვლა გვიბრძანეს. მამაკაცებმა ბარები მოიმარჯვეს და სილაში ჩაფლული თვლების განთავისუფლებას შეეცადნენ. ხმელ ტოტებს ჩეხდნენ და თვლებს ქვემოთ უწყობდნენ. ამაოდ! ფურგონები უფრო და უფრო ეფლობოდნენ, სილაში. ცრუ ოოვლი, როგორც ჭაობი, ისე იწოვდა ბანაკს, ერთ ადგილზე გავიყინეთ.

უძლურება ბადებს ღვარძლს. ამ მძიმე წუთებში დედაჩემის მულს გაახსენდა, რომ მამინაცვალი, დედა და მე ბანაკში უცხოები ვიყავით. მისი ჩხავილისა და ყვირილისაგან ის აზრის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ამ უბედურებასა და გაჭირვებაში ჩვენ ვიყავით დამნაშავე. ჩვენ გამოვიგონეთ დამღუპველი სილა, ჩვენ რომ არა, ბანაკი დიდი ხანია მიაღწევდა ნანატრ მიწამდე.

ამ ახალგაზრდა ქალს ჭრელა-ჭრულები ემოსა, ბოშის პირობაზე კარგად იყო მორთული, წითელი ქვედა კაბა და ძაღლის ბეწვით გაწყობილი ლურჯი კოფთა ეცვა. კისერზე ფერადი ბაბთი შემოეკვლო, თავზე კი აბრეშუმის თავსაფარი მოეხვია. აქამდე არაფერში არ ჩარეულა, მხოლოდ თავისი პაწია ტიტველა ბიჭით იყო გართული. ბავშვს აწოვებდა, თან ძუძუს ხელს აჭერდა, რომ მეტი რძე გამოდენილიყო, თხელ ტუჩებს იკვნეტდა და სახეზე ტანჯვანარევი ნეტარება ეხატებოდა. ბავშვს ჩვრებში გაახვევდა, ისევ გახსნიდა, რომ მისთვის

დანაოჭებული უკანალი დაეკოცნა. მერე მაღლა აისროდა, თან შეშინებული და ბედნიერი ხმით გაჰკიოდა; დროდადრო მტრედივით კვებავდა — პირში რაღაცას ფაფასავით მოღეჭავდა და მერე მას აძლევდა.

ახლა პირველად მიატოვა თავისი პატარა. პირაღმა იწვა ტიტველი, მუცელგამობერილი ბავშვი და ხელ-ფეხს ატყაპუნებდა. თითქოს დედის შემშაარავ ყვირილს მხიარულად უგდებდა ყურს.

— გაჩუმდი, საყვარელო, გაჩუმდი! — ემუდარებოდა ბებია, მაგრამ ქალი არა ცხრებოდა.

დედაჩემი იჯდა, ხელები გამსდარ მუხლებზე დაეწყო და ხმას არ იღებდა; თითქოს არ ესმოდა მულის ლანძღვა. შემდეგ ასევე ჩუმად ადგა და ფურგონიდან ჩვენი ფუთა გადმოაგდო. ოფლსა და მურში მოსვრილი მამინაცვალიც მოვიდა. მას გაეგონა თავისი დის ლანძღვა-გინება და აღარაფერი უკითხავს. ხელი გამომიწოდა, ფურგონიდან ჩამომსვა. ოხვრით ჩამოფორთხდა ბებიაც. მას თან მოჰყვა პეტია ბიძიაც, რომელსაც ჩამოხტომის დროს დახეული, ფართოფარფლებიანი ნაბდის ქუდი დაუვარდა.

არავის დავუკავებივართ. იშვიათად თუ აპატიებენ ბოშები ვინმეს ნათესაური გრძნობის შებღალვას. დედაჩემის მულიც თავისებურად მართალი იყო, მაგრამ არც ჩვენ შეგვეძლო სხვაგვარად მოქცევა.

მხოლოდ ჯმუხმა, ჩაფსკვნილმა და ფეხებმოქცეულმა ამელკამ, რომელიც დათვს მოგაგონებდათ, ენა გააწლაკუნა და ორჯერ გაიმეორა:

— უბედურებაა!.. უბედურება!..

ჩვენ რომ მივდიოდით, დედაჩემის მულმა, თითქოს აქ არაფერიაო, ბავშვს ძუძუ ჩაუდო პირში და წვრილი ხმით დაუწყო ტიტინი.

დიდ შარაგზაზე ჩვენებმა ოჯახური თათბირი გამართეს. რა გვეღონა, არც ფურგონი, არც ცხენები ჩვენ არ გაგვაჩნდა. ფეხით შორს ვერ წახვალ, რკინიგზით მგზავრობისთვის კი ფული იყო საჭირო. მთელი ჩვენი ფული ორ ბილეთსაც ძლივს

ეყოფოდა. ასე გადაწყდა: მამინაცვალი და დედაჩემი მატარებლით წავიდოდნენ შორეულ სოფელში, სადაც მამინაცვლის ნათესავები ცხოვრობდნენ, ჩვენ კი — ბებია, პეტია ბიძია და მე — ფეხით წავიდოდით ძია სიდორთან, რომელიც აქედან ას ოთხმოცი ვერსის დაშორებით ცხოვრობდა. დედაჩემი და მამინაცვალი მოეწყობოდნენ ახალ ადგილზე და მერე ჩამოგვაკითხავდნენ.

დედა და მამინაცვალი წავიდნენ. დიდხანს გავცქეროდით მათ. პირველად, თითქოს ჰაერს შეერიაო. დედაჩემი მიეფარა თვალს, შემდეგ მამინაცვალი. დიდხანს მანათობელი წერტილივით კიაფობდა დიდი ფუთა, რომელიც მას ზურგზე ჰქონდა მოკიდებული. ბოლოს ისიც გაქრა.

ბარაქიან ადგილზე მოვხვდით. მდიდრები თეთრ პურს, ღვეზელს და ბრტყელ კვერებს მიირთმევდნენ. ნარჩენებს შავი დღისათვის როდი ინახავდნენ, იმით ღორებს ასუქებდნენ. ცოტა რამ ჩვენც გვხვდებოდა წილად.

საშოვარზე მე მგზავნიდნენ. ვყვებოდი ბებიას გამოგონილ გულსაკლავ თავგადასავალს. თავს ობლად ვასაღებდი. ძალიან არ მსიამოვნებდა, რომ ვცრუობდი. განა ტყუილისა მრცხვენოდა, არა, მშობლები არა მყავს-მეთქი რომ ვამბობდი, ცუდად მენიშნებოდა. მაგრამ რას იზამ, კუჭი თუ აგეწვა, უარესსაც იკადრებ... ზოგჯერ სახელოს პურის ნატეხებით, ღვეზელის ნაჭრებითა და მაჭკატებით გავივსებდი, მაგრამ ცარიელი სახელოთი და ცარიელი კუჭითაც ხშირად დავბრუნებულვარ. ასეთ შემთხვევაში ბებია ჯავრობდა და მეუბნებოდა, ცუდი ბოშა ხარ, ადამიანების გულის მოგება არ შეგიძლიაო. ეს ამბავი მაღონებდა, მაგრამ ვერც ჩემი უიღბლობის მიზეზი გამეგო. მუდამ მდიდარ სახლებს, ყველაზე სქელ, ჩასუქებულ ადამიანებს მივადგებოდი ხოლმე. მეგონა, ვისაც მეტი აქვს, ის უფრო ხელგაშლილი იქნებოდა. როცა ხელცარიელს გარეთ გამომაგდებდნენ, ვიფიქრებდი, შევცდი, ღატაკები ყოფილან და მდიდრებად კი მომეჩვენნენ-მეთქი...

2

ეს მოხდა ჩვენი მგზავრობის მეოთხე თუ მეხუთე დღეს. მყუდრო, წყნარი საღამო იდგა. თითქო მესმოდა, როგორ აქანავებდნენ კუდებს გზებზე მოხტუნავე ბოლოქანქარები. სუფთა, მტრედისფერი ცა გამუქდა. დასავლეთით კი წითელი დაისი ენთო. მზის ნახევრადმრგვალი კიდე ნახშირში ჩაგდებული ლითონის ნაჭერივით ანათებდა იისფერი ღრუბლებიდან. მომაგონდა მიხაილოს სამჭედლო და მთელი ჩვენი მაშინდელი მხიარული ცხოვრება. საშინელი სიცარიელე და მარტოობა ვიგრძენი. ბებიას დავეწიე და კალთაზე მოვებღაუჭე.

— რაო, დაიღალე? — მითხრა მან გულმოსულად, რადგან ჩემი შველა მაინც არ შეეძლო. — აი, ბებია მოხუცია, მაგრამ არ დაღლილა, არც პეტია ბიძია დაღლილა.

— თქვენ დიდები ხართ, მე კი პატარა...

— ათი წლისა პატარა აღარ არის, პაპაშენმა ათი წლისაც ცხენი მოიპარა..

ჩემს უიღბლობაზე ჩავფიქრდი და კრინტი არ დამიძრავს: გზამ ერთბაშად მოუხვია და ჩავარდნილ ადგილს მივადექით. იგი მთლიანად ციცელით იყო დაფარული. მეჩხერ ბუჩქებს შორის საკმაოდ ვრცელი დაბლობი ჩანდა. დაბლობს მოწითალო თიხანაყარი შარაგზა ჰკვეთდა. შარაგზა ჯებირს მიჰყვებოდა, დაჭაობებულ ხევს სჭრიდა და ჭრილის გადაღმა ერთბაშად უერთდებოდა დიდი სტანიცის მთავარ ქუჩას.

ხევის ძირას, პირდაპირ ჩვენს ქვემოთ, ჭრელი კარვები გამოჩნდა. ფურგონები მიჯრით იდგნენ და ხელნები ცისკენ აეშვირათ. დაბორკილი ცხენები ბალახობდნენ — ბანაკი ისვენებდა.

ჩამავალი მზის სხივები უკანასკნელ შუქს ჰფენდა ბანაკის ყველაზე ნათელ საგნებს: კარვის ჭრელ ნაჭრებს, იქვე მიყრილ მოსართავებს, ცეცხლთან მოფუსფუსე ქალების ყელსაბამებს, საყურეებსა და წამოსასხამებს.

როგორი ჭკვიანი და მოხერხებული იყო ბებია! პირდაპირ ბანაკში მიგვიყვანა და ვითომც აქ არაფერიო, არც კი შეი-

ჭრნია... მე გავიცინე, ტაში შემოვკარი, პეტია ბიძიამ კი თავიდან მოიგლიჯა თავისი დაფხრეწილი, ყვავისბუდა ქუდი და ჰაერში შეისროლა.

ბებია ჩვენს სიხარულს არ იზიარებდა. ბანაკს გასცქეროდა და თავს აქნევდა. შემდეგ მე და ბიძიას ხელი ჩაგვავლო და გვითხრა:

— წავიდეთ აქედან!

მაგრამ ჩვენ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარით, რომ ბუჩქებიდან გამოვიდა და გზა გადაგვიღობა მაღალ-მაღალმა ხანშიშესულმა ბოშამ. ბრგე, მოსული ვაჟკაცი იყო. შავი განიერი შარვალი, თხის ტყავის რბილი ჩექმები და ხავერდის ლამაზი ჟილეტი ეცვა. ჟილეტიდან საათის ვერცხლის ძეწკვი მოუჩანდა. არწივისებური ცხვირი და კუშტი სახე ჰქონდა, თავს ჭაღარა კულულები უმშვენებდა. ყურზე ნარინჯისფერი ნაყოფით დახუნძლული ცირცელის ტოტი ჩამოედო. ხელში გაქონილი ბანქოს დასტა ეჭირა.

ბოშა თავაზიანად მოგვესალმა და გვკითხა, ვინ ხართ, საით გაგიწევიათო? რატომ არ მიხვალთ ბანაკში, რად ერიდებით თქვენიანებსო?

ბოშათა მეტყველებას ახასიათებს ირონიული გამოთქმები. ერთდაიმავე დროს ღვარძლიც იგრძნობა მასში და სიკეთეც. დაცინვაც და გაკვირვებაც, ნდობაცა და შიშიც; მასში თხოვნაცაა და ბრძანებაც. არა მარტო გამოთქმაში, არამედ სიტყვათა განლაგებაშიც, ამას იგრძნობთ მახვილითაც, ენის მსუბუქი გაწლაკუნებითაც... ძალიან უბრალო სიტყვებში შეიძლება ფარული აზრი იმალებოდეს. ბავშვებიც კი ვფლობდით ამგვარი საუბრის ხელოვნებას, და რა გასაკვირია, თუ მე, ათი წლის ბიჭმა, ხანშიშესულ ბოშას მეგობრულ სიტყვებში ირონიული მუქარა ვიგრძენი.

— ეს ბარო შიროს ბანაკია? — იკითხა ბებიამ. მე ვხედავდი, როგორ აჩქარებით აუდ-ჩამოუდიოდა მოხვეული შალის ქვეშ მკერდი.

— თუ გინდ ეგრე იყოს! — უპასუხა ბოშამ და ძეწკვი აათამაშა ხელში. — განა ბარო შირომ გზა გადაგიღობა?

ბარო შირო უბრალო კაცია, სტუმრები უყვარს, სტუმრობა უხარია. მობრძანდით ბანაკში, ჩემო კეთილო, სასურველი სტუმრები იქნებით! — და ამ მეგობრულ სიტყვებთან ერთად თვალებში რაღაც შემაძრწუნებელმა დაცინვამ გაუელვა.

ბოშებს თავიანთი მკაცრი წესები აქვთ და მათი დარღვევა დანაშაულად ითვლება. არ შეიძლება, მაგალითად, კოცონთან თავაზიან მიწვევაზე უარის თქმა. მაგრამ ბებია ისე მიჭერდა ხელს, რომ ვიგრძენი — გაქცევას ვაპირებდით.

ზურგს უკან. ბუჩქებიდან, ხმაური მოისმა. იქიდან ორი ბოშა გამოვიდა, იზმორებოდნენ და დაბუჟულ ფეხებს იზელდნენ. ეტყობა, იქ ბანქოს თამაშობდნენ...

ბებიამ ხელი გამიშვა. ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავი დაბარა, თითქოს და მორჩილების ნიშნად...

ბარო შიროს ბანაკში სტუმართმოყვრულად მიგვიღეს. გაგვიმასპინძლდნენ საუცხოო რძის ფაფით. მე და პეტია ბიძიას ანტონოვის ჯიშის ვაშლები მოგვცეს. ბებია საჭმელს არ გაჰკარებია. იჯდა მიწაზე მუხლებზე ხელებდაყრდნობილი და თავს აქეთ-იქით აქნევდა; ლითონის მრგვალი საყურეები ლოყაზე სცემდნენ. მერე ახალგაზრდა ბოშები მოვიდნენ. სიცილითა და ღლაბუცით წაიყვანეს თან პეტია ბიძია. ამ დროს ბებიამ აუჩქარებლად, რაღაც განწირულივით მოიგლიჯა ერთი ბღუჯა ჭაღარა თმა თავიდან და ბალახებში გადაყარა.

აქ უნდა შევწყვიტო თხრობა და გიამბოთ, რას წარმოადგენდა ბარო შიროს ბანაკი.

ბოშებს აქვთ თავიანთი „უმავთულო ტელეგრაფი“. შეიყრება გზაზე ორი ბოშა და მაშინვე იწყება გამოკითხვა: რომელი ბანაკიდან ხარ, საიდან მოდიხარ ან საით გაგიწევია. ვინ შეგხვდა გზაზე, ხომ არ იცი, სად არის ლურჯი ან შავი ბანაკი, რომელ მხარეს ხეტიალობს ამელკა... ნაცნობია თუ უცნობი, მტერია თუ მოყვარე, შენ პატიოსნად უნდა უპასუხო. ბოშებს ყველაზე მეტად მომთაბარე ბანაკთა გზა აინტერესებდათ. შენ უნდა გეთქვა, რაც იცოდი, და ისიც, რაც სხვებისაგან გაგეგო.

ასეთი უმავთულო ტელეგრაფის მეშვეობით ბებიამ უკვე

იცოდა, რომ ამ მიდამოებში არცერთი ბანაკი არ შეგვხვდებოდა, გარდა იმ ბანაკისა, რომლის გზა არავინ იცოდა, რომელიც გაქრებოდა ხოლმე ისევე მოულოდნელად, როგორც გამოჩნდებოდა, — ერთი სიტყვით, გარდა დიდთავა ბარო შიროს ყაჩაღთა ბანაკისა.

იმ დროს ბაზრებში, სოფლებსა და სტანიცებში ბუზებივით ირეოდნენ მარტოხელა ბოშები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო მიეტოვებინათ მშობლიური ბანაკები. ერთი უიღბლო სიყვარულის მსხვერპლი გამხდარიყო, მეორეს რაღაც დაეშავებინა ბანაკის წინაშე და განედევნათ, მესამე ციხეში მჯდარიყო ცხენის ქურდობისათვის და თავისიანებს ჯერ კიდევ ვერ დასწეოდა.

ძველ დროში ბოშებს მაწანწალებს ეძახდნენ. საუკუნეთა მანძილზე ათვალწუნებული და დევნილნი, საკუთარ მიწა-წყალს და თავშესაფარს მოწყვეტილი ბოშები ძალაუნებურად აქეთ-იქით დაძრწოდნენ. ჩვენ თვითონვე არ გვიყვარდა ეს მეტსახელი და მაწანწალებს მხოლოდ ბანაკისაგან განზე გამდგარ ბოშებს ვეძახდით.

ბარო შირო იტყუებდა ასეთ მაწანწალებს თავის ბანაკში, რომელიც მონათესავე ოჯახებისაგან და მისი მრავალრიცხოვანი ცოლებისაგან შედგებოდა. როცა ხუთი-ექვსი ასეთი მაწანწალა შეგროვდებოდა, ბარო შირო მათ „საქმისათვის“ ამზადებდა. ასე ეძახდნენ ცხენის ქურდობას. თვითონ კი მხლებლებს გაიყოლიებდა, მდიდარ სტანიცელებთან მივიდოდა და ეტყოდა: „ჩვენ ბოშები ვართ. ოგრამ არა ქურდები. ყველა ბოშა როდია ქურდი. გვინდა ამაში ერკვეოდეთ. ხვალ თქვენთან მოვლენ ცუდი ბოშები ცხენების მოსაპარავად. დაიჭირეთ და დასაჯეთ, როგორც საჭიროა“. სტანიცელები ეუვიანი ხალხია. „თქვენ გინდათ გასამრჯელო აიღოთ, მაგრამ არ გამოგივათ, მთელი თქვენი ბოშათა მოდგმა ერთნაირია“. — ეტყოდნენ ხოლმე ისინი. „არაფერს არ გამოგართმევთ, სანამ არ დაიჭერთ იმ ცხენის ქურდებს, ხოლო როცა დაიჭერთ,— დაგვაჯილდოვეთ. თქვენთან სამასი კომლია, თითო კომლმა რომ ათი შაური გადაიხადოს, ბანაკს ერთ თვეს ეყოფა“.

ამას ეტყოდნენ და წავიდოდნენ. დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათზე მიამიტ ყმაწვილებს „საქმეზე“ გზავნიდნენ. ისინი მიდიოდნენ და აღარც ბრუნდებოდნენ. სტანიცელები მკაცრად უსწორდებოდნენ ქურდებს. ხოცავდნენ მათ ნაჯახით, ოლოთათი, სარებით და ორმოში ყრიდნენ. ბარო შირო კი დანაპირებს აგროვებდა. ასეთ შემთხვევაში სტანიცელები არ ძუნწობდნენ. დათქმული ფასის გარდა აძლევდნენ ხორცს, კვერცხებს, ფქვილს და ტანსაცმელსაც. ღამით ყაჩაღთა ბანაკი აიყრებოდა და ხშირად თვითონვე იტაცებდა ცხენების ამ რემას, რომლისთვისაც მათ მიერ გაგზავნილმა ყმაწვილებმა სიცოცხლე გასწირეს.

ბარო შიროს თანამოსაქმეებმა იცოდნენ საიდუმლოს შენახვა. რასაკვირველია, სტანიცელებიც არაფერს ამბობდნენ. ბოშებისთვის ცნობილი იყო ბანაკის ბნელი საქმეები და მრავალი ახალგაზრდის დაღუპვის ამბავიც, მაგრამ კარგად არავინ იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდა ბარო შირო.

ყოველივე ეს ძალიან გვიან გავიგე...

მართალია, ვხედავდი, რომ ბებია ძრწოდა და წუხდა, მაგრამ ბარო შიროს ბანაკში ყოფნა ძალიან მომწონდა.

მახსოვს პირველი ღამე. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ვწევარ თბილ და რბილ ქვეშაგებში. არასოდეს მძინებია ასე კარგ საწოლზე. ქვეშ მიგია გერმის ლეიბი, თავქვეშ მიდევს თივით გატენილი ბალიში, ზედ მხურავს არც თუ მთლად დახეული საბანი. ვიტყაპუნებ ხელს რძის ფაფით სავსე ბურთივით მკერივ მუცელზე. მინდა ვიცინო, მაგრამ გვერდით ბებია მიზის. არ სძინავს. მიმქრალი კოცონის სინათლე უნათებს სახეს, რომელზედაც რაღაც ბრწყინავს, მე ვხედავი, რომ ეს ცრემლებია და მისთვის თვალი ვერ გამისწორებია. თვალს ვარიდებ მოხუცის მზერას და სივრცეს მივჩერებივარ. ვარსკვლავები ციმციმებენ, თვალს უკრავენ ერთმანეთს და ხანდახან გადაისრიალებენ ცის შავ ტატნობზე. მათაც უხარიათ. ვფიქრობ, ახლა კი ყოველდღე გვექნება რძის ფაფა და თბილი ქვეშაგები-მეთქი და ამ ფიქრში ჩამეძინება კიდეც.

მოლოდინი გამიმართლდა. ფაფაც გვქონდა და არც თეთრი

პური მოგვკლებია. არავინ მავალებდა მევლო ეზო-ეზო, სადაც ავი ძაღლები ჰყავდათ და ადამიანები კი უფრო ავები იყვნენ. მხიარულად ვთამაშობდი პატარა ბოშებთან.

ჩვენ თავს ვიყრიდით კოცონთან და ვითომ ცხენებით ვვაჭრობდით. ერთმანეთს ხელს ვაძლევდით მოზრდილი გამყიდველებივით, ვისაუბრებდით თითს და დიდხანს ვთვლიდით კამფეტის ქაღალდებს, რაც ფულის მაგივრობას სწევდა. ვდაობდით, მოვითხოვდით დამატებას, ვსვამდით „მაღარიჩს“ დაჟანგული კონსერვის ქილებით, მთვრალებივით ბარბაცით მივდიოდით კარვებისაკენ. თანაც თვითეული ჩვენთაგანი თავისთავს მოგებულად, დანარჩენებს კი წაგებულად თვლიდა. ეს იყო ნამდვილი ბოშური თამაში. უფროსები არასოდეს გვიბრაზდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფეხებში ვებლანდებოდით.

ზოგჯერ ჩვენი ცხენების ბაზარში მოვიდოდა კარგად გამოწყობილი, ხანშიშესული ბოშა, ატამანის მარჯვენა ხელი და გვაქეზებდა.

ერთი რამ მეჩვენებოდა უცნაურად ამ ბანაკში. დღე აქ არასოდეს არ მთავრდებოდა სიმღერითა და ცეკვით, როგორც საერთოდ მიღებულია ბოშებში. ბარო შიროს ბანაკში არ ისმოდა მუსიკის ხმა.

პეტიას მხოლოდ შორიდან ვხედავდით.

ერთხელ სადილის წინ მოვიდა. შავი ბოშური კოსტიუმი ეცვა და ხავერდის ზოლებიანი ჟილეტი მკერდზე გადაეღელა. ვერ იცნობდით, ისე მდიდრულად გამოიყურებოდა, უცხო გეგონებოდათ. ასრულდა მისი დიდი ხნის ოცნება. ერთი ჯიბიდან მეორემდე გადაჭიმული ჰქონდა საათის ძეწკვი. თუმცა ძეწკვზე მხოლოდ საათის ბუდე ეკიდა (ბოშები ასეთ საათს „გამოშიგნულ“ საათს ეძახიან), მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბოშები დროს საათით ხომ არ განსაზღვრავდნენ. პეტიას ეცვა სანდალოზისყელიანი იხვის ნისკარტივით წვრილცხვირიანი უხეში ტყავის ჩექმები. ასე გამოგვეცხადა პეტია და უცებ ვიგრძენი, რომ ახლა სულ ადვილად დავუძახებდი „ბიძიას.“

მაგრამ ბებიას არ გახარებია პეტიას მორთულობა. ის აკანკალდა და მუხლებზე დაეცა:

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ, ჩემო შავარდენო! ესენი დაგღუპავენ.

პეტიამ არაფერი უპასუხა. შარვლის ჯიბიდან მუჭით ხურდა ფული ამოიღო და ცხვირწინ ამიჩხრიალა.

ვთხოვე ერთი პატარა ფული მომეცი-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა, ფულის ხარჯვა აკრძალულია, ბარო შირო ყოველ საღამოს ამოწმებს, გვაქვს თუ არა ფული მთლიანადო.

ბარო შიროს სახელის გაგონებაზე ბებიამ გადააფურთხა, თან ბღუჯა-ბღუჯად იგლეჯდა თმას და ყრიდა.

პეტიამ ბედნიერებით გასულელებული და კმაყოფილი ადამიანის საცოდავი ღიმილით გაიღიმა, ამოიღო თავისი „გამოშიგნული საათი", დახედა მუყაოს ციფერბლატს და ბაჯბაჯით წავიდა.

ჩვენს ირგვლივ ბევრი ქალი იყო, მაგრამ თითქოს აქ არაფერიაო, მშვიდად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. ბებია კი არ ჩუმდებოდა. მის მაგივრად მე მრცხვენოდა.

— ბები, ნუ შვრები ასე!.. — ვეხვეწებოდი და ვაგროვებდი მის თმას, რათა ქარს მთელ ბანაკში არ მიმოეფანტა.

ამ დროს, თითქოს სიზმარში ხდებაო, ჩვენს წინ ჯერ არნახული, საოცარი აღნაგობის ადამიანი აღიმართა. მის საქონის სიფართე მბარბეჭიან მძლავრ სხეულს ძლივს იმაგრებდა მოკლე და მოგრეხილი ფეხები, გრძელი ბანჯგვლიანი ხელები თითქმის მიწას სწვდებოდა.

ყველაზე საოცარი ამ ჯუჯას ქვაბივით უშველებელი თავი ჰქონდა. უხეში ხვეული თმა, უზარმაზარი ყბები და ბრტყელი, ჩაპეჭყილი ცხვირი ისეთ შესახედაობას აძლევდა, თითქოს თავი მხრებსა და მკერდს შუა ჩაჭყლეტიაო, პატარა და ციმციმა თვალები გამჭვალავად ანათებდნენ ღრმა უპეებიდან. საყურისაგან ჩამოჭიმული, გრძელი და წაწვეტებული ცალი ყური უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე მეორე.

ბავშვის უტყუარი ალღოთი მივხვდი, რომ ეს ბარო შირო უნდა ყოფილიყო. ბარო შიროს კბილებში ისეთივე ზღაპრული

ჩიბუხი ჰქონდა გაჩრილი, როგორც თვითონ იყო. ზღვის ბვირთქლიდან გამოთლილი ჩიბუხის თავზე საოცარი ოსტატობით გამოეკვეთათ თვით ბარო შიროს თავი.

ბარო შირომ გააბოლა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და რაღაც უთხრა ბებიას წყნარი და მინაბული ხმით. ეს ხმა თითქოს ბრტყელი, ჩაჭყლეტილი ცხვირიდან ამოსდიოდა. ბებიამ შეხედა ბარო შიროს და ბალახებში პირქვე დაეცა. ის კი წაჩანჩალდა თავისი მოკლე ფეხებით.

ამ დღეს გავიგეთ, რომ ჩვენი ბიჭები „საქმეზე“ მიდიოდნენ.

3

ქარიანი საღამო იყო. კარვის ტილოები ფათქუნობდა, ჭრიალებდნენ ფურგონები. გეგონებოდათ, შორი მგზავრობისათვის ემზადებიანო. კოცონის ალი მაღლა ვერ ადიოდა, გრძელ ენებად იშლებოდა მიწაზე, თითქოს ბალახს ლოკავდა. ჩვენი ბიჭები წავიდნენ. ბანაკი დუმდა, გაყუჩებულიყო.

პირველად ვიგრძენი აქ შიში და ძრწოლა. ბებიას ვთხოვე:

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ, ბებია...

— როგორ მივატოვოთ ჩვენი პეტია! — მიპასუხა ბებიამ და ატირდა.

ტუჩებზე მის ცივ და მარილიან ცრემლებს ვგრძნობდი.

იქვე, კოცონთან ჩამეძინა. ძილში მეშინოდა, ბებიას ვეძახდი, ის კი არ მპასუხობდა, ალბათ მესიზმრებოდა, რომ ვეძახდი.

ღამის მყუდროება საშინელმა კივილმა დაარღვია. გამოვეღვიძა. გასისხლიანებული, ჩამოფლეთილი ადამიანი ტრიალებდა კოცონთან. ის ყვიროდა: „დაგვხოცეს, დაგვხოცეს... გლეხებმა დაგვხოცეს“.

შემდეგ კი გაისმა სხვაგვარი კივილი — ხმამაღალი, შემაზრზენი, სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის კივილი. ჰკიოდა ბებია. ის გაექანა დაჭრილისაკენ და ხელი ჩაავლო ხალათში.

— თქვენი შვილი მოჰკლეს! — ტირილით წარმოთქვა ახალგაზრდა ბოშამ. მას მოხუცი ბოშები შემოეხვივნენ და

სადღაც წაიყვანეს. მთელი ბანაკი ამოძრავდა. ახვევდნენ კარ-ვებს, ვიღაც ხსნიდა ცხენებს, მძინარე ბავშვებს ეტლებში ყრიდნენ, შეშინებული ცხენები ხრიალებდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მათ ძალით, ბრაზიანი გინებით აყენებდნენ ხელნებს შუა, უჭერდნენ თასმებსა და მოსართავებს.

მაშინ კოცონთან ბარო შირო გაჩნდა. მოკლე ფეხები გაეჩაჩხა და კოცონიდან ამოღებული ნაკვერცხლით მშვიდად უკიდებდა ჩიბუხს.

არ ვიცი, საიდან გაჩნდა ბებიას აკანკალებულ, დაძაბულ ხელში მოკლე ორლესული დანა, ბებია ორ ნაბიჯზე მიუახლოვ-და ბარო შიროს, ხელი ჯერ მის მარცხენა მხართან მიიტანა, მერე მოიქნია და მთელი სიმძიმით ჩასცა ავაზაკს პირდაპირ საშინელ სახეში. ბოლო წუთს ბარო შირომ სახეზე ხელის აფარება მოასწრო. დანამ წარბი გადაუსერა და მაჯაში ჩაეჭდო. ატამანს ჩიბუხი ბალახებში ჩაუვარდა. ბარო შირომ დაჭრილი ხელი ბებიას მკერდში ჩასცხო. ეს იყო საშინელი დარტყმა, მაგრამ ბებია არც შერყეულა, ისევ ეკვეთა შვილის მკვლელს... ორი ზორბა ბოშა გამოექანა ატამანის მოსაშველებლად. მათ მოახერხეს მოხუცის განიარაღება, მაგრამ გაკავება ვერ შესძ-ლეს.

არასოდეს მინახავს ბებია ასეთი საშინელი და თანაც ასეთი ლამაზი. ჭაღარა თმები გასწეწოდა, შავგვრემან, მკაცრსა და გაახალგაზრდავებულ სახეზე თვალები სიბრაზით უელავდა. ნადირივით მოქნილი ნახტომით გაუსხლტა ბოშებს ხელიდან და ფრჩხილებით ჩააფრინდა ბარო შიროს თვალებში. ატამა-ნის დასახმარებლად გამოეშურა ჭარმაგი ბოშა, რომელმაც ჩვენ ამ ბანაკში მოგვიტყუა. მოხრილ მკლავებში მოიქცია ბებიას თავი, ზურგზე მუხლი მიაჭირა და ბარო შიროს მოჰგლიჯა.

— შეჰკარით! — უყვირა მან სხვა ბოშებს და ბებია მიწაზე დაანარცხა, თვითონ კი ბარო შირო ამოიდო იღლიაში და იქიდან გაათრია.

თვალის დახამხამებაში იქაურობა დაცარიელდა. ახლახან აქ ხალხი ფუსფუსებდა. მოსართავებს გლეჯდნენ და ჭიხვი-

ნებდნენ ცხენები, იყო საშინელი ჭიდილი სამ მამაკაცსა და მწუხარებისაგან გონდაკარგულ ქალს შორის და უეცრად... სიცარიელე. ყაჩაღთა ბანაკი თითქოს ღამემ შთანთქა. მხოლოდ სადღაც ზემოდან, თითქოს გაყინული, კვამლიანთ ბნელი ღრუბლებიდან მოისმოდა ცხენების თქარათქური, თვლების ჭრიალი, მათრახების ტკაცანი. შემდეგ ეს ხმებიც მიწყდა. დარჩა ღამე, ქარი, მინელებული კოცონი და მიწაზე გაშხლართული ცოცხალ-მკვდარი ბებია.

მთელი ღამე ქარი ბობოქრობდა, ბებიას ტანსაცმელს აგლეჯდა და მე ხალათს, მაგრამ კოცონს არ აქროლდა, პირიქით ამატებდა ქაღალდის ნაგლეჯებს, ნამჯას, ხმელ თივას. ვეევედრებოდი ბებიას, გაეხილა თვალები, მაგრამ მოხუცი არ მისმენდა, კანკალებდა, ბორგავდა. შემდეგ ქარი ჩადგა. დაუბერა დილის გრილმა ნიავმა. მე დავინახე გათელილი ბალახი, ფერადი ნაჭრები, გახვრეტილი პატარა ქვაბი, დაჟანგული კონსერვის ყუთი, რომლითაც ჩვენ „მალარიჩს“ ვსვამდით თამაშის დროს. ცოტა მოშორებით ეგდო ბარო შიროს ჩიბუხი, ბებიასთან ჭიდილის დროს რომ დაუვარდა. ჩიბუხი ავიღე და მის მყრალ, ავაზაკურ სახეს მივაფურთხე. კიდევ და კიდევ მივაფურთხე, თანაც ვიმეორებდი: „პეტიას მაგივრად, ბებიას მაგივრად, ჩემს მაგივრად“. ვუწოდე ყველა ცუდი სიტყვა, რაც კი ვიცოდი, მაგრამ ჩიბუხი არ დამიმტვრევია და არც ცეცხლში ჩამიგდია. ხელოვნების შეგრძნებამ, რომელიც თურმე ჩემს ბავშვურ გულშიაც ცოცხლობდა, გამარჩევინა გამოსახვის საგანი თვით ნივთისაგან.

— წყალი, — მომესმა ბებიას ხმა.

ჩიბუხი ჯიბეში ჩავიჩურთე, ხელი დავავლე კონსერვის ქილას და უახლოესი გუბისაკენ გავექანე, მაგრამ, როდესაც წყალი მოვიტანე, ბებია უხერხულად წამოიწია და ისევ გულაღმა დაეცა. მთელი ამ ხნის მანძილზე მას ხელები შეკრული ჰქონდა. ძლივს გავხსენი მაგარი ნასკვი და შალის ქამარს კოცონში გადავუძახე. მას ერთბაშად მოედო ცეცხლი და დაიწვა. მომეჩვენა, თითქოს ამით ბოლო მოვუღე ჩვენი უბე-

დურების მთავარ წყაროს, შემდეგ ისევ მივუტანე ბებიას ტუჩებთან წყლიანი ქილა.

— ბებია გენაცვალოს! ჩემო ბიჭო, ამ წყლის დალევა არ შეიძლება, იმ გუბეში თავკომბალებია.

მაგრამ მაინც დალია ეს ცუდი წყალი და შემდეგაც მთელი დღე სვამდა, რადგან სხვა წყალი ახლომახლო არ იყო, მას კი წყურვილი აწუხებდა. ალბათ ამ წყალმა დააავადა.

საჭმელი არაფერი გვქონდა. ირგვლივ მხოლოდ თივის ბღუჯა, თოფრაკიდან გადმოცვენილი ქერის მარცვლები და კარტოფილის ნათალი ეყარა. ცეცხლი გავაჩაღე, ეს კანები ჯოხზე წამოვაცვი და ვცადე შემეწვა, მაგრამ მაშინვე დანახშირდნენ.

— სოფელში წადი, — მითხრა ბებიამ, — კეთილი ადამიანებიც მოიძევებიან...

სოფელი სულ ახლოს იყო. გადავიარე ბექობი და აღმოვჩნდი პირველ ქოხთან. კაკუნზე დიასახლისი გამოვიდა. ისე საცოდავად ვთხოვე პურის ნატეხი, რომ ცრემლი მოერია:

— ღმერთო ჩემო, რა პაწაწკინტელაა... შემოდი, შემოდი... ვისი ხარ, შე ბედშავო!..

არ ვიყავი მომზადებული ასეთი კითხვებისათვის და არ ვიცოდი, როგორ მეცრუა. გვარი ვუთხარი.

— ნაგორნი! — გაიმეორა ქალმა. თან ხელში კოვზი მომცა და ჯამით ცხელი ბორშჩის მოწოდებას აპირებდა, — რომელი ნაგორნისა ხარ, ბიჭუნა, პარმენის თუ გრიცკოსი?

ეტყობოდა, სადღაც ახლოს ჩემი მოგვარეები ცხოვრობდნენ. მოზრდილი და გამოცდილი რომ ვყოფილიყავი, შეიძლებოდა ეს ამბავი ჩემდა სასარგებლოდ გამომეყენებინა, მაგრამ მე ვდუმდი, ქალს კი ჯამი ხელში ეჭირა და განაგრძობდა დაკითხვას:

— როგორ არის შენი დაიკო, ბიჭუნა?

— დაიკო არა მყავს, — წამოვაყრანტალე მე.

— აჰ, შენ პარმენის ბიჭი ხარ! როგორაა პაპაშენი, კიდევ უდგას სული?

— მე პაპა არა მყავს.

— მოიცა, მაშ რომელი ნაგორნი ხარ?

ქალი გაბრაზდა, გამომტაცა ხელიდან კოვზი და სახლიდან გამომაგდო.

დიდხანს მივდიოდი დაცარიელებულ ქუჩაში და ვერ გადამეწყვიტა, დამეკაკუნებინა თუ არა სადმე. ეს იყო კულაკთა მეტად მდიდარი სტანიცა, მაგრამ აქაც იყვნენ ღარიბები. მივადექი უბრალო სახლებს, მეჩხერ ღობეებს, აქ საკვამლურიდან ამომავალი ბოლიც წვრილი და გამჭვირვალე იყო. ბოშები არასოდეს მიდიოდნენ ღარიბებთან. ბოშები უარს არ იტყვიან, რომ ვინმეს რამე დასცინცლონ, მაგრამ მათხოვრები მაინც არ არიან. ისინი ვაჭრები არიან, სულ არა აქვს მნიშვნელობა რას გაჰყიდიან: ცხენებს, ქვაბებს, სიმღერებს თუ ბანქოს ბედს. ღარიბები ცუდი მყიდველები არიან და ამიტომაც ბოშები ყოველთვის მდიდრებთან მიდიოდნენ. მეც, პატარა ბოშამ, ვიყნოსე თუ არა სიღარიბის სუნი, უკან მობრუნება გადავწყვიტე. ამ დროს ვიღაც ქალმა დამიძახა.

უხეში ქსოვილის რეცხვისაგან დაცრეცილი ქვედა კაბა ძლივს ედგა წვრილ წელზე. რამდენიმე კბილიც აკლდა და პირი შავ ღრუს მიუგავდა. ის გაუგებრად ლაპარაკობდა და, როგორც მომეჩვენა, ილანძღებოდა. მინდოდა გვერდი ამევლო ამ ქალისათვის, მაგრამ ისე ხმამაღლა დამიყვირა, რომ შევცბი, ფეხებთან მწვანილით სავსე კალათა ედო. ერთი თავი კომბოსტო ამოიღო და გამომიწოდა. მიახლოებისა მეშინოდა. ამ ცუდად ჩაცმულ ქალს ვერ ვენდობოდი. მაშინ ნელა გამოაგორა კომბოსტო ჩემკენ. „ალბათ უნდა მიმიტყუოს-მეთქი...“ გავიფიქრე, მაგრამ მე უფრო ეშმაკი აღმოვჩნდი. საჩქაროდ დავავლე კომბოსტოს ხელი და სირბილით წამოვედი.

დიდხანს ვათბობდი კოცონზე და ვხრავდი ამ კომბოსტოს. ბებია არ ჭამდა. მხოლოდ წყალს მთხოვდა და მეც ვაწვდიდი.

ასე გავიდა დღე, მერე ღამე, ისევ დღე, ისევ ღამე...

ბებია არ დგებოდა, თითქმის არ იძვროდა. თითქოს დაპატარავდა. მოიკრუნჩხა. შავგვრემანი სახე საოცრად ჩაულურჯდა, მოკუმული ტუჩები გაუშავდა, თვალები სულ ღია

ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ბურანში იყო, მან რამდენჯერმე ახსენა პეტია. იქნებ შვილი ეჩვენებოდა!

მხოლოდ ერთხელ წამოსწია პატარა თავი. თმები შესწებებოდა, ლოყებზე საყურეები მიჰკვროდა. გულგრილად, დაზეპირებულივით წარმოთქვა:

— წადი, ითხოვე, ხომ არიან კეთილი ადამიანები... (ალბათ თავად არც კი გაუგონია საკუთარი ხმა).

უარი ვერ შეებედე. შეხვედრამ გამხდარ ქალთან, რომელმაც კომბოსტო მომცა, ვერაფერი მასწავლა. ისევ მდიდრებთან წავედი.

ერთ სახლში შემიშვეს. იქ მსუქანი ძია იჯდა. თეთრი, ამოქარგული ხალათი ეცვა, მსუქან მხრებზე საპეჭურები ჰქონდა გადაჭიმული.

ისევ დაიწყო გამოკითხვა: ვინ ვარ და რა ვარ. ახლა ანაზდეულად აღარ ვპასუხობდი. მოვყევი ძველი ზღაპარი, რომლითაც გზადაგზა ვშოულობდი ხოლმე ლუკმა პურს. მომისმინა და ჩაიცინა:

— ეშმაკურად იტყუები! შენი მშობლები შიმშილით დაიხოცნენ? საწყალი მამა აბრამის ბატკანი! არა, ტყუილი არ შეგძლებია. შენ ცხენის ქურდების შვილი ხარ, ისინი ყველანი თიხნარში ჩამარხეს.

ჩამავლო ყურში ხელი და ამიწია. ბავშვებს დაუძახა, შეხედეთ, მამათქვენი როგორ უმასპინძლდება ჭუჭყიან ბოშა ბიჭსო, მაგრამ თვითონ მალე დაიღალა და ჩემი თავი ბავშვებს გადაულოცა.

— დაამახსოვრეთ აქ ყოფნა!

ბიჭებმა კინწისკვრით გამათრიეს ეზოში და ძაღლები აუშვეს. ჭიშკარს ვეცი, მაგრამ ძაღლები მწვდნენ. მომაგონდა, რომ მხოლოდ დაწოლა მიხსნიდა. მიწაზე გავიშხლართე, მოჭუტული თვალებიდან ვუყურებდი ძაღლების ვარდისფერ, მსხვილსა და გადმოგდებულ ენებს. თუ დაგლეჯა დამიწყეს, ყელს მივუშვერ, რომ ტყუილად არ ვიწვალო. მაგრამ ძაღლებმა ირგვლივ შემომიარეს, დამსუნეს, კუდები აბზიკეს და გულგრილად გამეცალნენ. მივხვდი, რომ აქაური ძაღლები უფრო კეთილები იყვნენ, ვიდრე ადამიანები.

სამათხოვროდ აღარ დავდიოდი. ერთადერთი საქმელა მევალებოდა: ცეცხლი არ გამენელებინა. ცეცხლის ჩაქრობაზე უფრო საშინელი არაფერია. შენს ირგვლივ წყვდიადი ისადგურებს და გეჩვენება, თითქოს ცოცხალ-მკვდარი ხარ. მაგრამ თუ პაწაწკინტელა ნაპერწკალი მაინც ღვივის, თავს უკვე აღარა გრძნობ ისე საცოდავად და უბედურად.

საღამოს, როცა ნახევარი ვერსის მოშორებით მდებარე ბაგებიდან საქონელს გარეკავდნენ, ძროხის ნეხვს ვაგროვებდი. ერთ დღეში შრებოდა და არც ისე ცუდად იწვოდა, მაგრამ ბევრის ერთად წამოღება არ შემეძლო. ათჯერ მაინც უნდა წავსულიყავი მთელი ღამის მარაგისათვის. გადავწყვიტე, მომერღვია ტყრუშული ღობე, რომლითაც ბაგები იყო შემორაგვული. დამპალი ღობე ძლივსღა იდგა. დაბნელდა თუ არა, ბაგებისაკენ გავწიე.

ეტყობა, ჩემი თავი ძალიან ღონიერი მეგონა. კუთხის საყრდენი დამპალი და ფუღურო ბოძი ჭრიჭინებდა, ირყეოდა, მაგრამ ვერაფრით ამოვგლიჯე, ამაოდ ვეჯაჯგურებოდი, სხვისი ბაღის ვაშლივით ვარხევდი და ფეხებს კურტყამდი...

ბაგების შიგნით მკრთალად ანათებდა ძროხის გამხმარი ნეხვი. ჯანდაბას ღობე, ხალათით წივას შევაგროვებ და ნახევარ ღამეს მაინც მეყოფა-მეთქი — ვფიქრობდი და თან შეუპოვრად განვაგრძობდი ბოძის რყევას.

ირგვლივ სიწყნარე იდგა. მაგრამ ეს არ იყო სტეპების მკვდარი დუმილი. სიწყნარეს ერთფეროვანი ყრუ ბგერები ჰქმნიდა.

ჩემს ზურგს უკან კვრინჩხის ბუჩქები ილანდებოდა. ბუჩქებზე შემოდგომის გაყვითლებული, ხეშხეშა ფოთლები შრიალებდა, ხმელი ტოტები ერთმანეთს ეხახუნებოდა და ისეთი ხმაური იდგა, თითქოს ვიღაცა უჩინარი ჟანგმოდებულ ცელს ლესავდა.

უხილავი სალესი ქვის ხმაზე ტანში ჟრჟოლა მივლიდა. თავს ძლივს ვიმაგრებდი, რომ ბუჩქების მხარეს არ გამეხედა. მაგრამ, როცა ბოძი მოწყვეტით დაეცა, — გავიხედე.

თვალწინ ფოთლების სქელი, ჩაბნელებული ზღვა შრიალებდა. იქიდან დანებივით და ოროლებივით წამოეყო თავი

ხმელ რტოებს. ისინი ჩასაფრებული სტანიცელების შინნაკეთ იარაღად მეჩვენებოდა. იმისმა მოგონებამ, თუ რარიგ მხეცურად მოექცნენ ჩვენს ბიჭებს, — თავზარი დამცა, ვიყვირე და გავიქეცი.

ყურებში ქარი მიწიოდა, ხალათს მიფრიალებდა. მელანდებოდა მდევართა გუგუნი და დამსჯელთა ქშენა.

ჯერ მინდვრისკენ გავწიე, მერე მოვუხვიე და კოცონის ალს მივაშურე. მოვარდისფრო ალმა ფეხებზე მომანათა და შიშიც გაქრა. შინ ვიყავი. ადამიანის სახლი მარტო ჭერი და ოთხი კედელი როდია. ესაა ადგილი, სადაც იგი მარტო არ არის ქვეყნად. მშობლიური სითბო და ცეცხლის სინათლე სახლად მექცა ამ ერთ მტკაველ მიწაზე.

ახლაღა გამახსენდა, რომ წივა არ წამომიღია. უკან უნდა დავბრუნებულიყავი. მეყოფა გამბედაობა. ბებია რომ გამამხნევებდეს, თუნდაც გამიწყრებოდეს... მივუახლოვდი, ჩავიმუხლე, ხელი ჩავავლე.

— ბები, მომისმინე...

ხელები გაცივებოდა. ვეცი სახეზე, კისერში ჩავაფრინდი, შევანჯღრიე. ჯერ ნელა, ფრთხილად, მერე გამწარებით:

— ბები, გაიღვიძე!..

ბებია არ მპასუხობდა.

ვიგრძენი, რომ ეს უტყვი, მაგარი, გაყინული თოჯინა სრულებითაც არ იყო ბებია. ნამდვილმა, გულკეთილმა, მზრუნველმა, სუსტმა, ალერსიანმა და ბუზღუნა ბებიამ მიმატოვა, დაიმალა. სასიკვდილოდ განწირულივით დავიყვირე.

— ბები, სადა ხარ, ბები!

სტანიცისაკენ გავიქეცი. რისთვის? თვითონაც არ ვიცი. ალბათ დავემორჩილე იმ რაღაც შეუცნობელ გრძნობას, რომელიც კაცს უბედურების დროს ამოქმედებს: იყოს ადამიანებთან. მაგრამ როგორც კი მთვარით განათებულ, თიხით შელესილ სახლებთან აღმოვჩნდი, მაშინვე მივხვდი, არავინ ინაღვლებდა რომ იქვე, მინდორში მოხუცი ბოშა ქალი მოკვდა.

ქანცი გამიწყდა, ღონემიხდილი დავვარდი ტყრუშულ ღობესთან და ჩავიძინე. საშინელმა სიცივემ გამომაღვიძა.

აისი დამდგარიყო. დედამიწაზე ადუღებული რძისმაგვარი სქელი ნისლი დაეშვა. ბურუსმა შთანთქა ყოველივე. მხოლოდ ეკლესიის გუმბათები და სამრეკლოები ამოწვერილიყვნენ ნისლს ზემოთ. ეს ამღვრეული რძის ფაფა ქოთქოთებდა, იკუმშებოდა და ტრიალებდა. მასში იჭრებოდა რაღაც მოწითალო ლაქები. ირგვლივ ფეხის ბაკუნის მაგვარი უცნაური ხმაური იდგა. უცებ ნისლის ნაფლეთი შემობრუნდა, ის ჰგავდა ხარის ბრტყელ თავს, რომელსაც დანასავით გლუვი და მჭრელი, ლაპლაპა შავი რქები ამშვენებდა. შემდეგ გამოჩნდა ხარის მსუქანი, ჩანაოჭებული ქედი. გოლიათმა ხარმა გვერდით ჩამიარა და სახეში შემომაორთქლა. არც კი გავწეულვარ. ვიცოდი, რომ ამ ცოდვილ მიწაზე პატარა ბოშას საოცრებები ელანდება, და უკეთესი იქნებოდა, არ დამეჯერებინა თვალებისათვის. მოწითალო ლაქები ნისლში იღლინთებოდნენ, ფართოვდებოდნენ, იზრდებოდნენ და ნამნაპკურები ბალნით, ფართოდ გაშლილი რქებით წითური ძროხები ჩნდებოდნენ. მერე ქალების ხმა, მწყემსების სტვენა და მათრახების ტყლაშუნი შემომესმა. ეს იყო ნამდვილი ჯოგი, რომელსაც მწყემსი მიერეკებოდა საძოვარზე. ღობეს ავეკარი. კიდეე ცოტა და ძროხები გადამქელავდნენ...

ჯოგის კვალს მივყევი და მინდორში დავბრუნდი. ნისლი სწრაფად იკრიფებოდა და ქრებოდა. ხეების ქვეშ და თხრილების ძირში ილექებოდა.

შიშით მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც ბებია იწვა. თვალები ღია დარჩენოდა. ისე მიყურებდა, თითქოს მსაყვედურობდა: რად მიმატოვე ღამე მარტო. სირცხვილი მკლავდა. თავი ჩავქინდრე, ნელ-ნელა მივედი და მისი ხელი ავიღე. ხელი მძიმე და ცივი ჰქონდა. თითქოს მეორედ მოკვდა ბებია ჩემთვის. დავემხე მიწაზე და ტირილი დავიწყე. ვტიროდი, ვტიროდი... მთელი ჩემი ბავშვობის ცრემლები გადმოვღვარე ბებიას ცხედართან.

საამური დილა თენდებოდა. გზაზე საზამთროთი, სიმინდითა და მზესუმზირათი დატვირთული საზიდრები მიდი-მოდიოდნენ. გაგვისწორდებოდნენ და შეჩერდებოდნენ. მგზავრი

მოგვიახლოვდებოდა, თავისი ჩრდილით დაგვფარავდა, ცოტა ხანს ჩუმად გაჩერდებოდა, შემდეგ იკითხავდა:

— ვინაა?

— ბებია, — ვპასუხობდი მე.

ამას მოყვებოდა გაგრძელებული „ა“! კაცი ჩექმის ყელზე წნელს გაიტკაცუნებდა და თავის საზიდარს დაუბრუნდებოდა. მესმოდა „ა-ჩუ“ და ზანტად ადგილიდან იძვროდა საზიდარი, შემდეგ ნელ-ნელა მიწყდებოდა თვლების ჭრიალი.

გამაბრაზა ამ ადამიანების გულგრილობამ და ახლა, როცა მეკითხებოდნენ, ვინ არისო, — ვპასუხობდი, არავინ-მეთქი. სიჩუმით შეხვდებოდნენ ჩემს პასუხს, ჩაფიქრდებოდნენ, შემდეგ გულიანად შემიკურთხებდნენ: — მგლის ლეკვოო, და თავის გზას დაადგებოდნენ. ალბათ მართლა ვგავდი აბურძგვნილ მგლის ლეკვს. სამწუხაროდ, მხოლოდ ვიღრინებოდი, კბენა კი არ შემეძლო.

დღისით ვიღაც ჩასქელებული საპატიო კაცები მოვიდნენ, მაშინვე მივხვდი, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ. თავზე დაგვადგნენ, მაგრამ არაფერი უკითხავთ, შემდეგ ერთმა თქვა:

— გალუშკას თიხნარში უნდა დავამარხვინოთ.

— ბიჭუნას რაღა ვუყოთ? — ჰკითხა მეორემ.

— ბიჭუნა თავშესაფარში გავგზავნოთ.

ეს რაღა უბედურებაა? არ ვიცოდი, რა იყო „თავშესაფარი“, მაგრამ აქაურებისაგან სიკეთეს არ მოველოდი.

ისინი წავიდნენ და ისევ მარტო დავრჩი. ჭრიჭინებდნენ საზიდრების თვლები, დროდადრო გადაგვეფარებოდა ადამიანის ჩრდილი და მთვლემარის ცნობისმოყვარეობით ისმოდა მომაბეზრებელი კითხვა: „ვინ არის?“ მე ვდუმდი. ჩრდილი უკან იხევდა. დუმილი მას ისევე აკმაყოფილებდა, როგორც სხვებს ჩემი ადრინდელი პასუხი.

პირველად მზე მათბობდა, შემდეგ ზურგი ამიწვა; ააოქროსფერა ბებიას სახე და ხელები. შემდეგ განელდა და ბოლოს ჟოლოსფერ ბურთად ჩაგორდა ღრუბლებს გადაღმა დედამიწის კიდეში. საღამო ახლოვდებოდა და მეც შიში მიპყრობდა.

ვცდილობდი მეტირა, მაგრამ ცრემლი გამიშრა. ტკივილებისაგან ვიყავი შებოჭილი, მინდოდა გავთავისუფლებულიყავი და ყვირილი დავიწყე.

— ხმა ჩაიწყვიტე, დოღრიალავ! — გაისმა თითქოს კასრიდან ამომავალი ბოხი ხმა.

იმ წამსვე გავჩუმდი. თავზე ჩხირივით კაცი მადგა. ისეთი გამხდარი იყო, რომ ჩრდილიც კი არა ჰქონდა. მის გამოფიტულ სხეულს ჩამავალი მზის სხივები ადგა. მოგრძო, ნამზეურ და გაუპარსავ სახეზე შავად მოუჩანდა ჩაცვენილი თვალები.

— თქვენ იხოცებით, — თქვა მან, — მე კი უნდა გმარხოთ!

არყის სუნით ყარდა. მივხვდი, ეს უნდა ყოფილიყო გალუშკა, რომელზედაც უფროსები ლაპარაკობდნენ.

გზის კიდეზე იდგა საზიდარი, რომლითაც სასუქს ეზიდებიან. ის ჰგავდა თავახდილ კუბოს. გალუშკა დაიხარა, ასწია ბებიას ცხედარი, ჩააგდო საზიდარში, მობრუნდა და არც შემოუხედავს, ისე მიბრძანა მოკლედ:

— ჩაჯექი!

თიხნარისაკენ წავედით. ბებიას თავი საზიდრის კედელს ეხეთქებოდა, ამიტომ თავქვეშ ხელი ამოვუდე.

— დადექ, შე სამგლეე!

საზიდარი თიხნარი ხევის ბოლოში გაჩერდა. გალუშკამ ნება დამრთო ჩამოვსულიყავი. მიაწვა მხრით საზიდარს, გადაყუდა ხევზე და ბებიას ცხედარი უფსკრულში გადაუშვა. ცხედარი გამოწეულ შვერილებს ეხეთქებოდა, ხტუნავდა, ძემდეგ კი რბილ თიხაზე ჩაცურდა. ბოლოს თითქოს წყლის შხაპუნიც მომესმა. გალუშკამ ბარი ხევში ისროლა და მითხრა, გამომყევიო.

სანამ იმ უკუნეთში ჩავაღწევდი, მას უკვე გაეთხარა ორმო. ქვემოთ არც ისე ბნელოდა. უარესს ველოდი. საიდანღაც ციმციმა სინათლე კიაფობდა. ამ სინათლეზე ვხედავდი ბებიას პირქვე ჩამხობილ ცხედარს და გალუშკას გრძელ სხეულს. მას ხელში ბარი ჰქონდა ჩაბღუჯული. შორს, ზემოთ, ხევის თავზე იდგა ცხენი, რომელიც ქვევიდან ლეკვისოდენად მოჩანდა.

— როგორ ფიქრობ, შენს მაგივრად მოვიწყვეტ წელს? — .მითხრა გალუშკამ, რომელიც უგულოდ ჩიჩქნიდა მიწას.

თიხა რბილი იყო. ვიღებდი მუჭით და ნელა ვაყრიდი ბებიას. დაღლილი გალუშკა ზანტად ჩიჩქნიდა ბარით. სიწყნარე იყო და ამ სიჩუმეში საზიდრის ჭრიალი გავიგონეთ. ცხენის ერთი ციცქნა სილუეტი სადღაც გაქრა.

— დადექ! — დაიღრიალა გალუშკამ, შეიგინა და ბარი მომაჩეჩა. — როგორც კი ჩამარხავ, ბარი მაშინვე ციბულენკოს მიუტანე. მისი ქოხი ბოლოდან მეორეა! — ის სწრაფად აფორთხდა ზემოთ, მაგრამ შუა გზაზე მომიბრუნდა და დამჩხავლა: — თუ ბარი დაკარგე, იცოდე თავს წაგაცლი!..

მისი გრძელი სხეული ხრამის კედელთან დაიკლაკნა და შვერილთან გაუჩინარდა.

ვავსებ ბებიას საფლავს. აი, უკანასკნელად ვაყრი მიწას, მაგრამ ისევ მოჩანს ბებიას ქვედა კაბის ნაწილი. ისევ ვაყრი მიწას, ერთ ნიჩაბს, მეორეს, მგონი, საკმარისია. არა, აქედან ამოჩრილა ბებიას ფეხი, რომელზედაც მოღრეცილი ფეხსაცმელი აცვია. თვლა რვამდე ვიცოდი. გადავყარე იქით მიწა რვაჯერ. ფეხსაცმელი აღარ მოჩანდა, მაგრამ დავინახე, რომ პირდაპირ ჩემი ფეხებისაკენ თიხაწაყრილი ღაზლის თავსაფარი ეგდო, ვაყრი და ვაყრი მიწას, მაგრამ, რაც მეტს ვცდილობ, მით უფრო უარესი მემართება, ბებია თითქოს მიწიდან ამოდისო, აი, ხელი და მოკრუნჩხული თითები, აი, ჭაღარა ნაწნავიც გამოჩნდა, გაიელვა სპილენძის საყურემ... აქ არ იყო არავითარი იდუმალება. უბრალოდ, ძალა არ მყოფნიდა რიგიანად ამომევსო საფლავი, დაღლილობის, ითითილისა და დარდისაგან გაოგნებული ერთი ადგილიდან მეორეზე ვყრიდი მიწას. მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი. ამიტომ ვიფიქრე, ალბათ, ბებიას არ უნდა, რომ ჩავფლა-მეთქი, გადავაგდე ბარი და ზემოთ ამოვედი. ბნელოდა. მხოლოდ დასავლეთით ჩამუქებულიყო ცა წითლად, თითქოს ვიღაცამ ვედროთი სისხლი შეასხაო.

სად წავიდე? სოფელში, სადაც მცემენ, ძაღლებს მომისევენ? არა და არა! თანაც ბარი ქვემოთ დამრჩა, ჩასვლის თავი აღარა მაქვს. გალუშკა თავს წამაწყვეტს... მინდორს მივაშურე. ვიარე და ვიარე, სანამ ერთ ზვინს არ წავადექი. გადავგორდი თბილ შრიალა ჩალაში და მაშინათვე ჩამეძინა. გავიღვიძე დილით. მთელ სხეულში ძლიერ ჩხვლეტას ვგრძნობდი. ჩალას და ცარიელ თავთავს თავიდან ფეხებამდე დავეჩხვლიტე. გავიძრე ხალათი, დავფერთხე და ვხედავ- ფეხებთან ბარო შიროს ჩიბუხი დაეცა. ამდენ ხანს უბეში მედო. მაგრამ სულ გადამავიწყდა. ბარო შიროს სახემ ზიზღი მომგვარა და ჩიბუხი ფეხით შორს გადავისროლე.

მაგრამ მაინც არ მინდოდა ამ მშვენიერი ნივთის გადაგდება. ხელში ავიღე, ხალათის კალთით მტვერი მოვაცილე და მაშინვე მამინაცვლის სიტყვები გამახსენდა, შიმშილს თამბაქო ჰკლავსო. ჩიბუხი ჩალის ნაფერთხით გავავსე- „მოწევა“ დავიწყე. მოხერხებულად ვაბოლებდი და კვამლს ბოლქვებად ვუშვებდი. „მოწევამ“ პირიქით იმოქმედა- დამწვარმა ჩალამ პურის სუნი დააყენა და მხეცივით მომაშია- ჩავიჩარე ჩიბუხი უბეში და სტანიცისაკენ წავლასლასდი- მივდიოდი არა გორაკს გადაღმა მდებარე სტანიცაში, არამედ მეორე მხარეს, ხუთიოდე ვერსის დაშორებით რომ მეგულებოდა.

ზარების საამური რეკვა ისმოდა. კვირა დღე იყო. ხალხი წვრილი ჭავლივით მოედინებოდა სოფლის შუაგულში, გორაკზე წამომდგარი ეკლესიისაკენ, რომელსაც თეთრი კარიბჭე და ცისფერი სამრეკლო ამშვენებდა.

დავადექი ცარიელ ქუჩას, რომელიც სამზარეულოს საამური სურნელებით იყო გაჟღენთილი. ყველა სტანიცელი როდი წამოსულიყო ეკლესიაში. მზარეულები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. აცხობდნენ ღვეზელებს, მაჭკატებს, ბრტყელ კვერებს საკვირაო სუფრისათვის. არა, მშიერი ადამიანისათვის ძნელი იყო ამ ქუჩაზე გავლა. ხან მაბრუებდა სუნი წიწიბურიანი მსუყე ღვეზელისა, კუჭს რომ ამოგიყორავს, ხანაც

ხაჭოს ღვეზელის მომქაო სუნი. ასეთი ღვეზელი ჯერ ხელში უნდა შეათამაშო და მერე გადაუძახო პირში; მერე ერბოიანი მაჭკატის სუნი მეცა. ამას რომ თავი დავაღწიე, კომბოსტოიანი მსუბუქი ღვეზელების სუნიც ვიგრძენი და გამაღიზიანა. ეს დაბრაწული ღვეზელები თავისით გადნება ენაზე.

წამებას ველარ გავუძელი და იმ სახლის ფანჯრებს მივადექი, საიდანაც ღვეზელის მიმზიდველი სუნი გამოდიოდა. კალთააკეცილი დიასახლისი გახურებული ღუმელის წინ საქმიანობდა. დაკაპიწებული ხელები, რომლებითაც ოსტატურად ხმარობდა სატაცებსა და ორკაპებს, წამით გაიელვებდნენ ხოლმე. უცებ შევნიშნე, რომ ფანჯარასთან, მაღალ სკამზე ახალგამომცხვარი, ფქვილმოყრილი ღვეზელებით სავსე თასი იდგა.

დარაბის უკან მივიყუჟე. რა დააკლდებათ მდიდარ ადამიანებს, მშიერ ბიჭს რომ ღვეზელი მისცენ? მაგრამ თხოვნას ვერ ვბედავ. მაშინვე დამიწყებენ გინებას, ან ძაღლებს მომისევენ. როცა დიასახლისი რომელიღაც თუჯიას ასაღებად ღუმელს მიეფარა, ერთი ღვეზელი მოვიტაცე და უბეში ჩავიგდე. უბე დამწვა და იღლიაში ამოვიჩარე.

ნუთუ მდიდრები გაღატაკდებიან, ბოშა ბიჭმა რომ კიდევ ერთი ღვეზელი მოიპაროს? სიფრთხილე დამავიწყდა, დარაბის უკნიდან გამოვედი და კიდევ ერთი ღვეზელი ავიღე. მერე კიდევ ერთი. ხელი წავიღე მეოთხისათვის და დიასახლისიც შემობრუნდა. მას ხელში ეჭირა ბატის ფრთა, რომელსაც ხმარობენ ერბოს წასასმელად, რომ ნამცხვარი კარგად დაიბრაწოს. ბატის ფრთა ხელზე დამარტყა. ფრთას საკმაოდ მსხვილი ძვალი ჰქონდა და დარტყმამ ადგილზე გამაქვავა.

გამოვარდა სახლიდან აწითლებული, სიცხისგან ალეწილი, ღვეზელივით ლოყებდაბრაწული დიასახლისი, ჩამავლო ქეჩოში ხელი და წამათრია.

ამასობაში ქუჩები უკვე ხალხით გაივსო. წირვა დამთავრდა. ზეციურ მადლს ზიარებულნი ახლა იშლებოდნენ, რათა კარგად დანაყრებულიყვნენ. არც ლოცვა, რომელსაც ისინი ახლახან აღავლენდნენ, არც ოცნება საჭმელზე მათ ხელს არ უშლიდა დაინტერესებულიყვნენ ისეთი საცოდავი არსებით,

როგორიც მე ვიყავი. დიდი სიამოვნებით უსმენდნენ აქაქანებული დიასახლისის ახსნა-განმარტებას. შემდეგ განაგრძობდნენ გზას უფრო მეტად დარწმუნებულნი, რომ ღმერთმა ასე დააწესა: მათ ხეთქონ და სვან, მე — დავისაჯო.

თანასოფლელთა კეთილგანწყობილმა ცნობისმოყვარეობამ კიდევ უფრო გააწიწმატა მყვირალა დედაკაცი, ჩემი დანაშაული საოცრად გადიდდა. თურმე მე არა მარტო გავქურდე ეს ქალი და სამათხოვროდ გავუხადე საქმე, არამედ ვცდილობდი, გადამეწვა მისი სახლი, გამერეკა მისი ცხენები. არავინ დაფიქრებულა იმაზე, შეეძლო თუ არა ყველაფერი ეს ჩაედინა ათი წლის ბავშვს!...

ბოლოს ჩვენ რომელიღაც მდიდრის ოჯახში შევედით. ნაირ-ნაირი საჭმელების სიმძიმისაგან ჩაზნექილ მაგიდას მთელი ოჯახი შემოსჯდომოდა. ქალმა კინწისკვრით შემაგდო და ხმამაღლა განაცხადა ჩემი დანაშაული, თან დაუმატა, რომ ბოშებისათვის ცემა ცოტაა, ერთიანად უნდა ამოვწყვიტოთო...

ოჯახის უფროსი, რომელსაც ქალი ელაპარაკებოდა, ნაცნობი მეჩვენა. სადღაც მენახა ეს ნაზუქივით სახე, გაქონილი ულვაშები, ამღვრეული თვალები. ამან არ გამოაგზავნა გალუშკა? მაგრამ ეს ხომ სხვა სტანიცაში იყო. ეტყობა, ყველა მაძღარი უცხვირპირო ადამიანი ერთმანეთსა ჰგავდა.

მან ჯირიდან კოვზი გამოიღო, დახედა, მოლოკა და გვერდზე გადადო.

— საქმეს მიხედე, მარინა, — უთხრა მან ქალს, — ბიჭს ჩვენ მოვუვლით, საკანში შევაგდებთ.

ქალი წავიდა. მომეჩვენა, თითქოს უკმაყოფილო იყო. უთუოდ ეგონა, უფრო მკაცრ სასჯელს დამადებდნენ. აქედან დავასკვენი, რომ საკანი არ უნდა ყოფილიყო ყველაზე საშინელი რამ, რაც მათ ადამიანის დასასჯელად მოეგონათ.

ოჯახი ისევ სადილობდა. გამახსენდა ღვეზელები, რომელთა გადანახვა მოვასწარი. ამოვიღე და მინდოდა ჩამეკბიჩა. სახლის პატრონი უხმოდ ადგა მაგიდიდან, ღვეზელი ხელიდან გამომგლიჯა და სანაგვე ვედროში ჩააგდო, ხელები შარვალზე შეიწმინდა და ისევ სუფრას მიუჯდა.

ბოლოს, როცა ისადილეს, ოჯახის პატრონმა მხრებში ხელი

ჩამავლო, მიმატრიალა და კინწისკვრით გამაგდო გარეთ. ასე ჩამიყვანა ეზოში. იქ რაღაც ყრუ შენობას მივადექით. შენობა ბეღელს ჰგავდა, ჭერს ქვემოთ ორი მცირე ზომის ღობურა სარკმელი ჰქონდა დატანებული.

სახლის პატრონმა ფართო შარვლის ჯიბეები მოიქექა, გასაღების მთელი შეკვრა ამოიღო, კარი გააღო, საკანში შემაგდო, კარები გადაკეტა და დინჯად გაეცალა იქაურობას. კარგა ხანს მესმოდა მიმავლის ნელი ნაბიჯების ხმა.

საპატიმროს სახელწოდება უფრო ავის მომასწავებელი იყო. მე კი აღმოვჩნდი ჩვეულებრივ ცარიელ ოთახში, რომლის იატაკი ჩალის ბულულებით იყო დაფარული. აქ სრულიადაც არ ციოდა. სარკმელებიდან მზის სხივები ატანდა, სხივებში მტვერი ირეოდა.

მივიხედ-მოვიხედე და შევნიშნე, რომ საკანში მარტოდ-მარტო არ ვიყავი. კუთხეში ჩალაში ეძინა აყლაყუდა ჭაბუკს, რომელიც ასე ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. პირზე ხელი აეფარებინა და ისე იწვა. დავინახე მისი ტუჩები, რომელზედაც ბუზი დასჯდომოდა, და ჭორფლიანი ნიკაპი.

ეტყობა, ბუზი უხიცინებდა, რადგან ძილში სასაცილოდ ამოძრავებდა ტუჩებს. ბუზს ავუქნიე. მან მდიდარი ქალბატონის ქარისაგან გაფრიალებულ კაბასავით გაშალა ფრთები, მაგრამ ჭაბუკის ტუჩებს მაინც არ მოშორდა. ალბათ ჭაბუკმა რაღაც ტკბილი ჭამა და ამიტომაც აღარ ეშვებოდა ბუზი მის ტუჩებს. დავიწყე ხელის ქნევა მის სახესთან, მაგრამ ბუზი გაჯიუტდა. მეც აზარტში შევედი და კარგა მაგრა მივარტყი ლოყაზე. მან უცებ გამოიღვიძა, ფეხმორთხმული წამოჯდა და თვალებდაჭყეტილმა დამიწყო ცქერა.

უკან დავიხიე. ჭაბუკი ცეცხლივით წითური და ისეთი ჭორფლიანი იყო, როგორიც არასოდეს მენახა. სახე სხვადასხვა ფერისა და ზომის ჭორფლით ჰქონდა დაფარული. მთელი სახის ოქროსფერ ფონზე ჭორფლი მუქ წერტილებად მოჰფენოდა, თითქოს სურინჯი მიასხურეს წმინდა საცერიდანო. ამ სიჭრელეს დაეფარა მისი სახის ნაკვთები. მხოლოდ შემდეგ შევნიშნე, რომ მას სწორი, ოდნავ მოღუნული ცხვირი, მაღალი, ორ ადგილას ამობურცული შუბლი და მომწვანო

თვალები ჰქონდა, რომელიც ხშირი წითური წამწამებით იყო დაჩრდილული და ამიტომ ჟღალი გეგონებოდათ.

მაგრამ ეს მერე შევნიშნე. პირველად კი კინაღამ დავბრმავდი, თითქოს მზისთვის შემეხედოს. უკანასკნელ დღეებში საკვირველი გარეგნობის ადამიანებს ვხვდებოდი: ბარო შირო, გალუშკა, ეს ჭაბუკიც თავისებური გარეგნობისა იყო. ამდენი მკვეთრი შთაბეჭდილებებით მოღლილმა თავი დავხარე ბუნების ახალი საოცრების წინაშე.

— რაო, მოგწონს ჩემი ფიზიონომია?—მკითხა ჭაბუკმა, თან იზმორებოდა და იღიმებოდა.

არ ვიცოდი, რა იყო „ფიზიონომია“, მაგრამ აზრით მივხვდი, რას მეკითხებოდა და თავი დავუქნიე.

— დიახ. დიახ, — დაბეჯითებით თქვა მან. — ყოველდღე ვერ შეხვდები, ძმობილო, ასეთს.

ისევ დავუქნიე თავი.

— შენ ქურდი ხარ?

მინდოდა დადებითად მეპასუხა, მაგრამ მეშინოდა ხათაბალაში არ ჩავვარდნილიყავი.

— ა-რა-მითქი, —— ვუპასუხე ყოყმანით.

მან ამოიღო ჭვავის პურის ნატეხი, მაწვნიანი ქილა. შიგ ჩაცვენილი ბუზები და მტვერი ამოწმინდა, მიიტანა პირთან. მაგრამ ამ დროს მე შემომაჩერდა. ეტყობა, შემამჩნია, რომ დამშეული ვიყავი. პირიდან ქილა მოიცილა, გადაქექა თავისი სასთუმალი, ამოიღო იქიდან თუნუქის უყურო ტოლჩა, გადაასხა მაწონი ნახევრამდე, გამომცდელი თვალით შემომხედა და ქილა სულ შიგ ჩასცალა.

— შეხვრიპე, ბიჭო! — და ტოლჩასა და პურზე მიმითითა. მე ვყოყმანობდი. მან დაუმატა:

— მე მაძღარი ვარ. აქ საჭმელზე არ ძუნწობენ.

აშკარად იცრუა. ამას მივხვდი, როცა საღამოს ვახშამი მოგვიტანეს: თითო ქილა მაწონი და ნატეხი პური. ეს ბავშვსაც არ ეყოფოდა, არა თუ ჩემი მეზობლისთანა ჯანიან ჭაბუკს.

მაგრამ მაშინ დავუჯერე. მთლად შევჭამე პური და მაწონიც მივაყოლე.

ის მხიარულად ხარხარებდა, როცა ხედავდა, როგორ მეწუწებოდა მაწონი ნიკაპსა და გულზე. უცებ სიცილი შეწყვიტა და დანანებით თქვა:

— როგორ გშიებია!

ეს პირველი უცნობი ადამიანი იყო, რომელიც კეთილად მომექცა, ამიტომ გული გადავუშალე. მისი გარეგნობა აღარ მეჩოთირებოდა. პირიქით, მსიამოვნებდა მისი ჭორფლით აპრელებული სახისა და სპილენძისფერი ქოჩრის ცქერა.

მოვუყევი ჩემი თავგადასავალი; წარბშეკრული მისმენდა.

— ასეთი ციცქნა ხარ და რამდენი გადაგიტანია! — მითხრა მან, როცა ყველაფერი ვუამბე.

— განა შეიძლება ასე მოექცნენ ბავშვს? — ვიღაც უხილავს მუშტი მოუღერა და განაგრძო: — ეჰ, არამზადები. არამზადები!..

დავფიქრდი და მივხვდი, რომ მისი ბოლო წამოძახილი იმ ადამიანებს შეეხებოდა, რომლებიც ბოროტად მომექცნენ, გათამამებულმა ვკითხე, საკანში რატომ მოხვდი-მეთქი.

— ერთი არამზადა მოვკალი, — მშვიდად მიპასუხა ჩემმა ახალმა მეგობარმა.

— მოკალი?

— გესმის, ბიჭო, მოჯამაგირედ ვიდექი ერთ კულაკთან. კაციჭამია იყო — ღმერთმა დაგიფაროს! ერთხელ ბელელში შევედი ფოცხის ასაღებად, ის კი სწორედ მაშინ უსწორებდა ანგარიშს ცამეტი წლის მოჯამაგირე გოგოს, გაპოჩკას. მთელ საოჯახო საქმეს გაპოჩკა აკეთებდა: იატაკს წმენდდა, შეშას ჩეხავდა, ბატებს მწყემსავდა, კულაკს კი უნდოდა, გაპოჩკა მოეტყუებინა. ტიროდა საწყალი გაპოჩკა, ეხვეწებოდა, მომეცი, რაც მერგება, ანგარიში გამისწორეო. იმ საზიზღარ ქვემძრომს კი გოგონას გაუბედურება განეზრახა: „მოგცემო, ეუბნებოდა, თუ შენ...“ ო, ჯერ შენ პატარა ხარ, რომ ასეთი საზიზღრობა გესმოდეს.

მაგრამ მე, ბოშა ბიჭმა, კარგად გავიგე ის, რაც ბოლომდე არ თქვა ჩემმა მეგობარმა.

— საბრალო გოგონა იდგა და ისე ტორტმანებდა. თითქოს ქარს დაებერეროს, სახეზე ხელები აეფარებინა. მე ვუთხარი: წადი, ფიოდორ ვასილიჩ, წადი, გირჩევნია-მეთქი — და კბილები დავაღრჭიალე. შევატყვე, არც ის იყო გონზე. როგორც კი გამოექანა ჩემკენ, ვტაცე ხელი რკინის სარწყულს, რომლითაც ხორბალს რწყავდა, და ვხეთქე თავში.

— მოკალი?

— არა, სიკვდილით არ მომიკლავს, მაგარი კაცი იყო, გადაიტანა, მაგრამ ლოგინად ჩავარდა.

— შენ კი საკანში გიკრეს თავი, არა?

— არა, მან არ ინება, იცი, რა გაუმაძღარი იყო. თვალი სულ გამორჩენაზე ეჭირა, უჯამაგიროდ მამუშავებდა. მეც ვმუშაობდი, სანამ არ ჩაძაღლდა. მოკვდა და ჩამსვეს კიდეც საკანში. მალე ნამდვილ ციხეში გადამიყვანეს, — დაამთავრა თხრობა თითქოს სიამაყით.

— არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს? გავიქცევი.

— როგორ გაიქცევი?

— ძალიან უბრალოდ. როგორც კი ციხეში წამიყვანენ, მაშინვე გავიქცევი, ძმობილო, და წითელ მხედრებს მივაშურებ. მათთან ერთად ყველა კულაკს, ყველა ბურჟუას ავჩეხავ!

— მერე ვინ მოგცემს მაგის ნებას?

— როგორ თუ ვინ მომცემს? მაგას რა ნების მიცემა უნდა. აიღე ხელში მჭრელი ხმალი, მოახტი მარჯვე ცხენს და გაჰქუსლე ბურჟუების ასაჩეხად! — ფეხზე წამოხტა, ხელებს იქნევდა, ვითომ რაღაცას ჩეხავდა ხმლით, ყვიროდა და თვალებს აკვესებდა.

— ვინ არიან წითელი მხედრები? — ვკითხე მე.

მან ხელების ქნევას თავი ანება და თვალები გადმოქაჩა, თითქოს დიდი სისულელე მეთქვას. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დარწმუნდა, რომ მართლაც არ ვიცოდი.

ის, რაც იცოდა ჩემი ხნის ბიჭმა, რომელიც არასოდეს არ გასულა სახლიდან და ცხოვრობდა სადღაც ბაიკალის ნაპირთან

ან ვოლგისპირეთის მიყრუებულ სოფელში, სრულიად უცნობი იყო ჩემთვის, რომელსაც არა ერთი ათასი კილომეტრი გადამესერა. პირველად მისგან გავიგე, რა არის ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, წითელი არმია.

მე ხომ ჩემი თვალით ვნახე ცოტა ხნის წინ გადატანილი პრძოლების ნაკვალევი და გადამწვარი სოფლები. ომის სუნი უკვე ნაყნოსი მქონდა. ბოლოსდაბოლოს რამდენჯერ გამიგონია თვით სიტყვა „ომი"; დიახ, ეს ასე იყო. მაგრამ მეგონა, რომ „ომი" ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ჭექა-ქუხილი ან ქარიშხალი.

ჩემი ახალი ნაცნობის მგზნებარე, არეულ-დარეულმა და უცნაურად დამაჯერებელმა საუბარმა ახლებურად განმაცდევინა ნანახი და გადატანილი.

გავიგე, რომ ადამიანები თურმე მხოლოდ კარგ ბოშებად და სხვა დანარჩენ ყველა ცუდ ხალხად კი არ იყოფიან, არამედ მდიდრებად და ღარიბებად. ბარო შიროს ბანაკში ვნახე ავაზაკი ბოშები, რომლებმაც სასიკვდილოდ გაგზავნეს თავისივე ტომის ხალხი. ვნახე კეთილი უკრაინელები და რუსები; მეშახტეები, რომლებიც უარს არაფერზე გვეუბნებოდნენ, როცა მათ შავ მიწაზე მივდიოდით; ქალი, რომელმაც თითქმის მაიძულა ამეღო კომბოსტო და ბოლოს ეს ჭორფლიანი მეგობარი, რომელმაც დამითმო თავისი ლუკმა, მომეფერა და გამამხნევა. ესენი ხელს მიმართავდნენ და სამაგიეროდ არაფერს მთხოვდნენ: არც მკითხაობას, არც სიმღერას, არც ტყუილით თავის შეცოდებას, — ღარიბები იყვნენ. ესე იგი, ქვეყანა ბოშებად და არაბოშებად კი არ ყოფილა გაყოფილი, არამედ ღარიბებად და მდიდრებად. პირველად შევიცანი ღარიბი ადამიანების ძმობა; მივხვდი, რომ ღარიბები აჯანყდნენ მდიდრების წინააღმდეგ, მდიდრებს კი არა სურთ ხელისუფლების დაკარგვა და ებრძვიან ღარიბებს. მაგრამ როგორც არ უნდა გაცოფდნენ მდიდრები, მათი საქმე წასულია...

ძილის წინ გონებაში მეხატებოდა ის მშვენიერი ცხოვრება, რომელიც ბოშებს ელოდათ, როცა ღარიბები გაიმარჯვებდნენ.

წარმოვიდგინე, თითქოს ვიპარავ ღვეზელს, არავინ მირტყამს ხელზე, დიასახლისი ტკბილად იღიმება და თითს მიქნევს. წარმოვიდგინე, ბოშებს არავინ სდევნის, მათ იღებენ, როგორც სასურველ სტუმრებს, გულუხვად ასაჩუქრებენ და თუ ბანაკმა ცხენი მოიპარა, მაშინაც გულკეთილად ექცევიან. მაგრამ, როცა დილით ჩემი ნაოცნებარი წითურ მეგობარს გავუზიარე, მან მხოლოდ გაიცინა.

— ეჰ, შე დოყლაპია! მაშინ ხომ არავინ იქურდებს. ჩვენ თვითონ ვიქნებით მიწის ბატონ-პატრონები და თავის თავს ვინღა მოჰპარავს?! მიხვდი? ჩვენ თვითონვე ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლება, მე და შენ, მთელი ხალხი, გესმის? ჩვენთვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მიდის ბრძოლაში წითელი მხედრობა... აბა, მისმინე... შენ ბოშა ხარ, შენთვის სიმღერა უფრო გასაგებია!.. — და მან დაიწყო:

დავეცემით გმირულად,
საბჭოეთო, შენთვის.
ცეცხლში პირდაპირულად
შევალთ, როგორც ერთი[1].

— აბა, ამყევი!
ჩვენ ერთად ავმღერდით:

ცეცხლში პირდაპირულად
შევალთ, როგორც ერთი.

მე კარგი სმენა და სუფთა დიკანტი მქონდა. სიმღერამ გამიტაცა, სულში შეიჭრა. ვმღეროდი გრძნობით უფრო უკეთესად, ვიდრე წითური ჭაბუკი. მან შემომხედა და დაინტერესებით მითხრა:

— აბა, იმღერე მარტო!
მეტი თხოვნით არ შემიწუხებია:

დავეცემით გმირულად...

---

[1] ლექსები თარგმნა ვ. გვეტაძემ.

ვერ მოვასწარი სიმღერის დამთავრება. კარი გაიღო. მეგონა, საჭმელი მოგვიტანეს-მეთქი. მაგრამ არა, თურმე ჩემი მეგობრის წასაყვანად მოსულიყვნენ.

თითქოს ცივი წყალი გადამასხეს. არასოდეს გამომიცდია ასეთი სევდისმომგვრელი გრძნობა. როცა ბებია დავკარგე, შიში მქონდა, ახლა კი... ახლა კი საშინლად მტკიოდა გული მეგობრის გამო. პირველად ვიგრძენი, რომ შეიძლება სხვისი სიცოცხლე საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი იყოს.

მან თავისი ძლიერი ხელი მხარზე დამადო:

— აბა, ძმობილო, მივდივარ ჩემი სიმართლის საძიებლად. შენ არ მოტყდე, მაგრად დადექი. ჯერჯერობით მოითმინე და გაუძელი. შენი სიმართლეც მოვა, აუცილებლად მოვა. მშვიდობით! — დაიხარა და ლოყით მოესალბუნა ჩემს ლოყას.

ენა დამება. ვერ გამომეთქვა ის გრძნობა, რამაც ასეთი უცნაური ძალით გამიტაცა.

ის უკვე კართან იყო, როცა გამახსენდა ჩემი ერთადერთი საუნჯე — ბარო შიროს ჩიბუხი. მივირბინე მასთან.

— აი, წაიღე!

— ოჰ, — წამოიძახა მან და აღტაცებით შეათვალიერა ჩიბუხი. — რა მაიმახია!

— ბარო შირო...

— აი, თურმე როგორი ყოფილა. ნივთი ეტყობა ძვირფასია, როცა გაგიჭირდეს, გაყიდე, ბევრ ფულს აიღებ.

— არა შენ... ჩემი... შენ — ველუღლუღებოდი, უცბად ყველა რუსული სიტყვა დამავიწყდა.

— არა, აბა, როგორ შეიძლება, — მითხრა მან და ისე გაწითლდა, რომ მისმა სახემ მისივე თმის ფერი მიიღო. — მე ხომ არ ვეწევი, ბიჭო... — მერე ხმადაბლა თქვა, — კარგი. გმადლობ, ძმობილო... — უნდოდა სამაგიეროდ რაიმე ეჩუქებინა ჩემთვის, მაგრამ ამაოდ იფათურებდა ხელს ჯიბეებში. ამოიოხრა. მერე გაიღიმა და ჩიბუხი ჯიბეში ჩაიდო.

— მალე გამოხვალ თუ არა? — ზანტად იკითხეს გარედან.

— მშვიდობით, ძმობილო... აბა, თავი მაღლა აიღე!

დავეცემით გმირულად,
საბჭოეთო, შენთვის.

— ცეცხლში პირდაპირულად... — წავილუღლუღე აცრემლებულმა.

— შევალთ როგორც ერთი...

უკანასკნელად გამიელვა ჩირაღდანივით მისმა წითურმა თავმა, მიიხურა კარი და საკნად წოდებულ ოთახში თითქოს სინათლე ჩაქრა. მივეგდე საგებზე, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მისი სხეულის სითბო და მანამდე უცნობმა სევდამ შემიპყრო.

5

გამოტირება ვერც კი მოვასწარი, მეც მომაკითხეს. ორნი იყვნენ. ერთი, რომელმაც საკანში ჩამსვა და ერთიც მსუქანი. ამ მეორეს შეშუპებული და უსიამო სახე ჰქონდა. მსუქან მუცელზე მარცხენა ჯიბიდან მარჯვენამდე საათის გრძელი ვერცხლის ძეწკვი გადაეკიმა. მან ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მკითხა:

— ცხენის ტარება იცი?

არასოდეს არ მიტარებია ცხენი, მაგრამ სიმართლის თქმისა შემეშინდა: ცნობილია, რომ ბოშები საუკეთესო ცხენოსნები არიან.

— დიახ...

— მაშ მოემზადე...

მოსამზადებელი არაფერი მქონდა. ქუჩაში გამოვედით. გამვლელები ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდნენ. ზოგიერთი ეკითხებოდა ჩემს ახალ ბატონს, სად იშოვე ბოშა ბიჭი, მაგრამ ის უპასუხოდ ტოვებდა მათ კითხვებს. მაშინ ვიფიქრე. ახალი ბატონი ძალზე პატივსაცემი და მდიდარი კაცია ალბათ-მეთქი.

ჩვენ მაღალი, ყრუ ღობით შემორაგულ ეზოში შევედით. ღობის ზემოთ ეკლიანი მავთული იყო გაჭიმული. ეზოში ჯაჭვება ოთხი ბანჯგვლიანი ქოფაკი ძაღლი, ღობეცა და ძაღლებიც საჭირო იყო, არცერთი გლეხის ოჯახში არ მინახავს ამდენი ძროხა, ხარი, ცხვარი. ყოველი ჯურის ფრინველი — ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები — ირეოდა ეზოში, კაცს ფეხებში ედებოდნენ, ჩხუბობდნენ, ერთად აცვივდებოდნენ გობს. ყველა თავისებურად ხმაურობდა. როგორც კი ეზოში ფეხი

შევდგი, ძაღლებმა გამაყრუებელი ყეფა ასტეხეს. ჩემსკენ მოიწევდნენ და ჯაჭვს გასაწყვეტად ექაჩებოდნენ, მაღლა ხტებოდნენ, ხმის ჩახლეჩამდე ყეფდნენ. საყელურები უჭერდათ და იფიქრებდი, თავიანთი თავის დახრჩობა გადაუწყვეტიათო.

პატრონმა პატარა, უჰაერო სამზარეულოში შემაგდო. მისი კედლები ბუზებით იყო დაფარული. დიდი და მსუქანი ბუზები ნამდვილად გადაჩვეულნი იყვნენ ფრენას. უმოძრაოდ ისხდნენ კედლებზე, ფანჯრებზე, ჭერზე, გაჩორკნილ და გაქონილ მაგიდაზე, მუქვარტლით დაფარულ ღუმელზე. სამზარეულოში ბორშჩისა და ძველი ქონის სუნი იდგა.

მიწის იატაკი თუჯის ქვაბებითა და ვედროებით იყო მოფენილი. ვერც კი მოვასწარი ზღურბლზე ფეხის გადადგმა. რომ ვედრო გადავაბრუნე. შეშინებულმა უკან დავიხიე და ახლა ქოთანი წავაქციე. მერე დავეჯახე თუჯის ქვაბს, რომელმაც ისე მატკინა ფეხები, რომ პატრონის კინწისკვრაც კი ვერ ვიგრძენი.

ფეხდაფეხ შემოგვყვა შინნაქსოვ ხალათსა და მზისაგან გახუნებულ სელის შარვალში გამოწყობილი მაღალი, ხმელხმელი კაცი. კარებში შემოსვლის დროს ეს კაცი მოიხარა. როცა ის შემოვიდა, ბორშჩის სუნი გაქრა და ახლა ხარებისა და ნაკელის სუნით გაივსო ოთახი.

— აი, ანდრეი, შენი მხედარი, — უთხრა პატრონმა, ყურადღებით ჩაიხედა ღუმელზე შედგმული თუჯის ქოთნებში და სამზარეულოდან გავიდა.

ანდრეიმ ისე შემომხედა თავისი წვრილი, ღია ფერის თვალებით, თითქოს უნდა გამხვრიტოსო. პირქუშ და უხეშ კაცად მეჩვენა. მაგრამ გამახსენდა ჩემი წითური მეგობარი — „ღარიბები ხომ ყველანი ძმები არიან“.. ანდრეი ცუდად რად უნდა მომექცეს-მეთქი ვიფიქრე. არც შევმცდარვარ. ის მომიახლოვდა და მკაცრად, მაგრამ კეთილი ხმით მითხრა:

— ჭამა გინდა?

რამდენჯერმე დავუქნიე თავი.

მაგიდაზე მაშინვე გაჩნდა ბორშჩით სავსე თასი, ქონი და პური. ანდრეიმ ჩექმის ყელიდან კიდეებმოჭმული ხის კოვზი ამოიღო და გამომიწოდა. როდესაც ოქროსფერი, კარგად

მოხარშული ბორშჩი ამოვიღე და ტუჩებთან მივიტანე, ასე მეგონა, უკეთესი კოვზი არასოდეს მენახა. ამ მშვენიერი კოვზის პირში ჩადება ვერც კი მოვასწარი, რომ სამზარეულოში პატრონი დაბრუნდა.

— ჯერ არაფერი გაგიკეთებია და უკვე იყორები? — მითხრა მან მკაცრად. ანდრეი გამომესარჩლა:

— გაუშვი, ჭამოს ბიჭმა, თორემ მაგას ქარიც კი გადმოაგდებს ცხენიდან.

— კარგი, კარგი, — ჩაიბუზღუნა პატრონმა. ჟილეტის ჯიბიდან დიდი ვერცხლის საათი ამოიღო, ყურთან მიიდო, მერე თითი დაადო და ბრძანა:

— ნახევარი საათის შემდეგ ხუტორში უნდა წახვიდეთ.

მისი წასვლის შემდეგ დამშვიდებით ვივახშმე.

ეზოში რომ გამოვედი, იქ სამი ურემი იდგა. მათთან ანდრეი ფუსფუსებდა.

— დაჯექი, ბიჭო.

ანდრეიმ მძიმე ურდული გამოაძრო, ჭიშკარი გააღო, ხარებს შეუძახა და ურმები ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივდა გზაზე.

ხარებით მგზავრობაზე უარესი არაფერია, მიდიხარ ნელა, ზლაზვნით და ისმის უღლის ერთფეროვანი ჭრიალი. ბოშათა ბანაკიც არ დადის მაინცდამაინც ჩქარა, მაგრამ აბა, ხარები სად მოვლენ ჩვენს ცხენებთან! დაღლილ ცხენს აღმართისა ცოტა ეშინია, მაგრამ გადასასვლელთან, თითქოს შესვენების მოახლოებას გრძნობსო, სწრაფად გადავა. ხარები კი არასოდეს აუჩქარებენ ფეხს. სწორ გზაზე, აღმართში, მთაში ისინი მძიმე. ნელი ნაბიჯებით მიიზლაზნებიან. ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს უღელი. თითქოს გულს გიღრღნიან. ირგვლივ ცარიელი, მზით გადამწვარი ველია. წინ კი, როგორც ნიშანს, ანდრეის მოხრილსა და შავ ზურგს ვხედავ. ის ყრუ, ნელი ხმით ღიღინებს:

გადახრილა მუხა გზასთან, —
მწვანე ფარჩა ჰფენია,
შენ, კაზაკო, ახალგაზრდავ,
რატომ მოგიწყენია?

უცნაურია, მას შემდეგ მრავალჯერ გამიგონია ეს ფიქრის აშშლელი, ოდნავ სევდიანი სიმღერა, მაგრამ ანდრეი ისე მწუხარედ, ისე გაბმითა და ნაღვლიანად მღეროდა, რომ დიდხანს მეგონა, „მწვანე მუხა“ ყველაზე სევდიანი სიმღერა იყო მთელს დედამიწაზე.

იქნებ მე თვითონ მაწვა სევდა გულზე. დედასთან განშორება, პეტიას დაღუპვა, ბებიას სიკვდილი, წითური მეგობრის დაკარგვა, სრული მარტოობა — ჩემ მიერ უკანასკნელ დღეებში გადატანილი ყველა საშინელება — მტკივნეულად შემოეჯარნენ ჩემს ბავშვურ სულს. ბოლმა ყელში მომაწვა, მაგრამ არ ავტირებულვარ. გამახსენდა წითური მეგობრის სიტყვები, — ჯერჯერობით მოითმინეო. ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

ცაზე გედების გუნდმა გადაიარა. შემშურდა ფრინველების ბედი. ფრთები რომ მქონდეს, მთელ დედამიწას შემოვიფრენდი და დედაჩემს მოვძებნიდი...

ვერც კი გავიგე, როდის ჩავთვლიმე. გვიან ღამით სიცივისაგან გამომეღვიძა. ცა მოჭედილი იყო და თითქოს ვარსკვლავებიდან ყინულოვანი სიცივე იღვრებოდა. ვძაგძაგებდი და კბილს კბილზე მაცემინებდა.

— ჰეი, ბიჭო! — დამიძახა ანდრეიმ, — ტყაპუჭი მოიხურე.

ანდრეი ჩემს უკან დახრილიყო თავისი მაღალი ტანით. ტყაპუჭი ავიღე და მოღუშული, მაგრამ კეთილი გულის ადამიანისადმი ნდობით გამსჭვალულმა ვკითხე:

— ძია ანდრეი, ხომ არ იცი, რა უყვეს წითურ ყმაწვილს?

— რომელ წითურს?

— აი... წითურს... ერთად ვისხედით საკანში... კულაკი მოკლა...

— შეიძლება დახვრიტეს კიდეც... — გულგრილად ჩაილაპარაკა ანდრეიმ.

მკლავში ჩავავლე ხელი:

— მართალს ამბობ?

— აბა, რა ვიცი? რომელი წითური? აქ ნახევარი სტანიცა წითურებით არის სავსე.

ანდრეიმ ან არაფერი იცოდა, ან სხვის საქმეში ჩარევა არ უნდოდა.

ნაშუადამევს ხუტორში მივედით. ტრიალ მინდორზე სახელდახელოდ აშენებული ქოხი იდგა. სწორედ ეს იყო ხუტორი.

ანდრეი ხარების გამოხსნას შეუდგა. სახლიდან მის დასახმარებლად ნამძინარევი, აბურძგვნილი მუშები გამოვიდნენ. მივეყუდე მზით გამთბარ ქოხის კედელს და ზეზეურად ჩავთვლიმე. ძილში ანდრეის ხმა ჩამესმა.

— ქოხში შევიდეთ, ბიჭუნავ.

ძილმღვიძარე გავყევი თან. გავიგონე, როგორ უთხრა ანდრეიმ ვიღაცას:

— აი, მხედარი მოვიყვანე.

შემდეგ ანდრეის მიერ გაგებულ ტყაპუჭზე მივწექი. მაშინვე ღრმად ჩამეძინა.

ადრიანად მივაშურე მინდორს. აქ ყამირს ხნავდნენ დიდი და მძიმე სახნისებით. ნახნავი ძალზე ღრმა იყო. ერთ სახნისში ორ ან სამ უღელ ხარს აბამდნენ. ხარების წინ, გზის მაჩვენებლად, მხედარს უშვებდნენ.

მოიყვანეს მაღალი, გაძვალტყავებული ჯაგლაგი ცხენი. ყუთის ნაწიბურს მიუგავდა ხერხემალი, ძლივს ავფორთხდი ამ ჯაგლაგზე და ფაფარს წავეპოტინე.

— იარე ზუსტად ნახნავში. — მკაცრად მითხრა შავწვერა კაცმა, როგორც შემდეგ შევიტყვე, უფროსმა მუშამ.

ჩვენ დავიძარით. მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და რაკი პირველად აღმოვჩნდი ცხენზე, თავი ბედნიერად ვიგრძენი. სადღა იყო ჯაგლაგზე მჯდომი პატარა მოჯამაგირე. მტერზე გამარჯვებული ჩაუქი წითელი ცხენოსანი გახურებულ ლაფშას მიაქროლებდა, ჩემს გვერდით ჩემი ერთგული წითური მეგობარი მოჰქროდა. მიფრინავდნენ ასობით უშიშარი მებრძოლები. აი შევეჩეხეთ თეთრებს, შეუჩერებლივ შევიჭერით მათ მწყობრში, იელვეს ჩვენმა ხმლებმა და ცერცვივით დაცვივდა მტრის თავები! ბევრ მტერს გავუსწორე ანგარიში: ვერ გაექცა მსჯავრს ვერც ჩემი ახალი პატრონი, ვერც მამასახლისი, რომელ-

მაც საკანში ჩამსვა, ვერც ის ბოროტი კულაკი, რომელმაც ძაღლები მომისია. მოკვეთე მახინჯ სხეულს ბარო შიროს საზიზღარი თავიც, — რატომღაც ისიც თეთრებთან აღმოჩნდა. დამსახურებისამებრ მიიღო მისმა მარჯვენა ხელმა, — ხანშიშესულმა ბოშამაც, რომელმაც ბანაკში შეგვიტყუა...

პირველი კვალიც არ გაგვევლო, რომ ჩემი საბრძოლო ჟინი გვარიანად მინელდა. მეტისმეტად უხერხულად ვგრძნობდი თავს ჯაგლაგის გაძვალტყავებულ ზურგზე. ცხენს წარამარა უცურდებოდა ფეხები სველ ბელტებზე, ჯაგლაგის ზურგის ძვლები სხეულში მერჭობოდა. მეჩვენებოდა, თითქოს შუაზე ვიჭრებოდი. შეუჩერებლივ ვცმუტავდი, ვცდილობდი, კარგად მოვწყობილიყავი, მაგრამ ამაოდ. უკანალი მეწვოდა, თითქოს გახურებული შანთი გამიყარესო.

ანდრეიმ შენიშნა, რომ ვწვალობდი; როცა მეორე კვალი დავამთავრეთ და დასასვენებლად - შევჩერდით, მზარეულს დაუძახა. მზარეული რაღაცას ხარშავდა თუჯის დიდ ქვაბში.

— ავდოხა, ბიჭს პიჯაკი გადმოუგდე, თორემ მალე უკანალი აღარ შერჩება.

— ეგლა აკლია, — ჩაიბურდღუნა დედაკაცმა, — პიჯაკი გაცვითოს, ესეც კეთილშობილი ვინმე ხომ არ არის!..

ანდრეიმ არაფერი უპასუხა. ამოიხვნეშა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დედაკაცისაკენ და ხელი მოუქნია.

— თფუ, აჰა, წყეულო! — გადააფურთხა ავდოხამ და გახუნებული პიჯაკი ესროლა.

ანდრეიმ პიჯაკი დაახვია და ქვეშ ამომიდო. ცოტა უკეთ ვიგრძენი თავი, მაგრამ როცა რამდენიმე საათის შემდეგ სამხარზე დაგვიძახეს, ცხენიდან გაჩაჩხული ჩამოვფოფხდი. საწყალი ცხოველი! რამდენი უმუშავია პატრონისათვის და ხელრიანი საკვებიც კი ვერ გაუმეტებიათ მისთვის. მე კი როგორ მძულდა მაშინ ეს თვალებამოღამებული მორჩილი პირუტყვი, რამდენ წყევლა-კრულვას ვუგზავნიდი ამ გაძვალტყავებულ არსებას. როგორც კი მიწაზე ფეხი დავადგი, ბარპაკით გავიარ-გამოვიარე და ჩემს მტანჯველს მჯიღი ვკარი: მან მხოლოდ წამწამები დაახამხამა, მიბრუნდა და გამხმარ ბალახს დაუწყო კორტნა.

მეშინოდა, არ დამცინონ-მეთქი და შევეცადე ჩემი უძლურება დამემალა. ვაქკაცურად მივედი სადგომთან. არავის შემოუხედავს. დაღლილ-დამშეული ადამიანები მაშინვე ჭამას შეუდგნენ. საუზმეზე ფაფა და ღორის ქონის ნაჭრები მოგვცეს.

ბოშათა ბანაკში ასეთი ფაფა არასოდეს მეჭამა და ხარბად შევექეცი უჩვეულო კერძს, რომელსაც სასიამოვნო ორთქლი ასდიოდა. შესანიშნავი ფაფა იყო. შეიძლებოდა დაუსრულებლივ გეჭამა და არ მოგწყენოდა. მაგრამ ამაოდ ვფხეკდი კოვზით ჯამს, არავინ არაფერი დამიმატა. არც სხვებისთვის დაუმატებიათ. ეტყობოდა, პატრონს საჭმელი მკაცრად ჰქონდა გამოზომილი.

ისევ დაიწყო ხვნა მზის ჩასვლამდე. ქოხში ცივი ბორშჩით და პურით ვივახშმეთ. უკვე ბნელოდა. იმავე წუთში დავწექი დასაძინებლად.

პიჯაკი გავშალე და კუთხეში მივიკრუნჩხე. ღრიჭოებიდან გამყინავად უბერავდა. ანდრეის ისევ გავახსენდი და ჩული გადამფარა.

ასე მიდიოდა დღეები. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს სამუშაოს შევეჩვიე. ცხენზე ჯდომისაგან ტკივილები არ მიცხრებოდა, მაგრამ ამ ტკივილებს ისე შევეჩვიე, თითქოს ბუნებრივი და აუცილებელი ყოფილიყო. შემდეგ წვიმები დაიწყო და ხვნა შეწყდა. მე მეხრეობა დამავალეს. შევძვრებოდი დიდი უხეში ტილოს საფარქვეშ, რომელსაც აქ ლანტუხს ეძახდნენ და იქიდან ვუყურებდი ხარებს. წვიმა განუწყვეტლივ ტლაშუნობდა ტილოზე, გეგონებოდა, ყურში გირტყამსო, მიუხედავად ამ ხმაურისა, ან შეიძლება ამის გამოც, სულ ძილი მინდოდა. დავიძინებდი კიდეც, რომ ერთი ჯიუტი ხარი არა...

ჩვეულებრივ ხარები დინჯად დადიან წვიმაში და ბალახს წიწკნიან. იმას კი სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი. დაღუნავდა თავს, თითქოს მიწას ყნოსავსო და გაიქცეოდა. წერტილივით ჩანდა თვალუწვდენ მინდორზე. გინდა თუ არა, უნდა გამოხტე ტილოს საფარიდან წვიმასა და ქარში, ირბინო ატალახებულ მიწაზე და მისდიო კუდში.

ერთხელ გადავწყვიტე, არ გავკიდებოდი. ვიფიქრე, თვითონ მოვა-მეთქი. წვიმის ფარდამ დაფარა ხარი, დრო გადიოდა,

წყეული ხარი არ ბრუნდებოდა. გამოვვარდი საფარიდან და მინდორში გავიქეცი. წამდაუწუმ მიცურდებოდა ფეხი, ვეცემოდი, ვდგებოდი და ისევ გავრბოდი. წვიმა სახეში მცემდა, ცრემლში ირეოდა და პირში ჩამდიოდა. ხარი ვიპოვე და გვიან საღამოს დავბრუნდი. ჩემი არ ყოფნა, საბედნიეროდ, არავის შეუმჩნევია.

ამ დღეს ჩვენი მზარეული ქათმის სუპს აკეთებდა. მუშები მოუთმენლად ელოდნენ გემრიელ წვენს, ყველას მოსწყინდა ფაფა და უხორცო ბორშჩი.

როცა ავდოხამ მაგიდაზე თუჯის ქვაბი დადგა და ყველა ჭამას შეუდგა, ერთ-ერთ მუშას სუპიდან ქათმის ფეხი ამოჰყვა. მან ხმამაღლა შეუკურთხა ეშმაკს. სამხრეთელი გლეხებისათვის ქათმის ფეხი ავის მომასწავებელია. არსებობს რწმენა: თითქოს ქრისტეს ჯვარცმისას ლურსმნები არ აღმოაჩნდათ და ბოროტ საქმეში ქათამი დაეხმარათო, ნაგვის ქექვის დროს ლურსმნები იპოვა და ქრისტეც ჯვარს აცვესო.

საყვედურის პასუხად ავდოხამ ქათმის ფეხები აიღო და მე ჩამიყარა მათლაფაში.

— არც ისეთი უბედურებაა, ურწმუნო ჩახეთქავს...

უფროსმა მუშამ, რომელსაც პირი ატრიით ჰქონდა სავსე, შენიშნა, ქათამი არაფერ შუაში იყო, ქრისტეს ჯვარზე გასაკრავად გამვლელ ბოშას გამოართვეს ლურსმნები, რომლითაც მას ცხენები უნდა დაეჭედაო. სწორედ ამიტომ არიან ბოშები წყეული ეროვნებისანი, მათთან პატიოსანმა ადამიანმა საქმე არ უნდა დაიჭიროსო...

უფროსი მუშის სიტყვებმა ეტყობა გავლენა მოახდინა, მზარეულმა ლანძღვა დამიწყო. სხვებმაც ალმაცერად დამიწყეს ცქერა. მე კი ვერ გამეგო, რა დანაშაული მიმიძღოდა. კარგად ვიცოდი, რომ ქრისტე ჯვარს არ მიცვია.

— მაშ ვინ გასცა ქრისტე, ბოშამ თუ ქათამმა? — თქვა უცებ ანდრეიმ.

— ეშმაკმა უწყის! — ჩაიცინა უფროსმა მუშამ.

— წყალს ნუ ამღვრევ! — პირდაპირ თქვი, ქათამმა იპოვა ლურსმანი თუ ბოშამ მისცა? — განაგრძო ანდრეიმ. კოვზი გადადო და პირდაპირ შეხედა მუშას.

— რას ჩამაცივდი, იქ ხომ არ ვყოფილვარ! — ჩაიბურ-დღუნა მან.

— თუ არ ყოფილხარ, ნურც სტყუი! — ანდრეიმ ყვითელი, ცხიმით გაჟღენთილი ატრია თითებით ამოავლო წვენში და პირში გადაუძახა.

უფროსმა მუშამ მას ქვეშ-ქვეშ გახედა, მაგრამ დუმილი არჩია. მე უკვე შევამჩნიე, რომ ყველას, თვით პატრონსაც კი ეშინოდა ანდრეი ბონდარისა.

ამ შემთხვევამ ჩემზე ცუდად იმოქმედა. მწამდა და მჯერიდა წითური მეგობრის სიტყვები, ღარიბი ადამიანები, ყველანი ძმები არიანო. უფროსი მუშა პატრონის ლაქია იყო, მაგრამ მზარეული ავდოხა და სხვა მუშებიც ხომ ღარიბები იყვნენ, მაშ რაღად მექცეოდნენ ცუდად? ჩემი ბავშვური გონება ამაში ვერ ერკვეოდა და რწმენა წითური ჭაბუკის მიმართ წამით შემერყა...

ამ დღიდან უფროსი მუშა შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაველანძღე, ან კისერში არ წამოერტყა, ან ტყუილ-უბრალოდ არ გავეგდე წვიმაში. მაგრამ ამას მაშინ აკეთებდა, როცა ანდრეი აქ არ იყო. ანდრეისთან ჩივილს ვერ ვბედავდი, მეგონა. თუ გაბრაზდა, შეიძლება კაციც მოკლას-მეთქი.

საბედნიეროდ, მინდვრის სამუშაოები მოილია; მუშებმა შინ დაბრუნებაზე იწყეს ლაპარაკი.

და ისევ აჭრიალდა უღელი, ისევ გაწვა გზა ბორბლებქვეშ, ისევ გაისმა ანდრეის გაბმული, სევდიანი სიმღერა. მხოლოდ ახლა ქარი, ჩრდილოეთის ცივი ქარი ზურგში კი აღარა მცემდა. არაბედ სახეში...

მოსაღამოებული იყო, როცა სტანიცას მივაღწიეთ. გაიღო მძიმე ჭიშკარი, უფრთო ურჩხულებივით წამოიმართნენ პატრონის ავი ძაღლები. გადმოვხტი თუ არა ოთხთვალადან, ვარდისფერ ჩიჩახვდაშვებული უშველებელი ინდაური მომვარდა და შემომიტია. თითქოს მესმოდა მისი ბრაზიანი ლაპარაკი: „ოჰ, შე ზარმაცო ბიჭავ, შენა! რათა ხარ აქ? ცხენზე ჯდომა არ იცი, ხარების მწყემსვა არ იცი, მხოლოდ ჭამა შეგიძლია. მოწყდი აქედან.“ შემდეგ სხვა ბოშები შეახურა ცუდი მუშაობისა და მინდვრიდან ადრე დაბრუნების გამო. „შენ რა გესაქ-

მება, ინდაურო?“ — მინდოდა მეთქვა მისთვის და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ყოველივე ამას პატრონი ამბობდა და არა ინდაური...

სამზარეულოში შევძვერი. შიშველმა ფეხებმა იატაკის სითბო იგრძნეს და მეც ამ ციცქნა ბედნიერებამ წუთით გამახარა. მაგრამ აქ სქელმა მზარეულმა ნასტიამ დამიწყო გამოჯავრება, ვიღაც გოგონა გკითხულობდა, როცა აქ არ იყავიო.

ნასტია „სასიძოსა“ და სხვა სასირცხვილო სიტყვებს მიწოდებდა. იქამდე მიმიყვანა, რომ კინაღამ თბილი სამზარეულო მივატოვე. მივხვდი, რომ ნასტია არ ხუმრობდა. მაგრამ ვინ იყო ის გოგონა? მე არც ერთი ნაცნობი არ მყავდა სტანიცაში... როცა ნასტიამ დაცინვით საკმაოდ იჯერა გული, მითხრა, იმ გოგონას გაპოჩკას ეძახიან, მოჯამაგირედ იდგა, პატრონი ახლახან გარდაეცვალა და სტანიციდან ქალაქში წავიდა შორეულ ნათესავებთანო... მაშ ის გაპოჩკა ყოფილა, პატარა მოჯამაგირე. რომლის გულისთვისაც მოხვდა საკანში ჩემი წითური მეგობარი. თურმე ის მეძებდა.

საშინლად აღელვებულმა დავუწყე ნასტიას გამოკითხვა. ხომ არაფერი დაუბარებია გაპოჩკას, ხომ არ უთქვამს, როგორაა წითური ჭაბუკი-მეთქი.

— ოჰ, კეთილო ხალხო! — გაასავსავა ხელები ნასტიამ. — როგორ არ უთქვამს. ახლა ყველა იმ წითურ ავაზაკზე ლაპარაკობს. დაღუპა ცოცხალი ადამიანი და სასჯელს გაექცა!

მაგრამ ჩასუქებულ ნასტიას თვალები მხიარულად უბრწყინავდა. ეტყობოდა, ეს ამბავი სრულიადაც არ ადარდებდა.

რა თქმა უნდა, ძალიან გამახარა ამ ამბავმა. ამუშავდა ჩემი გონება. უკვე ვხედავდი ჩემს წითურ მეგობარს ცხენზე, ბასრი ხმლით ხელში. ქარი დროშასავით აფრიალებს მის წითელ ქოჩორს. ამ დროს სამზარეულოს ზღურბლზე უფროსი მუშა გამოჩნდა და მითხრა, პატრონი გეძახისო. მისი სახის ცბიერ გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ კარგი არაფერი მელოდა.

დიდი ოთახი სიბნელით იყო მოცული. კუთხეებში ეკიდა კანდელები და ვერცხლით შემოჭედილ წმინდანთა სახეებს ანათებდა. სამარისებურ სიჩუმეში ეკლესიის შმორისა და

საკმევლის სუნი იდგა. პატრონი ძლივს შევნიშნე ბალდახინის მაგვარ მაღალ და ფართო საწოლის სიღრმეში.

— აი, რას გეტყვი, — მტკიცედ მითხრა პატრონმა. — ზარმაცი ყოფილხარ, იმდენიც ვერ გამოიმუშავე, რომ შენს შესანახად კმაროდეს. უფრო მეტი შესჭამე, ვიდრე გააკეთე. კინწისკვრით უნდა გაგაგდოს კაცმა, მაგრამ მე ასეთი არა ვარ. აი, ხედავ პიჯაკს და ქალამნებს? აიღე და წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. წადი ისე, რომ უკან აღარ მოიხედო.

ამ დროს საკმევლის ჩამწვარ, მწარე სუნს ხარებისა და ნაკელის სუნი შეერია. თავმოუბრუნებლად მივხვდი, რომ ოთახში ანდრეი შემოვიდა.

— ხარიტონიჩ! — გაისმა სიჩუმეში მისი ყრუ ხმა. — სად აგდებ ბიჭს ასეთ დროს?

— შენ რა გესაქმება? — წაიხროტინა პატრონმა, — იფ, გამოუჩნდა მოსარჩლე.

— არ ივარგებს, ხარიტონიჩ, უღმერთობაა, ზამთარია...

– მორჩი, შენ ჩემი მრჩეველი არა ხარ!. აქედან დამეკარგე!

— რადგან ეგრეა, სულ წავალ, — გესლიანად კი არა. რაღაც ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ანდრეიმ.

— როგორც გენებოს, პური მუცელს არ გაეკიდება. — დამცინავად უპასუხა პატრონმა.

ოთახიდან გამოვძვერი და ის იყო ჭიშკარს მივუახლოვდი, რომ ვიღაცამ ხელი ჩამავლო და სამზარეულოში წამათრია. ნასტია იყო.

— ხვალ წახვალ! წყეული არამზადები, — ბავშვს ღამე აგდებენ გარეთ!

შემოვიდა ანდრეი.

— ღმერთმანი, წავალ, — ჩაილაპარაკა მან, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, — აქ სული მეხუთება.

— ამ ზამთრის შემყურე სად უნდა წახვიდე? — ჩაიბუზღუნა ნასტიამ.

— აი ნახე, წავალ, — წინანდებურად ჩაფიქრებით და თითქოს თავისთვის განაგრძობდა ანდრეი. — წავალ, მოვძებნი, სად ცხოვრობენ ადამიანები სიმართლით.

ამას ამბობდა და თან ღილ-კილოებს მჭიდროდ იკრავდა

·ტანსაცმელზე. ეტყობოდა, ახლავე უნდოდა გზას გასდგომოდა.

ანდრეის სიტყვები წითური ჭაბუკის სიტყვებს წააგავდა. ანდრეისათვისაც დადგა სიმართლის ძიების ჟამი.

ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი. მან ჩემი მზერა შენიშნა და რაღაც ორჭოფულად თქვა:

— თუ გინდა, ერთად წავიდეთ...

ეს მტკიცედ რომ ეთქვა, მბრძანებლურად — წავყვებოდი. მე შემიყვარდა ანდრეი ბონდარი. შემიყვარდა მისი მძიმე. ყრუ ხმა, მისი მკაცრი გულკეთილობა, ნაკელის და ხარების სუნიც კი, რომელიც მუდამ თან სდევდა. მაგრამ ანდრეის არ გააჩნდა ისეთი მომჯადოებელი ძალა და რწმენა, როგორიც ჩემს წითურ მეგობარს ჰქონდა. მან დანამდვილებით თვითონაც არ უწყოდა თავისი გზა, არ იცოდა სად ეძებნა სიმართლე. შევყოყმანდი. მას რომ წავყოლოდი, სამუდამოდ დავკარგავდი სტანიცაში დაბრუნების შესაძლებლობას. ჩემი კვალი კი დედას მხოლოდ აქ მოიყვანდა. მაგრამ წითურ ჭაბუკს ყველგან წავყვებოდი, არც დავფიქრდებოდი, რა მომივა-მეთქი. არაფერი მიპასუხია ანდრეისათვის, მხოლოდ თავი ჩავღუნე, რომ ჩემი თვალები არ დაენახა.

ანდრეიმ ამოიხვნეშა და კარისკენ გაემართა. ჭოჭყო ეზოში ჩექმებს მიატყაპუნებდა. დაიჭრიალა ჭიშკარმა... კარს ვეცი. არავინ იყო. ღამემ შთანთქა ანდრეი ბონდარი.

უცნაურად მიდიოდა ჩემი საქმე. ყველა ადამიანი, ვისთანაც ბედი მახვედრებდა, სადღაც მიისწრაფოდა. ისინი მიდიოდნენ უცნობი გზით. მხოლოდ მე, ბოშა, რომელსაც დაბადებიდან დედამიწაზე წანწალი მეწერა, სტანიცაზე მიჯაჭვული ვრჩებოდი.

დილით პატრონის გრძელ პიჯაკში გამოვეწყე. თითქმის იატაკამდე ჩამთრევდა. ჩავიცვი პატრონის საკმაოდ ნახმარი, დიდი ჩექმები, ჩექმებს ლანჩები ძვრებოდა და ქარიყლაპიასავით დაეღო ხახა. ნასტიამ ცრემლები მოიწმინდა და კვერებით გამივსო ჯიბეები. გამოთხოვებისას მაკოცა კიდეც თავზე, მერე, ალბათ, გაახსენდა, რომ ჭუჭყიანი ბოშა ვიყავი და კუთხეში გადააფურთხა.

ჭიშკარს გავცდი. ფეხსაცმლის ლანჩებს შემოდგომის ტალახში მივატყაპუნებდი. ბიჭები ყვირილით მომძახოდნენ:

— ჰეი, ბიჭო! ჩექმებს პირი დაუღიათ, საჭმელს გთხოვენ!

გამახსენდა მინდორში მოტანილი ფაფა, კვამლის სუნი რომ ასდიოდა, გამახსენდა ანდრეის დიდი ხელი, რომლითაც ჩული დამხურა... რაღა მეშველება...

დონელების თქმისა არ იყოს, აირივნენ „თეთრი ბუზები". წამოვიდა პირველი თოვლი...

6.

უკანასკნელმა თვეებმა ცხოვრებისა ბევრი რამ მასწავლა. მდიდარ სტანიცელებთან აღარ წავსულვარ. ზამთარში, როცა მუშახელი საჭირო აღარაა, არავინ შეგიბრალებს, საძაღლეშიც კი არ გაგათევინებენ ღამეს. ამიტომ ღარიბებს მივადექი. მივედი კირილიხასთან, ანუ „მოსკალიხასთან", როგორც მას სტანიცაში ეძახდნენ. და ამ ღარიბმა, თითქმის ღატაკმა ქალმა შეიკედლა პატარა მათხოვარი ბოშა.

რად შეარქვეს მას „მოსკალიხა", არ ვიცი. დიდი ხნის წინათ მოსულა ის სამი ბავშვით შუა რუსეთიდან და ხევის პირად მიტოვებულ ქოხში დასახლებულა. მისი ბავშვები ადრე დახოცილან და კირილიხა მარტო დარჩენილა. მას მერე ხანგ მათხოვრობით ირჩენდა თურმე თავს, ხანაც ხელს წაახმარებდა ვინმეს.

უცნაურია, მაგრამ კირილიხას ქოხი დიდი იყო. მისი ისლის სქელი სახურავი სავარცხლით გადავარცხნილს ჰგავდა. ეს იყო მეფე-ქოხი! მაგრამ აქ ბუდობდა უწმინდური და ქოხში კირილიხას მეტი არავინ ცხოვრობდა. ღარიბ ადამიანს კი უწმინდურზე უარესი მტერიცა ჰყავს.

კირილიხას ეს ქოხი ასე ჩაეგდო ხელში: ხელოსნებს, რომლებიც ქოხს აშენებდნენ, პატრონმა თურმე დანაპირები ფასი არ მისცა. „კარგიო, — ჩაულაპარაკიათ თავისთვის დურგლებს, — ჩვენი ნაშრომი არ შეგერგებაო" და სახლის ოთხივე კუთხეში ვიწროყელიანი თიხის ქილები ჩაუტანე-

ბიათ, ოსტატურად ამოულესავთ და ყელის პირდაპირ შეუმჩნეველი წვრილი ნასვრეტი დაუტოვებიათ. ნასვრეტში ჰაერი შედიოდა და ქილებიდან სტვენა ისმოდა.

რა საშინელი იყო ეს სტვენა! გეგონებოდათ, ვილაც კვნესის, ქვითინებს, გულის წამღებად ბღავისო. თითქოს მიცვალებულები იტანჯებოდნენ და თავიანთი ვიწრო საფლავებიდან ამოსვლას ლამობდნენ.

აბა, მდიდარი პატრონი რას ისურვებდა ამ სახლში ცხოვრებას, სხვა სტანიცელებიც გაურბოდნენ. მაგრამ მტრედივით უწყინარი კირილიხა არ ერიდებოდა ადამიანთა მოდგმის მტერს.

ქილები, ეტყობა, სხვადასხვა ზომისა იყო და ყოველ მათგანს თავისებური ხმა ჰქონდა. ეშმაკისეულ მუსიკას ისინი ცალ-ცალკე იწყებდნენ. დაუბერა ქარმა და პირველი წვრილი, სევდიანი, აკანკალებული ბგერა მოისმა სახლის სახურავის ქვემოდან...

— აწუწუნდა ეშმაკი! — იტყოდა კირილიხა. მას აჰყვებოდა ჭოტივით მკივანა ხმა მეორე კუთხეში.

— აი, ბებერმა ეშმაკმა გაიღვიძა...

ერთხმად დაიღრიალებდა დანარჩენი ორი ქილაც, თითქოს ამ კვნესას ხარხარით უპასუხესო.

— აი, თვით მტერი მობრძანდა! — დაასკვნიდა კირილიხა.

პირველად ავადმყოფურად განვიცდიდი, მაგრამ თანდათანობით შევეჩვიე ეშმაკების მუსიკას და, როგორადაც არ უნდა გამხეცებულიყო უწმინდური, მაინც მშვიდად ვიძინებდი.

კირილიხა და მე მეგობრულად ვცხოვრობდით. ის დილადანვე სამათხოვროდ მიდიოდა, მე კი სათბობის საშოვნელად გავწევდი. ვაგროვებდი ხურხუმას, შამბნარსა და ქარქვეტას, რომელიც განსაკუთრებით კარგად იწვოდა და მშრალ ნაპერწკლებს აფრქვევდა. ესეც შამბია. მიწას რომ მოვაგლეჯდი, გამისხლტებოდა და მინდორში დაგორდებოდა ბუსუსებიანი ბურთივით. ძალიან ძნელი დასაჭერია. ცოცხალ, მოძრავ და სწრაფ მხეცუნასავით მიჰქრის. ბოლოს, როცა ხელში ჩავიგდებდი, შურს იძიებდა, სისხლს მადენდა. ეს ბალახი ცხოვრებასავით იჩხვლიტებოდა.

ერთხელ, შუა ზამთარში, ღუმელთან ვთბებოდი, ამ დროს ქოხში კირილიხა შემოვიდა, ხელთათმანები წაიძრო, ღუმელზე დაყარა და თქვა:

— კოლია, ბოშები ჩამოვიდნენ.

მაშინვე ფეხდაფეხ სამი ბოშა შემოჰყვა. გავიგონე მშობლიური ენა და მშობლიური სურნელებაც ვიყნოსე. გულმა შეიფრთხიალა და ბაგაბუგი დაიწყო. „ხომ შეიძლება მათთან დედაც იყოს“ — გავიფიქრე, მაგრამ, ოი საოცრებავ, უფრო ღრმად მივიყუჟე მორს უკან.

— კოლია, სადა ხარ? შეხვდი ნათესავებს! — დაიძახა კირილიხამ.

ღუმელიდან ჩამოვხტი. ბოშები გადამეხვივნენ: სიცივისაგან ვაყინულები იყვნენ. თოვლისა და ბოლის სუნი ასდიოდათ. დედა არ იყო მათ შორის.

— თქვენ სადა ხართ გაჩერებული? — ჰკითხა კირილიხამ.

— მიშკა კლიუჩკინთან. ბიჭს თან წავიყვანთ.

— თუ თვითონ ისურვებს, — თქვა ჩუმად კირილიხამ.

ჩავიცვი ჩემი უშველებელი დახეული ჩექმები, მოვიხურე პიჯაკი და უცებ კირილიხას დანაოჭებულ სახეზე ცრემლები დავინახე. არ მეგონა, თუ ასე შემეჩვეოდა. ჩვენ თითქმის არც კი ვლაპარაკობდით, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. საკუთარი საქმით ვიყავით გართულნი. ვინ იცის, იქნებ გარდაცვლილი შვილები მოაგონდა?

მივედი, ავიღე მისი ბებრული, მსუბუქი ხელი და ვაკოცე. მან პირჯვარი გადამსახა. მეცოდებოდა კირილიხა, მაგრამ მასთან დარჩენა არ შემეძლო. ბოშებთან ყოფნა დედასთან მაახლოებდა.

მიშკა კლიუჩკინის სახლი სტანიცის მეორე ბოლოში იდგა.

როცა შევედით, სახლი ბოშებით დაგვხვდა სავსე. აქ ეპოვა თავშესაფარი ბოშათა რამდენიმე ოჯახს, მთელ ბანაკს. ნაცნობმა ჩაცმულობამ, ყელსაბამებმა და საყურეებმა ისევ მომხიბლა და თვალები ამიჭრელა. მაგრამ პირველ წუთში ვერაფრის გარჩევა ვერ მოვახერხე. ქალებმა გულში ჩამიკრეს და მომეფერნენ. ყველა მიხუტებდა, მიალერსებდა. ერთი ნაზად მივარცხნიდა თმებს, მეორე პიჯაკს მისწორებდა, მესამე ცხვირს მწმენდდა. ყველანი ერთხმად მიცოდებდნენ:

— ოჰ, შე უბედურო, როგორ ცხოვრობდი მარტო?

მინდოდა ჩემი გაჭირვებისა და ხეტიალის ამბავი მეამბნა. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ყოველი ჩემი სიტყვის შემდეგ ბოშები ისეთ ოხვრასა და ყვირილს მორთავდნენ ხოლმე, რომ ძალაუნებურად ვჩუმდებოდი...

უკვე დაბანილი, დანაყრებული და მოვლილი ვიყავი და საშუალება მქონდა ახალ ოჯახს გავცნობოდი. ბანაკს მოხუცი ბოშა ლუკიანი მეთაურობდა.

კეთილი, დანაოჭებული სახე და არაჩვეულებრივად მწყობრი, თეთრი კბილები ჰქონდა. ლუკიანი განთქმული მეციმბალე იყო. გამახსენდა, როცა სიტყვა ტომის დიდ მუსიკოსებზე ჩამოვარდებოდა ბებიას ბანაკში, მას ხშირად ახსენებდნენ. ორი ვაჟი ჰყავდა: სანკა და იგორი. ორივე ციმბალზე უკრავდა. ლუკიანი და სანკა კვარტა ციმბალზე უკრავდნენ, იგორი კი დაბალ ხმაზე აწყობილ პრიმაზე.

აქვე იყვნენ ლუკიანის ძმისწული, მხიარული, მოშაირე და მეგარმონე კორეიკი და გიტარაზე დამკვრელი წვრილშვილი ივანე. წვრილშვილი ხუმრობით შეერქმიათ. საკუთარი შვილები არ ჰყავდა. მის ცოლს კი ოთხი ბავშვი მოჰყოლია. აქ იყო კიდევ უდედმამო, ბანაკის ნაბიჭვარი, გულკეთილი და უნდილი ბიჭი — მაკიკირკა. მას ეს სახელი თურმე იმიტომ შეარქვეს, რომ ბოშებს არ ჰქონიათ წყლის ვედრო და მაკიტრას[1] იყენებდნენ. წყალს მუდამ ეს ბიჭი ეზიდებოდა, რადგან ორკესტრში არ უკრავდა. ყოველგვარ ამინდში, წვიმასა და თოვლში, დღისით თუ ღამით წყლის მოსატანად დადიოდა. ჩაიხედავდა მაკიტრაში, ძირი თუ უჩანდა, დაავლებდა ხელს და ჭისკენ მოჰკურცხლავდა. სწორედ იმიტომ, რომ „მაკიტრას“ ვერ გამოთქვამდა და „მაკიკირკას“ ეძახდა, შეერქვა ეს ზედმეტი სახელი.

იყვნენ კიდევ: ერთი მიტია, ყრუ ბოშა, ქვრივი დუსია, რომელსაც ავადმყოფი ბავშვი ჰყავდა; ახალგაზრდა ბოშა ქალი მაშა, იგორის საცოლე, კიდევ ერთი დუსია, რომელსაც პირველისაგან განსხვავებით, დუშკას ეძახდნენ.

---

[1] მაკიტრა — დიდი ღრმა ქილა, იყენებენ თამბაქოს შესანახად.

ყველაფერი ეს იმავე საღამოს გავიგე ბოშა ბავშვებისაგან. მთელი ჯგრო ღუმელზე მოკალათებულიყო: მუდამ ცხვირმოუხოცავი ილიუხა, მისი უფროსი ძმა ვასილი, — მას მუდამ ასე აჯავრებდნენ: „ქუჩა-ქუჩა დატანტალებს ვასილ-ბურთისოდენა, ერთი გოჭი დაიჭირა სამი ლუკმისოდენა". ყველას, ვინც ამას ეტყოდა, უთაქებდა ხოლმე სახეში. მაგრამ ბავშვები უცნაურები არიან. ხან ერთი და ხან მეორე წაიმღერებდა ამ აკრძალულ სიმღერას. ვასილი ჩვენზე უფროსი და ღონიერი იყო და მე გავიფიქრე: ნეტავ რა სიამოვნებას ხედავენ ჩემი ამხანაგები, ძალით რომ აცემინებენ თავს-მეთქი? მაგრამ, როგორც კი გავიფიქრე, მაშინვე საშინლად მომინდა ვასილის გამოჯავრება. რამდენიმე წუთს ვუძლებდი ცთუნებას, მაგრამ სულელური სიტყვები მიწიწკნიდნენ ენის წვერს, მიქავებდნენ ყბებს და ვეღარ მოვითმინე:

— ქუჩა-ქუჩა დატანტალებს ვასილ-ბურთისოდენა, ერთი გოჭი დაიჭირა...

— ბუხ! ბუხ! — გამიშხუილა ყურის ძირში და მეც ჩავჩუმდი.

ვასილი ღონიერი და ფიცხი იყო, თან ეშმაკიც. როცა ჩვენ თითო პურის კვერი მოგვცეს, მან გამოტყუება დაგვიწყო. გვთხოვდა ნახევარს. ზოგს სადაფის ღილს ჰპირდებოდა, ზოგს კიევის ჩვენებას, ზოგს ერთიორად ჩასესხებას. ბავშვებმა უკვე იცოდნენ მისი ოინები და ანკესზე არ ეგებოდნენ. მე კი ძალიან მინდოდა კიევის ნახვა და გავბრიყვდი. ხანდახან გოგონებიც იჩენდნენ გულკეთილობას და კვერს უნაწილებდნენ.

აქ იყო კიდევ ორი გოგო: გომბეშო — რომელიც სულ დუმდა, ყურებამდე ჩახეული, მოკუმული პირი და გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, — გეგონებოდათ, ვინმეს უჯავრდებაო, და მეორე, კოპწია, ფუნთუშა „ქალბატონი", რომელიც ხელს არ უშვებდა კაბას და ორი თითით ისწორებდა.

ბავშვებმა ხელად მაკლაიდ მომნათლეს. ასე გადააკეთა ჩემი სახელი მაკიკირკამ. ეს სახელი შემრჩა და არც მწყინდა. ეძახათ მაკლაი, რა მენაღვლებოდა?

აქაურობა მომწონდა. ზიხარ შენთვის თბილ ღუმელზე და

კვერებს ახრამუნებ. ქვემოთ კი ციმბალების წკრიალი ისმის. კვნესის გიტარა. აი დუშკა, დუსია და იგორის საცოლე იწყეპენ მხრების ნარნარად რხევას და სულ უფრო და უფრო უმატებენ, თითქოს ვინმე უნდა ჩაიხვიონო.

ყველას თავზე დაგვდგომია და გადმოგვყურებს ოჯახის პატრონი, უზარმაზარი მიშკა კლიუჩკინი. ეს კლიუჩკინი განსაკუთრებული კაცი იყო: ჭერს სწვდებოდა. საჟენიანი მხარბეჭი და ბოშასავით ხვეული შავი თმა ჰქონდა. სახეზე მიწისფერი ედო. ძალიან წვრილი, წრიპინა ხმით ლაპარაკობდა. სოფელში სულელსა და ღვთისაგან დასჯილს ეძახდნენ. მიშკას მუდამ გარს ეხვია ხალხი და ისიც სერიოზულად სჯიდა და ბჭობდა ხან რაზე, ხან რაზე... მსმენელები სიცილით იჭაჭებოდნენ. მიშკა უყვარდათ, რადგან მასთან ყოფნისას ყველა გრძნობდა საკუთარი თავის ღირსებას. არავინ იფიქრებდა, მიტოვებული, ნაბოლარა წიწილა ვარ ამქვეყნადო. სწორედ ამიტომ მიშკას მუდამ ჰქონდა საჭმელ-სასმელი და ფული. წავიდოდა წისქვილში, სახელოებს აივსებდა ფქვილით. მოგვიტანდა და სიამოვნებით გვიყოფდა. კეთილი გული ჰქონდა. ახლა, როცა მიშკას ვიგონებ, ვფიქრობ, რომ ის თავისებურად ჭკვიანიც იყო. მართალია, ბუნდოვანი და დაღვარჭნილი ლაპარაკი იცოდა, მაგრამ ყოველ სიტყვას აზრს ატანდა. მაშინ ამას ვერავინ ხვდებოდა. ახლა ვხვდები, როცა ის ხალხს ართობდა, თვითონაც არანაკლებ ერთობოდა, გრძნობდა, რომ გარშემო მყოფნი მასზე უფრო ბრიყვები იყვნენ...

ასე გადაიშალა ახალი ფურცელი ჩემს ცხოვრებაში.

ხელმოკლედ ცხოვრობდნენ ლუკიანის ბოშები. სიღარიბე და სივიწროვე დასადგურებულიყო აქ, მხრჩოლავ ბოლზე იხუხებოდნენ. ღუმელს ხურხუმათი, წივითა და მზესუმზირას ჩენჩოთი ახურებდნენ. საღამოს კარს ვაღებდით, რომ არ გავგუდულიყავით. კარის ჭრილს მდუღარეგადასხმულივით ასდიოდა ყინვის ორთქლი.

ღარიბად, მაგრამ მხიარულად ცხოვრობდნენ ბოშები. საღამოობით კლიუჩკინის ქოხი სოფლის გოგო-ბიჭებით ივსებოდა. ეს გასაგებიც იყო. ჩვენთან ხომ მუდამ მღეროდნენ,

უკრავდნენ, ცეკვავდნენ, ოხუნჯობდნენ, მხიარულობდნენ ხოლმე.

სტუმრები, ჩვეულებრივ, ხელცარიელი არ მოდიოდნენ. ზოგს კომბოსტოს თავები მოჰქონდა, ზოგს ჭარხალი, ზოგს ნახევარი ბათმანი კარტოფილი, კოპტონი, მზესუმზირა, ზოგსაც მზესუმზირას ღეროები საწვავად. ბოშები ყველას მხიარულად იღებდნენ.

სანამ ბოშები ცეკვავდნენ და მღეროდნენ, მიშა კლიუჩკინი საწოლზე ფეხმორთხმული იჯდა და თავის ჯერს ელოდა. მას რამდენიმე სულელური, სასაცილო თავგადასავალი გადახდენოდა. აქედან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ხარის დაჯაბვნის ამბავი.

— მიშა, მიშა! — იწყებდა ვინმე, როცა საკრავების ხმა მიწყდებოდა, მოცეკვავეები ოფლს იწმენდნენ და მომღერლები ყელს ისველებდნენ „მაკიკირკადან“, რომელიც მუდამ სავსე ჰქონდა ჩვენს მუყაით თულუხჩს,—სამუშაოდ რატომ არ მიდიხარ?

მიშა მაშინვე ხვდებოდა, რას უმიზნებდა მთქმელი, გაიღიმებდა, შემდეგ სახეზე მოწყენილობის ნიღაბს აიფარებდა და დაიწრიპინებდა:

— არავის ვუნდივარ, ხალხო კეთილო, ძალიან სუსტი ვარ.

ყველა ხარხარებდა, წამომწყები კი განაგრძობდა:

— ეს შენა ხარ, მიშა, სუსტი? მაშ ვისზე ამბობენ, ხარს წელი მოსწყვიტაო?

მიშა თვალებს მოჭუტავდა და თითქოს შეცბუნდაო, ხელებს გაშლიდა, რაც მოხდა, მოხდაო.

— გვიამბე, გვიამბე! — სთხოვდნენ ყველანი.

მიშა ცოტას იყოყმანებდა და იწყებდა თხრობას. ეს ამბავი პირველიდან უკანასკნელ სიტყვებამდე ყველამ იცოდა, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეეძლოთ მოესმინათ ახალი ამბავივით.

— ერთხელ ქირის მუშად დავდექი ტულიაკოვსკისთან. კარგი... წავედი მინდორში. ისეთი სიცხეა, — ღმერთმა გვაშოროს! ხარები ლამის გაცოფდნენ, კუდებს იქნევენ, რეტია-

ნებივით გარბიან. ერთი კი სულაც უკან, სტანიცაში გაიქცა. ტულიაკოვსკის ვაჟი პრონკა იღრიჭებოდა და დამცინოდა. კარგი მოგივა, კარგი მუშა შენა ხარ, ხარი გაგექცა, ახლავე მოუსვი და დაიჭირეო. „არ წავალ, — ვუპასუხე მე, — იქით არ გამიდენია-მეთქი“. „მაშინ თვითონვე შეები უღელში ხარის ნაცვლად, თორემ მამას მოვახსენებ, როგორი მუშაცა ხარო“. რაკი ასეა, შევებმები უღელში ხარის ნაცვლად და ფხას გამოვიჩენ ტულიაკოვსკებისათვის-მეთქი, ვიფიქრე. და, მართლაც. შევები უღელში ხარის მხარდამხარ. დაისამდე ვხნავდით. მთელი ნაკვეთი გადავხანით. მაგრამ ვაი უბედურებავ, დავუწყე თუ არა ხარს უღლიდან გამოშვება, ბრახვანი მოადინა მიწაზე და სული განუტევა.

— ეს როგორ მოხდა, მიშა, ჰა? ალბათ, ავადმყოფი ხარი თუ იყო.

— მაგის თქმა ძნელია. ხარი ღონიერი იყო. სამოცდაათ ფუთამდე იწონიდა.

— მაშ, რისგან მოკვდა?

— არ ვიცი... ეტყობა, ჯაფამ მოცელა, ძალზე ჩქარა ვხნავდით, — პასუხობდა მიშა საერთო ხარხარში.

— ჰო, კარგი, კარგი! ღონიერი ხარ, მიშა!

— ახლა კი იმღერე!

— რომელი ვიმღერო? — იკითხავდა მიშა. — სევდიანი თუ სალაღობო სიმღერა?

— დაიწყე სევდიანი, შემდეგ კი სალაღობოზე გადადი.

მიშა თვალებს დააბრიალებდა, კისერს წაიგრძელებდა და მოხუცი ქალივით საცოდავი, ცრემლნარევი ხმით დაიწყებდა: „მე ვიცი სამოთხეში...“ და ასე გაბამდა დაუსრულებლად. სულ მაღლა და მაღლა უწევდა, წვრილ ხმაზე კვნესოდა, სანამ უეცარი ხარხარით არ შეაწყვეტინებდნენ. სალაღობო სიმღერას კი მიშა ისე მიაყრიდა, რომ შეუძლებელი იყო სიტყვებისა და მელოდიის გარჩევა.

ასე გადიოდა დრო. გვიან ღამემდე მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ჩვენი ქოხი ყველა მსურველს ვერ იტევდა და მსმენელებიც იცვლებოდნენ: ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ. მოქანცული ბოშები მხოლოდ შუაღამეზე მიე-

ყრებოდნენ იატაკზე და გვიან დილამდე ეძინათ. ქოხში მოდიოდნენ სტუმრებიც, რომლებსაც არც ისე იტაცებდათ ბოშათა სიმღერები და ცეკვები. ესენი იყვნენ სოფლის თავკაცები, კულაკთა შვილები, ქუჩის „გმირები“: კრამარი, ანტონ ლებედა, პრონკა ტულიაკოვსკი და ბანდის მეთაური, ნებიერი როდიონი, რომელსაც ბოხოხი ეხურა და კოხტა, პეწიანი ფრენჩი ეცვა. მათ ბოშებთან თავიანთი ანგარიში ჰქონდათ.

სტანიცელი ქალიშვილები ჩვენი ბიჭებისათვის სულსაც არ იშურებდნენ. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა მეციმბალე, კარგი მოცეკვავე და ხელმარჯვე სანკა. სპილენძის შაურიანიდან ის ქალიშვილებს ბეჭდებს უკეთებდა. სანკა იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მის ხელში ყველაფერი სახეს იცვლიდა. კირილიხასაც შესთავაზა, თუ გინდა, შენი სახლიდან უწმინდურს განვდევნიო, მაგრამ კირილიხა არ დათანხმდა, შეეშინდა, ქოხს ვინმე წამართმევსო. სანკა შესახედავად არ ჰგავდა ბოშას. ლურჯთვალება იყო, გრძელი, სიფრიფანა წამწამები და ღია წაბლისფერი რბილი თმები ჰქონდა.

სანკა და კორჟიკი თვითონაც დადიოდნენ საღამოებზე. სეირნობდნენ რუს ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად. ეს არ მოსწონდა როდიონის ბანდას. გამოდიოდა, რომ თავიანთი სიმდიდრის მიუხედავად, პირველები მაინც არ იყვნენ სოფელში, ღატაკი ბოშები უწევდნენ მეტოქეობას. ყველაზე მეტად კრამარი ბრაზობდა. მის არჩეულს, ლამაზ ოქსანას სანკა მოსწონდა. კრამარი, პრონკა და ანტონ ლებედა ყოველთვის გამომწვევად ექცეოდნენ ჩვენს ჭაბუკებს, სიღარიბისა და დახეული ტანსაცმლის გამო დასცინოდნენ. მაგრამ სიმღერები სიმდიდრეზე ძლიერი აღმოჩნდა. ოქსანა და მისი მეგობრები თითქმის ყოველ საღამოს ჩვენს ბიჭებთან ატარებდნენ. ერთ საღამოს კრამარმა ძალიან ბოროტად შეურაცხყო სანკა. ოქსანა გამოექომაგა. კრამარმა ხელი ჰკრა ქალიშვილს. ოქსანა წაიქცა. მაშინ, პირველად თავის სიცოცხლეში, გულკეთილმა სანკამ გასარტყმელად წაიწია. ყურის ძირში გემოზე უთაქა. კრამარს მსუქანი ლოყა გაუწითლდა. ჭაბუკები გააშველეს. გამშველებელთა შორის როდიონიც ერია. ის არასო-

დეს ცდილა ბოშების გამოწვევას, თითქოს რაღაცას ელოდა. როდიონის ყრუდ ნათქვამმა რამდენიმე სიტყვამ კრამარი დაამშვიდა.

მეორე დღეს კრამარმა სანკა ორთაბრძოლაში გაიწვია. ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ საღამოს, ძველ საცეხვ სახლთან და დავა ბაიდიკებით — მოღუნული რკინის ჯოხებით უნდა გადაეწყვიტათ. შესაძლოა, როდიონმა იფიქრა, ჩავუსაფრდებითო, მაგრამ არ გამოუვიდათ. სანკას თან წაჰყვა რამდენიმე სოფლელი ჭაბუკი, რომ არაფერი გამოჰპაროდათ, თუკი რაიმე წესისამებრ არ იქნებოდა.

მე და ვასილს, როგორც მოზრდილებს, მომავალი ორთაბრძოლის ამბავი მიშა კლიუჩკინმა გაგვანდო. გვიან საღამოს გამოვძვერით ქოხიდან და მალვით მივედით ძველ საცეხვ სახლთან. მოწინააღმდეგეები უკვე ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ. საკმაოდ ბნელოდა. ახალი მთვარე ძუნწად ანათებდა. მაგრამ სიბნელეშიც ჩანდა, რა დიდი და საშიში იყო ფართომხარბეჭიანი კრამარი და როგორი პატარა და უმწეო მოჩანდა მის წინაშე ჩვენი სანკა.

— მოერევა სანკას, — ჩავჩურჩულე ვასილს.

— ვერ მოერევა... სანკა სწრაფია.

როგორც კი ოდნავ მოუქნიეს ბაიდიკები ერთმანეთს, მაშინვე ნათელი გახდა, რომ დათვის ძალა კრამარს არავითარ უპირატესობას არ აძლევდა სწრაფ და მარჯვე მოწინააღმდეგესთან. სანკა კრამარს გარშემო უვლიდა, იცდენდა მძიმე მოქნევას, ეფარებოდა მის ზურგს. მალე მაყურებლები აგვეფარნენ, ორთაბრძოლას ვეღარ ვუყურებდით. მხოლოდ ხანდახან ელვასავით გამოკრთებოდა ხოლმე მთვარის შუქზე რკინის ბაიდიკები. გეგონებოდათ, ერთმანეთს ციმციმა ისრებს აყრიანო. შემდეგ გაისმა კვნესა — უკეთ სლუკუნი, — ყველანი გაიშალნენ, დავინახეთ თოვლზე დამჯდარი კრამარი. იგი გაოგნებული იცქირებოდა. ცალი ხელით ჭრილობას იფარავდა თხემზე, მეორეთი კი მიწაში ჩაყინულ მოზრდილ ქვას ეჭიდებოდა.

მაგრამ აი მისკენ როდიონი დაიხარა, რაღაც წასჩურჩულა. კრამარმა თავი მიანება მიწაზე ფათურს, როდიონს წაეპოტი-

ნა, მხარზე დაეყრდნო და მძიმედ წამოდგა ფეხზე. მივხვდით, რომ წესიერი ბრძოლა ჩვენი სანკას გამარჯვებით დამთავრდა და შინისაკენ მოვკურცხლეთ. ბავშვები ძალიან ვამაყობდით სანკას გამარჯვებით. უფროსები სანკას თუმცა ტუქსავდნენ, — ეს რა ბოშას საქმეაო, მაგრამ გულში მაინც კმაყოფილები იყვნენ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები საღამოებს აღარ გვიმწარებდნენ.

რას ვიფიქრებდით, თუ საშინელი უბედურება ელოდა ჩვენს პატარა ბანაკს...

7.

ერთხელ შფოთიანი ღამე დაგვიდგა. ზოგ ჩვენგანს ელანდებოდა, თითქოს ეზოში ნაბიჯების ხმა, ჭრიალი და ფაჩუნი ისმოდა. ზოგს ეგონა, მესიზმრებაო. ზოგს კიდევ არ უნდოდა გარეთ გაეხედა და სახლი გაეციებინა. ანდა რა გვქონდა საშიში. ბოშათა მთელი ქონება ჩალის ფასადაც არა ღირდა.

გარიჟრაჟზე დუშკას საშინელმა კივილმა გაგვაღვიძა.

— ხანძარია!.. ხანძარი!.. — ჰკიოდა დუშკა.

ჩვენი ერთადერთი ფანჯარა წითლად ვარვარებდა, თითქოს ქოხის კედლებს ცეცხლი უკიდიაო. გამაყრუებლად რეკდნენ ზარები. არასოდეს გამიგონია ასეთი შემაძრწუნებელი რეკვა. ხმაშეწყობილად, ცალ-ცალკე იუწყებოდნენ ზარები უბედურებას.

ნახევრადჩაცმულნი გამოვცვივდით ქუჩაში. ცეცხლი სადღაც ეკლესიის მახლობლად ვარვარებდა ჩვენგან ნახევარი ვერსის დაშორებით. შავ სქელ ბოლში ალის ენები მოჩანდა. ჩვენი კაცები გაიქცნენ ხანძრის ადგილისაკენ. დაბრუნდნენ დილით. ყველას გვეღვიძა. საშინლად ვღელავდით.

დაიწვა საერთო ბეღელი ეკლესიის მახლობლად. ჩრდილოეთიდან შიმშილი გვიახლოვდებოდა, სტანიცაში კი თესლის მთელი მარაგი დაიღუპა...

— უბედურებაა! უბედურება! — ამბობდა ლუკიანი და

ქეციანივით აქნევდა ხუჭუჭა თავს. — ხალხის უბედურება ბოშებისათვის სამგზის მწარეა...

ეზოდან ხმაური, აღელვებული ხმები მოისმოდა. კარები ფართოდ გაიღო და ოთახში როდიონის მეთაურობით სტანიცელები შემოიჭრნენ.

— შეჰკარით! — დაიყვირა როდიონმა.

სტანიცელები ჩვენს კაცებს მისცივდნენ. ხელების უკან გადაგრეხა და ტყავის თასმებით შეკვრა დაუწყეს.

ლუკიანმა თვალი გაუსწორა სტანიცელებს და ჰკითხა:

— რატომ, კეთილო ადამიანებო?

— კითხულობთ კიდეც? — დაიღრიალა ერთ-ერთმა სტანიცელმა და ღია კარიდან დავინახეთ, როგორ მოათრევდა ორი გლეხი მარცვლით სავსე ტომარას კლიუჩკინის ქოხზე მიშენებული ფარდულიდან. — დიდი ეშმაკები ხართ, მაგრამ ხალხს ვერ მოატყუებთ, მარცვალმა გზა თვითონ გვიჩვენა. — მან ხელისგული გაშალა, ლუკიანს სახესთან მიუტანა და თოვლსა და სველ მიწაში არეული მარცვალი აჩვენა. ალბათ, ჩვენი სახლის გზაზე აკრიფა.

ლუკიანმა თავი ჩაღუნა. თვითონ ხომ იცოდა, რომ ბოშებს მარცვალი არ მოუპარავთ, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ბოშებს?..

ჩვენი კაცები თან წაიყვანეს, ქალებიც მათ გაეკიდნენ და ბავშვებს დაგვიბარეს, ბინიდან ფეხი არ მოიცვალოთო. ღუმელზე მოვიკალათეთ და წრუწუნებივით გავინაბეთ. კოლიშკამ დიდი ბოშების მიბაძვით სევდიანი, გაბმული სიმღერა წამოიწყო. ცრემლად იღვრებოდა, სხვა ბავშვებიც ტიროდნენ. ვასილმა დაუყვირა:

— შეწყვიტე ღმუილი, უბედურო!

ვიფიქრე, მე ხომ „არავისი“ ვარ და ამიტომ არც შინიდან გასვლას ამიკრძალავს ვინმე-მეთქი. ჩამოვედი ღუმელიდან და სახლიდან შეუმჩნევლად გავედი. შორიდანვე დავინახე, ეკლესიის წინ მთელი მოედანი ხალხით იყო სავსე. ქუჩის ნაპირს გავყევი და კინაღამ ჩვენს ბოშა ქალებს შევეჩეხე, რომლებსაც უკან, შინისაკენ ერეკებოდნენ. ჭრელი, ბუმბულდაცვენილი ჩიტების გუნდივით გაიელვეს ჩემს გვერდით.

წინ გავქანდი. ბრბო მოედანზე უცნაურად ქანაობდა. ხან შეიკვრებოდა რაღაც უხილავის გარშემო, ხან გაიშლებოდა.

დროდადრო ხალხის ზემოთ ვიღაცის მუშტები გაიელვებდა. გამოჩნდებოდა აყლაყუდა კრამარის ქერა ქოჩორი. ეტყობოდა, ის და მისი მეგობრები რაღაცას აკეთებდნენ ბრბოს შუაგულში. ხალხისაგან მოშორებით იდგა როდიონი და მშვიდად აბოლებდა თამბაქოს, კრაველის არშიამოვლებული კაზაკინი ეცვა და ყუბანური ქუდი ეხურა.

ვცდილობდი წინ გავმძვრალიყავი. ლეკვივით მისროდნენ და აი, ბრბო ისევ გაიყო, გაიშალა და ნაცემი, დასისხლიანებული, ტალახით მოსვრილი ბოშები დავინახე.

არასოდეს დამავიწყდება სანკას სახე. ცოცხალი, მხიარული ხასიათის ადამიანი იყო. ბედნიერებას სიცოცხლეში ხედავდა. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა. გაჭირვებას, სიცივეს, შიმშილსა და ბოშათა ცხოვრების ყველა უბედურებას სახემცინარი ეგებებოდა. უმღეროდა ადამიანებს, უკრავდა ციმბალზე. ადამიანები უხდიდნენ, რითაც შეეძლოთ, სანკაც მადლობელი იყო. გოგონებს იაფფასიან ბეჭდებსა და ყელსაბამებს, ბავშვებს სარაჩხუნოსა და კუდიან ფრანებს უკეთებდა. უკეთებდა კეთილი გულით, სიყვარულით და განა იყო ქვეყანაზე ისეთი რამ, რაც სანკას არ უყვარდა? მას უყვარდა ჭიაყელაც, გომბეშოც. უყვარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინიც ამ მშვენიერ ქვეყანაზე მასთან ერთად არსებობდნენ, სუნთქავდნენ იმავე ჰაერით, თბებოდნენ იმავე მზით. მართალია, სანკამაც ერთხელ წაიწია ადამიანზე, მაგრამ იმ კაცმა ხომ ქალიშვილს გაარტყა, თითქმის ბავშვს... სანკა ხალათჩამოხეული, ნაცემი იდგა, თვალებში სინათლე ჩაჰქრობოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა. საშინელი იყო ეს ცივი, უსიცოცხლო ღიმილი, დავაკვირდი და მივხვდი, რომ ტუჩები გახეთქილი ჰქონდა, თეთრი კბილები მოუჩანდა და მიტომაც მომეჩვენა, თითქოს ეს დაღმეჭილი სახე იღიმებოდა.

კორეიკი სანკას მიყრდნობოდა, დანით დასერილი ხელი სახეზე აეფარებინა და უხმო ტირილისაგან ძაგძაგებდა. მის გვერდით თავგახეთქილი და გასისხლიანებული იგორი იდგა. იგი მიწას ჩასჩერებოდა. მოხუცი ლუკიანი ცდილობდა არ

წაქცეულიყო, ბარბაცებდა, ფეხზე ძლივს იდგა. მთელი სახე დაჟეჟილი და დასერილი ჰქონდა. თვალებამღვრეული ერთ წერტილს მიშტერებოდა. ლუკიანის ფეხებთან ჩვარივით ეგდო ივანე წვრილშვილა. ირგვლივ სისხლით დასვრილი ჯოხები, სარები და რაღაც დაჟანგული რკინები ეყარა.

ბრბო ცოტათი დაშოშმინდა. კრამარს, ანტონ ლებედას, პრონკას ხელები დაეღალათ. ცემა-ტყეპა დამთავრდა. ახლა ბრბოს დამცხრალი ბრაზი ლანძღვაში, დამამცირებელ ყვირილსა და მუქარაში იხატებოდა. ადამიანები საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად ემზადებოდნენ. განმაცვიფრა ერთმა გარემოებამ. აქ იყვნენ არა მარტო მდიდარი სოფლელები, არამედ ღარიბ-ღატაკებიც.

ეტყობა, ძალზე პირდაპირ, ბავშვურად გავიგე ჩემი წითური მეგობრის სიტყვები. მეგონა, ღარიბები ყოველთვის თავისიანებს ეხმარებოდნენ, აქ კი მდიდრებთან ერთად ღარიბების წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. სხვებთან ერთად კირილიხაც დავინახე. კეთილ, უწყინარ კირილიხას გამხდარი მუშტი მოეღერებინა და ბოშებს ემუქრებოდა, სიბრაზისაგან ყბა მოქცეოდა, უკბილო დედაბერი საშინლად ილანძღებოდა...

ვეღარ გავუძელი და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი შინისაკენ, ჩვენებთან.

სულის მოთქმაც ვერ მოვასწარი, შემაძრწმუნებელი ხმაური მოისმა. ჩვენი ქოხისაკენ თითქმის მთელი სტანიცა მოემართებოდა, წინ მოუძღოდნენ, უფრო სწორად, მოჩანჩალებდნენ ჩვენი ბოშები. მკერდზე ფიცრები ეკიდათ წარწერით: „ჩაგვაქვავეთ, ჩვენ ქურდები და ხანძრის გამჩენები ვართ“. სანკას და იგორს ივანე წვრილშვილა მოჰყავდათ, ლუკიანი თავისით მოდიოდა, მთვრალივით ბარბაცებდა. კორეიკს ვიღაცამ გარმონი მიაჩეჩა, კრამარი სცემდა და უყვიროდა:

— დაუკარი, საძაგელო, ეშხიანად დაუკარი! თუ ძალა აღარ შეგრჩა? ხანძრის გასაჩენად დახარჯე?...

კორეიკი ცდილობდა დაეკრა, მაგრამ თავისი დასახიჩრებული ხელებით საცოდავად აკანკალებდა გარმონს.

— ეი, გზა დაგვითმეთ! — ბრბოს გასწრებას ლამობდა ურემი, რომელსაც მარჯვენა თვალი ღრმულში მოქცეოდა და

ასე გადაქანებული მოიწევდა წინ. ურემი ჩალით იყო დატვირთული, ზედ რამდენიმე შეშა ეგდო.

— ცეცხლი წაუკიდეთ მაგათ, ცეცხლი! — ყვიროდა, ბღაოდა ბრბო.

ხალხი თითქოს გამხიარულდა. უხაროდათ, რომ გამოსავალი იპოვეს ბოროტებისა და მწუხარებისაგან თავდასაღწევად...

ამ დროს შესახვევიდან მოულოდნელად გამოჩნდა უზარმაზარი მიშა კლიუჩკინი, უკან გულხელდაკრეფილი მამასახლისი და სოფლის სხვა თავკაცები მოსდევდნენ.

მიშა კლიუჩკინი საშინელი შესახედი იყო. სახე თითქოს ხანძრის კვამლისაგან შემშვარტლოდა. მან ხალხი მისწი-მოსწია და ბოშებს მივარდა. ნუთუ მიშა კლიუჩკინიც მკვლელების მხარეზეა, ნუთუ ჩვენმა მეგობარმა, ჩვენმა ერთგულმა ამხანაგმა მიშამაც დაიჯერა, რომ ბოშებმა გაქურდეს და დასწვეს საერთო ბეღელი?

კლიუჩკინმა სანკასთან მიირბინა და ხელის სხარტი მოქნევით მკერდიდან ფიცარი მოგლიჯა, მეორე ხელი ალალბედად მოაფათურა, როდიონს წაატანა, მოქაჩა და საბედისწერო ფიცარი უცებ როდიონის მკერდზე აღმოჩნდა. როდიონმა გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ. კრამარმა ატამანის მისაშველებლად გაიწია, მაგრამ ასეთივე სისწრაფით ფიცარმა იგორის მკერდიდან კრამარის მკერდზე გადაინაცვლა...

ამ დროს მოვარდნენ მამასახლისი და მისი ხელქვეითები. მამასახლისმა ხალხს რაღაც დაუყვირა. უცებ ბრბომ თავი ანება ბოშებს. მისცვივდა როდიონს, კრამარს, პრონკას და ანტონ ლებედას. ძირს დასცეს, შებოჭეს და გაათრიეს.

მაშინ კი გამოცვივდნენ სახლიდან შეშინებული ბოშა ქალები. კაცებთან მიირბინეს და ტირილით შინ წაიყვანეს. აზელილ ტალახში დარჩა კორჟიკის გარმონი.

მალე შევიტყვეთ, რამ გადაარჩინა ჩვენი კაცები კოცონზე დაწვას.

მიშა კლიუჩკინი მეზობელ სოფელში ყოფილიყო ქელეხში და შინ თურმე გვიან საღამოს ბრუნდებოდა. გზაზე ღვინო მორეოდა და იქვე, რომელიღაც სახლში შესულიყო. შემთხვე-

ვით ეს როდიონის ქოხი აღმოჩნდა. თვითონ როდიონი შინ არ ყოფილა. მოხუცებს მიშა შეეშვათ და წინკარში, საქონლის სადგომში დაეწვინათ. მიშა ერთი წლის თბილ მოზვერს ჩახუტებია და დაუძინია. შუაღამისას გაღვიძებია და ვიღაცეების ხმები გაუგონია. როდიონი და პრონკა ბჭობდნენ, მარცვალი სად დავმალოთო. მიშას მათი ლაპარაკიდან გაუგია, რომ დარაჯი ფედკა მოუკლავთ, საერთო ბეღელი გაუძარცვავთ, ხოლო მოპარული პურის მარცვალი როდიონის სახლის სარდაფში შეუნახავთ. პრონკა ამბობდა, ხორბალი წისქვილში წავიღოთო. ეტყობა, მეწისქვილესთან მოლაპარაკებულნი იყვნენ. როდიონი წინააღმდეგი იყო.

— პირველად მთავარი საქმე გავაკეთოთ, ხორბალს კი შემდეგ მივხედოთო.

ბანდიტები წავიდნენ. მიშამ ისევ დაიძინა. ვერ გაიგო, რა იყო „მთავარი საქმე". ნაბახუსევს გვიან გაეღვიძა და მოედანზე მაშინ მოვიდა, როცა ჩვენი კაცები სამსჯავროზე წაიყვანეს. აქ გაიგო ხანძრისა და ბოშათა დასჯის ამბავი. ეს ამბავი ღამე განაგონს დაუკავშირა და მამასახლისთან მივიდა. მამასახლისი მოედანზე იდგა. მიშამ მოახსენა, ვინ მოკლა ფედკა, ვინ მოიპარა ხორბალი და ვინ დაწვა ბეღელი.

როდიონისა და მისი ბანდის მომხრეებმა და კეთილმოსურნეებმა ყვირილი დაიწყეს:

— ნუ უსმენთ მაგ სულელს! ეგ ბოშების კუდია!..

სანამ მამასახლისი მერყეობდა, ვიღაც მკვირცხლი კაცი როდიონის სახლში გაიქცა და სარდაფში ხორბლით სავსე ტომრები იპოვა.

მთელი ეს შავი საქმე როდიონის ჩანაფიქრი ყოფილა. ბანდიტებს ოცი ტომარა ხორბალი მასთან წაუთრევიათ. ერთი კი გაუხვრეტიათ და ბოშების ფარდულში წაუღიათ. მერე ბეღლისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ...

ბოშა ქალები მოთქვამდნენ. ვისაც ბოშათა მწუხარება არ უნახავს, ვერასოდეს წარმოიდგენს, რა საშინელებაა ეს. ბოშა ქალები მოთქვამდნენ მაშინაც, როცა წამოდგომაში ეშველებოდნენ კაცებს, მოთქვამდნენ, როცა წყალს აწოდებდნენ. გეგონებოდათ, ადამიანები კი არ მოთქვამენ, ქოხი ტირის კი-

რილიხას ქოხის დარადო, თითქოს ახლა აქ შეეფარებინოს თავი მწუხარე ეშმაკს. მოთქმა მაშინ შეწყდა, როცა მოხუცმა ლუკიანიხამ ჭრილობების შელოცვა დაიწყო.

საღამოს სტანიცელი ქალები მოვიდნენ. მათ ბამბა და სუფთა ნაჭრები მოიტანეს ჭრილობის შესახვევად. მოიტანეს საჭმელებიც, მაგრამ ბოშა ქალებმა ისინი ყვირილით გააგდეს.

— გაგვეცალეთ!.. გაგვეცალეთ!.. — უყვიროდნენ მათ. — გაგვეცალეთ, გველებო, თქვენ გვთელავთ, გვხოცავთ!.. რატომ, რა დაგიშავეთ?..

ვხედავდი, რომ რუსის ქალები კეთილი გულით მოვიდნენ. ვხვდებოდი ბავშვური ალღოთი, მათ რცხვენოდათ, გული სტკიოდათ დილანდელი ამბის გამო. ჩვენმა უსამართლო მოქცევამ თვალები ამიხილა. ისევ დავრწმუნდი ღარიბების ძმობაში, რომელიც ბნელი ძალების ჩარევით ირღვეოდა ხოლმე.

ბოშა ქალებს ვუთხარი, ტყუილად აგდებთ სტანიცელ ქალებს, ისინი ბანდიტებმა მოატყუეს, რა მათი ბრალია-მეთქი. გამლანძღეს, თავში ჩამიტყაპუნეს და კისერშიც მითაქეს. მწუხარებისა და ბრაზისაგან ბოშა ქალები გაბოროტებულნი იყვნენ. რუსი ქალები წავიდნენ. მოსაკითხები ზღურბლთან დააწყეს. მაგრამ ბოშა ქალებმა ყველაფერი ფეხით გათელეს და გადაყარეს. მათ არ სურდათ სტანიცელებისაგან რაიმე აეღოთ.

ამ დღიდან დაიწყო ღატაკური მწუხარე ცხოვრება. ყოველივე ამას დუსიას გოგოს ავადმყოფობაც დაერთო. პატარა. გამხდარი სხეული რაღაც სველი წყლულებით დაეფარა. განუწყვეტლივ ყვიროდა და ციებიანივით კანკალებდა. დაჭრილებს მოსვენებას არ აძლევდა. გოგონა მხოლოდ სითბოში ჩუმდებოდა. მისი ღუმელზე დაწვენისა ეშინოდათ, ავადმყოფობა სხვა ბავშვებსაც არ გადასდოსო. დუსიამ მოიფიქრა. რომ ბავშვი ღუმელში შეეწვინა. როდესაც საკვამურს დაკეტავდნენ და ნაცარს გამოიტანდნენ, დუსია ჩვრებში გახვეულ გოგონას ღუმელში შეაწვენდა ხოლმე.

საკვამურს ჩვეულებრივ ბავშვები ვკეტავდით და ვაღებდით; ბოლო დროს ეს მოვალეობა გომბეშომ იკისრა. ის

გამუდმებით მორიგეობდა ღუმელთან, რათა მაშინვე შეესრულებინა ბრძანება. გასამრჯელოდ გომბეშო ხან ზედმეტ კვერს იღებდა, ხან კი ტკბილ სიტყვას. ერთიც და მეორეც სჭირდებოდა. ის არავის არ უყვარდა.

ერთხელ, როდესაც დუსიამ ჩვეულებრივ გოგონა თბილ ღუმელში შედო, გომბეშომ ხუფი გახსნა და მილში უთო ჩაუშვა. ძნელი სათქმელია, რად გააკეთა, ეგებ უფროსების გულის მოსაგებად, ან არა და ეჭვიანობის გამო. გომბეშოს არავინ ეფერებოდა, დუსიას გოგოს კი ანებივრებდნენ. უთომ თავი გაუჭეჭყა ავადმყოფ ბავშვს.

ნათქვამია, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო. წინკარში ლუკიანის ცხენი იდგა. შემოდგომაზე ის საზიდრიანად შემოეყვანათ აქ და მერე კედელი ამოეშენებინათ. გამხდარი, ილაჯგაწყვეტილი ცხენი უკვე რამდენიმე თვე ამ თვითნაკეთ სადგომში ება. დუსიას გულისგამგმირავმა ყვირილმა ცხენი შეაშინა. მან საბელი გაწყვიტა და ტლინკებს ისროდა. შემდეგ წიხლი ჰკრა საზიდარს და ზემოთაწეულმა ხელნამ ყრუდ დაგმანა ქოხის კარი.

რა ამბავი ატყდა! დუსია დაჰყმუის და დაჰქვითინებს მკვდარ ბავშვს. კვნესიან ავადმყოფები. რაღაცას ბურტყუნებს მაკიკირკა და ყველას ცხვირში აჩრის ცარიელ მაკიტრას. პირველად იყო, რომ მოვალეობას ვერ ასრულებდა.

ასე გავატარეთ მთელი ღამე. თვალი არავის მოუხუჭავს, არც ციისკარს მოუტანია შვება. ფანჯრის ამოღების ღონე არ შეგვწევდა; მინა ჩაგვენგრია, — გავიყინებოდით. გარეთ საშინლად ყინავდა. სახლში კი არც საჭმელი გვებადა, არც წყალი, არც სათბობი... დუსიას გოგოც ხომ დასაკრძალავი გვყავდა! ამ უკიდურეს ჟამს ისევ მიშა კლიუჩკინმა გაგვიმართა ხელი.

მას შემდეგ. რაც როდიონის ბანდის სიავე გამოაშკარავდა, მიშა ყველაზე სასურველი სტუმარი გახდა ახლომახლო სტანიცებში. ყველას სურდა მიშასათვის მოესმინა. ოღონდ ეამბნა და არაყს არ იშურებდნენ მისთვის. მიშა საერთოდ სმას ეტანებოდა, მაგრამ ახლა, ეტყობოდა, ზედმეტი მოსვლოდა და გადაეწყვიტა სახლისათვის დაეხვედა, დაესვენა, გამოეძინა. მოვიდა და კარგამოკეტილი გვნახა. მისი ძლიერი

მხრების ერთი გაქნევა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავისუფლება დაგვბრუნებოდა...

ძლივს დავაღწიეთ თავი ზამთარს. ხანძრის შემდეგ სტანიცაში ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ხორბალს სათესლედ უფრთხილდებოდნენ. პურს ცოტას აცხობდნენ და იმასაც მჭადს ურევდნენ. და მაინც ყოველდღე ჩვენ ზღურბლთან ხან მაჭკატებს ვნახულობდით, ხან ქონის ნაჭრებს, ხან კიდევ ფიჩხის კონას.

ერთხელ კირილიხას მოვკარი თვალი, ჩვენი სახლის უკან მიდიოდა. გამოვიხედე კარში და ზღურბლზე პურის კანებითა და ნატეხებით სავსე შეკვრა იდო. მართალია, სტანიცელი ქალები ჩვენს ნახვას ვერ ბედავდნენ, მაგრამ გვეხმარებოდნენ, რითაც შეეძლოთ.

ძლიერი და შეუდრეკელია ადამიანი, ჭარბადაა მასში სიცოცხლის ძალა. ჩიტის საკენკით გაზაფხულამდე გავიტანეთ თავი. მარტო თავი კი არ შევინახეთ, დაჭრილებიც მომჯობინდნენ, ბავშვები წამოვიზარდეთ, დავვაჟკაცდით, ვასილს ხმა დაუბოხდა, საულვაშე გაუშავდა, ხოლო პატარა „ქალბატონი“ უკარება და წუნია გახდა.

მზემ დააცხუნა, მიწამ თბილი ორთქლი აუშვა, ნაკადულები აჩუხჩუხდნენ, გზისპირი ლორთქო ბალახით ამწვანდა. ჩვენმა დაჭრილებმაც გამოიხედეს გარეთ. ეზოში გამოდიოდნენ. ძალას იკრებდნენ. გამოცოცხლდა ბოშათა ორკესტრიც. მართალია, კორჟიკი ცუდად შეზრდილ თითებს გარმონის ღილებზე სწრაფად ვეღარ ათამაშებდა, იგორს კი ციმბალისა აღარა გაეგებოდა რა, მის სმენას რაღაც დაემართა, მაგრამ ორკესტრი მაინც უკრავდა. იგორი მე შევცვალე. ზამთარში ლუკიანმა დაკვრა მასწავლა. ისევ გამოჩნდნენ მსმენელები. ისევ გაჩნდა კარტოფილი. ისევ გაჩნდა ჭარხალი, კომბოსტო, გოგრა.

ისევ მოდიოდა ჩვენთან ოქსანა, თვალებით ელამუნებოდა სანკას, მაგრამ სანკა სევდისმომგვრელი სინაზით შესცქეროდა — მათ შორის რაღაც ზღუდე აღიმართა...

ერთხელ ჩვენს ეზოში ახალ სიმღერას ვსწავლობდით. უცებ გარემო სამხედრო საკრავის ხმამ, მხიარულმა სტვენამ და გაზაფხულის ტალახში ცხენის ფლოქვის ხმაურმა აავსო. პატარა გორაკიდან ცხენოსანთა ნაწილი გამოჩნდა და სტანიცაში შემოვიდა თქარა-თქურით. მთელი ბანაკი ჭიშკარს გადაღმა გაიკრიფა.

დიდი, მოხდენილი ცხენები თამაშ-თამაშით მოდიოდნენ, ცეცხლს აფრქვევდნენ, მაგრამ მათ ზედაც არ ვუყურებდი. გაფაციცებით შევცქეროდი მხედრების მაუდის ქუდებზე მიკრულ წითელ ვარსკვლავებს. აი, როგორები ყოფილან წითელი მხედრები! ხარბად ვათვალიერებდი წითელარმიელთა სახეებს, ეგებ მათ შორის ჩემთვის ძვირფასი სახის ნაკვთები დამენახა...

ჟრიალით მიჰქროდნენ საზიდრები. ვიღაც მთელი ძალით უკრავდა გარმონს. მიჩუმებულ, მიყრუებულ სტანიცაში ჟღერდა ამაღელვებელი „იაბლოჩკო“.

მხედრები ჩვენთან შეჩერდნენ, ორიოდე სიტყვა გვესროლეს. ლუკიანმა გვანიშნა. ინსტრუმენტები ავიღეთ და რამდენიმე ბოშტრი სიმღერა დავუკარით. სანკა და იგორის საცოლე მღეროდნენ. წითელ მხედრებს მოეწონათ ჩვენი სიმღერები. მხოლოდ ერთმა, რომელსაც თვალი თეთრი ქსოვილით ჰქონდა ახვეული, თქვა:

— ეს რა სიმღერებია! ქალიშვილების გულს თუ მოინადირებს... იმღერეთ რამე რევოლუციური, რომ გული ატოკდეს!

— ჩვენ არ ვიცით ასეთი სიმღერები, — ჩუმად თქვა ლუკიანმა.

აღდგომა გამითენდა. დავუკარი ციმბალზე და ხმამაღლა ავმღერდი:

დავეცემით გმირულად,
საბჭოეთო, შენთვის.
ცეცხლში პირდაპირულად
შევალთ, როგორც ერთი.

მხოლოდ ერთი სტროფი ვიცოდი და ისევ გავიმეორე. მართალი გითხრათ, გრძნობით ვმღეროდი, მებრძოლები აროხროხდნენ; ხელი ხელს შემოჰკრეს, თვალახვეული ჭაბუკი კი ცხენიდან გადმოიწია, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა:

— აი, კარგი ბოშა!

მომეჩვენა, თითქოს ლუკიანის თვალებში შიშმა იელვა, როცა სიმღერა წამოვიწყე, მაგრამ სტანიცელები ვერ გაიგონებდნენ ჩემს სიმღერას, რადგან ჩვენი სახლი ფერდობზე იდგა და თანაც ირგვლივ მხოლოდ მხედრები იყვნენ. ლუკიანი დამშვიდდა და ალერსითაც კი დამიქნია თავი.

ბოშებმა მებრძოლებს თამბაქოს მოსაწევი ქაღალდი სთხოვეს, გაზეთების მთელი დასტა მოგვცეს. შემდეგ ცხენებს მოახტნენ და თავიანთი ნაწილისაკენ გაქუსლეს.

სევდიანად გავცქეროდი მათ კვალს. მიწყდა გარმონის ხმა. ჰორიზონტიდან გაქრა „იაბლოჩკო“.

საღამოს სტანიცის მახლობლად მინდორში კოცონები აინთო. იქ დადგა შესასვენებლად ნაწილის საგუშაგო რაზმი. მე მინდორში გავიქეცი.

კოჭებამდე გრძელ ფარაჯაში ჩაცმულმა ტანდაბალმა ჭაბუკმა დარაჯმა შემაჩერა და მკითხა, ვინა ხარ, რა გინდაო. ავუხსენი, როგორც შემეძლო, ჭაბუკმა დაისრუტუნა და მითხრა:

— რადგან წითური ყოფილა, იმ კოცონთან მიდი, — და მაჩვენა ხელით, სად მივსულიყავი.

წითელი მხედრების ბანაკმა ბოშათა ბანაკი მომაგონა. აქაც ისევე ენთო კოცონები, კარვებს უკან ფრუტუნებდნენ ცხენები, კოცონებთან ფუსფუსებდნენ ადამიანები. რაღაცას ხარშავდნენ, აცხობდნენ. ერთი სიტყვით, ოჯახობდნენ, ზოგი ფეხსახვევებს იშრობდა, ზოგი ხის სავარცხლით იცილებდა თავიდან მკბენარებს, ზოგიც ტანსაცმელს აკერებდა. მხოლოდ ჩემი მეგობარი, რომელიც ადვილად ვიპოვე, სულ სხვაგვარი საქმით იყო დაკავებული. ის ცეცხლთან იჯდა და ამხანაგებს გაზეთს უკითხავდა, უქუდოდ იყო და კოცონზე უფრო წითლად უელვარებდა წითური თმები. მივუახლოვდი და სათუთად შევეხე მის მხარს. გუგულის კვერცხივით აჭრელებული

წითური ჭაბუკი შემობრუნდა, გაკვირვებით შემომაჩერდა. ის მეტისმეტად ჭორფლიანი და ძალზე წითური აღმოჩნდა, მაგრამ ჩემი მეგობარი არ იყო.

— შენ, გეტყობა, სემიონი გინდა. — მითხრა მან, როცა შეცდომა გაირკვა, — საშკო, ბიჭს გზა ასწავლე!

საშკომ კარავს იქით წამიყვანა, ხელი წინ გაიშვირა და მითხრა:

— სულ ბოლო კოცონს ხედავ? კარვის მარჯვნივ, აი გასწი პირდაპირ, იქ ნახავ შენს სემიონს.

სემიონს მინელებულ კოცონთან პირქვე ეძინა. სახეზე ხელი ჰქონდა აფარებული, მხოლოდ მის ნიკაპს ვხედავდი, ისევე როგორც საკანში, სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს.

— სემიონ! — დავუძახე, — სემიონ, ეს მე ვარ, კოლია!...

ისე ღრმად ეძინა, რომ ოდნავადაც არ განძრეულა. მინდოდა შემენჯღრია, წავიწიე კიდეც, მაგრამ უცებ შევჩერდი, რა საჭირო იყო მისი გაღვიძება? მძინარეს თითის წვერებზე შემოვუარე და გვერდზე მივუწექი. ვუცქეროდი, როგორ ანათებდა მის ნიკაპს ცეცხლის შუქი, როგორ ცერცვივით ეყარა სახეზე ჭორფლი. ვუყვებოდი ჩემს თავგადასავალს. მოვუთხრობდი იმ ტანჯვაზე, რომელიც გადაგვხდა მე და ჩემიანებს. ისიც მოვყევი, როგორ გადავეჩვიე ტირილს, როგორ ვისწავლე მოთმენა. ვეკითხებოდი, რატომ იგვიანებს ამდენ ხანს სიმართლე ბოშებთან მოსვლას-მეთქი, ეგებ სიმართლემ გზა არ იცის? ჩემი დაღლილი მეგობარი თანაბრად და ღრმად სუნთქავდა. თითქოს ჩამესმოდა: მოიცადე, მოითმინე, სიმართლე მოვა, შეუძლებელია არ მოვიდესო... შემდეგ წითური მეგობრის თბილ სხეულს მივეხუტე და მშვიდი, ბედნიერი ძილით დავიძინე.

ხმამაღალმა და გულიანმა სიცილმა გამომაღვიძა.

— ბიჭებო, სენკას ნაბიჭვარი გამოეცხადა!

— სემიონ, კიდევ ბევრი გყავს ასეთი?

— ძმებო, პატარას ეტყობა ბოშათა მოდგმისაა. სემიონი, ალბათ, ბოშა ქალმა მოაჯადოვა!..

— წყნარად, ძმებო, პატარას გააღვიძებთ...

თვალები გავახილე. ირგვლივ სახეგარუჯული წითელარმიელები შემომხვეოდნენ, სემიონი ჩემ გვერდით ჩაცუცქულიყო. ის იყო წითურზე წითური, უფრო წითური, ვიდრე ის, გაზეთს რომ კითხულობდა და თითქმის ისეთივე წითური, როგორც ჩემი დაკარგული მეგობარი.

— მეგონა, წითური ჭაბუკი იყავი, — უხერხულად ავუხსენი ჩემი მოულოდნელი გამოცხადების მიზეზი სენკას.

— მაინცდამაინც არ შემცდარხარ, — მიპასუხა სენკამ ამხანაგების ხმამაღალ ხარხარში.

მოვყევი ჩემი თავგადასავალი, ძალიან ყურადღებით მისმენდნენ. ჩემი თვისტომნი ბავშვებს ასე არასოდეს უსმენენ. დროდადრო თხრობას ვწყვეტდი და შემწვარ კარტოფილსა და გემრიელ ჭვავის პურს შევექცეოდი. კარტოფილი იქვე იწვებოდა ცეცხლთან და სენკას გამოჰქონდა ღადარიდან ნაფოტებით.

როცა დავამთავრე, სენკამ უჩვეულოდ ნაცნობი გამომეტყველებით ჩაილაპარაკა:

— რამდენი ვაი-ვაგლახი გადახდენია თავს!

— ეგებ თან წავიყვანოთ? — თქვა ერთ-ერთმა მებრძოლმა.

— წერამ აგიტანა? — გაიცინა მეორემ.

— დავითანხმებთ...

— ჩვენი კაცია!...

— პატარავ, წამოხვალ ჩვენთან? — ტკბილად მკითხა სემიონმა.

გული ამიფანცქალდა. მზად ვიყავი, დავთანხმებოდი, მაგრამ ამ დროს შესაბრალისი ხმა მომესმა:

— მაკლაი! მაკლაი! კოლია! სადა ხარ?.. დედაშენი ჩამოვიდა!..

და ჩვენს წინ მოკლეკაბიანი, გარუჯული, ფეხებდაკაწრული კოლიშკა გაჩნდა.

— რომელი დედა? — ჩავილაპარაკე გაოგნებულმა.

— რომელი და, დედა... შენს წასაყვანად დედაშენი ჩამოვიდა...

ქვეყანაზე აღარაფერი მახსოვდა. წამოვხტი და სტანიცი-საკენ მოვკურცხლე: თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი. სახლს მივუახლოვდი. სირბილი შევანელე, ეზოში შევედი და ზღურ-ბლზე ძლივს გადავაბიჯე.

ოთახის შუაგულში ახალგაზრდა, ლამაზი ქალი იდგა, ქალაქური პალტო ეცვა. მხოლოდ მყვირალა ფერის თავსა-ფარზე ეტყობოდა, რომ ბოშა იყო.

— შვილო! — შეჰკივლა მან და ტაში შემოჰკრა.

ვერაფრით ვერ დამეჯერებინა, რომ ეს ლამაზი, ქალაქუ-რად ჩაცმული ქალი დედაჩემი იყო.

— გამარჯობა... — ჩავილაპარაკე ზრდილობიანად და მორიდებით.

— შვილო, დაგავიწყდი? დედაშენი აღარ გახსოვს? — იძახდა ქალი, თან ტუჩები უცახცახებდა.

მომეხვია და გულში ჩამიკრა. პალტო დასველებოდა, სა-ყელოსაც სველი კატის სუნი ასდიოდა. და უცებ ეს ყველაფე-რი: ცივი, სველი, უცხო ისე თბილად, მშობლიურად და ახ-ლობლად გადაიქცა, რომ თავისთავად აღმომხდა „დედა“-მეთქი...

მეორე დღეს ლუკიანის ბანაკს ვტოვებდით. ყველა მეა-ლერსებოდა, ტანსაცმელს მისწორებდნენ, სიყვარულით მრთავდნენ. უკანასკნელად მოვავლე თვალი ჩვენს ბინას და უნებურად მზერა ციმბალზე შევაჩერე. ლუკიანმა შემამჩნია. კედლიდან ჩამოხსნა და გამომიწოდა.

— წაიღე, — მითხრა მან, — შენ კარგი მეციმბალე დად-გები.

ალმური მომედო, მაგრამ ციმბალის გამორთმევა ვერ გა-დამეწყვიტა.

— არ მინდა... — ჩავიბუტბუტე ძლივს გასაგონად.

— გმადლობთ ყველაფრისათვის! — უთხრა დედამ, — ასეთ ძვირფას საჩუქარს ვერ მივიღებთ.

— სულისა და სხეულის დაშორება შეუძლებელია, — უპასუხა მოხუცმა ბოშამ, — არტისტი ინსტრუმენტის გარეშე იგივეა, რაც სხეული უსულოდ.

დედამ ლუკიანს მდაბლად დაუკრა თავი და ციმბალი გამოართვა.

მშვიდობით ლუკიან, მშვიდობით სანკა, მშვიდობით ჩემო პატარა მეგობრებო, სამუდამოდ გემშვიდობებით!

9.

რკინიგზის სადგურამდე ფეხით ვიარეთ. გზაში დედას, ბებიას და პეტიას დაღუპვის ამბავს ვუყვებოდი. დედა ჩუმად მისმენდა, მხოლოდ ხანდახან ბოღმისაგან შეჰკივლებდა. მერე ატირდა. ვცდილობდი, მეც მეტირა, მაგრამ ვერ მოვახერხე. უკვე მომიშუშდა ძველი ტკივილები და ახლა ბედნიერი ვიყავი.

დედა ტიროდა, მე კი ფრინველებს ვუსმენდი. საკვირველია, გაზაფხულზე ხშირად მომიკრავს ყური ფრინველთა მრავალხმიანი გალობისათვის, მაგრამ დღემდე ისე ჩამესმოდა, როგორც ერთ ხმაზე ყღურტული, ახლა კი ციმბალებმა გამიმახვილეს სმენა, სამყაროს ახლებურად განვიცდიდი. წინათ ვერც ვგრძნობდი ხმათა მრავალფეროვნებას და მის სიტკბოს. ფრინველები კი არა, წყალიც, ყვავილებიც, ბალახიც, ხეებიც და მინდვრის ნამცეცა, უჩინარი ბინადარნიც მუსიკას ქმნიდნენ — დროდადრო ხმამაღალსა და მკვეთრს, რომელიც თითქოს სიმღერად იქცეოდა, დროდადრო კი წყნარს, ნაზს, რომელსაც უფრო მიხვდებოდი, ვიდრე გაიგონებდი.

მივდიოდი და ვუსმენდი წყაროების რაკრაკს, ნორჩი ფოთლების შარიშურს, ახლად გაფურჩქნულ ყვავილებზე ფუტკრების ბზუილს, ყარანას საცოდავ ნაზ ხმას (ის გაზაფხულს უგალობს), ყანის ჩიტის სუსტ სტვენას და მათ სიმღერას მეც ავყვებოდი ხოლმე, მალე ტოროლას გალობა გაისმა და მისმა სიმღერამ დაიპყრო არე-მარე. გეგონებოდათ, ტოროლა კვალდაკვალ მოგვყვებოდა და თავისი წკრიალა ხმით მიგვაცილებდა.

სადგურში მივედით. დედამ ცრემლები შეიმშრალა და ხელი ჯიბეში ჩაიყო ფულის ამოსაღებად. ბილეთები უნდა გვეყიდა. უცებ სახეზე დაბნეულობა დაეტყო. ფული არ აღმოაჩნდა. ალბათ, გზაში დაკარგა.

— ვაი, ჩვენს უბედურებას! — შეჰკივლა მწარედ და ისევ ატირდა. ცრემლად იღვრებოდა, — ფეხით მოგვიხდება წასვლა...

— შორსაა? — ვიკითხე მე.

— მაშ, მატარებელი მთელი ღამე მიდის... ციმბალზე დაკვრა რომ შეგეძლოს... მაგრამ, არა, განა შესძლებ...

— ნუ ტირი, დედა, — ვუთხარი მე, — ჩვენ ფეხით არ წავალთ, — ფულს ვიშოვი!...

გავიქეცი სადგურთან ახლომდებარე ბაზარში, ჩამოვჯექი ფარდულის ქვემოთ, ავაწყე ციმბალი, ჩამოვკარი სიმებს და ავმღერდი. ვმღეროდი რუსულ სიმღერას, თუ შეიძლება სიმღერა ეწოდოს სიტყვების ასეთ წყობას:

ის არა ხნავს მწვანე გორებს,
არ ასველებს მდელოს ნამი.
ო, მდიდრებო, ფრთხილად, თორემ,
აქ მეშახტე დადის ღამით.

მგონი, ერთ სტროფში ორი სხვადასხვა სიმღერის სიტყვები გავაერთიანე, მაგრამ ხმა მქონდა წკრიალა და სუფთა, ციმბალიც წკრიალებდა და მალე ყური მოვკარი კიდევ სხვა სასიამოვნო წკრიალსაც — ქუდში ჩაყრილი ხურდა ფულის ხმას. გამოვფხიზლდი და უფრო იოლად გასაგები სიმღერა შემოვძახე:

შენი თვალები მზის ისრებს ისევს,
შენი ლოყები მიაგავს მაისს.
ო, ნუ მიყვები მაგ ზღაპრებს ისევ
და მეამბორე დღეს ერთხელ მაინც.

თავმოყრილი ხალხი ხარხარებდა და ფულს მიყრიდა. დედას შევხედე; ისე მიყურებდა, თითქოს ოქროს დიდი მონეტა ვიყავი, რომლითაც მთელი მატარებლის ყიდვა შეიძლებოდა. დედამ ფული აიღო და ვიღაც ძიას მისცა დასათვლელად. მან დათვალა და თქვა: „ბილეთის საყიდლად გეყოფათო“.

სიხარულით სახეგაბადრულმა დედამ წამოიძახა: „კოლია, ბილეთს ვიყიდით!“.

მე კი გაჩერება აღარ შემეძლო. აღარ ვუყურებდი, მაძლევდნენ თუ არა ფულს. ყველა ბოშა მღერის და ცეკვავს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია სიმღერა და ცეკვა. ყველა როდი მსახიობი. ბევრი მღერის მხოლოდ ფულისათვის. მათი გრძნობა და გატაცება ყალბია. თუმცა სიყალბე არც თუ ისე ადვილი შესამჩნევია. მაგრამ ჩემს თვისტომში არიან ჭეშმარიტი მსახიობებიც. მუსიკა მათი სულიდან თავისთავად იღვრებაისინი მღერიან იმიტომ, რომ არ შეუძლიათ, არ იმღერონ.. აი, მათ მოუტანეს დიდება ბოშათა სიმღერებსა და ცეკვებს. უცნაურია, მაგრამ, სწორედ აქ, პატარა სადგურისპირა ბაზარში ვიგრძენი მსახიობის ნიჭი, რომელიც წინათ მოხუცმა ლუკიანმა აღმოაჩინა ჩემში. მანამდე ვუკრავდი და ვმღეროდი, სანამ შორიდან მატარებლის ხმა არ მოისმა. ჩასხდომისას ჭყლეტა დაიწყო. მე და დედა უკან მოგვაქციეს, იმედი გადაგვიწყდა, რომ მატარებელში შევიდოდით. დედამ ხმამაღალი კივილი მორთო. ამ დროს ვიღაცამ წამოიყვირა:

— ხალხნო, შეჩერდით, მეციმბალე ურიგოდ გავუშვათ!..

ბრბო გაიშალა, ისევ შეიკრა და ვაგონში აგვიტანეს.

როცა ფურთხით, ნამწვავებითა და მზისუმზირას ჩენჩოებით მონაგვიანებული ბაქანი, მტვრიანი მესრები და ორთქლმავლის მჭვარტლით ჩაშავებული ალვის ხეები უკან მოვიტოვეთ, დედამ მითხრა:

— კოლკა, ჩემი ფული ვიპოვე.

— სად?

— სარჩულში.

— ნამდვილად სარჩულში ამოკერავდი და, ალბათ, დაგავიწყდა.

— გაჩუმდი! — ბრაზით მითხრა დედამ, — ცუდია ის ბოშა, რომელიც ფულს ივიწყებს. — შემდეგ ხმადაბლა დაუმატა, — ზედმეტი ფული თუ გვექნება, გზაში არ გვაწყენს...

— ესე იგი, შენ...

მაგრამ მან ტუჩებზე ხელი მომაფარა და თანამგზავრებზე მიმითითა.

— რისთვის გაჩუქა ლუკიანმა ციმბალი? უნდა დაუკრა და იმღერო, ადამიანებს ასიამოვნო, კეთილი ხალხისგან კაპიკები აიღო.

და ისევ ვუკრავდი და ვმღეროდი. ხალხი გამეორებას მთხოვდა. ის ძია ფულს ითვლიდა. ასე ჩავედით ბუგაევკამდე. აქ უნდა ჩავსულიყავით...

ბუგაევკაში ღამე ფუნდუკში გავათიეთ. ეს იყო წაფერდილი დამპალი სახლი. რა ჯურის ხალხს არ ნახავდით იქ. გეგონებოდათ, ეს ადამიანები რომ გავიდნენ, ფუნდუკი მაშინვე დაინგრევაო. მაგრამ ისინი დაძვრასაც არ აპირებდნენ. თამაშობდნენ ბანქოს, აგებდნენ პიჯაკს, ტყაპუჭს, ხარებს, ფქვილით სავსე საზიდრებს.

გამთენიისას ვიღაცას ყელი გამოსჭრეს და თამაშიც შეწყდა. მთელი ღამე მომავალზე ოცნებაში გავატარე. ყვირილისა, ლანძღვისა და წაგებულთა წუწუნისათვის ყური არ მითხოვებია. შემდეგ ციმბალი ავიღე და ბაზარში წავედი. ვერ მოვასწარი ერთი აკორდის აღებაც კი, რომ ჩემთან ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი ყმაწვილი მოვიდა.

— აიკარი გუდანაბადი! — ხრინწიანი ხმით მითხრა მან, — თორემ ვალოდია დანით დაგსერავს.

— რომელი ვალოდია?

— ნუ აწყენინებ ვალოდიას, როცა მას ხმა ჩახლეჩილი აქვს...

მივხვდი, თვითონ იყო ვალოდია. ავიღე ციმბალი და ჩემთვის წავჩანჩალდი. მოვდიოდი და მომდევდა ჩემი მეტოქის ჩახლეჩილი ხმა:

გოგონებო, ფრთებს ნუ ისხამთ,
დღე ბინდბუნდმა თუ ჩალალა,
თქვენც საღამო მშვიდობისა,
ჩუმ-ჩარა-რა, ჩუმ-ჩარა-რა.

დედა გზაში შემხვდა. ხელში სპილენძის ლაპლაპა სამოვარი ეჭირა. მზესავით ციმციმებდა და უნებლიეთ თვალები

მოვჭუტე. სამოვარი ბოშათა ოცნების საგანია. თანაც ეს ხომ ჩემი სიმღერით იყო შეძენილი. ათი წლისას თუმცა ცხენი არ მომიპარავს, მაგრამ ბებია ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ, იამაყებდა თავისი შვილიშვილით. მეტყოდა, ნამდვილი ბოშა ხარო!

ფუნდუკში დედა ერთ გლეხს მოელაპარაკა, ბალაბანოვომდე მიგვიყვანეო. გლეხი დათანხმდა: ვფიქრობდი, ალბათ, სამოვარის ხათრით დათანხმდა, თორემ ეს მცირე გასამრჯელო არაფერია-მეთქი. მეგონა სამოვარის ხათრით მივყავდით ჩქარა და სწრაფად. ოთხ საათში მშვიდობით ჩავედით ბალაბანოვოში...

მამინაცვალი შეგვეგება. მეგონა, შეცვლილი იქნებოდა, მაგრამ არა, ისეთივე თვალები, ულვაში, ისეთივე დაღლილი, დანაოჭებული და კეთილი სახე ჰქონდა. იმ ღამეს დიდხანს არ დავწოლილვართ დასაძინებლად. ვისხედით სახლის პატრონის, ცალხელა ხარაზის ნიკიტა როის მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან, ვსვამდით ჩაის ახალთახალი სტვენია სამოვრიდან. მამინაცვალს ჩემს უბედურ თავგადასავალს ვუყვებოდი.

ყურადღებით მისმენდნენ. მამინაცვალი ხშირად გადახედავდა ხოლმე დედას. მივხვდი, ჩემი გათვითცნობიერება მოსწონდა. გავთამამდი, წითურ ჭაბუკთან ურთიერთობაში შეძენილი შეხედულებანიც გადმოვალაგე.

— ჩუ! — თქვა მამინაცვალმა, ნიკიტა როიმ კი კარები გადარაზა.

— უყურეთ, ტუჩზე დედის რძე არ შეშრობია და უფროსებს ჭკუას არიგებს, — მამინაცვალს ხმაში სიბრაზე შეეტყო. — გგონია, ბოშებმა უშენოდ არ იციან, ვის გაჰყვნენ? ბოშები სიმართლის კვალს აგნებენ!...

და მამინაცვალმა ხმადაბლა გვიამბო, როგორ შეიფარა დაჭრილი კომისარი ერთი ჩვენი შორეული ნათესავის, გურიანის ბანაკმა. კომისარს ატამან გრუნდას ბანდა ეძებდა. გურიანის ქალიშვილმა ოლესიამ სიმღერებითა და ცეკვებით გაართო გრუნდას ბანდიტები, მანამ კი გურიანი მოემზადა, ცხენს ძონძებით ფლოქვები აუხვია და კომისარი გააპარა.

შუაღამე გადაცილებული იყო, როცა ჩვენი საუბარი მიწყდა. ყველას გვეძინებოდა. მე თვალს ვეღარ ვახელდი, მაგრამ მანამ არ გამიშვეს, სანამ ციმბალზე არ დავუკარი...

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება მშობლიურ ჭერქვეშ. ბალაბანოვოში არეულობა იყო. ხელისუფლება თითქმის ყოველდღე იცვლებოდა. სათავეში ხან თეთრები იდგნენ, ხან წითლები, ხან მწვანეები, ხანაც ჰაიდამაკები. მხოლოდ ის გამეგებოდა, რომ წითელი ფერი კარგი იყო და სხვა არ ვარგოდა. ხალხი დილით იღვიძებდა და ერთმანეთს ეკითხებოდა, რომელი მთავრობაა დღეს ჩვენთანო?... ისეც ხდებოდა, რომ მთავრობა სრულიად არ იყო. მაშინ ასპარეზზე გამოდიოდნენ კულაკები თავიანთი დამქაშებით და ვიღაცა მჩხავანები, რომლებიც სიტყვით ყველასი და ყველაფრის წინააღმდეგნი იყვნენ, საქმით კი კულაკებს უჭერდნენ მხარს. ამ მთავრობას რატომღაც რუხ-მურა-ჟოლოსფერს ეძახდნენ.

ვინც არ უნდა ყოფილიყო უფროსი ბალაბანოვოში, მამინაცვალი თავის საქმეს აკეთებდა. ჩექმებს კერავდა. მან ხელობა გამოიცვალა. მკალავობას მომგებიანი ხარაზობა არჩია. ამ შიმშილობის ჟამს ჭურჭელი არავის სჭირდებოდა, მაგრამ ფეხშიშველა სიარული ძნელი იყო. მამინაცვალიც ჩექმებს, წაღებს აკერებდა. ეს ხელობა სახლის პატრონმა ასწავლა. შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ თითქმის მთელ სამუშაოს თვითონ ასრულებდა. აბა, მარტო ცალხელა რას გასწვდებოდა? ნიკიტა როი პატიოსნად უნაწილებდა მამინაცვალს შემოსავალს და ჩვენი ოჯახიც იოლად გადიოდა. ციმბალით ბევრს ვერაფერს ვშოულობდი. ხალხს სიმღერებისათვის არა სცხელოდა.

ერთხელ, ჩემი დაბრუნებიდან ასე ერთი წლის შემდეგ, ჩვენს სახლს ორი ჯარისკაცი მოადგა. ვიღაც ქალი შემოხვდათ და ხარაზის მისამართი ჰკითხეს, ქალმა ჩვენკენ მოასწავლა.

ჯარისკაცები წინკარში შემოვიდნენ, დააკაკუნეს, ზღურბლზე გადმოაბიჯეს და მამინაცვალს ასე მიმართეს:

— ძვირფასო ძმობილო! ეგებ რაიმე ნაჭერი გქონდეს? ხედავ, ბორბლები მოგვეშალა.

— ვინ ბრძანდებით? — ფრთხილად ჰკითხა მამინაცვალმა

და მათი ძირგავარდნილი ჩექმები შეათვალიერა. ლანჩები თოკით ჰქონდათ აკრული.

— წითელარმიელები ვართ, — უპასუხა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

— წითელი მხედრები? — აღმომხდა მე.

— ფეხოსნები, — მიპასუხა მეორე ჯარისკაცმა და თავისი ჩექმები მიჩვენა.

მამინაცვალი ჩაფიქრდა. მაშინ ჩვენთან რუხი-მურა-ჟოლოსფერი მთავრობა იყო და, ალბათ, მამინაცვალმა წინ-დაწინ აწონ-დაწონა, წითელარმიელებისათვის დახმარების გაწევა ჩვენს ოჯახს ზიანს ხომ არ მოუტანსო.

— დაგვეხმარე, ძმობილო, სიკეთე გვიყავი! — თქვა პირველმა ჯარისკაცმა. — დაჭრილები ვართ, ლაზარეთიდან მოვდივართ, ნაწილს უნდა დავეწიოთ. აბა, ამით დაეწევი? — ფეხი ასწია, ამძვრალი ლანჩიდან დასისხლიანებული ტერფი გამოუჩნდა.

— ვერა, — უთხრა მამინაცვალმა, — თქვენს ფეხსაცმელებს ვერ შევაკეთებ.

წითელარმიელებმა ერთმანეთს გადახედეს და ამოიოხრეს. გული ყელში მომებჯინა.

— ამ ჩექმების გაკეთება არ შეიძლება, — განაგრძობდა მამინაცვალი, — შეგიკეთებთ, მაგრამ ხვალვე დაირღვევა. ტყავი დამპალია. რადგან ტყავი დამპალია, საუკეთესო ხელოსანიც ვერაფერს გახდება...

მამინაცვალი დაიხარა, ხელით დაეყრდნო ფეხს, გაიხადა ცალი ჩექმა, შემდეგ მეორე.

— ხედავთ, ძველი ჩექმებია, მაგრამ მაგრებია. ამ წელიწადს გაძლებს. ხშირად გაწმინდეთ, ტყავი კარგია. ჰა, გამომართვი! — მან ჩექმები ტერფებდასისხლიანებულ ჯარისკაცს გაუწოდა.

ჯარისკაცმა ჩექმები კი გამოართვა, მაგრამ ხელში ისე ეჭირა, თითქოს არ იცოდა, რა უნდა ექნა.

მამინაცვალმა მიძებნ-მოძებნა და ნიკიტა როის მრავალგზის ლანჩადაკერებული, მაგრამ მაგარი, მთელყელიანი ჩექმები გამოიტანა.

— კარგი ჩექმებია, — უთხრა მამინაცვალმა, — ქრომის ტყავისაა. სწორედ შენი ფეხისაა! — და ჩექმები მეორე ჯარისკაცს გაუწოდა.

— არა, — სევდიანად ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა, — ჩვენ ამ ჩექმებს ვერ წავიღებთ...

— რაიმე ძველმანი გექნებათ, — ხმადაბლა დაუმატა მეორემ, — ფეხები რომ შევყოთ...

— წაიღეთ, — მტკიცედ უთხრა მამინაცვალმა, — ჩვენ თბილად ვსხედვართ, თქვენ კი გრძელი გზა გაქვთ გასავლელი.

ჯარისკაცებმა მამინაცვალს შეხედეს... ეტყობა, რაღაც ამოიკითხეს მის თაფლისფერ თვალებში, დაიხარნენ და ფეხსაცმლის გამოცვლას შეუდგნენ.

ჯარისკაცები გამძლე, მოხერხებულ და საიმედო ფეხსაცმელებში თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ისე გაიხარეს, რომ მადლობის სათქმელად სიტყვებს ვერ პოულობდნენ. მხოლოდ ხელს ხელზე უჭერდნენ მამინაცვალს და სიყვარულით ეუბნებოდნენ:

— ეჰ, ძმობილო!... ეჰ...

შემდეგ წავიდნენ. ნიკიტა როიმ, რომელსაც მამინაცვალმა მისი ჩექმების ამბავი უამბო, მოკლედ მოჭრა:

— მერე რა...—და ვიღაცის ჩექმებზე ლანჩის გამოკერება განაგრძო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს ეზოში მწყობრი ნაბიჯებით წითელარმიელთა მთელი ნაწილი შემოვიდა. ჯერ კიდევ შემოსასვლელთან გვესმოდა მათი სიმღერა, მაგრამ არასგზით არ ველოდით, თუ ისინი ჩვენსკენ გამოემართებოდნენ.

ჰეი, გზაზე ჩანს მტვრის ბლონდი,
გზად წითელი ჯარი მოდის.

იწყებდა ერთი ოცეული, მეორე განაგრძობდა:

ჰეი, ჰეი, საბჭოეთო,
გაგიშლია ლაღად მხრები.
ჰეი, ჰეი, საბჭოეთო,
მტკიცე ხარ და არ გაქრები.

როცა ყველა წითელარმიელი ეზოში შემოვიდა, მეთაურმა რაღაც დაიძახა მკაფიოდ. ცოცხლად მოეწყვნენ ოთხკუთხედად და გაირინდნენ.

ერთ-ერთმა წითელარმიელმა წინკარში შემოირბინა და მამინაცვალს დაუძახა:

— გამოდი!

მამინაცვალმა ხალათი ჩამოიწია, ჟილეტი შეიკრა, თმები გაისწორა და წინკარში გამოვიდა.

— ვაშა! — ყვიროდნენ წითელარმიელები ერთხმად და პირს ფართოდ აღებდნენ.

ისინი „ვაშათი" ჩემს მამინაცვალს ესალმებოდნენ, თითქოს გენერალი ყოფილიყო. შემდეგ მეთაურმა ილაპარაკა. მისი სიტყვებით გამოდიოდა, რომ ჩემი მამინაცვალი წყეული კულაკი როდია, იგი მშრომელი ბოშაა. მის მიერ წითელარმიელებისათვის მიცემული ჩექმები ბურჟუაზიაზე გამარჯვების საწინდარია.

მე უკვე მზად ვიყავი, ჩექმები გამეხადა, მინდოდა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა. მამინაცვალი ხელში აიყვანეს და ჰაერში ისროდნენ. პირველად ცოტა შემეშინდა, არასოდეს მინახავს, როგორ ისროდნენ ჰაერში ადამიანებს. მეგონა, მამინაცვლის გაწეწვა სურთ-მეთქი, თითქოს ის მშრომელი ბოშა კი არა, წყეული კულაკი ყოფილიყოს. მაგრამ მებრძოლთა გულკეთილმა და მომღიმარმა სახეებმა მალე დამამშვიდა. აღტაცებული შევცქეროდი ჩემი მამინაცვლის ფრენას ჰაერში.

ბოლოსდაბოლოს მიწაზე დაუშვეს, წითელარმიელებმა სიმღერით დატოვეს ჩვენი ეზო, ხოლო მათი მეთაური დარჩა და რაღაცაზე დიდხანს ელაპარაკებოდა ჩემს მამინაცვალს. რატომღაც გადავწყვიტე, ჩემს მამინაცვალს ალბათ დიდ მეთაურად ნიშნავენ წითელ არმიაში-მეთქი.

მეორე დღეს ჩვენთან დურგლები მოვიდნენ. მათ დაანგრიეს კედლები, რომელიც ნიკიტა როის სახლს სამ ოთახად ჰყოფდა. გაზაფხულის მზემ ერთბაშად გაანათა ჩვენი ბნელი სამყოფელი. ყველაფერი გამხიარულდა. ვიღაც წვერიანი ძიები რაღაც ხელსაწყოებს მოათრევდნენ, წინკარში სახარა-

ზო ყუთებს აწყობდნენ. ყველა ცდილობდა მომფერებოდა, შევექე. „კარგი ბიჭია“! — ამბობდა ერთი. „მარდი ჭაბუკია!“ — უმატებდა მეორე. დედაჩემის სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა: „ნეტავი მოგასმენინათ, როგორ უკრავს ციმბალზეო“. მეც ვუკრავდი, ძიები მისმენდნენ და მაქებდნენ. მაგრამ მერე მათგან საოცრად სულში ჩამწვდომი სიმღერები გავიგონე. ისინი მღეროდნენ სტეპში გაყინულ მეეტლეებზე, ეულ ცირცელზე, ვოლგის კონცხზე, ატამან სტენკა რაზინზე. ამას მსახიობები კი არა, მეწაღეები მღეროდნენ. მათ თავი მოიყარეს ნიკიტა როის სახლში, რომ წითელარმიელებისათვის ჩექმები ეკერათ...

ჩვენს სახლში დიდი სახელოსნო რომ უნდა გახსნილიყო, ამას მაშინ მივხვდი, როცა სადგურიდან ტყავით სავსე ყუთები მოზიდეს. ყუთები იდგა ყველგან: კედლების გასწვრივ, ღუმელს უკან, წინკარში, სხვენზე. ტყავი თევზის ქონით იყო გაჟღენთილი და სახლშიც თევზის სუნი იდგა.

და აი, აკაკუნდა თექვსმეტი ხელოსნის ჩაქუჩი, გაისმა ხან მხიარული, ხანაც ნაღვლიანი სიმღერები. სახელოსნოს უფროსი ჩემი მამინაცვალი იყო. მზა ფეხსაცმელს იბარებდა. ხელოსნები ხანდახან მამინაცვლის კირკიტზე ჯუჯღუნებდნენ, მაგრამ მაინც უჯერებდნენ. მოდიოდნენ სამხედროები, მიჰქონდათ ფეხსაცმელები, ჩვენ კი შაქარს, ფქვილს, ფეტვის ბურღულს გვიტოვებდნენ. დედა როის დახმარებით მთელი არტელისათვის გემრიელ ფაფას ამზადებდა.

რა კარგი და მხიარული დღეები იყო!

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. სტანიცაში დაბინავებული წითელარმიელები სახლებიდან გამორბოდნენ, მწყობრად დგებოდნენ და აჩქარებით მიდიოდნენ. ქარიშხალივით გადაურბინა ხალხს მშფოთვარე ცნობამ, წითლები იხევენო.

ჩვენთან ალიაქოთი დაიწყო. ოთახის გადატიხვრას ცდილობდნენ, დაბნეულებს ტყავით სავსე ყუთები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ, ქოხში უაზროდ დაბორიალობდნენ.

— რაც მოსახდენია, მოხდეს, — მშვიდად თქვა მამინაცვალმა, — ჩვენი ვალია, ტყავი გადავარჩინოთ...

ჩამობნელდა თუ არა, ხელოსნებმა ყუთები დაჭედეს და თოკებით ამომშრალ ჭაში ჩაუშვეს. ზედ მზესუმზირას ღეროს კონები გადააფარეს.

— ახლა შინ წადით, — უთხრა ხელოსნებს მამინაცვალმა, — ნურაფერზე იჯავრებთ, — თეთრები თქვენამდე ვერ მოვლენ.

წასვლისას ხელოსნები მდაბლად უკრავდნენ თავს მამინაცვალს, თითქოს რაღაცის მიტევებას სთხოვდნენ.

გვიან მივხვდი, რომ ეს მართლაც ასე იყო. მამინაცვალი ყველას მაგივრად აგებდა პასუხს. ხელოსნებს გაჰყვა ნიკიტა როიც...

ის-ის იყო, ხალხი დაიშალა, რომ ბალაბანოვოში თეთრები შემოვიდნენ.

გავიდა ღამე. დადგა გრძელი, მშფოთვარე და გულის გამაწვრილებელი დღე. ჩვენთან არავინ მოდიოდა.

— იქნებ ხელი არ გვახლონ? — თქვა დედამ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მამინაცვალმა, — განა რა დავაშავეთ?...

მაგრამ ჩვენთან მოვიდნენ. უკვე დაბინდებული იყო. მზე მდინარის გაღმა ჩაესვენა და სოფელი საღამოს მყუდროებამ მოიცვა. ორმა ოფიცერმა და სამმა ჯარისკაცმა ჭიშკარზე მოგვიკაკუნა, სახლს მოუახლოვდნენ, ერთ-ერთი კართან მოვიდა და მამინაცვალს დაუყვირა, გამოდიო.

მამინაცვალმა ხალათი გაისწორა, ჟილეტი შეიკრა, შეჭაღარავებული ქოჩორი გადაივარცხნა და აივანზე გამოვიდა. ასე გამოვიდა ის წითელარმიელთა მწყობრის წინაშეც. ოფიცრები რაღაცას უყვიროდნენ, მუშტებს ცხვირწინ უტრიალებდნენ. ერთმა, რომელსაც ხელთათმანები ეცვა, სილა გააწნა. მამინაცვალმა თავი დახარა. ჯარისკაცებმა ხელები ზურგს უკან გადაუგრიხეს და ფარდულში წაათრიეს.

მალე ხმამაღალი ბღავილი მოგვესმა. დედა გამოვარდა და ფარდულს მიაშურა. ვიღაცამ დაარტყა, ერთხელ, მეორედ, დედა დაეცა, შემდეგ ადგა და წელში გამართული, მშვიდი

ნაბიჯით წამოვიდა. მაგრამ აქ ბრმა ცხენივით, კედელ-კედელ დაიწყო ტრიალი, მერე იატაკს დაასკდა და ყურები დაიცო, რომ მამინაცვლის ყრუ, კბილებში გაცრილი გმინვა არ გაეგონა.

დაღამებული იყო, როცა დედამ მეზობელი მოხუცის დახმარებით ცოცხალ-მკვდარი მამინაცვალი სახლში შემოიტანა და ლოგინზე დადო. კუთხეში მივიყუჟე და თვალის დაუხამხამებლად შევცქეროდი მამინაცვლის შეცვლილ, ჩაშავებულ სახეს. თვალები დახუჭული ჰქონდა, ოდნავადაც კი არ ინძრეოდა. მაგრამ, როცა დედამ წყალი მიაწოდა, მოგვესმა ხრიალი — მაშასადამე ცოცხალი იყო.

— ეს ხომ მამაა, კოლია, — მითხრა დედამ, როცა შენიშნა, რომ შევშინდი, — მიდი, მიუახლოვდი, ეს ხომ მამაა...

მაგრამ მე ღუმელზე ავძვერი და იქიდან ვეღარაფრით გადმომიტყუეს. მხოლოდ დილით დავტოვე ჩემი თავშესაფარი. მამინაცვალს თვალები გაეხილა და ამ მშობლიური, თაფლისფერი კეთილი თვალებით ვიცანი. შევხედე მის შეტრუსულ ულვაშებს, ჩაცვენილ ლოყებს, შეჭაღარავებულ წვერს, მთლად გათეთრებული თმის სველ კულულებს და პირველად იყო, რომ კბილი კბილს ვეღარ დავაჭირე, ავტირდი.

მამინაცვალი ჩემკენ მობრუნდა.

— მომიახლოვდი, — მითხრა მან, — შენც მოდი, მარია.

როცა მივუახლოვდით, მტკიცედ დაილაპარაკა:

— პერანგი ამიწიეთ, — ჩვენ ვაყოვნებდით, — მან დაუმატა: — ასეა საჭირო.

დედამ ხელების კანკალით შეუსრულა თხოვნა. დავინახეთ ჩალურჯებული, დაბეჟილი, გასიებული და აჭრელებული ზურგი.

— მაგრად ვუცემივარ? — იკითხა მამინაცვალმა.

— მაგრად, — წაიჩურჩულა დედამ.

— მაშასადამე, მეკუთვნოდა კიდეც, — თქვა მამინაცვალმა და დახეთქილი ტუჩებით გაიღიმა.

ვუყურებდი ცრემლიანი თვალებით და აღარ ვტიროდი. სახე დაუწყნარდა, დაუმშვიდდა და გამხიარულდა კიდეც.

ღამე გვერდით მივუწექი. მინდოდა გამეთბო, აურჟოლებ-

და. კანკალი მეც გადამედო. გრძნობდა, რომ ვძაგძაგებდი და მეუბნებოდა:

— არაფერია, შვილო, არაფერი, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენი სიმართლეც მოვა.

მართლაც, სიმართლე ცხრა მთას იქით როდი იყო. სულ მალე სოფელში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს: აწ და მარადის...

ერთხელ ეზოში ორი სამხედრო შემოვიდა, ლამაზ, წაბლა ცხენებზე ისხდნენ. მათ მამინაცვალს დაუძახეს. ახლა კი მესამედ ჩამოიწია მამინაცვალმა ხალათი, თმა გაისწორა და მძიმე, ნელი ნაბიჯით გავიდა აივანზე. ერთ-ერთი სამხედრო ჩამოქვეითდა, მამინაცვალს გადაეხვია, ტუჩებში აკოცა და წითელი არმიისათვის გაწეული დახმარების ჯილდოდ ვერცხლის საათი გადასცა...

10

მამინაცვალი გამოჯანსაღებისთანავე დაუბრუნდა თავის ხელობას და მალე მთელ მხარეში ცნობილი გახდა, როგორც საუკეთესო მეჩექმე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მამინაცვალი მაგარ ფეხსაცმელს კერავდა. ეს მართლაც ასე იყო. საქუსლეებს ფისით ამაგრებდა, ძირს უსპირტავდა. არც ერთი ხარაზი ასე არ კერავდა. იმ მხარეში. ამიტომ საქმე არ ელეოდა. ყველა ახლო-მახლო სოფლიდან მოდიოდა მუშტარი.

1923 წლის შემოდგომაზე ცალხელა ნიკიტა როიმ გაბედნიერება მოინდომა და დაქორწინდა. თუმცა, მისი ჯარისკაცური გული განვლილი ბრძოლების ცეცხლზე ნაღვლობდა, მაინც ნამდვილად ბედნიერი იყო თავის მეუღლესთან. მან შეირთო ერთი არც ისე ახალგაზრდა, ბრუტიანი, მაგრამ ვაჟკაცური ქალი. ქილები, ქვაბები, სატაცები მთელი დღე ხმაურობდა მის ხელში. ხშირად მათ ღუმელის ნაცვლად ნიკიტა როის თავისკენ გააქანებდა ხოლმე. კიდევ კარგი ელამი იყო, თორემ ნიკიტა უთავოდ დარჩებოდა. რაკი ადამიანებზე ჩემი შეხედულებები მქონდა, ვცდილობდი, ამ ჯუჯღუნა დედაკაცის კულაკური წარმოშობა დამედგინა.

შეუძლებელი შეიქნა ნიკიტასთან ცხოვრება. მამინაცვალ-შა მეზობელ სოფელ პოზდნეევკაში გამოძებნა ბინა. ჩვენი გამგზავრების ღამეს საშინელი ყინვა დაიჭირა. მოტიტვლე-ბული, ჯერ კიდევ თოვლით დაუფარავი მიწა რკინასავით გამაგრებულიყო და სკდებოდა. საზიდრის თვლები წარამარა ოღრო-ჩოღრო ადგილებში ვარდებოდა. მამინაცვალს და შეეტლეს უხმოდ ამოჰქონდათ ბორბლები, ლანძღვა-გინება ასეთ ყინვაში შეუძლებელი იყო.

ქურქებსა და საბნებში გახვეულს მალე ჩამეძინა, მაგრამ როგორც კი გავინძრეოდი, ყინვა ჭუჭრუტანას პოულობდა, შიგ მოძვრებოდა და ძვლებში. მატანდა, მაშინ მეღვიძებოდა. საზიდარი იდგა. უფროსები ბორბლებს ეჭიდებოდნენ. ამ ამბავმა წარსული გამახსენა. მომაგონდა, როგორ ჩავეფალით ტავრიის მლაშობ სილაში. მაგრამ ჩვენ მაინც მივდიოდით: დილით გამომეღვიძა და ყინულოვანი ველის ნაცვლად უკვე დაბალი ქოხის წინ ვიდექით ფართო ქუჩაზე.

შევედით კარგად გამთბარ ქოხში. გახდა დავიწყე. დედა მამინაცვალს შველოდა ბარგის გადმოზიდვაში. მეჩვენებოდა, თითქოს ვსივდებოდი: თავი ბურთივით მეზრდებოდა, ტუჩები და ცხვირი მექერცლებოდა. თანდათანობით ვეჩვეოდი ოთა-ხის სითბოს.

— რა გქვია?

ეს კითხვა მომცა ჩემი ხნის ხოჭოსავით შავმა ყმაწვილმა, რომელიც დილის ბინდბუნდში არც შემინიშნავს. ვშიშობდი, ყინვისაგან დასიებული ტუჩებით ვერ დავილაპარაკებ-მეთქი, მაგრამ მოულოდნელად გასაგებად წარმოვთქვი ჩემი სახელი.

— კოლია, შენ იცი, რომ ლენინი მოკვდა? — მითხრა ხოჭოსავით ბიჭმა.

— არა, — მხნედ ვუპასუხე კმაყოფილმა, რადგან ეს ბიჭი ჭშველოდა, რომ ნაცნობობა გაგვება, — ვინ არის ლენინი?

ბიჭმა რაღაც უცნაურად შემომხედა, ტუჩები დაბრიცა, ხელი მომიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სილა გამაწნა.

გაყინულ ლოყაზე ტკივილი არ მიგრძვნია, მაგრამ ბიჭის საქციელით განაწყენებულს ცრემლი მომერია. როცა დედა ქოხში შემოვიდა, ჩემი შეურაცხყოფის ამბავი მოვუყევი,

მაგრამ მას არც დავუმშვიდებივარ, ხელი ხელს შემოჰკრა და თვალებიდან ცრემლები წასკდა.

— გაიგე, რა თქვა სახლის პატრონის ბიჭმა? — უთხრა მან მამინაცვალს ბოშურად, — ლენინი გარდაცვლილა.

— ვაჰ.. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მამინაცვალმა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

მე კი ვფიქრობდი: ვინაა ეს ლენინი ასეთი, მის სიკვდილზე ხალხი რომ ტირის, კვნესის, ბორგავს-მეთქი? — ბოლოს გადავწყვიტე, მამინაცვლისათვის მეკითხა.

— რა ბრიყვია ჩვენი კოლია! — ამოიოხრა მამინაცვალმა, — არ იცის, ლენინი ვინაა!..

მამინაცვალს დიდი ჯახირი, მრავალი სიტყვა, ოხვრა და კვნესა დასჭირდა, ვიდრე მიმახვედრებდა, რომ ლენინი არის ყველაზე დიდი და საუკეთესო წითელი მხედარი. ამის შემდეგ უკვე აღარც სახლის პატრონის ბიჭზე მომდიოდა გული და არც იმაზე, რომ მან სილა გამაწნა. რა თქმა უნდა, ვერ დაიჯერებდა, რომ არ ვიცოდი, ვინ იყო ლენინი და ჩემი სიტყვები დაცინვად მიიღო.

დავსახლდით ძველ ქოხში, რომელიც დიდი ხეხილის ბაღის ბოლოს იდგა. ეს ბაღი ჩვენი სახლის პატრონის — მებაღე ჩერნოვის სიამაყეს წარმოადგენდა. ჩერნოვის ვაშლი მთელ იმ არემარეში იყო ცნობილი.

შეუდარებელი იყო ბაღი გაზაფხულზე, როცა მოთეთროვარდისფერი, ორთქლისებური ქაფი ქუდივით ეხურა ხეებს. ვარდისფერი თოვლით ეგებებოდა ის ზაფხულის მოსვლას. აგვისტოში ნაყოფით დამძიმებული თითქოს ბურანში ეხვეოდა და ქარიც ვეღარ ერეოდა მის მძიმე, დაყურსულ ტოტებს. შემოდგომაზე კი მისი ტოტები მიწისკენ იხრებოდა და საბიჯგებს ამტვრევდა. ვაშლის ხეები ემსგავსებოდნენ ძეწნებს, რომელთაც წყალში ჩაუშვიათ მწვანე ნაწნავები.

...სექტემბრის ბნელი ღამე ეფინება მიწას. ხის კენწეროები ოდნავ ანათებენ, უხილავ მთვარის სხივებს იჭერენ. ქარმა ისე ყრუდ ამოიხვნეშა, თითქოს ძილიდან გამოერკვაო, მიწაზე ჩამოვარდა ვაშლი. კაკუნით დაეცა პაწაწინა ჩინურა.

აი, მთელი სიმძიმით, ბოხი ხმით ვარდება ძირს მსხალი, — დავმწიფდიო.

რაც უფრო ახლოა შემოდგომა, მით უფრო ხშირად ცვივა ხილი მიწაზე, თითქოს დოლს უკრავენო.

საათობით შემეძლო მესმინა მწიფობის მუსიკა. საპასუხოდ მიწვევდა: ჩემი ციმბალი არსად რეკდა ასე სუფთად, როგორადაც ამ ბაღში, ხოლო ხილის მკრეფავი, ხილფაფის მხარშავი. და მთოხნავი გოგონები სამუშაოს მიატოვებდნენ ხოლმე და ჩემი ციმბალის მოსასმენად მოეშურებოდნენ.

ასე ვცხოვრობდი უდარდელად, უზრუნველად ხეებს შორის. ფუტკრის ბზუილით, ბზიკების ზუზუნით და ციმბალის ხმით ვტკბებოდი. ვგრძნობდი ოჯახურ სითბოს ათასი ტანჯვის შემდეგ და ოდნავადაც არ ვფიქრობდი მომავალზე. ვიყავი მაძღარი, ჩაცმული, დახურული. საათიც ვიშოვე, ისეთი კი არა, ძია პეტიას რომ ჰქონდა, — ჩემი საათის ისრები მოძრაობდა. ყოველ წუთში დავცქეროდი, თუმც არსად არ მეჩქარებოდა. წითური ჭაბუკისაგან - ნაანდერძევმა შურისძიების გრძნობამ დაწყნარებულ სულში მიიძინა. იშვიათად, როცა ჩემს ცხოვრებაზე დავფიქრდებოდი, თავს ვეუბნებოდი, ხეტიალისა და უბედურების ხანამ განვლო, ჩვენი სიმართლე მოვიდა და ახლა სხვა საზრუნავი არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ ვიმღერო, ყვავილების სურნელებით დავტკბე და სტომაქი ვაშლით ამოვიყორო-მეთქი...

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ მე უნდა გადავქცეულიყავი ერთ იმ ზარმაც, არაფრისმაქნის ახალგაზრდა ბოშად, რომლებიც ფრინველების მსგავსად, კეთილი ხალხის წყალობით ირჩენენ თავს.

მაგრამ ერთმა შემთხვევამ დაარღვია ჩემი უწყინარი ცხოვრება და გადამარჩინა. პოზდნეევკაში ყოფნის მეორე წელს დედამ გადაწყვიტა, სკოლაში მივებარებინე. თვით იმ ბოშებსაც კი, რომლებიც მოხეტიალე ცხოვრებას აღარ ეწევიან, ჩვეულებად არ ჰქონდათ ბავშვების სკოლაში მიბარება. მაგრამ შორს ვიყავით ჩვენი ტომისაგან და რუსების ყველა ჩვეულებას შევეთვისეთ. თუმცა მეხარბებოდა თანატოლები წიგნებსა და გაზეთებს რომ კითხულობდნენ, სკოლაში წასვ-

ლა მაინც არ მინდოდა. მაფიქრებდა ისიც, რომ თხუთმეტი წლის ყმაწვილს პირველ კლასში, პატარა ბავშვებთან მომიხდებოდა ჯდომა.

გამხდარი და თხელი, მაგრამ საკმაოდ მოსული, ფაართო მხარბეჭიანი ბიჭი ვიყავი. ზედა ტუჩი, თითქოს მური მომისვესო, ისე მქონდა ჩაშავებული. მასწავლებელმა, მიუხედავად დედაჩემის მუდარისა, სასტიკი უარი თქვა ჩემს ჩარიცხვაზე. მაგრამ მამინაცვალმა წინკარში თხის ტყავის ფეხსაცმელი დაუტოვა და ამით დაიყოლიეს.

ის დღე, როცა სკოლაში წასასვლელად მრთავდნენ, დედაჩემისათვის დიდი დღესასწაული იყო. თურმე დიდი ხანია ემზადებოდა ამ ზეიმისათვის. ახალთახალ ტანსაცმელში გამომაწყვეს. ზოლებიანი შარვალი, ამოქარგული, გვერდზე ჩახსნილი ხალათი და ტყავის ჩექმები მეცვა. თავზე წებოსსუნიანი კარტუზი მეხურა. როცა თიკნის ტყავის ზურგჩანთით სკოლისაკენ გავწიე, დედა დიდხანს მიქნევდა ჩითის თავსაფარს და იმავე თავსაფრით იწმენდდა ცრემლებს.

სკოლიდან სოფლელი დარაჯის მიკულას ფარაჯით მომიტანეს...

პოზდნეევკის სკოლა მოთავსებული იყო ერთ დიდ ოთახში, სადაც ხუთივე კლასი ერთად მეცადინეობდა. მასწავლებელი მათთან რიგრიგობით ატარებდა მეცადინეობას. როგორც კი პატარა ბიჭთან დავჯექი, რომელიც ბეჭებამდე ვერ მწვდებოდა, სიცილი დამაყარეს. ცხადია, ჩემი აყრილი ტანით, განიერი მხრებითა და ხუჭუჭა ქოჩრით სასაცილო ვიყავი პირველკლასელებს შორის და გულში არც ვამტყუნებდი მათ ამ დაცინვისათვის. ვფიქრობდი, მიმეჩვევიან, თავს დამანებებენ-მეთქი. მოთმინებით ვიღებდი თმიდან დაღეჭილი ქაღალდის ბურთულებს, რომლებსაც უფროსკლასელები მესროდნენ.

პირველ დასვენებაზე გავიგე, რომ ჩემი ხნოვანება თურმე არაფერ შუაში იყო. დამცინოდნენ შავი, ხუჭუჭა თმებისა, შავგვრემანი სახისა და მაგარი „რ“-ს გამოთქმის გამო.

ყოველი უფროსკლასელი ცდილობდა ჩემთვის მუჯლუგუ-

ნი ეთავაზებინა, ფეხი დაებიჯებინა, ეჩქმიტა და თმები მოეწეწა.

— უჰ, შე შავტუხა!...

— ეი, ბოშავ, ცხენი მოიპარე?...

— ბოშა ქურდია!...

ერთ-ერთმა ოხუნჯმა ფრჩხილებიც კი გამიწკაპუნა თავზე. თითქოს მკბენარები მოეკლას.

— ტილიანი, ტილიანი ბოშა!... — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

სკოლის კედლების პატივისცემა რომ არა, ალბათ თავს ვერ შევიკავებდი და სილას გავაწნავდი ზოგიერთს. ვერც წასვლა გადამეწყვიტა, — ცოცხლად მედგა თვალწინ დედაჩემის ბედნიერი, ნამტირალევი სახე.

პოზდნეევკა რამდენიმე „მხარედ" იყო დაყოფილი. მილიონოვკა — კულაკებისა და მდიდრების მხარე; ცაპოვკა — სოფლის ღატაკებისა და ტავრიია, სადაც ბინადრობდნენ ყველა ჯურის ხელოსნები, ჩემი მამინაცვალისმაგვარნი, სადგურის მოსამსახურეები, მებაღეები.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ შევნიშნე, რომ მხოლოდ თითო-ოროლა მოწაფე წავიდა ტავრიისაკენ, დანარჩენები კი მილიონოვკისაკენ გაემართნენ. ყველაფერს მივხვდი. კულაკთა შვილების მაძღარი, ჩასუქებული სახეები დავინახე და დავრწმუნდი, რომ მათ მუდამ ვეძულებოდი.

როდესაც ძველი ეკლესიისაკენ ჩავუხვიე, ჩემს შესახვედრად მთელი ჯგრო გამოვიდა. ეტყობა, ქვემოდან დამიარეს თავს.

— შენ, ბოშათა ნაშიერო, თუ კიდევ შემორგავ თავს სკოლაში, დრუნჩს მოგიქცევთ, — დამემუქრა ჯგროს მეთაური.

ჩუმად განვაგრძე გზა. ავდუღდი, ჩხუბის არ მეშინოდა, მაგრამ დედამ რომ დიდი სიყვარულით დამიუთოვა ახალი ხალათი და ზოლებიანი შარვალი, ის მენანებოდა. ვიღაცამ უკნიდან სარმა გამომდო. ხელი მოვიქნიე და დაუმიზნებლად ვუთაქე სიფათში...

სამიკიტნოდან მობრუნებულ კოჭლ დარაჯ მიკულას შამბ-

ნარში ვეპოვე ნაცემ-ნაბეგვი. საშველად გამვლელი მოეხმო და ორივემ შინ მიმიტანა.

საწყალი დედაჩემი ისე შეწუხებული იყო, მზად ვიყავი ყოველდღე მოვეტანე ფარაჯით, ოღონდ სკოლაში დავრჩენილიყავი.

— რიღათი წახვალ, ჩემო საწყალო ბიჭო, — ოხრავდა დედა და ჩვრებადქცეულ ახალ ტანსაცმელზე მითითებდა.

სწავლა მწყუროდა, ცემითაც ვერ განდევნეს ჩემი გონებიდან ბრძნული ასო „ფ"-ს მშვენიერება, რომელიც შევიგრძენ ჩემს ბავშვობაში პირველ და ერთადერთ გაკვეთილზე. რაც მთავარია, კულაკთა შვილების ჯიბრზე სწორედ ახლა მწყუროდა სწავლა, რადგან მათ გამაგდეს სკოლიდან.

ჩვენი სახლის პატრონის ჩერნოვის შვილმა, რომელიც სილის დარტყმით მომესალმა პოზდნეევკაში გამოჩენისთანავე, იკისრა ჩემი დახმარება. ის მაძლევდა სახელმძღვანელოებს, რვეულებს და ორ თვეში დავძლიე პირველი ორი კლასის სიბრძნე. არასოდეს დამავიწყდება, როგორ განცვიფრდა დედა, როდესაც ჩაის კოლოფზე ამოვიკითხე „ჩინური ჩაი, ხარისხი ნომერი სამი".

— ეს ბიჭი რაღაც სასწაულია, — თქვა დედამ, ატირდა და ნება დამრთო ყოველდღე მეტარებინა დაკერებული ზოლებიანი შარვალი. თანაც ოცდაათ კაპიკად მიყიდა მუშამბისყდიანი რვეული.

იმ წელიწადს არაჩვეულებრივად თბილი შემოდგომა დადგა. თითქოს ცხელოდა; მეორედ აყვავდა ალუბალი. ვიჯექი ალუბლის დაბურულ ყვავილებში და ციმბალს ვუკრავდი. მაგრამ წინანდებურად უდარდელი აღარ ვიყავი. სკოლაში სიარულის ხანმოკლე და სევდიანმა გამოცდილებამ საუკუნოდ დამანაღვლიანა. ბაღს ირგვლივ ყრუ, მაღალი ღობე ერტყა. ღობეს გადაღმა სხვა, მტრული სამყარო იყო. ერთხელ ვცადე გასვლა, დავმარცხდი, მაგრამ დიდ ქვეყანაში გასვლაზე სამუდამოდ უარის თქმასაც არ ვაპირებდი. უკვე ვიცოდი, მისკენ ორი გზა მიდიოდა: ან მორჩილება, ან ბრძოლა, მთელი ჩემი მცირე გამოცდილება უარყოფდა მორჩილების გზას. ეჰ, სად იყო წითური ჭაბუკი, თორემ ვაჩვენებდით სეირს

ჩასიებულ მილიონოვკელ ბობოლებს! ოცნებაში მაცდუნებელი სურათები მესახებოდა. ოცნებას ერთოდა ციმბალის ხმა, რომელიც ახლა მრისხანედ ისმოდა, ბრძოლისაკენ მომიწოდებდა.

როცა ასეთ ოცნებას ვეძლეოდი, მწუხარებით ვგრძნობდი, რომ მათ განხორციელება არ ეწერათ. ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ათეული სხვა „წითური ჭაბუკი" ცხოვრობს ჩემს გვერდით. ისინი იბრძვიან არა ოცნებაში, არამედ საქმით. იბრძვიან ღარიბ-ღატაკ ადამიანთა თავისუფლებისათვის...

ერთხელ ბაღში ვიყავი და ხმადაბლა ვუკრავდი ციმბალზე. უცბად თვალი მოვკარი, როგორ ამოვარდა მაღალი ხავსმოკიდებული ღობის ერთ-ერთ ფიცარში მრგვალი კორძი და თვალური ჭუჭრუტანა გამოჩნდა,—ვიღაც ცისფერთვალა მიყურებდა. ციმბალი დავაგდე და ფეხზე წამოვხტი. თვალები გაქრა და ჭუჭრუტანაში მზის სხივები აციალდა. სწრაფად ავფოფხდი ღობეზე და დავინახე, რომ კუთხეში თეთრმა კაბამ კაიელვა.

ჩემი ციმბალი ხშირად იზიდავდა მსმენელებს ღობის გაღმა. დაძაბული დუმილი იდგა, როცა ვმღეროდი და ვუკრავდი, მაგრამ როცა ვდუმდებოდი, ისინი კამათობდნენ, რამდენი სიმია ციმბალში, რითი უკრავენ: ჯოხით, ნაფოტით თუ უბრალოდ თითებითო. ამას დიდი ხანია მივეჩვიე და ყურადღებას აღარ ვაქცევდი. მაგრამ ახლა მოუთმენლად ველოდი მეორე დღეს. მოვა თუ არა თეთრკაბა და ჟუჟუნათვალებიანი გოგონა? მოვიდა და თავიდან განმეორდა ყოველივე. ღობეს ვეცი და თეთრი კაბის ბოლოს მოვკარი თვალი, თითქოს ვიღაცამ თავსაფარი დამიქნია დამშვიდობების ნიშნად...

ერთხელ, შევნიშნე თუ არა ჭუჭრუტანაში იგივე თვალები. შემოვბრუნდი, თითქოს არაფერიაო და მეორედ აყვავებულ გვირილას გავუშტერე თვალი. ციმბალს კი უფრო მკაფიოდ და თავდავიწყებით ვაწკრიალებდი. უეცრად, — ამას ცალი თვალით ვხედავდი, — ღობეზე გამოჩნდა ქერა ნაწნავების გვირგვინი, შავგვრემანი სახე და მას მოზრდილი გოგონას თეთრკაბიანი ტანიც ამოჰყვა. ღობეზე შემოჯდა და ფეხები ძირს ჩამოუშვა. მე განგებ გავიზმორე, დავამთქნარე და ციმ-

ბალი გვერდზე გადავდე. ვზივარ ჩემთვის და ვათვალიერებ გვირილას, თითქოს ასეთი მეორე არ მენახოს.

— დაუკარი! რად არ უკრავ, ბიჭო?

— მე რა, დაქირავებული ხომ არა ვარ?

— რა უხეში ყოფილხარ. — თქვა გოგონამ, — რა ჰქვია შენს საკრავს?

— ციმბალი. ნუთუ არ გინახავს?

— არ მინახავს.

— აიღე და ნახე, არ მენანება...

გოგონა ღობიდან ჩამოხტა და ნელა, ისე ფრთხილად მომიახლოვდა, თითქოს საცაა გაიქცევაო. ახლოს მოვიდა, მან ციმბალს დაუწყო თვალიერება, მე კი მას. საკვირველია, მივშტერებოდი, სულ ახლოს იყო, მაგრამ რატომღაც შორიდან უკეთ ვხედავდი. რაღაც ოქროსფერი ლივლივებდა, იბინდებოდა ჩემს წინ და გარკვეულად ვერაფერს ვარჩევდი.

— როგორ უკრავენ ამაზე? — მკითხა გოგონამ.

— სრულიად უბრალოდ, — ვუპასუხე, მაგრამ დაკვრა ვერ გადამეწყვიტა. მეგონა, არაფერი გამომივიდოდა.

— გმადლობთ, — თქვა გოგონამ და უკან, ღობისკენ წავიდა. იქ შემოტრიალდა და ნახვამდისო, დამიძახა.

ღობეზე აცოცდა, ისე გაიელვა მისმა თეთრმა კაბამ, თითქოს თავსაფარი დამიქნია ვინმემ გამოსამშვიდობებლადო და გაქრა.

დიდხანს ვიჯექი ხის ძირას მოწყენილი და გაბრუებული. როგორი მოუქნელი და მშიშარა ვარ! განა ასე მოიქცეოდა გოგონასთან ნამდვილი ბოშა! ციმბალზე დაკვრა რომ მთხოვა, უნდა მეთქვა, მუსიკას გასწავლი. სამაგიეროდ მაკოცე-მეთქი, გოგონა მაკოცებდა...

და აი, ისევ დადგა საღამო, დრო, როდესაც ჩვეულებრივად გამოდიოდა გოგონა. კულულებზე ხის ზეთი წავისვი და ბაღში გავედი. ამჯერად ის ღობეზე იჯდა და მელოდებოდა.

— გამარჯობა, მეციმბალევ! — თქვა მან და ჩამოხტა.

— გაგიმარჯოს, — ვუპასუხე გახარებულმა და თან გაოცებულმა. მიხაროდა, რომ გოგონას გამოხუნებული ნაწნა-

ვებიდან მოყოლებული ქუსლებჩათელილ ფეხსაცმელებამდე სულ ვხედავდი. ვხედავდი მის შავგვრემან დიდპირა სახეს, ცისფერ თვალებს, ისეთი გრძელი წამწამები ჰქონდა, რომ ბოლოები გადახლართოდა კიდეც, ვხედავდი მის გამხდარ ლავიწებს და მწერებისაგან დაკბენილ ხელებს.

საოცარი კი იყო, მაგრამ უცებ დავმშვიდდი და ძალიან გარკვევით ავუხსენი, როგორ უნდა ციმბალზე დაკვრა. მაგრამ გოგონას სმენა არ ჰქონდა, ციმბალი მალე მოსწყინდა და ალუბლის ძირში, ბალახზე წამოწოლილებმა საუბარი გავაბით. ძალიან მინდოდა გამეგო, რა ერქვა, მაგრამ კითხვა ვერ გამებედა. რატომღაც მრცხვენოდა. მეგონა, მის საიდუმლოებათა საგანძურში შეჭრას ვცდილობ-მეთქი. მან კი საიდანღაც უკვე იცოდა ჩემი სახელი. მეძახდა კოლიას და ამით მიორკეცებდა სურვილს მისთვისაც სახელით მიმემართა. ჩვენ ვლაპარაკობდით წიგნებზე, რომლებიც მას წაეკითხა. მე კი მაშინ მხოლოდ სახელმძღვანელოებს ვკითხულობდი. ის მიყვებოდა წიგნებიდან ამოკითხულ სხვადასხვა ამბებს. მე ხან გაკვირვებას გამოვხატავდი, ხან შიშს, ხან ბრაზს, ხანაც აღტაცებას. ვთვალთმაქცობდი: არაფრად მაინტერესებდა ეს ამბები, მაგრამ მიხაროდა, რომ ვუცქეროდი და მისი ხმა მესმოდა.

არ შეგვინიშნავს, როგორ ჩამოწვა ბინდი. ჩვეულებრივ ამ დროს დედა ვახშმად მეძახდა, მაგრამ ახლა ვერ გავიგონე მისი ძახილი. და მოულოდნელად შევნიშნე, რომ თავზე წამოგვდგომოდა. ის დიდი ინტერესით ათვალიერებდა გოგონას. თითქოს მის წინ დიდი საკვირველება ყოფილიყოს.

დარცხვენილები წამოვხტით.

— წამოდით, ვახშამზე დაგვეწვიეთ, — მოიპატიჟა დედამ გოგონა.

— რას ბრძანებთ!.. რას ბრძანებთ! არა!... — უპასუხა შეშინებულმა გოგონამ.

— რა თქმა უნდა, ჩვენ რომ ბოშები არ ვიყოთ...

— აბა, რას ბრძანებთ! როგორ გეკადრებათ! — თქვა გოგონამ და შესაბრალისად, უმწეოდ დაიწყო თითების მტვრევა.

— არა, ბოშები რომ ვართ, იმიტომ გეზიზღებით, — შეუბრალებლად გაიმეორა დედამ.

მაშინ გოგონა ადგა და ვახშმად წამოვიდა.

მამა ლამპის შუშას წმენდდა, ოთახში ნახევრად ბნელოდა.

— მე ვუძახი, ეს კი დამდგარა და სატრფოს ეჭუკჭუკება!

ასანთი აინთო ოთახში და ჩემი აწითლებული სახე გაანათა.

— გამარჯობა, — უთხრა მამინაცვალმა გოგონას, — რა გქვია?

— კატიუშა... — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მან.

ასე უბრალოდ ამოვხსენი მისი სახელის საიდუმლოება...

უფრო გვიან წიგნებში წავიკითხე, რომ შეყვარებულები ძილსა და მოსვენებას კარგავენ, არ ჭამენ, არ სვამენ, როცა ვინმე რამეს შეეკითხება, აზრი არ ესმით და სულ სხვა რამეს უპასუხებენ, ვერ ამჩნევენ ირგვლივ ვერაფერს. იმ დროს ციდან ჩამოფრენილივით ვიყავი, თითქოს იმ წიგნებიდან მოვსულიყავი. ჭამას ვუკელი, შეკითხვებზე ძლივს ვიძლეოდი პასუხს. ღამით არ მქონდა ძილი და ლოგინში ვბორგავდი. დედა შეშფოთდა. ეგონა, ავად გავხდი. მამინაცვალს შესჩივლა, ვინ მოვიწვიოთ, ექიმი თუ ექიმბაშიო?

— არც ექიმია საჭირო და არც ექიმბაში, — განაცხადა მამინაცვალმა. — ამ ავადმყოფობას არ მკურნალობენ. ეტყობა ბიჭში გრძნობამ გაიღვიძა.

— რატომ გგონია? — შიშით შეჰკივლა დედამ.

— მე არც ჭამა შემეძლო, არც ძილი მქონდა, ცხენსაც უკუღმა ვაბამდი, შენ რომ გაგიცანი...

დედა გაწითლდა და თავი გამანება.

შომდევნო დღეებში დედა მეზობელ ქალებში დარბოდა, ჩუმჩუმად რაღაცას გამოჰკითხავდა ხოლმე მათ და ერთ დღეს მითხრა, შენი მეგობარი გოგონა მილიონოვკაში ცხოვრობს მდიდარ ოვსეი ერმოლინის სახლშიო, დედას უნდოდა ესიამოვნებინა, გული კი მატკინა, პირველ შეხვედრისთანავე ვკითხე კატიუშას:

— შენ კულაკი ხარ?

— არა, — მიპასუხა მან, თან ხელები გაასავსავა. — არა, არა! — გაიმეორა შიშით და ატირდა.

მეორე დღეს დედაჩემმა კატიუშას თავგადასავალი მიამბო.

მდიდარი კულაკის შვილი პავლე ერმოლინი ბავშვობაში ცხენიდან გადმოვარდნილა და ხერხემალი გასტეხია. ზურგზე კუზი ამოზრდია. ბავშვები დასცინოდნენ თურმე. დაცინვისაგან მამის სიმდიდრემაც ვერ იხსნა. მართალია, ოვსეი ერმოლინს ექვსი უღელი ხარი, ორი ფარა ცხვარი, სტანიცაში ყველაზე ცქვიტი და ფერდსავსე ცხენები ჰყავდა, მისი ბეღლები მუდამ სავსე იყო მარცვლით, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო სტკიოდა გული, როცა მის უბედურ შვილს დასცინოდნენ. ოვსეის მშობლის თავმოყვარეობა შელახული ჰქონდა და ბიჭისათვის სიმახინჯე ვერ ეპატიებინა. არასოდეს არ ჩაგრავდა, არ სცემდა, მაგრამ თითქოს მის არსებობასაც ვერ ამჩნევდა.

პატარა კუზიანი უკარება იზრდებოდა, თავს არიდებდა თანატოლებს, გაურბოდა შინაურებს. წყნარი, ჩაფიქრებული და გულჩათხრობილი ბიჭი გახდა. ერთხელ კი მამას სთხოვა, გარმონი მიყიდეო.

— რად გინდა, ხელშიაც ვერ დაიჭერ, — ზიზღნარევი შეცოდებით გამოეხმაურა ოვსეი, მაგრამ გარმონი უყიდა.

სულ მალე პავლე ერმოლინი პირველი მეგარმონე გახდა არა მარტო პოზდნეევკაში, არამედ მთელ ოლქშიაც. მისი თხელი, გამჭვირვალე თითები სასწაულს აწდენდა და ხალხმაც შეიყვარა, აღარ დასცინოდნენ. სოფელში არც ერთი ქორწილი, არც ერთი დღეობა არ ჩატარდებოდა პავლე ერმოლინის გარეშე. პავლე საბერველს სახეს მიაყრდნობდა, ბობოქარ საცეკვაოს დაუკრავდა და ხალხიც ქარიშხალივით დაქროდა მის ირგვლივ ქანცის გაწყვეტამდე. უკრავდა სევდიან სიმღერებს და ხალხიც ცრემლად იღვრებოდა. დაუკრავდა მხიარულ, სახუმარო სიმღერებს და ყველანი იღიმებოდნენ, თითქოს ბედმა გაუღიმათო. პავლეს სიამოვნებდა წარმატება. სიამოვნებდა, რადგან გრძნობდა თავის გავლენას იმ ადამიანებზე, რომლებსაც, ვინ იცის, რამდენჯერ აუტირებიათ...

ოვსეი არ უშლიდა შვილს.

— მახინჯს ცოტა მოეთხოვება, — უთხრა ერთხელ. — საშუშაოდ სულერთია, არ ვარგიხარ, — დაუკარი, რაკიღა მოგწონს, მაგრამ ფულის აღება არ გაბედო, თორემ გარმონს თავზე გადაგამტვრევ.

მოხდა ისე, რომ პავლემ ღარიბი ქალიშვილი, დახატულივით მშვენიერი ულიანა შეიყვარა, ქალიშვილმაც სიყვარულით უპასუხა.

— ღატაკთან დაიჭირე საქმე? — უყვიროდა ოვსეი შვილს, — იცოდე, გაღლეტილს სახლში არ შემოვუშვებ! ჩემს ოჯახში ყველა წამოვა, ოღონდ ხელი დაუქნიე.

პავლე ხმას არ იღებდა, მაგრამ მთელს ოჯახს გაუჩინა თავსატეხი. ერთ დილას შინაურებს გაეღვიძათ და რას ხედავენ: პავლე ულიანასთან ერთად წევს საწოლში, მკედარივით ფერდაკარგულს თეთრი ხელები საბანზე გადმოუწყვია, ულიანა კი საწოლის კუთხეში მიკრუნჩხულა და ამოსუნთქვისაც კი ეშინია.

ოვსეი გაცეცხლდა. პავლეს თვალიც არ გაუხელია, წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— რაც გინდა, ისა ჰქენი, ჩვენ შევერთდით და ერთმანეთს ვეღარ დავცილდებით...

ოვსეიმ დახედა შვილის მკერდით ამობურცულ საბანს, ულიანას მშვენიერ სახეს, მის აფახულებულ წამწამებს, ლამაზ მხრებს, გადააფურთხა და თქვა:

— წყეულიმც იყავით!

და ღატაკი ქალიშვილი, პოზდნეევკელი ლამაზი ულიანა პავლე ერმოლინის კანონიერი მეუღლე გახდა. გადაუხდელი ქორწილის მეორე დღეს ოვსეიმ რძალი მუშაობაში ჩაება. ულიანა დღე და ღამე მინდორში იყო მოჯამაგირეებთან ერთად, მინდორშივე შობა ქალიშვილი კატიუშა.

პავლე ხედავდა, როგორ ჩაგრავდნენ მის ცოლს, მაგრამ ერთხელაც არ ეყო ნებისყოფა, თავი გაეწირა მისთვის, ოჯახში ყოველდღიურ ჩიჩინს წინ ვერ აღუდგა. დღესასწაულებზე არყის ყლურწვას მიჰყო ხელი. ყლაპავდა იმდენს, რამდენიც ეყოფოდა, რომ ეს ცხოვრება აეტანა. ისინი ასე ცხოვ-

რობდნენ: ოვსეი აგროვებდა გამოუსადეგარ სიმდიდრეს, ულიანა მუშაობდა მინდორსა და ბოსელში, შინ ბავშვის დასახედად თუ შემოირბენდა. პავლე უკრავდა და სვამდა.

ამის შემდეგ მხოლოდ ერთხელ გამოვლინდა მისი ხასიათის სიმტკიცე. ეს მოხდა მაშინ, როცა კატიუშა წამოიზარდა. სოფელში შემოიარა ულიანას ბიძამ, რომელიც ქალაქში, ფაბრიკაში მუშაობდა. მან პავლეს თანდასწრებით უთხრა ულიანას:

— არ მინდა, შენი ქალიშვილი კულაკად გაიზარდოს, გამოუშვი ჩემთან, სანამ მისი სული არ დაუმახინჯებიათ.

— რას ამბობ? ჩემი საყვარელი გოგონა, ჩემი პაწაწკინტელა!.. — ატირდა ულიანა.

მაგრამ პავლემ მტკიცედ უთხრა:

— გაჩუმდი ულიანა, წაიყვანოს, ამ სახლში მხოლოდ ან სულით, ან ფიზიკურად მახინჯები იზრდებიან.

პავლემ თვითონ მიუყვანა კატიუშა ულიანას პაპას და მათ იმ დღესვე დატოვეს სტანიცა. შვილიშვილის წასვლა რომ გაიგო, ოვსეიმ პირველად სცემა თავის მახინჯ შვილს, მაგრამ საქმე უკვე გათავებული იყო. ოვსეიმაც ბრაზი დაიცხრო და სამუდამოდ შეურიგდა ამ ამბავს.

კატიუშა ქალაქში სწავლობდა, არდადეგებზე ჩამოდიოდა მშობლების სანახავად, ცხოვრობდა ოვსეის სახლში, მაგრამ ოვსეის არასოდეს არ უცდია შვილიშვილი თავისთან დაეტოვებინა.

კატიუშას სტანიცაში მეგობრები არა ჰყავდა, — გოგონები ერიდებოდნენ ქალაქელს, თეთრი კაბის, თეთრი ქუდისა და თეთრი ტუფლების გამო დასცინოდნენ... ჩვენს ნაცნობობას კატიუშას მარტოობას უნდა ვუმადლოდე...

ერთხელ, ვახშმობისას, დედამისი ულიანა მოვიდა ჩვენთან. გამხდარსა და მზემოკიდებულს ღრმად ჩაცვენილი, მეტყველი თვალები ჰქონდა. ჩვენი სახლის პატრონის სალოცავ ხატს ჰგავდა.

— გამარჯობათ, მეზობლებო! — თქვა მან, — ჩემი ქალიშვილი თქვენთანაა?..

ალერსიანი ხმა და კეთილი თვალები ჰქონდა. მაშინვე

ვიგრძენი, რომ კატიუშას დედა ჩვენი მტერი არ იყო. დიდ-ხანს, დაკვირვებით უნდა გეცქირათ ამ შრომისაგან გატეხილი ქალისათვის, მისი ნიჩაბივით ფართო ხელებისათვის, რომ მისი წარსული სილამაზის კვალი შეგენიშნათ. ტყეში დანთებული შორეული კოცონივით (ხან რომ იფეთქებს მანათობელი ალით, ხან რომ ჩაქრება) გაიელვებდა ულიანას სიმშვენიერე, როცა მოულოდნელად გაიღიმებდა, ან თავს მოაბრუნებდა, ან კიდევ როცა წამწამებს ააფახულებდა. კატიუშა დედას ნაზად და ნაღვლიანად შესცქეროდა.

ულიანამ გვითხრა, რომ ერმოლინების ოჯახში კატიუშას ბოშებთან მეგობრობით უკმაყოფილონი არიანო.

— თქვენ თვითონ რაღას იტყვით, ულიანა როდიონოვნა? — ჰკითხა დედამ.

— მე რა, — გაიღიმა ულიანამ, — ბოშები რა, ადამიანები არ არიან?

ერთხელ კატიუშას მამას შევხვდი. კოკისპირული წვიმის შემდეგ ქუჩა გაუვალი ტალახით იყო აზელილი. წარამარა ღობეს ვავლებდი ხელს და ნელა გზის ნაპირ-ნაპირ მივღოღავდი. უეცრივ მოსახვევთან პავლე ერმოლინი შემომეჩეხა. ზურგზე გარმონი მოეგდო. ნასვამი იყო. გზის აქცევაც არ შეიძლებოდა. ღობეს ხელი გავუშვი და მუხლებამდე ტალახში შევტოპე.

— გმადლობთ... — ლუღლუღებდა პავლე. და არეული ნაბიჯებით, ღობეზე მიყრდნობილმა ჩამიარა გვერდით. შემდეგ შემობრუნდა და ჩუმად, დაცინვით თუ შებრალებით მითხრა:

— სიძე...

დიდები ფიქრობდნენ, რომ კატიუშასთან უბრალო მეგობრობა არ მაკავშირებდა. მე მართლაც მიყვარდა კატიუშა, ის კი, ვერ გაიგებდით, როგორ მექცეოდა. ყოველთვის თბილი და ნაზი იყო ჩემდამი, მაგრამ მის სითბოში იყო რაღაც მიუკარებელი. ვერაფრით ვერ მოვიკრიფე გამბედაობა, მეკოცნა კატიუშასთვის, თუმც ყოველდღე ვაძლევდი ჩემს თავს სიტყვას, ვაკოცებ-მეთქი.

და მე მაინც ვაკოცე კატიუშას, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდა მომხდარიყო ის ამბები, რომლებმაც ახლებურად შემოატრიალა ჩემი ცხოვრება.

11

ერთხელ ჩვენთან ორი ახალგაზრდა ჭაბუკი მოვიდა-ორივე მაღალი და მხარბეჭიანი იყო, ლოყები ახლადგაბინეებული სელისფერი ღინღლით ჰქონდათ დაფარული.

— ნიკიტა, — თქვა ერთ-ერთმა და თითი მკერდზე მიიდო.

— პეტრაკი, — ნიკიტასავით გამოგვემცნაურა მისი ამხანაგიც. — სოფლის აქტივისტები.

— კომკავშირელები, — დაუმატა ნიკიტამ.

მაშინ არ ვიცოდი ამ სიტყვების მნიშვნელობა და ამიტომაც არაფრად ჩამიგდია.

ჭაბუკები ცოტა შეიშმუშნენ, თამბაქო გააბოლეს და შემდეგ სათქმელი გადმოალაგეს: თანახმა ხარ, კვირას ქოხ-სამკითხველოში გამართულ საღამოში მონაწილეობა მიიღოო?

— მკითხველებიცა გვყავს, მომღერლებიც და მსახიობებიც — თქვა პეტრაკმა. — მუსიკა კი მხოლოდ ერთი ბაიანით იქნება წარმოდგენილი, რაღაც უკულტუროდ გამოდის.

მაცდური წინადადება იყო, მაგრამ მაინც ვდუმდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. სკოლის მწარე გამოცდილებამ ნდობა დამაკარგვინა.

— რა თქმა უნდა, მოვა, — უპასუხა ჩემს მაგივრად ჩემმა ძვირფასმა და თავმოყვარე დედამ, — ჩვენი კოლია ნამდვილი მსახიობია!

— რევოლუციური სიმღერები იცი? — მკითხა პეტრაკმა.

— „დავეცემით გმირულად, საბჭოეთო, შენთვის“... — ჩუმად ჩავილაპარაკე მე.

— საკმარისია, აი ამით გამოხვალ. თქვენც მობრძანდით, დედილო!

— რა ვიცი, ჩასაცმელი არაფერი მაქვს, — დაიმორცხვა დედამ.

— ტანსაცმელი კაპიტალიზმის გადმონაშთია, — წარმოთქვა სიტყვაძუნწმა ნიკიტამ.

სოფლის აქტივისტები წავიდნენ და სუფთა იატაკზე ჩექმების კვალი დატოვეს.

ცხადია, წარმოდგენაზე დედაც მოვიდა და მამინაცვალიც, თანაც პირველ რიგში ისხდნენ, პირდაპირ სცენასთან. მხოლოდ კატიუშამ ვერ გაბედა მოსვლა...

სცენაზე გამოსასვლელად დედამ პირველად მაშინ მიყიდა პიჯაკი. მეჩვენებოდა, თითქოს სხეული რგოლებით მქონდა შებოჭილი და შეკრული. მეშინოდა, ციმბალის დაკვრაში ხელი არ შეეშალა. მაშინებდა პოზდნეევკელებთან შეხვედრაც. მართალია, ახალი ნაცნობებისა და მათი მეგობრების იმედი მქონდა და თვით ხალხიც, როგორც მითხრეს, ღარიბები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ბოშური გული მაინც შიშით მითრთოდა.

მაგრამ ეს შიში რა იყო იმასთან შედარებით, რომელიც სცენაზე დამეუფლა. თურმე ერთია დაუკრა ბაზარში, მატარებლის ვაგონში, ფუნდუკში და სულ სხვაა — სცენაზე გამოსვლა და დაკვრა. აქ, ხალხისაგან გამოყოფილი, თითქოს მის საპირისპიროდ დგახარ, ერთი ყველას წინააღმდეგ, შენდამი მტრულად განწყობილ სამყაროს წინააღმდეგ. დაბნეულმა ის კი არ ვიმღერე, რაც მოლაპარაკების თანახმად უნდა მემღერა, არამედ ის სულელური შაირები, რომლებსაც ოდესღაც ბაზარში ვმღეროდი:

შენი თვალები მზის ისრებს ისევს,
შენი ლოყები მიაგავს მაისს.
ო, ნუ მიყვები მაგ ზღაპრებს ისევ
და მეამბორე დღეს ერთხელ მაინც.

შეიძლება ძველი წარმატების გახსენებამ წამაქეზა, ამ შაირებს დიდი გასავალი ჰქონდა ბაზრის ხალხში. ასევე განვაგრძე, თუმც პეტრაკი კულისებიდან მუშტებით მემუქრებოდა.

ო, აგარაკი მიყიდეთ ბარემ,
ქალაქი, დედავ, არ მსურს, მწყინდება.
თუ არა ისევ ვიტირებ მწარედ
და შენი ტრფობაც დაიბინდება.

დარბაზში მხიარული სიცილი გაისმა და მეც თამამად, ყოველივე გადასვლის გარეშე დავიწყე მშვენიერი ძველი რუსული სიმღერა:

თხემებმა თქორი
ვერ ამორაზეს...
ჩუმ ველთა შორის,
შიშველ გორაზე...

როგორც კი გავათავე, გაისმა ხმამაღალი ტაში, გამამხნევებელი შეძახილები. მაშინ ჩამოვკარი ციმბალს და შეცვლილი ხმით დავიწყე:

ამხანაგო, მიგდე ყური:
წამოვიდა ომის ბური.

მისამღერი ჩემთან ერთად აიტაცა მაყურებელმა. ისინი ფეხზე წამოდგნენ. ჩემი ხმა უკვე აღარ მესმოდა:

დავეცემით გმირულად,
საბჭოეთო, შენთვის.
ცეცხლში პირდაპირულად
შევალთ, როგორც ერთი.

— ნამდვილი არტისტი ხარ, შენ რა გითხრა, არტისტი! — ალერსიანად მეუბნებოდა პეტრაკი, როცა ბედნიერებისაგან თავდავიწყებული კულისებში გავიქეცი.

ნიკიტა იღიმებოდა და ჩუმად მიჭერდა ხელზე ხელს.

— თეატრალურ წრეში ჩავაბათ, — თქვა ჭაბუკთა შორის უფროსმა, სერგეი გვოზდენკომ, — და არა მხოლოდ წრეში...

აი, რას გეტყვი, ნიკოლაი: მოდი რა ხვალ, მოსალაპარაკებელი გვაქვს...

შინ კი დედა გაბედულ გეგმებს აწყობდა.

— კოლია მოსკოვში უნდა წავიდეს, რომელ გუნდშიც უნდა, იქ მიიღებენ. მერე კი... — დედას თვალები გაუფართოვდა, — ვინ იცის... შეიძლება მისგან მეორე სოკოლოვი გამოვიდეს... — „სოკოლოვის გუნდი იარაში იყო ერთ დროს ცნობილი“ — წაიმღერა მან ჩუმი ხმით.

— იქნება... — ჩაიბუტბუტა მამინაცვალმა, — იქნებ, სხვა რამეში უფრო ივარგოს...

მეორე დღეს ქოხ-სამკითხველოში გამოვცხადდი. ქოხ-სამკითხველო სოფლის საბჭოს შენობაში იყო მოთავსებული. იქ ჩემი ნაცნობების გარდა სხვა ბიჭებიც დამხვდნენ. შესვლისთანავე ერთ-ერთმა კისერზე მომხვია ნიჩაბივით ხელები, ახლოს მიმიზიდა და რამდენიმე წამს თვალებით მბურღავდა, თითქოს ჩემს სულში ჩახედვა სურდა. ეს იყო ახოვანი ტანის ახალგაზრდა, რომელსაც ლამაზი, მკაცრი, მრისხანე პროფილი და შავი აწეწილი ქოჩორი ჰქონდა.

— ჩვენია! — თქვა მან ბოლოს, — შუბლზე აწერია, რომ ჩვენია!

— გეყოფა, აგაფონ, მოეშვი ბიჭს! — შეაჩერა ის სერგეი გვოზდენკომ.

— ასე შეიძლება კაცი შეაშინო... გაიცანი, ნიკოლაი, ეს ჩვენი კომკავშირული უჯრედია...

— ეჰ, ეგ „ყაჩაღობანას“ უნდა თამაშობდეს, — თქვა ერთ-ერთმა ჭაბუკმა, — სწორედ იმ ხნისა თუ იქნება.

— მოიცა, ჯერ რაც მთავარია, იმაზე ვილაპარაკოთ. აბა, ნიკოლაი, გვიამბე შენი თავგადასავალი.

მსახიობობა, ეტყობა, არც ისე ძვირად მიჯდებოდა და მეც შევუდექი თხრობას. თავიდან არადამაჯერებლად, გაუბედავად ვლაპარაკობდი, შემდეგ თხრობამ ჩამითრია. თითქოს ხელახლა განვიცადე წარსული. უჯრედი გულმოდგინედ მისმენდა. ბიჭები თამბაქოს აბოლებდნენ. როცა წითურ ჭაბუკთან შეხვედრას ვუვებოდი, სერგეი გვოზდენკომ მუხლებზე დაირტყა ხელი.

— უსმინეთ, ძმებო, ეს წითური ნამდვილი ბოლშევიკია!

„ბოლშევიკი“, გავიმეორე გონებაში. საოცარია, მანამდეც მსმენია ეს სიტყვა, მნიშვნელობა კი არ ვიცოდი. და აი, ახლა პირველად გავიგე ამ სანუკვარი სიტყვის აზრი. იმ სიტყვისა, რომელსაც ასეთი როლი უნდა შეესრულებინა ჩემს ცხოვრებაში და საერთოდ ჩემი თაობის ცხოვრებაში.

ბოლოს პოზდნეევკის ამბის თხრობაზე გადავედი.

— სდექ! — შემაწყვეტინა გვოზდენკომ, — დანარჩენი ჩვენ თვითონ ვიცით, მიხვედი თუ არა სკოლაში, კედელზე მიგახლევინეს თავი. ცნობილია, რომ კულაკებისათვის ღარიბი კაცის სწავლა და ბასრი დანა ერთია. ყველაფერი ნათელია, ჩავწეროთ კომკავშირში! ...გინდა იყო კომკავშირელი?

— მინდა, — ვთქვი გულწრფელად, — ძალიან მინდა წარმოდგენებში მონაწილეობა მივიღო!

ყმაწვილებმა გადაიხარხარეს, თან თამბაქოს ბოლით იგუდებოდნენ. სერგეი გვოზდენკომ მკაცრად გადახედა ამხანაგებს, თუმც მასაც უცახცახებდა ტუჩები, სიცილს ძლივს იკავებდა.

— არა, კოლია, კომკავშირი მარტო წარმოდგენებში თამაში როდია...

— ნება მომეცი, ავუხსნა, — ასწია ხელი აგაფონმა.

— აბა!

— წარმოდგენები აგიტმასიური მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, — თქვა აგაფონმა და მხიარულად გაიღიმა.

— სწორია, — დაეთანხმა სერგეი გვოზდენკო, — ოღონდ ძნელი გასაგებია. უფრო გასაგებად როგორ აგიხსნათ, ნიკოლაი... — განაგრძო მან ჩაფიქრებით. — იცი რა, კომკავშირელები წითელი მხედრების მოვალეობას ასრულებენ მშვიდობიან ცხოვრებაში.

— ჩვენ ბურჟუაზიის განადგურების მომხრე ვართ მთელს მსოფლიოში! — წამოიყვირა აგაფონმა.

— სწორია, — დაასკვნა გვოზდენკომ. — მაგრამ რაღა გამოდის, ამხანაგებო? რევოლუცია მალე მერვე წლისთავს იდღესასწაულებს, კულაკი კი პოზდნეევკაში თავის მიწაზე ზის

და თან ღარიბებს ჩაგრავს. მანამ მათ ხერხემალს არ გადა-ვუმტვრევთ, სინათლეს ვერ ვიხილავთ...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა გვოზდენკო და მრავალი რამ, რაც მანამდე ჩემთვის ბურუსით იყო მოცული, ისეთი ვასაგები ხდებოდა, თითქოს ყველაფერს თვითონვე მივმხვ-დარიყავი.

გვოზდენკოს სიტყვებიდან გავიგე, რომ სოფლის ღარი-ბებს არტელში გაერთიანება და ერთობლივად მიწის დამუ-შავება გადაუწყვეტიათ თურმე. ამისათვის ქალაქიდან საო-ცარი მანქანა, ტრაქტორი უნდა გამოგზავნონ. ერთი ტრაქ-ტორი ორმოც ცხენს შეცვლის. არტელს გადაეცემა კულაკე-ბისა და მათი დამქაშების საუკეთესო მიწები. ამიტომ არ-ტელში შეეძლოთ გაერთიანება უმიწაწყლო მოჯამაგირეებ-საც. გამახსენდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ვოცნებობდი იმაზე, თუ როგორ დავარბევდით მე და წითური ჭაბუკი მი-ლიონოვკას. განა შემეძლო მეფიქრა, რომ ჩემი ბავშვური ოცნება ასე მალე ამიხდებოდა?

— ყველაფერს მივხვდი, ჩამწერეთ კომკავშირში! — ეუთხარი სერგეი გვოზდენკოს.

ასე გავხდი კომკავშირელი. არ დამჭირვებია განცხადება, ანკეტის შევსება, რეკომენდაციები. თავმდები იყო მთელი ჩემი ცხოვრება, ნაჭრილობევი ზურგზე, ნაჭრილობევი გულში.

პირველად ვამაყობდი ცხოვრებაში ჩემი მდგომარეობით და პოზდნეევკის ქუჩაში ისე მივაბიჯებდი, არც შიშსი ვგრძნობდი და არც ვინმესაგან დამცირებას. ჩემთან იყვნენ სერგეი გვოზდენკო და მისი ამხანაგები. ჩემს ზურგს უკან მათ ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი და გახარებული ვფიქრობ-დი, ახლა კი აღარავის დააჩაგვრინებენ ჩემს თავს-მეთქი.

ჭიშკართან მამინაცვალი მელოდებოდა.

— სადა ხარ ამდენ ხანს? დედა წუხს.

მამინაცვალს კომკავშირში შესვლის ამბავი მოვუყევი.

— კარგი და სწორი საქმეა, — ჩაფიქრებით თქვა მამინაც-ვალმა, — მაგრამ ძნელია. გეყოფა ძალა?

— მეყოფა...

— კარგი საქმეა, — გაიმეორა მან, — მაგრამ იცი რა, დედას არაფერი უთხრა.

— რატომ?

— დედამ მთელი ცხოვრება შიშში გაატარა, მხოლოდ ახლა დაწყნარდა ცოტა... — მერე ხმას დაუწია, — ამ საქმეს სისხლის სუნი უდის.

— სისხლის?

— აბა რა! კულაკები ტყუილად არაფერს დათმობენ.

გვოზდენკომ ხომ თქვა, კომკავშირელები იგივე წითელი მხედრები არიანო. ეჰ, სამწუხაროა, რომ ქუდზე ვარსკვლავის ტარება არ შეგვიძლია.

დედა ჩემ შესახვედრად გამოიქცა.

— სად დაიკარგე, კოლკა? კატიუშა მიემგზავრება და გამოსამშვიდობებლად მოვიდა...

ამ დროს კარიდან თვითონ კატიუშამ გამოიხედა... ლურჯ ქალაქურ პალტოში დაქალებული და მაღალი მეჩვენა.

— დიდი ხნით არ მივდივარ, — თქვა კატიუშამ, — მაისის დღესასწაულებზე ჩამოვალ.

ჩვენი ნაცნობობის მანძილზე პირველად ვაცილებდი. ძალიან მინდოდა გამეზიარებინა მისთვის ჩემი საიდუმლოება. მაგრამ ვშიშობდი, დედასთან წამოცდება-მეთქი. დედაჩემი მიხვედრილი ქალი იყო და ყოველთვის გაიგებდა იმას, რისი გაგებაც სურდა. მაგრამ ხომ უნდა მეჩვენებინა ჩემი მეგობრისათვის, რომ ახლა სხვა ვარ, რომ ახალი, ვაჟკაცური გული მიძგერს მკერდში. ეს უანგარო მისწრაფება მომავალმა დაშორებამაც გააღვივა. თვალები დავხუჭე, სწრაფად დავიხარე კატიუშასაკენ და თბილ, მკვრივ ლოყაზე ვაკოცე.

— როგორ არა გრცხვენია! — მითხრა მან ისე მწარედ, რომ დავიბენი.

— რა მოხდა ისეთი... — წავილუღლუღე.

— სირცხვილია!.. არაა კარგი! — მიპასუხა მან, მხრები შეარხია და წავიდა.

ვიდექი და ფეხს ვერ ვიცვლიდი. კატიუშას ლერწამივით ტანმა უკანასკნელად გაიელვა მაღალსა და ხმელ მზესუმზი-

რებს შორის და გაქრა, მე კი სიბრალულის მწველი, მტანჯველი გრძნობა დამიტოვა.

საოცარია, შინ დაბრუნებისას სინანულისა და სიბრალულის ნაცვლად სადღესასწაულო გრძნობა დამეუფლა: „როგორც იქნა, გავბედე, გავაკეთე“. — ვმღეროდი გულში.

არასოდეს ვყოფილვარ ჩემი თავით ასე კმაყოფილი. მართალია, ჯერ კიდევ არ მომიპარავს ცხენი და არ გამითქვამს სახელი ბოშური ვაჟკაცობით, მაგრამ მაინც რაღაცას მივაღწიე ცხოვრებაში. კომკავშირელი ვარ და. დალახვრის ეშმაკმა, გოგონასაც ვაკოცე...

კომკავშირულმა სამუშაომ მთლიანად ჩამითრია. დღისით რეპეტიციას გავდიოდი, ამხანაგებს პლაკატების ხატვაში ვეხმარებოდი. პლაკატებზე გამოხატული იყო კაციჭამია კულაკი, რომის პაპი და ლორდი კერზონი. ესენი იყვნენ, როგორც შემდეგ გავიგე, სოფლის ღარიბების მთავარი მტრები. საღამოობით კი გატაცებით ვკითხულობდი. წიგნებს აგაფონი მაძლევდა. მატირებდა მოხუცი ზანგის თომას ტანჯვა, მიტაცებდა კრაზანას რევოლუციური თავგანწირვა, უნუგეშოდ ჩავფლავდი „კაპიტალის“ პირველივე სტრიქონებზე. ბოლოს-დაბოლოს, ყველასაგან ფარულად, ჩემს სიჩლუნგეში პეტრაკს გამოვუტყდი.

— ნუ ჯავრობ, — მითხრა პეტრაკმა, — ეგ წიგნი რთულია, მეცნიერულია და დიდ მომზადებას მოითხოვს. აგაფონსაც არაფერი ესმის ამ წიგნისა.

მთელი ზამთარი ვაყალიბებდით მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობას, რომელსაც კომკავშირელებმა „კომუნა“ ვუწოდეთ. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „კულაკი“, „საშუალო“ და „ღარიბი“ ამ დროისათვის განსაკუთრებულად ჟღერდნენ.

წარმოდგენები, რომლებსაც ჩვენ ვდგამდით, შაირები, რომლებსაც ვმღეროდით, ლექსები, რომლებსაც ვკითხულობდით, — კულაკებს ამხილებდნენ. სინათლეც მოქმედების შესაბამისად ქრებოდა, ან კლებულობდა. ამ დროს მაყურებელთა დარბაზიდან მსახიობებს თიხის ნატეხებს, ქვებ-

სა და სხვა ნივთებს ესროდნენ. ერთხელ აგაფონს კინაღამ თვალი წამოსთხარეს.

აგაფონი კულისებში იჯდა, გასიებულ თვალზე კომპრესს იდებდა და ირგვლივ მყოფთ ეუბნებოდა:

— კულაკები თავიანთ აღსასრულს გრძნობენ, არ იციან, რა ქნან.

საქმე იქამდე მივიდა, რომ „ღამეს“ გაჩახჩახებულ სინათლეზე ვთამაშობდით. ამანაც არ უშველა. ერთხელ, როცა კულისებს იქით, პატარა ოთახში გრიმს ვიკეთებდით, ფანჯარას ქვა ესროლეს. გვოზდენკოს მინის ნამსხვრევებმა სახე დაუსერა. საჭირო გახდა წარმოდგენების დროს სოფლსაბჭოსთან კომკავშირული მეთვალყურეები გამოგვეყო.

მამინაცვალი მართალი გამოდგა: კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისშივე სისხლი იღვრებოდა.

როგორი უბრალო წარმოდგენაც არ უნდა გაგვემართა, მაინც ხარჯებს მოითხოვდა. მაგრამ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე კორნიენკოვი, ლამაზი, წარმოსადეგი მამაკაცი, რომელსაც მხედრული მიმოხვრა და ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა:

— სალარო ცარიელია!

შინ არაფერს ვტოვებდით, ყველაფერი მოგვქონდა, ოღონდ როგორმე სცენა მოგვერთო. ჩვენი კოსტიუმებიც არ შეეფერებოდა მდგომარეობას. ხშირად თავადის როლის შემსრულებელი იმისთანა შარვლით გამოდიოდა, რომ მის ჩაცმას ლოთი მიკულაც კი არ იკადრებდა, თუმცა ყოვლისმიმტევებელი მაყურებლები ამასაც სიამოვნებით გვაპატიებდნენ ხოლმე.

მაგრამ რა იყო ჩვენი თეატრალური სიძნელეები იმასთან შედარებით, რასაც ჩვენს წინაშე ცხოვრება აყენებდა!

ამხანაგების დავალებით ახალი წევრების მეურნეობა უნდა აგვეწერა. ხშირად ხდებოდა, რომ მეურნე, რომელსაც მანამდე ორი ცხენი ჰყავდა, კომუნაში შემოდიოდა, როგორც უცხენო, საერთოდ, ბევრ საშუალო გლეხს, რომლებიც კომუნაში შემოსვლას აპირებდნენ, მეურნეობა მდუღარეში ჩაგარდნილი შაქარივით ადნებოდა ხელში. ოთხი ძროხის მა-

გივრად აღმოაჩნდებოდათ ერთი, სამი ათეული ცხვრიდან და თხიდან ერთი ბებერი თხა...

ამაოდ ვეძებდით გამოსავალს.

როცა სერგეი გვოზდენკომ წინადადება მოგვცა, არ მიგველო ამხანაგობაში „დამკვლელები“, — ასე ვუწოდებდით მათ, ვინც თავის საქონელს კლავდა, — „დამკვლელებს“ კორნიენკოვი გამოესარჩლა.

— თქვენ გინდათ საშუალო გლეხი დააფრთხოთ და კულაკებს ჩაუგდოთ ხელში, — გრგვინავდა ის, — არ დავუშვებ ხაზის ასეთ დამახინჯებას!..

მაშინ გვოზდენკო მაზრის კომიტეტის მდივანთან, ამხანაგ ალექსეისთან წავიდა. ჩვენი ბიჭების თვალში ამხანაგი ალექსეი შეულახავი ავტორიტეტით სარგებლობდა. „ამხანაგმა ალექსეიმ ასე თქვა“, „ამხანაგმა ალექსეიმ დაგვავალა“, „საჭიროა ამხანაგ ალექსეის ვკითხოთ“. არასოდეს მენახა ამხანაგი ალექსეი, მაგრამ მის ხელს ყოველ წუთს ვგრძნობდი. მეშინოდა მის სახელს ჩემი სულიდან წითური ჭაბუკი არ გაეძევებინა. იმ ადამიანისადმი ერთგული რომ დავრჩენილიყავი, ვინც ბავშვობაში მიყვარდა, ალექსეი ჩემდა უნებურად, წითელი თმებით, ჭორფლით და მწვანე თვალებით შევამკე და წითურ ჭაბუკად ვიგულე.

— ამხანაგი ალექსეი ფიქრობს, — მოგვახსენა გვოზდენკომ, როცა ქალაქიდან დაბრუნდა,—რომ ჩვენი სოფლსაბჭოს თავმჯდომარე კულაკების მხარეზეა, მან დაგვავალა, საშუალო გლეხებთან ახსნა-განმარტებითი საუბარი ჩაატარეთო. პირდაპირ უთხარით: თუ გინდა კომუნაში შემოსვლა, შემოდი პატიოსნად, მთელი მეურნეობით-თქო; „დამკვლელები“ კომუნას თოფის გასროლაზეც არ მივაკაროთ.

— კორნიენკოვს რა ვუყოთ? — იკითხა პეტრაკმა.

— კინწისკვრით გავაგდოთ აქედან ეგ კულაკების ნაშიერი! — დაიღრიალა აგაფონმა.

— არ შეიძლება, — ჩააჩუმა ის გვოზდენკომ, — მასთან არის მთელი სოფლსაბჭო და გლეხებსაც სჯერათ მისი. დამამტკიცებელი საბუთი ჯერ არაფერი გვაქვს.

— მოვძებნი დამამტკიცებელ საბუთს, — ჯიუტად თქვა აგაფონმა.

აგაფონი იმ დღესვე გაქრა სადღაც და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა. ამხანაგ ალექსეის რჩევით დონის როსტოვში ყოფილიყო, სადაც მილიონოვკის თავკაცების — ბურტოვსკის, ვერემეიკოს, კარაჩუნის და სხვათა ვაქები ცხოვრობდნენ. აღმოჩნდა, რომ კულაკების შვილები მშვიდად სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კორნიენკოვის მიერ გაცემული ცნობებით მოწყობილან, იმ ცნობის საფუძველზე ისინი უღარიბეს გლეხებად ითვლებოდნენ თურმე და როგორც საარსებო წყაროს მოკლებულნი, სახელმწიფო სტიპენდიას იღებდნენ.

აგაფონმა კორნიენკოვის საქმეები სამაზრო პოლიტსამმართველოს აცნობა. აქ დაავალეს, — თვალ-ყური ადევნეთ, მაგრამ რაიმე მოქმედებისაგან თავი შეიკავეთო. დაღვრემილი და იმედგაცრუებული ჩვენი მეგობარი სოფელში დაბრუნდა.

რაღაც დუღდა, გროვდებოდა, ცხოვრება შფოთიანი და სასიამოვნო გახდა...

პოზდნეევკის ახალგაზრდა კომუნამ საგაზაფხულო თესვა დაიწყო. ხნავდნენ და თან ტიროდნენ, არ ჰყოფნიდათ გამწევი ძალა. მინდორში ცხენებთან და ხარებთან ერთად ძროხებიც გაჰყავდათ. სოფლის საქმიანობაში ისეთი გამოუცდელი ყმაწვილისთვისაც, როგორიც მე ვიყავი, ნათელი იყო, რომ კომუნა სახნავს ვერ მოერეოდა. ოვსეი ერმოლინი, კარაჩუნი და ბურტოვსკი ხშირად მოდიოდნენ კომუნის მინდვრებზე თავიანთი ნასუქი ცხენებით და ყვიროდნენ:

— ჰეი, პეტრაკ, პავლო, ივან, ხომ არ გინდათ, გამწევი ძალა მოგაშველოთ? შემდეგ აგვინაზღაურებთ კომუნარები!..

და აი სტანიცაში ტრაქტორი მოვიდა.

ტრაქტორის გამოჩენამდე ბოძებზე ჩვენი დახატული პლაკატები გამოვაკარით. პლაკატები იუწყებოდა: „ტრაქტორით შევალთ კომუნიზმში“, „ტრაქტორი გამარჯვების საწინდარია“, „ტრაქტორი ბურჟუაზიას ანდერძს აუგებს“. თუმცა პლაკატების მომზადებაში მეც ვმონაწილეობდი, მაინც არ

ვიცოდი, რა იყო ტრაქტორი. ბოლოსდაბოლოს გამბედაობა მოვიკრიფე და ჩემს ახალ მეგობარს, აგაფონს, ვკითხე.

— ეს, ძმაო, ისეთი მანქანაა... ისეთი, რომ, — ქვეყანაზე მაგაზე უკეთესი არ მოიძებნება! — ამიხსნა აგაფონმა.

მანამდე ყველაზე დიდ მანქანად ორთქლმავალი მიმაჩნდა. ტრაქტორი რამდენჯერმე გადიდებულ ორთქლმავლად წარმოვიდგინე. ამიტომაც გამიცრუვდა იმედი, როცა დანიშნულ დღეს სოფლის ქუჩებში ლითონის ხოჭო გამოჩნდა, რომელიც თუხთუხებდა და კვამლს უშვებდა. ამხანაგებს გაბრწყინებული სახეები ჰქონდათ და ეფიერობდი, ალბათ, რაღაც არ გამეგება-მეთქი. ამაში უფრო მეტად დამარწმუნა ოვსეი ერმოლინმა, რომელსაც ტრაქტორის დანახვაზე ფერი ეცვალა. ტრაქტორისადმი უდიდესი პატივისცემით გავიმსჭვალე და ბიჭებს შევთავაზე, ღამღამობით მორიგეობით ვუდარაჯოთ-მეთქი.

— ტრაქტორი ცხენი კი არაა. ბოშა რომ ხარ, იმიტომ ლაპარაკობ ასე, — შენიშნა სერგეი გვოზდენკომ. — ტრაქტორს კოჭლი ავდეი უდარაჯებს.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ქალაქიდან დაბრუნდა, აზრი შეეცვალა:

— იცით, ძმებო, კოლკა მართალი იყო! ამხანაგმა ალექსეიმ დაგვავალა, ტრაქტორს თვალის ჩინივით გაუფრთხილდითო. ტრაქტორი კომუნის მთელი სიცოცხლეა. თუ კულაკებმა გააფუჭეს, პასუხს ჩვენ ვაგებთ.

გადავწყვიტეთ, ღამღამობით მალულად გვედარაჯნა ტრაქტორისათვის. თვითონაც არ ვიცი, მალულად რატომ უნდა გვედარაჯნა; აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ავდეისათვის დამხმარედ მიგვეცა ერთი-ორი კომკავშირელი. ჩუმად თვალთვალი უფრო მომხიბლავად გვეჩვენებოდა. რა გასაკვირია, ჩვენს შორის ყველაზე უფროსს, გვოზდენკოს, დიდი ხანი არ იყო, რაც თვრამეტი წელი შეუსრულდა...

პირველ მორიგეობაზე მე და აგაფონი დაგვნიშნეს. მამინაცვლის რჩევით, დედას ვუთხარი, რეპეტიცია გვაქვს-მეთქი.

როგორც კი დაბნელდა, ჩვენი სადარაჯო ადგილი დავიკავეთ დამპალი ჩალის ზვინში, ავდეის კარავიდან რამდენიმე

მეტრის დაშორებით. აქედან ნათლად ჩანდა ტილოგადაფარებული ტრაქტორი, რომელიც უკვე აღარ ჰგავდა ახალსა და ხელუხლებელს, უკანა დიდ ბორბალზე კბილანებს შუა თიხის ბელტები ჩამხმარიყო. ტრაქტორს იქით სოფლის ბნელი გზა იწყებოდა, რომელსაც ახლა მომწვანოდ ანათებდა ნამგალა მთვარე.

ფანჯრები ჩაბნელებულია, სტანიცა ძილს მისცემია. გადის ერთი საათი, ორი, სამი. ჩვენ ზვინთან ვართ მიყუჟულნი. მაგრამ აი, სულ ახლოს, რაღაც ხმაური ისმის. მაგრად ვუჭერ ხელს რკინის პალოს. ვგრძნობ, აგაფონი ზამბარასავით იჭიმება. მაგრამ ირგვლივ სიწყნარეა. დახეულ ზიპუნში გახვეული კოჭლი ავდეი მამაპაპურ ბერდანკიანად მობობღავს კარვიდან. ტრაქტორთან მიდის, სათუთად უსწორებს საფარველს, რაღაცას ბურტყუნებს და დამშვიდებული კარავში ბრუნდება.

აგაფონის მხარი ზურგზე მებჯინება. მისი მკვრივი ბეჭებიდან მშობლიურ სითბოს ვგრძნობ. კარგი იქნებოდა, ბიჭების ნდობა გამემართლებინა, ოცნება დავიწყე: აი, მარტო ვებრძვი ვერემეიკოს, კარაჩუნს, ბურტოვსკის და ჩუმაკს. დანები ელავს, ჭრილობებიდან სისხლი მომჩქეფს, მაგრამ მაინც არ ვნებდები. ბიჭები მეშველებიან. მტერი შეპყრობილია, განიარაღებულია, მაგრამ ჩემი საქმეც გათავებულია. ვხედავ, როგორ მასვენებენ: ჰქუხს მუსიკა, ფრიალებენ დროშები, ყველანი ტირიან. გვოზდენკოს და აგაფონს ჩემს სასთუმალთან კატიუშა მოჰყავთ. მას სულ თეთრები აცვია. ამხანაგი ალექსეი სიტყვას ამბობს: მსოფლიომ დაკარგა დაუვიწყარი მებრძოლი და ადამიანი.

ეს ოცნება ისე კარგი იყო, რომ ჩურჩული დავიწყე. ღრუბლიან ცას მივმართავდი:

— მე კომკავშირელი ვარ, ვიცი, რომ შენ, ღმერთო, არ არსებობ, არ მწამხარ, მაგრამ მაინც ისე ჰქენი, რომ კულაკებმა ტრაქტორის გაფუჭება მოინდომონ. მხოლოდ მე შევებრძოლო, საქმე ჩავუშალო, მათ მომკლან, ოღონდ ბიჭებს დავუმტკიცო...

ისე გამიტაცა ამ მგზნებარე, უმისამართო ლოცვამ, რომ

თურმე აგაფონი მანჯღრევდა და ვერც კი ვგრძნობდი. გამოვერკვიე და დავინახე, რომ ფრთხილად გაიღო კარაჩუნის ქოხის კარი.

— ხედავ? — მიჩურჩულებს აგაფონი.

რა თქმა უნდა, ვხედავ. ციებ-ცხელებიანივით ავკანკალდი.

— მზად ვიყოთ, ძმობილო, — მაფრთხილებს აგაფონი.

უფრო ვგრძნობ, ვიდრე ვხედავ, რომ კარიდან რაღაც გამოძვრა და მიცოცავს, უცებ ორი ციცინათელა აინთო. კარაჩუნის შავი ციმბირული კატა გამოვიდა თავის ღამის საქმეების მოსაგვარებლად.

აგაფონმა ხმამაღლა შეიგინა, კოჭლი ავდეი ბერდანამომარჯვებული გამოვარდა კარვიდან და კოჭლობით შემოუარა ტრაქტორს.

გამთენიისას აკანკალებულებმა და ჩალის ცვრისაგან დასველებულებმა სადარაჯო დავტოვეთ. გამოსაძინებლად აგაფონთან წავედი. აგაფონის ძველი სახლი მისი მრავალრიცხოვანი ძმებითა და დებით იყო სავსე; მან რაღაც ჩვრები მოათრია და შესასვლელში ორივესათვის დააგო. დიდი ხნით თავშეკავებისათვის აგაფონმა საკუთარი თავი დიდი სიგარით დააჯილდოვა, მოუკიდა და გააბოლა. რაც შეეძლო, ლანძღავდა კულაკებს, თითქოს ჩვენთვის დაეშავებინოთ რამე, რაკი არტელის ტრაქტორს არ დაესხნენ თავს.

12

დილით, შინ რომ დავბრუნდი, ეზოში სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული დედა შემომეგება:

— გამოიცანი, ვინაა ჩვენთან სტუმრად!

გამოცნობა არ დამჭირდა. სახლის ზღურბლზე ჩემთვის საოცრად ახლობელი და თანაც უცხო თეთრკაბიანი გოგონა იდგა. კატიუშა იყო. მიხაროდა და მწყინდა კიდეც, რომ ამ ერთ ზამთარში ძალიან გამოცვლილიყო. მას თმები გამუქებოდა, თვალები გადიდებოდა, რამდენიმე თვეში დაქალიშვილებულიყო. ვიდექი და მიახლოება ვერ გამებედა. თმაში ვაჩჩე-

რილი ჩალის ღერო მებლანდებოდა თვალებში, მის მოცილებასაც ვერ ვბედავდი. ჩემს თავს უკანასკნელ ბიჭად ვთვლიდი. მკვდარივით ვიყავი, ვფიქრობდი, ნუთუ ამას ვაკოცე-მეთქი?

— გამარჯობა, — თქვა კატიუშამ და ხელი გამომიწოდა, თანაც ჩაფიქრებულმა დაუმატა, — გამოცვლილხარ!

ამ სიტყვებმა და თანაც კილომ, რომლითაც ეს თქვა, უცებ გამომარკვია. ეს იყო წუთიერი, გაურკვეველი, ძლივს შესამჩნევი რაღაც გრძნობა. მაგრამ სიტყვებით რომ შემძლებოდა ამის გამოხატვა, ვიტყოდი, წელში გაიმართე, არც ისე ცუდი ვყოფილვარ-მეთქი.

ვიმეორებ, ეს გრძნობა რაღაც გაურკვეველი იყო, მაგრამ მან ჩამაჭერინა კატიუშას ხელი და მანვე ამომადგმევინა ენა, როცა საუზმის შემდეგ ბაღში, ჩვენს ძველ საოცნებო ადგილზე წავედით.

ვგრძნობდი, რომ ამ შეცვლილ კატიუშას დედასთან არაფერი წამოსცდებოდა და გატაცებით ვუამბე ჩვენი კომკავშირული საქმიანობა. ხარბად მისმენდა, თითქოს ყოველი ჩემი სიტყვა რაღაც ღრმასა და სათუთ გრძნობას აღუძრავდა.

— რა საინტერესო ცხოვრება აქვს ყველას! — თქვა კატიუშამ. მისმა ჩაფიქრებულმა გამომეტყველებამ მომაჯადოვა. — მარტო მე დავცურავ ნაფოტივით, საითაც ქარი დამიბერავს.

კატიუშამ თავის თავზეც მიამბო. ბიძამისი საცხოვრებლად შორეულ აღმოსავლეთში გადასულა. თვითონ კი იძულებული გამხდარა სტანიცაში დაბრუნებულიყო. ახლა რა გზას დაადგებოდა, ჯერ არ იცოდა.

— იცი რა, შემოდი კომკავშირში! გინდა, ბიჭებს მოველაპარაკები?

— არ მიმიღებენ...

— აუცილებლად მიგიღებენ! მართალია, ჯერ გოგონები არ გვყვანან, მაგრამ ამხანაგმა ალექსეიმ გვითხრა, ეს სწორი არ არისო. საერთოდ კი მოველაპარაკები ბიჭებს.

— არ ღირს, კოლია, — ჩუმად თქვა კატიუშამ და უცნაურად შემომხედა.

— კარგი, ეს ჩემი საქმეა.

როცა კატიუშა შინ მიდიოდა, ვკითხე:

— ძველებურად ღობეზე გადაძვრები?

გაიღიმა, ჭიშკრამდე მივაცილე.

კატიუშას დაბრუნებამდე ჩემს საქმეებში ვიყავი ჩაფლული და არც ისე ხშირად მაგონდებოდა ის. ახლა კი მუდამ მის სიახლოვეს ვგრძნობდი. ყოველთვის ჩემთან იყო. თითქოს ყველაფერს მისი გულისთვის ვაკეთებდი. მისი გულისთვის ვხატავდი საპირველმაისო პლაკატებს, მისი გულისთვის ვედავებოდი აგაფონს სადღესასწაულო საღამოს პროგრამის გამო, მისი გულისთვის მივდიოდი ტრაქტორთან სადარაჯოდ...

კატიუშას ყოველდღე ვხვდებოდი. ხანდახან კომკავშირული დავალების გამო, ან თუ რეპეტიცია გაჭიანურდებოდა, მაგვიანდებოდა, მაგრამ ის ყოველთვის მელოდებოდა. ვიცოდი, რომ მისთვის ახლებურად ვიყავი საინტერესო, მაგრამ ვერ ვბედავდი ჩემი პირადი ღირსებებისათვის მიმეწერა ეს ამბავი. იქნებ მისთვის საჭირო ვიყავი, რომ ცხოვრებაში გამოსულიყო, როგორც ერთ დროს თვითონ იყო ჩემთვის.

მაგრამ კატიუშას თაობაზე ბიჭებთან მოლაპარაკებას მუდამ მეორე დღისათვის ვდებდი. კომუნას უჭირდა. ჩვენმა სიამაყემ, ჩვენმა იმედმა, ტრაქტორმა გვიმტყუნა. გაცხარებული მუშაობის დროს, როცა ყოველი საათი ძვირფასი იყო, ტრაქტორი უმოძრაოდ იდგა შუა მინდორში, მის გვერდით გაოფლიანებული და დასვრილი ტრაქტორისტი გრეჩუხა სასოწარკვეთით რაღაცას ჯახირობდა...

— რა მოუვიდა, გრეჩუხა? — ვეკითხებოდით ნაღვლიანად.

— ეშმაკმა უწყის! — სევდიანად გვიპასუხებდა გრეჩუხა, სახეზე სახელოს მოისვამდა ხოლმე და მანქანის ზეთითა და შავი ოფლით ითხუპნებოდა, — ავტომობილის მოტორისა რაღაც გამეგება, დიზელთან კი არასოდეს მქონია საქმე, შიგნეული უნდა გამოეცვალოს, ალბათ, გაუცვდა.

სათადარიგო ნაწილები მაზრაში არ იშოვებოდა...

ერთხელ პეტრაკს გაახსენდა, რომ მისი მორიგეობის დროს

ტრაქტორთან მივიდა სოფლის მასხარა და ლოთი, სტიოპკა ბოთე. ჩუმად კი არა, აშკარად მივიდა, რადიატორს დაეყრდნო და რაღაც სიმღერა წაიდუდუნა.

— შენ აქ რა გინდა? — შეუყვირა კარვიდან ავდეიმ.

— ავდიუშა, გამოდი! — დაიწუწუნა ბოთემ, — მოდი, გულდაგულ ვილაპარაკოთ!..

— კარგი, წადი აქედან! — ავდეი კარვიდან გამოვიდა და ხელი მოუქნია.

სტიოპკა რაღაცას ჩმახავდა, ლუშკა გამექცაო, დავიჩაგრეო, გული მტკივაო.

ავდეი გაბრაზდა, ბოთე ბერდანკით დააშინა და გააგდო. სტიოპკა კოჭლობით გაუყვა ქუჩას, ღობეებს ედებოდა და რაღაცას ბურტყუნებდა.

— ნუთუ სტიოპკამ გააფუჭა ტრაქტორი? — დაამთავრა მოყოლა პეტრაკმა.

მაგრამ თვით აგაფონსაც არ სჯეროდა, რომ უწყინარი ლოთი და ყბედი სტიოპკა ჩაიდენდა ასეთ ბოროტებას. თანაც რას ერჩოდა არტელს, როცა თვითონ არაფერი ებადა.

ამაზე ვსაუბრობდით სოფლის საბჭოში, სადაც ჩვენი უჯრედი მაისის დღესასწაულისათვის ემზადებოდა. ჯერ ისევ იატაკზე დავფოფხავდით, წითელ ქსოვილზე ცარცით ლოზუნგი გამოგვყავდა, როცა შენობაში საკმაოდ შეზარხოშებული კორნიენკოვი შემოვიდა.

— რას მისვრით იატაკს? ჯანდაბამდე გზა გქონიათ, თქვენი ჩვრებიანად გაეთრიეთ, ვიგინდარებო!

კორნიენკოვი ყოველთვის უხეში იყო, როცა დალევდა, მაგრამ ასეთი ტონით არასოდეს ულაპარაკია კომკავშირელებთან. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ მკვირცხლი აგაფონიც დაიბნა. კორნიენკოვი კი თავის კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

— აი, როგორ ალაპარაკდა ეგ გველის წიწილი, ეგა! — თქვა ბოლოს აგაფონმა და კარისკენ გაიწია, — ახლავე კარს ჩამოვგლეჯ და თავში ჩავაფარებ.

ამ დროს აღფრთოვანებული და რაღაც სადღესასწაულოდ განწყობილი გვოზდენკო შემოვიდა. ბიჭები მისცვივდნენ და

კორნიენკოვზე დაიწყეს ჩივილი. სერგეიმ ჩვენთვის გაუგებარი თავდაჭერილობა გამოამჟღავნა.

— კარგი, შემდეგ გავარკვევთ, ახლა დავიშალოთ... აგაფონს, პეტრაკს და ნაგორნის ვთხოვ, დარჩნენ.

როცა ქოხ-სამკითხველო დაცარიელდა, გვოზდენკომ გვითხრა, არტელის თავმჯდომარემ, სიტყვაძუნწმა და საქმიანმა ტიმოშამ, სამაზრო კომიტეტში აიღო ნებართვა, რომ ორლოვის საშენიდან სესხით ვიყიდოთ თორმეტი მძიმეწონიანი ცხენიო.

— ქაღალდები გაფორმებულია, დღესვე გავემგზავრებით ცხენსაშენში!

ყოველი ჩვენგანი თავისებურად გამოეხმაურა ამ ცნობას. აგაფონმა ორივე ხელით ჩაბღუჯა სერგეი და მასთან ერთად იატაკზე ზღართანი მოადინა. მე ჩავბუქნე, პეტრაკი მორცხვი ქალიშვილივით გაწითლდა.

— რატომ ვასაიდუმლებთ ამ საქმეს? — ვკითხე გვოზდენკოს, როცა პირველმა აღტაცებამ გაგვიარა.

— რა საჭიროა წინასწარ ქაქანი? — მხრები აიჩეჩა გვოზდენკომ, — მოვრეკავთ ცხენებს და ყველაფერი ულაპარაკოდაც ცხადი იქნება...

მეორე დღეს, საღამოს სოფელში არტელის ახალი რემა მოვიდა. მართალია, საიდუმლოდ მოგვყავდა, მაგრამ პირველი ბავშვური შეყვირება, მოდიანო, სოფლიდან სამი ვერსის მანძილზე გავიგონეთ.

კავალკადა გარშემორტყმული იყო ბავშვებით, ახალგაზრდებით, თეთრწვერა კომუნარებით და მათი მოხუცი ცოლებით, რომელთაც მუქი მონაზვნური თავსაფრები ეხურათ. ბევრი მალულად ცრემლს იწმენდდა. მგონი, იმ დღეს სოფელში ყველა მიხვდა, რომ კომუნა გაიმარჯვებდა.

რემას წინ მოუძღოდნენ ულაყებზე ამხედრებული აგაფონი და გვოზდენკო. სერგეის უბრალოდ, ვაჟკაცურად ეჭირა თავი და ნამდვილი კაზაკივით იჯდა უნაგირზე. აგაფონი ცხენს ახურებდა. ხან ყალყზე შეაყენებდა, ხან შეაჩერებდა, ხანაც ბავშვების გასახარად წააცეკვებდა. მე და პეტრაკს ჩვენი თვინიერი ცხენები ცოტა მოშორებით მოგვყავდა. მე

ვარსკვლავაზე ვიჯექი. მაშინათვე ასე მოვნათლე ეს შუბლთეთრა და თეთრფეხა ლამაზი ჭაკი. მის გვერდით სწორფეხებიანი კვიცი მიბარბაცებდა. პირველად ვნანობდი, რომ ვერ შევძელი ბოშებივით დავხელოვნებულიყავი ცხენოსნობაში. ძალიან მინდოდა გამეკეთებინა რამე ილეთი: გავქანებულიყავი, აღვირი მიმეშვა, მეჯირითა, მერე მძლავრი ხელით დამეოკებინა, მაგრამ ჩემი უბადრუკი გამოცდილება „დოღში“ ასეთი თავგანწირვის საშუალებას არ მაძლევდა. ისიც ვიკმარე, რომ ვცდილობდი წელში გამართულად და თავისუფლად ვმჯდარიყავი უნაგირზე. ამას, მგონი, ვახერხებდი. ნეტავ კატიუშას დავენახე! მაგრამ ამაოდ ვეძებდი ზღვა ხალხში. კატიუშა არ ჩანდა.

ცხენების მოვლა ჩვენი კომკავშირის უჯრედს მიანდეს. ჩვენც მთელი მონდომებით შევუდექით საქმეს. ცხენებს არაფერს ვაკლებდით, არც სმა-ჭამას, არც დაბანა-დასუფთავებას, კუდსა და ფაფარს ვუწნავდით, ქოჩორზე ფერად ბაბთებს ვუკეთებდით, ზოგიერთები ბაბთს ფაფარშიც აწნავდნენ. ზოგჯერ არტელის მხვნელები გვიბრაზდებოდნენ-ხოლმე.

— თითქოს ცხენები კი არა, სადღესასწაულოდ მორთული ქალიშვილები იყვნენ, — ბუზღუნებდნენ ისინი.

მაგრამ ტიმოშა ჩვენს მხარეზე იყო.

— სწორედ იქცევით, ყმაწვილებო, ცხოვრება ლამაზად უნდა აშენოთ!...

ეს დრო შევარჩიე, რომ კატიუშაზე სიტყვა ჩამომეგდო, — აგაფონიც ხომ უჩვეულოდ ლმობიერი გახდა.

— ხვალ საღამოს კრება გვაქვს, — ვუთხარი კატიუშას, — მოდი თერთმეტი საათისათვის, ბიჭებს გაგაცნობ, შენი მიღების საკითხს გადავწყვეტთ.

კატიუშა აენთო. თვალებში ცრემლი გაუბრწყინდა და პირველად მაშინ მივხვდი, ნამდვილად როგორ უნდოდა ჩვენთან ყოფნა.

— არა, არა, შენ თვითონ...

ცოტათი შემაგვიანდა. ამხანაგები უკვე დღის წესრიგის პირველ საკითხს განიხილავდნენ, რომელიც საპირველმაისო დღესასწაულისათვის მზადებას შეეხებოდა. აგაფონმა ჩაიწია,

ადგილი დამითმო. თავმჯდომარე გვოზდენკომ თავი აიღო ფურცლებიდან და საყვედურით შემომხედა. ამ წვრილმანებმა, რომლებსაც წინათ ყურადღებას არ მივაქცევდი, გამახარა. აღტაცებული ვიყავი. რა თქმა უნდა, კატიუშას მიღებაზე უარს არ ეტყვიან!

პირველი საკითხის განხილვა ძალიან გაჭიანურდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა. რატომღაც ყველამ საჭიროდ ჩათვალა სიტყვით გამოსულიყო, თუმცა ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. ხოლო როცა გვოზდენკომ მეც მკითხა, ხომ არ მექნებოდა რაიმე შენიშვნა, უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— გადავიდეთ მეორე საკითხზე, — თქვა გვოზდენკომ, — კომკავშირელ ნიკოლაი ნაგორნის მიერ კომკავშირული სიფხიზლის დაკარგვის შესახებ.

პირველად მეგონა, სმენა მატყუებდა, მერე, როცა გვოზდენკო საქმის არსს შეეხო, ვიფიქრე, ბიჭები მეხუმრებიანმეთქი, მაგრამ არა, ეს ნამდვილად ხდებოდა, ცხადი იყო და არა საშინელი სიზმარი...

კულაკებთან კავშირს მაბრალებდნენ. ასე უწოდა გვოზდენკომ კატიუშასთან ჩემს მეგობრობას. ვუყურებდი გვოზდენკოს, მის მშვიდ სახეს, მოწითალო ლოყებს, ნაყვავილარ შუბლს, ზედა ტუჩს და იმ წუთში მისი სიწითლეცა და ნაყვავილარიც მძულდა.

„ახლა დაამთავრებს, — ვფიქრობდი მე, — და ბიჭები უჩვენებენ სეირს “.

მაგრამ გვოზდენკომ დაამთავრა და ბიჭებმა სეირი მე მიჩვენეს და არა გვოზდენკოს.

— დაუმეგობრდა კულაკს, — გავიგონე აგაფონის ხმა, — და, ალბათ, თვითონაც გაკულაკდა.

— სადაური კულაკია! — მუშტი დავურტყი მაგიდაზე,— დედა მამამთილს ემსახურება, მამა ქორწილებში უკრავს. ბიძა ფაბრიკაში მუშაობს ქალაქში!

— ქალაქში კარგი, მაგრამ სოფელში ვის ჭერქვეშ ცხოვრობს? კაციჭამია და ქვემძრომ ოვსეი ერმოლინის ოჯახში,— არც შემოუხედავს, ისე თქვა პეტრომ.

— იმასთან რა საქმე აქვს? — წამოვიყვირე უკვე არა

ბრაზით, არამედ სასოწარკვეთილებით, — რა აქვს იმასთან საერთო?

ჯერ კიდევ მეგონა, რომ საშინელი გაუგებრობა მოხდა და საჭიროა მხოლოდ ავუხსნა, კარგად ავუხსნა-მეთქი, მაგრამ, როგორ? არ ვიცოდი და ვიმეორებდი: „მერე რა აქვს იმასთან საერთო?“

— ოვსეის სიკვდილის შემდეგ ვის დარჩება მისი ქონება?—უცხო, ცივი ხმით ამბობდა აგაფონი.—შენს ძვირფას კატიუშას. სხვას არავის. არც ლოთ შვილს და არც მოჯამაგირე რძალს. შენ იქნებ სიძეობას უმიზნებ.

— არამზადა ხარ, აგაფონ! — დავიწყე და ხმა ჩამიწყდა.

მოულოდნელად კატიუშას აგაფონისა და სხვა ამხანაგების თვალით შევხედე: ეს ხომ ქალაქელი ფაქიზი ქალიშვილია, რომელიც ერიდება სოფლის ღარიბებს, ცხოვრობს ყველაზე გაბოროტებული კულაკის ოჯახში, რომელიც ჩვენთვის „ქვეწარმავალი“ და „კაციჭამიაა“, მისთვის კი „პაპა“. ჩემს მეტმა ხომ არავინ იცოდა, როგორ ეზიზღებოდა ასეთი ცხოვრება, როგორ ოცნებობდა ერმოლინის ბუნაგიდან თავის დაღწევაზე. სამაგიეროდ ყველამ იცოდა, რომ ოვსეის პურსა ჭამდა...

და იმ დროს ისევ მომესმა აგაფონის ხმა, ახლა უფრო ალერსიანი:

— შენი საქმე მიკვირს, კოლკა, რამდენი გაჭირვება განიცადე კულაკებისაგან. გცემდნენ და გაწვალებდნენ, შენ კი იმათ ნაშიერთან სიყვარულის ქსელს აბამ. სად არის შენი კლასობრივი ალღო?

არა, ჩემო მეგობარო აგაფონ! არ უღალატნია ჩემთვის კლასობრივ ალღოს, სწორედ მან მიკარნახა, რომ კატიუშა ჩვენია.

— რა არის შენი ეგ გოგო, ნიკოლაი?—რბილად თქვა ჩუმმა ნიკიტამ, — რამდენია ჩვენიანი კარგი გოგო...

რა არის ჩემიო! ხომ არ შემეძლო მეამბნა, როგორ მიყურებდა ღობის ჭუჭრუტანიდან წამწამებით შებურვილი თვალები, როგორ გადმოძვრა ბაღში ღობეზე თეთრკაბიანი გო-

ბონა, — ნათელი სხივი ჩემს უღიმღამო ცხოვრებაში — და მკითხა, რატომ არ უკრავ, ბიჭოო?

— იქნებ, ვერ გაიგო, რას ვამბობთ, — თქვა გაოგნებულმა პეტრაკმა... — აუხსენი, სერგეი, შენ უკეთ შეგიძლია...

— ლაპარაკია კომკავშირში შენს ყოფნა არყოფნაზე, — მტკიცედ თქვა გვოზდენკომ, — შეიგნებ შენს შეცდომას, შეწყვეტ ურთიერთობას ერმოლინასთან — ჩვენთან დარჩები. არა და დადე მაგიდაზე კომკავშირის ბილეთი. სულ ეს არის.

— დიახ, გარკვევით გვიპასუხე, — წამოიყვირა აგაფონმა, — ჩვენი ძმა ხარ, თუ კულაკების ლაქია!

არეული, დაბნეული ვიყავი, მაგრამ ამხანაგებზე გული არ მომსვლია. აგაფონზეც კი არ ვბრაზობდი. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ის ხომ ჩემი ძმა იყო კლასობრივად, როგორც გაჭირვებული გაჭირვებულისა. აგაფონის დედა ბატონის მინდორში მოკვდა, მამა სისხლს ახველებდა და მაინც წისქვილში მოჯამაგირეობდა, რათა უფროს შვილთან ერთად ექვსი ობოლი გამოეკვება. თვითონ აგაფონი ექვსი წლიდან წელს იწყვეტდა მდიდრებთან მუშაობით. ისეთი კონკები ეცვა და ისე ყარდა წეკოს სუნით, რომ გოგონებს მასთან გასეირნებისა რცხვენოდათ.

შეცბუნებული და დაბნეული ვიყავი, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, კატიუშაც შემენარჩუნებინა და კომკავშირიც.

— მე იმას თქვენზე უკეთესად ვიცნობ, — ვთქვი მე — არაა კულაკი.

— რატომ ვკარგავთ დროს! — გაჯავრდა აგაფონი, — კინწისკვრით გავაგდოთ და მორჩა.

— მოითმინე... — თავი გაიქნია გვოზდენკომ.

— კომკავშირული სიტყვა მოგვცეს, რომ აღარ შეხვდება და კმარა, — შემოიტანა წინადადება პეტრაკმა.

— ვიძლევი, — გავფითრდი, ვიგრძენი, რომ ლოყები გამიცივდა, — ვიძლევი პატიოსან კომკავშირულ სიტყვას, არ შევწყვეტ კატია ერმოლინასთან შეხვედრებს, სანამ თვითონ არ ისურვებს.

— გასაგებია! — დაასკვნა გვოზდენკომ და თვითონაც გა-

ფითრდა, — კენჭი ვუაროთ, ვინ არის მომხრე, რომ ნიკოლაი ნაგორნი გაირიცხოს კომკავშირიდან?

იქვე დავიფიცე, რომ არ მივცემდი ბილეთს და პირდაპირ კრებიდან წავიდოდი ქალაქში ამხანაგ ალექსეისთან. მაგრამ ხელი არცერთმა არ ასწია, თვით გვოზდენკომ და აგაფონმაც კი.

— ასე, — თქვა გვოზდენკომ, თითქოს გულზე მოეშვაო,.— გასაგებია, შემომაქვს წინადადება, სიფხიზლის დაკარგვისათვის ნაგორნის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით. ვინ არის მომხრე?... მიღებულია ერთხმად.

ავდექი და გამოვედი. სიბნელეში ერთი წუთით ვერაფერი დავინახე. ზღურბლზე შევჩერდი და როცა თვალი შეეჩვია სიბნელეს, კიბეებზე პატარა არსება შევამჩნიე. კატიუშა იყო. სულ გადამავიწყდა, რომ ვუთხარი, კრების დამთავრებისას მოსულიყო.

— ყველაფერი გავიგონე, — მითხრა კატიუშამ. სიბნელეში სახე ისე უბრწყინავდა, თითქო შუშისა ჰქონდა. უცებ ვერ მივხვდი, რომ ცრემლები იყო ამის მიზეზი. — მე... მე ვარ ყველაფერში დამნაშავე!.. მაგრამ არ იდარდო, შენ კომკავშირში დარჩები... — ჩემი ხელი აიღო, სველ სახეზე მოისვა, სანამ ხმის ამოღებას მოვახერხებდი, სწრაფად მომცილდა და ღამის წყვდიადში მიიმალა.

ავადმყოფობა მოვიმიზეზე და მეორე დღე ლოგინში გავატარე. ღამე ჩემი მორიგეობის რიგი იყო ტრაქტორთან, მაგრამ არ წავედი. განა ენდობიან ასეთ საქმეში კაცს, რომელსაც სასტიკი საყვედური აქვს გაფრთხილებით! არასოდეს მიგრძვნია თავი ასე უბედურად: ერთ დღეში ყველაფერი დაკარგე, რაც გამაჩნდა.

დილით აგაფონი მოვიდა:

— შენ რა საზიზღარი გახდი, რატომ არ გამოხვედი სამორიგეოდ?

— ავად ვიყავი.

— სიფათი ავადმყოფისა არა გაქვს, — ეჭვი შეიტანა ჩემს სიტყვებში აგაფონმა, — სისულელეებს თავი დაანებე, წარმოგიდგენიათ, აწყენინეს ყმაწვილს!

— შენ ბევრი გესმის! — მივახალე აგაფონს, — თქვენ მე ვერ მაწყენინებთ. სად წავიდეს კატია? როგორ იცხოვროს? ყველანი მომაფრინდით, სიტყვა არ მათქმევინეთ, მე კი მინდოდა კომკავშირში მიგეღოთ!..

— რაა? — თვალები გადმოკარკლა აგაფონმა, — შენ მართლა ავადა ხარ!.. ერმოლინა კომკავშირში მივიღოთ? იცი, რა გითხრა, გამოიბერტყე თავიდან სისულელე. ან არადა მიბრძანდი, გზა ფართოა.

— შემაშინე, აი! მარტო პოზდნეევკა როდია ქვეყანაზე! უკეთეს ცხოვრებას ვიპოვით!

— არამზადა! — ზიზღით წარმოთქვა აგაფონმა, — აი, სწორედ ბანაკიც მოვიდა, სხვა რაღა გინდა?

— ბანაკი? — უნებურად ლოგინიდან წამოვიწიე. — გმადლობთ, რომ მითხარი. აი, ბანაკს წავყვებით. იქ არ კითხულობენ, ვინაა შენი ბებია და ბაბუა, იქ ადამიანს გულით აფასებენ.

აგაფონი თავისი შავი თვალებით შემომაშტერდა, თითქოს არ სჯეროდა, სერიოზულად ვამბობდი თუ არა. როცა მიხვდა, რომ სერიოზულად ვლაპარაკობდი, ზიზღით და დამცინავად აიბზუა ტუჩი.

— წაეთრიე, არ გამოგეტირებით! — სწრაფად შებრუნდა და წავიდა.

საჩქაროდ ჩავიცვი და ბანაკის მოსაძებნად წავედი. რა უბედურადაა მოწყობილი ადამიანის ცხოვრება? გუშინ რომ ეთქვა ვინმეს, ბანაკისაკენ გაგიწევს გულიო, გულიანად გადავიხარხარებდი, ისე ვიყავი დარწმუნებული, რომ სამუდამოდ მოვრჩი ხეტიალს. ზოგჯერ ერთ ადგილზე მიჩვეულ ბოშებსაც იზიდავდათ უმიზნო მოგზაურობა. ბანაკთან მხოლოდ ბავშვობის მძიმე და ნაღვლიანი მოგონებები მაკავშირებდა. ისე დაკავშირებული ვიყავი პოზდნეევკასთან, კომუნასთან, ჩემს კომკავშირელ ამხანაგებთან, რომ ხანდახან მეჩვენებოდა, მომთაბარე არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი. ჩარდახიანი ეტლები, კოცონი, თვისტომთა შავგვრემანი, ზღაპრული სახეები, თითქოს შორეულ, ღრმა ძილში ნანახი სიზმარი იყო. ახლა კი შეურაცხყოფილი და აღშფოთებული ბანაკისაკენ

მივისწრაფოდი. არც იმაზე ვფიქრობდი, როგორ შეხვდებოდნენ ჩემს გადაწყვეტილებას დედა და მამინაცვალი, არც ის ვიცოდი, წამოვიდოდა თუ არა ბანაკში კატიუშა. ერთი აზრით ვიყავი შეპყრობილი, სამუდამოდ დამეტოვებინა პოზდნეევკა.

ბანაკმა, რომელზეც აგაფონი მეუბნებოდა, კარვები არ-ყის ჭალაში, პატარა მდინარის გაღმა გაშალა. შორიდანვე მოვკარი თვალი ხეებში აჭრილ კვამლს და მალე მიმზიდველი კოცონებიც დავინახე. გადავახტი პატარა ღელეს, ავბობღდი დაქანებულ ფერდობზე, აქ შოთხვის ბუჩქებიდან მაღალი, ხანშიშესული ბოშა გამოვიდა და წარმოთქვა:

— ვაჰ, რას ვიფიქრებდი, თუ რუსების სოფელში ბოშას შევხვდებოდი!

მისი ხმა გულზე მომხვდა.

დიახ, ეს იყო ბარო შიროს თანამებრძოლი და მარჯვენა ხელი. მან შეგვიტყუა ოდესღაც ბებია, ძია პეტია და მე ყაჩაღების ბანაკში. თუმცა ლამაზი ქურთუკი და ნაოჭიანი შარვალი გაჰქექოდა, ხავერდის ჟილეტზე ნაქარგი ჩამუქებოდა და აქა-იქ მორღვეოდა კიდეც, ხშირი წვერიც გაჭაღარავებოდა, მაგრამ პირველი შეხედვისთანავე ვიცანი.

— საიდან, ახალგაზრდავ? — მეგობრულად მკითხა ბოშამ, თანაც მომნუსხველი თვალებით მათვალიერებდა. — შენიანებს ჩამორჩი?

მისი მოტყუება რომ მდომოდა, შესაძლოა თავი გამეცა, ისე ვიყავი შეცბუნებული და დარეტიანებული მოულოდნელი შეხვედრით. მაგრამ ახლა პასუხი თავისთავად მოვიდა:

— დიახ... ჩემიანებს ჩამოვრჩი.

— თუ ასეა, ბანაკში წამოდი! ჩვენთან ახალგაზრდობა თავისუფლად გრძნობს თავს.

— ვისი ბანაკია? — ვკითხე, თან მღელვარებას ძლივს ვიოკებდი.

— ბარო შიროსი! ის უბრალო კაცია, სტუმრები უყვარს, სტუმრები ამხიარულებენ, გინდა საათი გქონდეს?

— როგორი, ძეწკვიანი? — წარმოვთქვი ანგარიშმიუცემლად.

— ოქროს ძეწკვიანი! ხავერდის ჟილეტი, ნაოჭიანი შარვალი, მოქარგული ქურთუკი — და ნაცნობი მოძრაობით მოინდომა მხრებიდან მოქარგული, ოდნავ შეფერთხილი ქურთუკი მოეხადა. მე შევაჩერე.

— მარტო არა ვარ, მოხუცებული დედა მყავს.

— ჰმ! რად უნდა ახალგაზრდა ბოშას ტვირთი? ბოშა რომ საქმეზე წავა, მოხუცი ტირილს დაიწყებს. იცხოვროს თავისთვის წუნარად, იშოვნი რამეს, რძის ფულს გაუგზავნი!..

დაბნეული ვიყავი. ვდუმდი. ძველი, თითქმის მივიწყებული სიძულვილი ყრუდ ამოძრავდა ჩემში, წავიდე მათთან? ვერ მოვითმენ, ვეცემი ბარო შიროს და იმ ახალგაზრდა ბოშების ბედს ვეწევი, რომლებიც ამ ბანაკში მოხვდნენ. თანაც ბარო შიროს და მის ბანდას უნდა გავუსწორდე ორი სიცოცხლისათვის! მაგრამ რა შემიძლია გავაკეთო: მე ხომ მარტოდმარტო დავრჩი!

ვიგრძენი, რომ ბოშა მომნუსხველად აღარ მიცქეროდა. ის სადღაც შორს, ჩემი თავის იქით იყურებოდა, ნესტოები კაციჭამიასავით ებერებოდა. მოვბრუნდი და დავინახე, რომ არტელის რემა ღამის სათევში მიემართებოდა. ჩემს ვარსკვლავას წინ პეტრაკი მიაჭენებდა.

— ვააჰ! — ნერწყვი მოადგა ბოშას. — რა ლამაზი ცხენებია!.. საწყალ ბოშას ცხენს არავინ მისცემს, თუ თვითონ არ მოიპარავს! გსურს, ვაყაცო? — მომიბრუნდა მე.

უცებ გადავწყვიტე.

— საათს მართლა მომცემთ?

— ჩემსას მოგცემ, — მიპასუხა ბოშამ და ძეწკვი შეათამაშა.

— დედა თუ დავითანხმე... — ჩავილუღლუღე, თან კეფას ვიფხანდი.

— აბა, ჩქარა, ჩვენს ბანაკს ხეტიალი უყვარს. ერთი-ორი დღე და აქ აღარ ვიქნებით!

ამ სიტყვებმა უფრო მეტად დამარწმუნეს, რომ ბარო შიროს რაღაც „საქმე“ ჩაიფიქრა, ხოლო ხანში შესული ბოშას არტელის ცხენებისადმი მიმართული მზერა ყოველგვარ სიტყვაზე მჭევრმეტყველი იყო.

გვოზდენკოსკენ გავექანე. მაგრამ გამახსენდა, რომ შეუ-
რაცხყოფა მომაყენა და ტიმოშასთან შევუხვიე. სერგეისთან
შეხვედრა მაინც არ ამცდა. ჩვენი კომკავშირის მდივანი
სწორედ თავმჯდომარესთან იყო. ორივენი არტელის მიწების
რუკაზე მუშაობდნენ. უკან დახევა გვიანღა იყო. ცოტა მე-
უცნაურა, მაგრამ გვოზდენკო რომ დავინახე, მტრული
გრძნობა არ აღმძვრია: პირიქით, თითქოს დასაყრდენი წერ-
ტილი ვიპოვე.

— შენ იცი, რომელი ბანაკი მოვიდა? — წამოვიყვირე
ზღურბლიდანვე, — ბარო შიროს ბანაკი.

— მერე რა? — ვერ მიხვდა გვოზდენკო და მხრები
აიჩეჩა.

— დაგავიწყდა? ხომ მოგიყევით? ცხენის ქურდები...
ყაჩაღები... მათ ბებია მოკლეს, ძია პეტია მოკლეს!

— ვაი დედასა! — იტკიცა შუბლში ხელი, — რა თქმა უნ-
და, მახსოვს. ჩქარა, მილიციაში!

— მილიციაში? კი მაგრამ რას დაუმტკიცებ? თანაც მარ-
ტო ეს კი არაა საქმე, — ვთქვი შეწუხებულმა. — გაიგე, ისი-
ნი ცხენის ქურდები არიან, მათ ჩვენი ცხენები დაინახეს.

გვოზდენკოს გაეცინა:

— აი, თურმე რაზე ლაპარაკობ! გაბედავენ ვითომ? ის
დრო წავიდა. თანაც ცხენებს კარგად დარაჯობენ.

— მოიცა! — შეაწყვეტინა მანამდე გაჩუმებულმა ტიმო-
შამ, — რა სულსწრაფი ხარ! „ის დრო წავიდა — ვერ გაბედა-
ვენ“, თუ გაბედეს? მაშინ? არა, ამაზე სერიოზულად უნდა
ვიფიქროთ. ცხენებზეა დამოკიდებული კომუნის სიცოცხლე!

მაგრამ ჩვენ ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვასწარით!
კარი გაიღო და ტიმოშას პატარა ოთახში შემოვიდნენ, უფრო
სწორად შემოიჭრნენ აგაფონი და პეტრაკი. აგაფონმა შემომ-
ხედა, თავმჯდომარესთან მივიდა, დაიხარა და იდუმალი ხმით
უთხრა:

— ტიმოფეი ივანიჩ, საქმე გვაქვს!

— თქვი.

შავმა თვალებმა ისევ მესროლეს მზერა.

— უცხოებთან ვერ ვიტყვი.

— აქ სულ ჩვენებია, — აიჩეჩა მხრები ტიმოშამ.

— ვინც ბანაკიდანაა? — გააგრძელა აგაფონმა.

წამოვხტი და მუშტები მოვუღერე.

გვოზდენკო სწრაფად ჩადგა ჩვენს შორის.

— კოლია ჩვენი მეგობარია, მეგობარი და ამხანაგი, — თქვა მან ძალიან ნელა და ჩუმად, — და თუ შენ. აგაფონ, კიდევ მისცემ თავს ასეთი რამის უფლებას, კომკავშირიდან ეშმაკეთში გაფრინდები. გასაგებია?

— გასაგებია, — დაღრეჩილად თქვა აგაფონმა და ჩემკენ მოპყრობილ შავ თვალებში თითქოს შუქი ჩაუდგა.

— პეტრაკ, თქვი, — მშვიდად თქვა გვოზდენკომ და თავის ადგილზე დაჯდა.

— ჩვენი კულაკები რაღაც ამოძრავდნენ, — ჩაილაპარაკა პეტრაკმა.

— როგორ გავიგოთ?

— როგორ და, — ჩაერია აგაფონი, — ბურტოვსკისთან არიან თავმოყრილნი! იქ არის კარაჩუნი, კრამარი, ზიაბლიკოვი, მთელი ძალა იქ არის!

— ასე, ასე... — ჩაფიქრებით გააგრძელა გვოზდენკომ.

— რა თქმა უნდა, — ხმამაღლა ფიქრობდა ტიმოშა, — ხომ შეიძლება, უბრალოდ სადილად, დასალევად მოიყარონ თავი. მაგრამ ახლა ქეიფობის დრო არ არის, — სამაზრო კომიტეტში მითხრეს, რომ სამხრეთში კულაკთა გამოსვლები დაიწყო.

— ამხანაგმა ალექსეიმაც იგივე თქვა, — ჩაურთო გვოზდენკომ.

— იქნებ დავაფრთხოთ? — შემოიტანა წინადადება აგაფონმა, — ასე ვთქვათ, დავზვეროთ.

— დაიცა, — თქვა გვოზდენკომ, — თვალყურის დევნება ევალებათ პეტრაკს და ნაგორნის. შენ ამისთვის არ ვარგიხარ, აგაფონ.

— მე?... ხომ არ შეიშალე?

— ფიცხი ხარ, აგაფონ, აქ კი სიფრთხილეა საჭირო.

— კარგი, ნუ გააბრტყელე! — გაეხუმრა მოღუშული აგა-

ფონი, — როგორც საჭიროა, ისე გავაკეთებთ, — წავედით, ბიჭებო!..

ბურტოვსკის სახლი ვაშლებით დაბურული ბაღის სიღრმეში იდგა. ხეთა რიგებს შუა ყოლო და მოცხარი იყო ჩარგული. მთვარის მკრთალ სინათლეზე ნორჩი ფოთლები ზურმუხტისას ჰგავდა. სოფლის სხვა სახლებისაგან განსხვავებით, ეს სახლი მაღალ საძირკველზე იდგა და თვით მაღალ აგაფონსაც გაუჭირდებოდა ფანჯარაში შეხედვა. თან სინათლე, რომელიც მიწაზე ერთადერთი ბაღისპირა ფანჯრიდან ეცემოდა, უეცრად გაქრა: ეტყობა, სახლის პატრონმა ფარდა ჩამოაფარა.

გადავწყვიტეთ, სახლი ფასადიდან დაგვეთვალიერებინა, მაგრამ წინა კართან ვიღაცის მაღალი სხეული აღმართა. ჩვენ ბალახში ჩავწექით. კაცმა მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა და მძიმე ნაბიჯებით საფეხურებზე ავიდა.

— ხლობისტოვია, — წაიჩურჩულა პეტრაკმა, — ხედავ, ფეხს ითრევს!

— რას ამბობ, სულელო! — ჩურჩულითვე თქვა აგაფონმა. — ეს თვით კორნიენკოვია. ხლობისტოვი უფრო დაბალია.

გავჩუმდი, მაგრამ თავს დავდებდი, რომ ეს ნამდვილად ოვსეი ერმოლინი იყო.

ამ დროს წინკართან კიდევ ორნი შეიყარნენ.

— ჩუმაკი და ვერემეიკო, — თქვა პეტრაკმა.

— სწორია, ვერემეიკოა, — დაუდასტურა აგაფონმა, — მეორე კი მიტკა სლეგინია.

— მიტკას რა უნდა, ის ხომ ღარიბია...

— ღარიბია, მაგრამ კომუნაში არაა...

— ჩუ... ბიჭებო! — შევაწყვეტინე დავა, — ახლა რაღა ვქნათ?

— ფარდას ჭუჭრუტანა აქვს, — თქვა პეტრაკმა, — აგაფონი თუ შემისვამს...

— რატომ შენ? მე უფრო მჩატე ვარ...

— ვინ იცის..

— რას კამათობთ? — ჩაერია აგაფონი, — ორივეს შეგისვამთ, ღონე მეყოფა.

ცოტა შევიცადეთ და მერე შეუმჩნევლად მივუახლოვდით ფანჯარას, რომელიც ბაღს გადასცქეროდა. აგაფონი დაიღუნა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო, მე და პეტრაკი კი მის ზურგზე მოვექეცით. მე უფრო მოხერხებული აღმოჩნდი და პირველი დავეუფლე ჭუჭრუტანას. ბურტოვსკისთან სტუმრად აღმოჩნდნენ ვერემეიკოც, ჩუმაკიც, კარაჩუნიც, ერთი სიტყვით — მილიონოვკის მთელი თავკაცობა; არ იყო მხოლოდ ოვსეი ერმოლინი. კუთხეში მიტკა სლეგინი იჯდა.

— რას აკეთებენ? — მოისმა აგაფონის მოუთმენელი ჩურჩული.

— სვამენ... — შემოვბრუნდი და ვუპასუხე წყნარად.

პეტრაკმა ამით ისარგებლა და ჭუჭრუტანა დაისაკუთრა.

— როგორ სვამენ? — იკითხა აგაფონმა.

— როგორც ყველა ადამიანი, ჭიქიდან.

— ვინ არიან?...

— ყველა არამზადა...

— მათ შორის შენი ნათესავიც? — ჩაიხითხითა აგაფონმა.

შეუპასუხებლად დავაჭირე ფეხი ყურზე.

— ოი, — ამოიკვნესა აგაფონმა. — აღარ ვიტყვი, გეფიცები, აღარ ვიტყვი.

პეტრაკი ჭუჭრუტანას მიეკრა, ცხვირის წვეტი შიგ შეყო.

— ლაპარაკობენ... — ჩურჩულებდა ის. — კორნიენკოვი ელაპარაკება აი, იმას, ვერემეიკოს...

— რას? — ჰკითხა აგაფონმა.

— არ ისმის...

— კი არ ლაპარაკობენ, შეთქმულებას აწყობენ, შტერო! — ჩახლეჩილი ხმით თქვა აგაფონმა, რომელმაც ორი ზორბა ბიჭის სიმძიმე ბოლოს და ბოლოს იგრძნო თავის ზურგზე.

— სწორია, შეთქმულებას აწყობენ! — დაეთანხმა პეტრაკი და წამით ცხვირის წვეტი ჭუჭრუტანიდან გამოჰყო.

ახლა ჩემი რიგი დადგა.

დიახ, ისინი შეთქმულებას აწყობდნენ. მაგიდაზე სხვადასხვა ნივთი იდო: ბოთლები, სამელნე, ვიღაცის სათუთუნე. კორნიენკოვი რაღაცას ლაპარაკობდა და ვერ ისვენებდა, ხან

სათუთუნეს გასწევდა, ხან ცარიელ ბოთლს, ხან სამელნეს. ბოლოს ისე უხეშად გასწია სამელნე, რომ იგი ჩამოვარდა და გატყდა, დაიღვარა სისხლივით მუქი სითხე.

ვერემეიკომ გატეხილ სამელნეს შეხედა და ბოროტად გაიცინა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე შემომცინა სახეში. უნებურად განზე გავიწიე და ჭუჭრუტანა ისევ დავკარგე თვალიდან.

— რა ხდება? — ყრუდ იკითხა აგაფონმა.

— არ ვიცი... სამელნე იატაკზე დაანარცხეს...

— პეტრაკ, რაშია საქმე?..

— მიტკას ეფერებიან... ღვინით უმასპინძლდებიან... ბურტოვსკი რაღაცას წერს...

— კიდევ? — მოუთმენლად კითხულობდა აგაფონი.

— მიტკა გავიდა...

— სხვები?

— სხვედან... თითქოს რაღაცას ელოდებიან... ის... რა ქვია... სენკა კოვშოვი მოვიდა, ვიღაც ახლავს... ვაი, დედა, რა სიმახინჯეა! — წარმოთქვა აღელვებულმა პეტრაკმა.

ანგარიშმიუცემლად მოვაცილე პეტრაკი ფანჯარას და ჭუჭრუტანა დავისაკუთრე. ის არის: ოთხკუთხა სხეულიანი, გრძელხელება, მკერდჩაჭყლეტილი, თავქვაბურა, ცხვირგატეხილი, გრძელ ყურზე საყურე აქვს ჩამოკიდებული — ბარო შიროა!

იმ წუთს აგაფონს რომ არ ჩამოვეთრიე ფეხით ფანჯრიდან, ფანჯარას გავტეხდი და ოთახში შევვარდებოდი.

— ეჰ, არ შეიძლებოდა შენი გამოგზავნა, — საყვედურით წამჩურჩულა აგაფონმა, — ძალიან ფიცხი ხარ.

— კარგი, — ვუთხარი, როცა თავი დავიმორჩილე. — ყველაფერი რიგზეა, ამსვით.

— რისთვის?

— იქნებ რამე გავიგონო.

— ოღონდ... აბა, შენ იცი!

— ნუ გეშინია!

მე და პეტრაკი ისევ აგაფონის ზურგზე შევსკუპდით, მერე პეტრაკის ზურგზე ავედი, იქიდან ადვილად მივწვდი სამერ-

ცხულს და სხვენში ავედი. გამიმართლა. მალე ჭუჭრუტანა ვიპოვე. ვხედავდი კიდეც, რა ხდებოდა შიგ და ყველაფერიც მესმოდა.

— ჩვენ ბოშები ვართ, მაგრამ ქურდები არა ვართ, — თითქოს კასრიდან ამოდისო, ისე ისმოდა ყაჩაღთა ბანაკის ატამანის ყრუ ხმა. — ყველა ბოშა ქურდი არ არის. ხვალ თქვენთან ცუდი ბოშები მოვლენ ცხენების მოსაპარავად. დაიჭირეთ და დასაჯეთ, როგორც საჭიროა. ჩვენ კი თუმან-თუმანი გვიწყალობეთ თითო ოჯახიდან. თქვენთვის არაფერია, ღარიბი ბანაკისათვის კი მთელი თვის სამყოფია.

— მართალს გეუბნებოდი თუ არა? — მიუბრუნდა ბურტოვსკის სენკა კოვშოვი.

— ჩვენ ჩვენს სიტყვას არ გადავალთ! — დაადასტურა ბარო შიროომ.

ბურტოვსკი გაჩუმდა, მერე ბარო შიროსკენ დაიხარა და პირდაპირ ჰკითხა:

— ცხენების გაპარება შეგიძლიათ?

— რას ამბობ, ჩვენ პატიოსანი ბოშები ვართ!

— თუ ასეა, წაეთრიე აქედან! მოვძებნით ნაკლებად პატიოსნებსაც.

— მოიცა, საქმეებს ასე არ აწყობენ, გასაგებად ილაპარაკე.

— არტელის რემა ნახეთ?

— ეჰ, ბატონო, არტელის ცხენებისათვის მაგრა მოგვხვდება.

— შენი საქმეა...

— რას მოგვცემთ?

— თითოზე ათ თუმანს.

— კარგით, ფული წინდაწინ მოგვეცით.

ბურტოვსკი კორნიენკოვს მიუბრუნდა. მან ოდნავ დაუქნია თავი.

— ნუ გეშინიათ, — ცივად და უტიფრად უთხრა ბარო შიროომ, — ჩვენ პატიოსანი ბოშები ვართ...

მეტის მოსმენა საჭირო აღარ იყო. სამერცხულიდან ჩამოვხტი.

ამხანაგებმა დამიჭირეს.

— მოვუსვათ, — დავიჩურჩულე და ბაღის სიღრმისაკენ გავქანდი. ღობეს გადავახტით და სტანიცის შემოვლით გავიქეცით.

— რა ამბავი იყო? — იკითხა აგაფონმა, როცა სამშვიდობოს გავედით.

— ბარო შირო დაითანხმეს, რომ ჩვენი ცხენები მოიპაროს. გაიქეცი მამაჩემთან, უთხარი, ტიმოშასთან მოვიდეს. მხოლოდ დედამ არ გაიგოს, გესმის?

— არაფერი არ მესმის. რა შუაშია მამაშენი?

— ახალგაზრდობაში ბევრი ცხენი მოუპარავს. იცის, როგორ უნდა მოვიქცეთ.

— მგონი, მილიცია უფრო საიმედოა?

— დაგიჩემებიათ შენ და გვოზდენკოს მილიცია, რა უნდა ჰქნას მილიციამ?... კულაკებიც გადათქვამენ და ბანაკის ხალხიც...

— ესე იგი, დანაშაულზე წავასწროთ? — სიხარულით იკითხა აგაფონმა, — ეს ჩემთვისაა ზედ გამოჭრილი, ახლავე!

ის ცოტაზე გაიქცა, მაგრამ უცებ მობრუნდა და დაგვიძახა:

— ბიჭებო!

— რა იყო?

— ბოთე მიტკას ქვისლია. იმ საზიზღარმა გააფუჭა ტრაქტორი!..

მამინაცვალი მაშინვე დათანხმდა, რომ ბარო შიროს დაჭერაში დაგვხმარებოდა. მაგრამ თავის გეგმას საიდუმლოდ ინახავდა, მეც კი არ გამიმხილა.

— ეთმა იცის, არავინ იცის, ორმა იცის, — ღორმაც იცის, — ამბობდა ღიმილით. — ბარო შიროს გრძელი ყურები აქვს!

— პირობას იძლევით, რომ კარგად წავა საქმე? — არ ეშვებოდა გვოზდენკო.

— როგორ შეშიძლია, გადაწყვეტით ვთქვა? მე ხომ ქურდი არა ვარ, პატიოსანი ხარაზი ვარ. გავაკეთებ, რაც შეშიძლია.

გვოზდენკო კეფას იფხანდა, როცა ასეთ პასუხს ისმენდა.

მე კი მეჩვენებოდა, რომ მამას არ უნდოდა ბევრი ელაპარაკა და ამით ცხენების ქურდობის საქმეში დიდი ცოდნა გამოემჟღავნებინა. ხელოსანს, ხარაზს რცხვენოდა წარსულში ხელაღებული ცხოვრების გახსენებისა.

კოლმეურნეობის რემის ბედით შეშფოთებულ გვოზდენკოს ღამის დარაჯების გაძლიერება უნდოდა, მაგრამ მამინაცვალი არ დათანხმდა.

— ბარო შირო ჩვენებურად დიდ თავს ნიშნავს, — თქვა მან, — ხოლო დიდი თავი უცებ მოიფიქრებს, რომ რაღაც მოხდა, როცა დაცვის გაძლიერებას შენიშნავს. სადარაჯოდ რამდენს გზავნით? ორს? ორი იყოს. არყის ჭალასთან საძოვარი თუ იცით? სწორედ იმ გორაკთან აძოვეთ.

მეორე დღეს. საღამოს ბანაკი აიშალა. ძალიან არ ჩქარობდნენ, მაგრამ უჩვეულო ხმაური იდგა, მღეროდნენ, უკრავდნენ. ამ ბანაკში ცუდად მღეროდნენ; მძიმედ, მწუხარედ. ძლივს ვიცანი „ხასიას“ ნაცნობი მოტივი. ჩაფიქრებისა და ნაღველის მაგივრად მუქარის მსგავსი, მძიმე, გამოუვალი მწუხარება ისმოდა ამ სიმღერაში.

— თვალთმაქცი! — დაცინვით ჩაიჩურჩულა მამინაცვალმა ჩემს ზურგს უკან.

ჩვენი სახლის ღობესთან ვიდექით და გავცქეროდით გზას, რომელზედაც ნელა მიედინებოდნენ ბანაკის ფურგონები. უზარმაზარ წითელ ბურთად ეშვებოდა მზე დედამიწის კიდის იქით, იმ ადგილას, სადაც გზა თითქოს ცისკენ მიემართებოდა.

რაღაც მინდოდა მეთქვა მამინაცვლისათვის, მაგრამ ის თვალის დახამხამების უმალ გაქრა. აქვე ჩემ გვერდით იდგა და უცებ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

მამინაცვალი ორიოდე საათის შემდეგ მოვიდა. უკვე ბნელოდა და ცაზე ოქროსფერი, ნამგალა მთვარე ეკიდა. დიდხანს ეძებდა რაღაცას ფარდულში და როცა გამოვიდა, მხარზე მწყემსის დაგორგლილი თოკი ჰქონდა მოგდებული. მე ასე მომეჩვენა.

— ქამანდის გადაგდება იცი? — მკითხა მან.

— არა...

— რანაირი ბოშა ხარ ამის შემდეგ? — მისაყვედურა მამინაცვალმა, რითაც ძალიან მომაგონა ძია პეტია.

საერთოდ, მამინაცვალი რაღაც სხვანაირად, გამომწვევად, ყოყოჩურად — ერთი სიტყვით, ისე იქცეოდა, როგორც ბოშას შეეფერებოდა.

— აბა, წავედით, — თქვა მან.

— როგორ, მარტო? ბიჭები?

— ბიჭები უკვე თავის ადგილზე არიან. წავედით.

ცხენების საძოვარი ძალიან ახლოს იყო ჩვენს სახლთან. მაგრამ მამინაცვალმა სოფელი მომატარა, მერე ხევ და ხევ ჩავუყევით ღელის პირს, ხევი არყიანს ემიჯნებოდა. როცა ხევიდან ამოვედით, მამინაცვალმა ხოხვით წამიყვანა. მივაღწიეთ არყის ხეებით დაფარულ ფერდობს. აშოლტილი ნორჩი ხეები თეთრად ანათებდნენ მთვარის შუქზე, მათ თითქოს გორაკის წვერზე არბენა სურდათ და როგორც შეძლეს, ისე მოახერხეს, უფრო ახალგაზრდებმა წვერამდე მიაღწიეს, ხოლო დაკოჟრილები ფერდობის მისადგომებზე დარჩნენ. არყები მჭიდრო რიგებად იდგნენ. მხოლოდ ერთ ადგილას გაშლილიყვნენ და გასასვლელი დაეტოვებინათ. ეს გასასვლელი მთელ გორაკს მიჰყვებოდა.

ჩვენ ამ გასასვლელთან ვიდექით და ქვევით ცხენებს ვუყურებდით. ცხენები მშვიდად ბალახობდნენ. ჩაბნელებული კარავი, კოცონი და პეტრაკის სხეული მოჩანდა მუქად.

— აქ იჯექი! — წამჩურჩულა მამინაცვალმა და წინ გაცოცდა. მისი სხეული შეთხელებულ ბალახში გასრიალდა. ძეწნას ძირამდე მიაღწია და მის მსხვილ ტანს მიეფარა.

სიჩუმეა. შორიდან ცხენის ყრუ ხვიხვინი და შეშინებული კვიცის ფრუტუნი ისმის. მთვარე ზევით-ზევით მიიწევს. არყიანში ნათელი ღამე დგება. გორაკის ძირიდან წვერამდე შეიძლება კაცმა ხეები დათვალოს.

გაბმულმა, გამყინავმა სტვენამ დაარღვია სიჩუმე. სტვენა სადღაც ზემოდან მოისმა, წვრილ ნაკადად ჩამოედინა ქვემოთ და ნაღვლიან, შეშფოთებულ, მიმზიდველ გამოძახილად გაიფანტა. მთელმა რემამ უპასუხა ამ სტვენას. ვხედავდი, როგორ დაიწყეს ცხენებმა მინდორში სირბილი, როგორ

ტრიალებდნენ დედების გარშემო კვიცები, როგორ დარბოდ-ნენ პეტრაკი და მისი დამხმარე რემის დასაწყნარებლად. ისეც გაისმა გულისწამღები სტვენა. რა ესმოდათ მასში ჩვენი არ-ტელის მშრომელ, მხვნელ ცხენებს? იქნებ წინაპართა ძახი-ლი? თავისუფლების წყურვილმა, წინაპართა სისხლმა გაიღ-ვიძა მათში. გეგონებოდათ, რემა ამ წუთას მოწყდება ადგი-ლიდანო.

მესამედ გაისმა სტვენა. მაღლობიდან მთვარის შუქზე მხედარი გამოჩნდა. ხელები აიქნია და შურდულივით დაეშვა ძირს. ხეებს შორის გასასვლელში პირდაპირ რემისაკენ მოჰ-ქროდა ველური ყვირილით. ყვირილითა და სტვენით სამი მხედარიც მოსდევდა.

„რა მოხდება? — არ მასვენებს ეს კითხვა, — მამა რატომ ნიშანს არ იძლევა? ვიმოქმედო მე თვითონ? წამოვხტე, გავე-ქანო, გზა გადავუჭრა, ფეხებში ჩავუვარდე ცხენებს? განა ამით შეაჩერებ? გაგთელავენ ბალახივით!“.

წინა მხედარი უკვე ჭალას მიუახლოვდა. აი, აგერ შეიჭრე-ბა რემაში. არყის ორ ხეს შორის გაიქროლა... მაგრამ ეს რა არის? მინდორზე უმხედრო ცხენი გამოჩნდა. მხედარი მი-წაზე უსულოდ აგდია.

გაოგნებული ვიყავი და უცებ ვერ მივხვდი, რა მოხდა. იგივე ბედი ეწია დანარჩენ ორსაც. თითქოს უხილავი ხე-ლი წაეტანა საყელოში და უნაგირიდან ჩამოაგდოო. ბოლოს მივხვდი: ხეებს შორის თოკი ან წვრილი მავთული იყო გა-ჭიმული. აი, როგორი იყო მამინაცვლის უბრალო, მაგრამ ზუსტი გეგმა! ეტყობოდა, მეოთხე მხედარი მიხვდა, რომ ხაფანგი იყო დაგებული. უცებ მიტრიალდა და უკან გაბრუნ-და. ოთვარის შუქი პირდაპირ სახეზე ანათებდა და მაშინვე ვიცანი ბარო შიროს მოკლე ფიგურა, მისი ქვაბურა თავი და ბრტყელი, საზიზღარი სახე. სამაგიეროს გადახდის წყურვი-ლით ანთებული გზის გადასაჭრელად გავექანე, მაგრამ სანამ ჩემამდე მოაღწევდა, ჰაერი გველისებურმა სისინმა გააპო. რა-ღაცამ გაიელვა მთვარის შუქზე და ბარო შირო ტომარასავით გადმოვარდა ცხენიდან. მტირალი არყის ხის ტოტი შეირხა და კატასავით მსუბუქად ჩამოხტა მამინაცვალი. ბარო შიროს-

კენ წავიდა, გზადაგზა ქამანდს ახვევდა. მაგრამ ბარო შირომ დანით გადაჭრა ქამანდი, კისრიდან მარყუჟი მოიძრო და ამოღებული დანით მამინაცვლისაკენ გაექანა. მე დავასწარი ბარო შიროს, კბილებით მკლავში ჩავაფრინდი და ხელიდან დანა გავაგდებინე. მამინაცვალმა სწრაფად შეკრა იგი ქამანდის თოკით.

გამოჩნდნენ ჩვენები: ტიმოშა, გვოზდენკო, აგაფონი. მახსოვს აგაფონმა ბარო შიროს უცნაური სხეული რომ დაინახა, გულუბრყვილოდ თქვა:

— აი, ეს მესმის, ნამდვილი კია?

გვოზდენკოს ფისის ჩირაღდანი ეჭირა. ჩირაღდანი გამოვტაცე და ზედ ცხვირთან მივუტანე ბარო შიროს. მის მახინჯ სახეზე წითელი შუქი აციალდა და სისხლისმსმელს დაემსგავსა.

მაშინვე ნათლად ამოცურდა ჩემს მეხსიერებაში შორეული, უცნაური და შემაშფოთებელი სიჩუმე, იდუმალი ღამე, რომელიც გასისხლიანებული ჭაბუკის ღრიალმა და ბებიას ხმამაღალმა ყვირილმა დაარღვია: გამახსენდა, რა მრისხანედ და მიწიერი სილამაზით ჰქონდა ანთებული სახე ბებიას, როცა გონებადაკარგული და თავგანწირული ატამანისაკენ დანით გაექანა და ატამანის დამჭაშებმა ბოლო მოუღეს! რამდენი ხანი მქონდა ჩამარხული გულში სამაგიეროს გადახდის წყურვილი, რამდენჯერ მიმიცია ჩუმად ფიცი ბებიასათვის, რომ სამაგიეროს გადავუხდი მის დამღუპველს. ყოფილა ქვეყანაზე სამართალი, აი, ეს საათიც დადგა!...

— ვერ მიცანი, ატამანო? — ვკითხე და ჩემდა უნებურად [illegible] [illegible]ზარა.

ბარო შირო დუმდა. მოღუშული იყო.

— [illegible] ქალი რომ მოჰკალი, გახსოვს?... არა, საიდან [illegible] ყველა, ვინც დაგიღუპავს? შენი დაკარგული [illegible] [illegible] თუ გახსოვს?

[illegible] [illegible]ბინა სახეზე. ბარო შიროს ჩიბუხი ახ[illegible]

— [illegible] ის ჩიბუხი, ატამანო! მე ყველაფერი დამა[illegible] [illegible] შენ აგე პასუხი ყველაფრისათვის.

ბარო შიროს ბანაკი ნიკიტოვკასთან, პოზდნეევკიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით დააკავეს.

მანამდე გვოზდენკომ და აგაფონმა მარდი ცხენებით ქალაქში ჩასვლა და ჩეკისტების რაზმით დაბრუნება მოასწრეს. ტრაქტორის გაფუჭება, ცხენების მოპარვა დასაწყისი იყო იმისა, რაც კულაკებს ჩაეფიქრათ კომუნის წინააღმდეგ. როდესაც მიტკა სლეგინი და მისი სულელი ქვისლი დააკავეს, მიტკამ საყელო მოიგლიჯა და ტირილ-ტირილით გადმოყაჭა ყველაფერი; როგორ მოისყიდეს მილიონოვკელმა მდიდრებმა, რომ მას შეეგულიანებინა ბოთე, ტრაქტორი მწყობრიდან გამოიყვანეო, რომ საშობაო ორომტრიალის დროს აყალმაყალი აეტეხა კომუნარებთან. ეს კი კულაკების მიერ სოფლის აქტივისტებთან ბრძოლის დაწყების ნიშანი უნდა ყოფილიყო.

— ათას მანეთს დამპირდნენ! შეუვსებელ პასპორტს დამპირდნენ! — ბღაოდა მიტკა და სახეზე ცხვირიდან ჩამონადენს იგლესავდა. — ჩაწერეთ, ყველანი ჩაწერეთ: ვერემეიკო, ბურტოვსკი, კარაჩუნი, კოვშოვი, ჩუმაკი, ზიაბლიკოვი, ხლობისტოვი და შეთაური კორნიენკოვი.

სანამ მიტკა თავის ცოდვებს ინანიებდა და ერთიდაიმავეს დაუსრულებლივ იმეორებდა, ბოთეს სიტყვაც არ დაუძრავს, მხოლოდ მიტკას ბურღავდა მძულვარე თვალებით. ბოთე უფრო მტკიცე აღმოჩნდა.

იმ ღამესვე გათავდა ყველაფერი. არცერთ შეთქმულს არ უცდია წინააღმდეგობის გაწევა.

13

მეორე დღე, პირველი მაისის წინა დღე, დღესასწაულისათვის მზადებას მოვანდომეთ. მაგრამ ყველას ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს უკვე დამდგარიყო დღესასწაული. მე და აგაფონი გმირებივით დავდიოდით. ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ აგაფონი ბრაზობდა, კულაკებთან შებრძოლების ერთადერთი საშუალება გვქონდა და ისიც არ გამოვიდაო..

გულზე მაინც მძიმედ შემომწოლოდა რაღაც. მოსვენებას არ მაძლევდა კატიუშაზე ფიქრი და შინ ადრე წავედი. გზაზე აგაფონი შემხვდა. გავვოცდი, ქალიშვილთან მოსეირნობდა. პატარა, გამხდარი, გამოხუნებულ ცისფერ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი დანდობილად მიჰუჭკოდა ახოვან თანამგზავრს. ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ. თითები გადაეხლართათ, თითქოს ერთმანეთის დაკარგვის ეშინოდათ, თავისუფალი ხელით ქალიშვილს აგაფონის ყუბანურა მიჰქონდა. შავ ფაქიზად დავარცხნილ თმებს ქვემოდან შემომცქეროდა აგაფონის უჩვეულოდ გათეთრებული, სუფთა სახე და პირველად შევამჩნიე, რომ აგაფონი ძალიან ლამაზი იყო.

— აი... სასეირნოდ გამოვედით, — მორცხვად თქვა აგაფონმა და თავისკენ მიიზიდა ქალიშვილი. ქალიშვილმა გაიღიმა და ქვემოდან ახედა.

— სასიამოვნოა! — განაგრძობდა აგაფონი დამნაშავის ხმით, — შესანიშნავი ჰაერია... კარგად იყავი, კოლიაკა...

აგაფონი მიტრიალდა, კინაღამ ჰაერში აიტაცა თავისი მსუბუქი თანამგზავრი. სოფლის ბოლოსაკენ გაემართნენ. უნებურად სევდით გავაყოლე თვალი. ერთად ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ, ბედნიერები იყვნენ. აგაფონის შარვალზე ახლადდადებული იისფერი საკერებელიც ბედნიერებას გამოხატავდა.

განა აზრად მომივიდოდა, რომ ცოცხალ აგაფონს მეტად ვეღარ ვნახავდი?

ორი საათის შემდეგ ჩვენთან მოირბინა აცახცახებულმა და გაფითრებულმა პეტრაკმა.

— ჩქარა წამოდი წისქვილში, აგაფონი მოკლეს!

სანამ წისქვილისაკენ მივრბოდით, პეტრაკმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და დაბნეულად მიამბო: აგაფონს ქალიშვილი გაეცილებინა მეზობელ სოფელში და იქიდან პოზდნეევკაში ბრუნდებოდა. წისქვილთან კულაკების შვილებს — კარაჩუნს, ბურტოვსკის და ვერემეიკოს — სტუდენტებს, რომლებიც აგაფონმა ამხილა, გზა გადაეჭრათ მისთვის.

რაზე შელაპარაკდნენ არავინ იცის, მაგრამ შელაპარაკება იმით დამთავრდა, რომ აგაფონს თავში რკინის ლომი ჩაარ-

ტყეს. აგაფონი დაეცა, თავდამსხმელები გაიქცნენ. ძველ ყუბანურას დარტყმის ძალა შეესუსტებინა და, როცა აგაფონი გარმონით სადღაც მიმავალ პავლე ერმოლინს შეენიშნა, ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო. „არ მომეკარო, — უთქვამს აგაფონს, — თორემ თქმას ვერ მოვასწრებ, ისე მოვკვდები, ბიჭებს გადაეცი, რომ კარაჩუნმა, ბურტოვსკიმ და ვერემეიკომ მომკლეს“... შემდეგ ბალახებში პირქვე დაცემულა და გაყუჩებულა. კატიუშას მამა სოფელში გამოიქცა, ჩვენი ბიჭები ფეხზე დააყენა. ზოგი წისქვილისაკენ გაიქცა, ზოგი კი გვოზდენკოს მეთაურობით უბელო ცხენებზე ამხედრდა და მკვლელებს დაედევნა.

— ანიუტა მეცოდება, — მითხრა პეტრაკმა, — მასა და აგაფონს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

— არასოდეს მომიკრავს ყური...

— აგაფონი მალავდა. ეშინოდა ქალიშვილებს არ დაეცინათ გოგონასათვის, კონკიჟღარუნასთან დადისო.

ჩვენ რომ მივედით, წისქვილთან უკვე ბევრს მოეყარა თავი. აგაფონი ბალახებში იწვა, გზიდან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, იქ, სადაც სიკვდილს მიესწრო მისთვის. იწვა თავდაღმა, ცალი ხელი ქვეშ ჰქონდა მოყოლილი, მეორე კი მოემუშტა და გვერდზე გადაეგდო. ყუბანურა საშინელი დარტყმისაგან გატეხილი თავიდან გადმოვარდნოდა და შედედებული ჩაშავებული სისხლით ავსებულიყო. აგაფონი ხომ გზაზე მიდიოდა — მაშ რატომ დევს მისი სხეული ბალახზე? იქნებ გაქცევა მოინდომა? არა, ამას აგაფონი არ იზამდა! და მით უმეტეს, რატომ გაიქცეოდა წისქვილისაკენ, აღმართზე, როცა მეორე მხარეს უფრო ადვილად დაეშვებოდა ხევით თუ ბუჩქებით? არა, ალბათ, მკვლელებს დაედევნა. დაედევნა ასე საშინლად დაჭრილი. ცვრიან ბალახს ჯერ კიდევ აჩნდა მათი კვალი. მდინარისაკენ გაქცეულიყვნენ. აგაფონი, ეტყობა, ვერ დაეწია, გულმა უმტყუნა და დაეცა. სანამ ამაზე ვფიქრობდი, თვით აგაფონმა გამცა პასუხი: შეკუმშული ხელი უეცრად გაიშალა და მის ფართო, ყვითელკოჟრებიან ხელისგულზე რაღაცამ იულვა. პეტრაკი მიუჯდა და ფრთხილად

გაუშალა თითები. ხელისგულზე სისხლმიმხმარი, მრგვალი ბაცი ცისფერი გუნდა იდო.

— თვალი, — თქვა პეტრაკმა და გადააფურთხა.

ხალხმა ახლოს მიიწია.

— თვალი, — გაიმეორეს სხვებმაც. — ან კარაჩუნისაა, ან ბურტოვსკის, ვერემეიკოს თაფლისფერი თვალები აქვს...

მოისმა ცხენების თქარათქური, მოიჭრნენ უბელო ცხენებზე ამხედრებული ბიჭები. ძლივს ვიცანი გვოზდენკო. სახე სისხლიანი ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. ვიფიქრე, მკვლელებს დაეწიენ და მათთან ბრძოლაში დაიჭრა-მეთქი. შემდეგ მივხვდი, ხის ტოტების ბრალი იყო. სერგეის თმებში, ტანსაცმელში ფოთლები, ნუჟრი და მთელი რტოც კი ჰქონდა გაჩრილი. გვოზდენკო ცხენიდან ჩამოხტა, ცხენიც და მხედარიც ფეხზე ძლივს იდგნენ.

— გაიქცნენ. წყეულები!... — ჩაილაპარაკა და სახე აუთრთოლდა.

ხალხი გაარღვია, აგაფონთან მივიდა; გადაიწია, თითქოს დაარტყესო და მეგობრის გვერდით მიწაზე დაეცა.

ადამიანთა ათასნაირი მწუხარება მინახავს, მაგრამ ასეთი არასოდეს, ყოველთვის თავშეკავებულმა და ცივმა გვოზდენკომ მთლიანად დაკარგა თავი, ცხედარს კოცნიდა, აგაფონის გაციებულ ხელს ჩაშავებულ, გამშრალ სახეზე ისვამდა.

— აგაფოშკა!.. ძვირფასო, ჩემო საყვარელო, — ლუღლუღებდა ის. პირველად მივხვდი, როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდათ ამ სხვადასხვა ხასიათის ადამიანებს.

რა თქმა უნდა, ისინი კომკავშირული საქმისადმი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულებამ დააკავშირა. ამ საქმისა ბოლომდე მხოლოდ მათ ესმოდათ. მაგრამ ჩვენს შორის ყველაზე განვითარებულ და მომწიფებულ გვოზდენკოს მისი მეგობრის ნათელი და ბობოქარი ხასიათი აკლდა. ბუნებით მშვიდ გვოზდენკოს იზიდავდა აგაფონის ბობოქარი სული. მისი დაკარგვით გვოზდენკომ თითქოს თავისი სხეულის ნაწილი დაკარგა.

აგაფონი დღესასწაულის დღეს, პირველ მაისს დავასაფლავეთ. მთელმა სტანიცამ გააცილა. ქალაქიდანაც ჩამოვიდ-

ნენ. ცოცხალი ყვავილებითა და სამგლოვიარო ლენტებით მორთული კუბო სოფლსაბჭოში იდგა. აგაფონი მკაცრად გამოიყურებოდა, უფრო ახალგაზრდა ჩანდა. პირველად ეცვა ახალი კოსტიუმი: ზოლებიანი შარვალი და ასეთივე პიჯაკი. ეს გვოზდენკოს სადღესასწაულო კოსტიუმი იყო და აგაფონს ვიწრო ჰქონდა. გეგონებოდათ, დაპატარავებიაო. ბევრი ტიროდა. აგაფონის ანიუტაც აქ იყო. ის არ ტიროდა, თითქო შუაღამეზე გამოაღვიძეს და არ იცის, სად არის და რა ხდებაო.

გვოზდენკოს ნიშანზე კუბო ავწიეთ და წისქვილისაკენ წავიღეთ. გადავწყვიტეთ აგაფონი აქ დაგვეკრძალა.. შეგვეძლო მოკლე გზით, ცაპოვკაზე გვევლო, მაგრამ გვოზდენკომ, რომელიც წინ მიდიოდა, მილიონოვკისაკენ გაუხვია და აგაფონი კულაკების დადუმებულ გამოკეტილ სახლებთან ჩავატარეთ. საფლავთან პირველი სიტყვა კომუნის ხანშიშესულმა თავმჯდომარემ, ყოველთვის ნაღვლიანმა და თითქოს შეწუხებულმა ტიმოშამ წარმოთქვა. ის ამბობდა, რომ აგაფონი კომუნისათვის დაიღუპაო. რამდენჯერმე ბოლშევიკი უწოდა. შემდეგ ქალაქელმა ჩეკისტმა ილაპარაკა და მანაც ბოლშევიკი და კომუნისტი უწოდა. სიტყვა მისცეს გვოზდენკოს; ის გამოვიდა, მიცვალებულს სახეში შეხედა, ხელები ყელში წაივლო და გვერდზე გადადგა. ბოლოს რაიონელმა, პატარა შავგვრემანმა ყმაწვილმა ილაპარაკა, თითქმის არც მესმოდა მისი სიტყვები, მაგრამ იმით, რომ გული მტკიოდა, ვგრძნობდი, რა მშვენივრად ლაპარაკობდა...

შინ რომ დავბრუნდი, მთლად დამტვრეული ვიყავი. შუაღამისას ჩვენი კავკასიური ნაგაზის მალჩიკის გააფთრებულმა ყეფამ გამოგვაღვიძა. მალჩიკი ჯაჭვის აწყვეტას ლამობდა, რკინის რგოლს არაჩხუნებდა და გახელებული ყეფდა.

— კატიუშაა, — თქვა დედამ.

— რას ამბობ! მალჩიკი ხომ იცნობს კატიუშას!

სასწრაფოდ ჩავიცვი და ბაღში გამოვვარდი. კატიუშას ხელი მავთულისათვის მოევლო, რომელზედაც მალჩიკის ჯაჭვის რგოლი იყო წამოცმული. მალჩიკი თითქოს მას იცავდა, ისე გაავებული უყეფდა ბაღის ჩაბნელებულ სიღრმეს.

— იქ პაპაა... ჩემი მოკვლა უნდოდა... — ძლივს გასაგონად წარმოთქვა კატიუშამ.

მალჩიკი ავუშვი, უკან გავსდიე, მაგრამ ბაღში არავინ აღმოჩნდა. მალჩიკი ყნოსავდა მიწას, გაჯავრებული ფრუტუნებდა და ბეწვს იბერტყავდა.

კატიუშა შინ შევიყვანე. კანკალებდა და დიდხანს ბმის ამოღება ვერ მოახერხა.

— ნაჯახით მომდევდა...

— დაწყნარდი, — უთხრა დედამ, — აქ ხელს ვერავინ გახლებს.

— აქ დარჩენა არ შემიძლია...

— შეგიძლია! — ვუთხარი მტკიცედ, რათა კატიუშა მიმხვდარიყო, რომ მე გავუგე.

— კოლია კომკავშირელია, — ამაყად უთხრა დედამ. — ამხანაგები არავის დააჩაგვრინებენ მის ოჯახს, მის ახლობლებს.

მაშასადამე, დედამ ყველაფერი იცოდა. ნუთუ მამინაცვალმა გამცა? მაგრამ მისი სახე ისეთ გულწრფელ გაკვირვებას გამოხატავდა, რომ მაშინვე უარვყავი ეს აზრი. ალბათ, დედას ესეც გულმა უთხრა, როგორც ყველაფერი, რაც მის ვაჟს შეეხებოდა. უდიდესი სიმძიმე ჩამომეცალა მხრებიდან. დუმილი იმაზე, რაც ჩემი ცხოვრების მთავარ აზრს წარმოადგენდა, მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნდა.

რა მოუვიდა კატიუშას? ის აგაფონის დაკრძალვას ესწრებოდა და თავისთავს სიტყვა მისცა, ერთ დღესაც აღარ დავრჩები ოვსეი ერმოლინის ჭერქვეშო. სანამ იმაზე ფიქრობდა, საით წავიდეო, მათთან ჩეკისტები მივიდნენ. გაეგოთ, რომ ოვსეი ზედმეტ ხორბალს მალავდა. ოვსეიმ ბეღლისა და საკუჭნაოს გასაღებები მისცა, თვითონ კი ნავთის. ლამპით უნათებდა. რა თქმა უნდა, ვერაფერი ნახეს. მაშინ კატიუშამ უთხრა:

— ძველ ჭაში მოძებნეთ.

აღმოაჩინეს ოთხმოცდაათი ტომარა ხორბალი. ოვსეი საღამოს არაყით გამოიბრუჟა. ნაჯახს ხელი დაავლო და კატიუშას გამოეკიდა. კატიუშამ გაქცევა მოასწრო. ოვსეიმ ჩვენს ბაღამდე მოსდია...

გათენებამდე არ დავწოლილვართ, მომავლის გეგმებს ვაწყობდით, კატიუშა სულ ჩვენთან ხომ არ დარჩებოდა. ან უნდა ესწავლა, ან ემუშავა. დრო იყო მეც ჩემს მომავალზე მეზრუნა. სანამ ჩვენ ვბჭობდით და ვსჯიდით, ცხოვრებამ თვითონ განსაჯა.

დილით გვოზდენკომ გამომიძახა: გადაწყვეტილი გვქონდა, ჩვენი დრამატული წრე საგასტროლოდ გასულიყო მეზობელ სტანიცებში და იქ წარმოდგენები გაგვემართა.

— რას ამბობ, სერგეი, წარმოდგენებისათვის გვცალია ახლა!

— კომკავშირელი ჯარისკაცივითაა. გიბრძანებენ — უნდა შეასრულო — ასე განსაჯა ამხანაგმა ალექსეიმ. კულაკებთან ბრძოლა მწვავდება. საჭიროა ახალგაზრდების საბრძოლო სულის ამაღლება. გასაგებია? ოპალიხიდან პრონინოში წახვალთ, შემდეგ ჩურილოვკაში. მარშრუტი პეტრაკს აქვს. ის იქნება ხელმძღვანელი.

— შენ არ წამოხვალ?

— არა, ძმობილო, ჩეკაში მივდივარ სამუშაოდ.

— ჩეკაში?

ჰო, მე ახლა ერთი საფიქრალი მაქვს: სისხლი სისხლის წილ. სამხრეთში კულაკთა აჯანყებები დაიწყო. სამუშაო იქნება... ეახსოვს, აგაფონი ოცნებობდა, პირისპირ შებმოდა კულაკებს? ახლა მისი ფიქრები მე გადმომედო. აბა, ნახვამდის, ნიკოლაი, ცუდად არ მოიგონო, ჰო, მართლა; საყვედური მოვიხსნეს, სამაზრო კომიტეტმა არ დაამტკიცა ჩვენი გადაწყვეტილება, ზედმეტი სიფრთხილე გამოგიჩენიათო...

— მაშ... იქ უკვე იციან, რომ კატიუშა...

— იციან, კარგი გოგოა. ნუ მოიცილებ. მხოლოდ გადაწყვეტილება ადრე იყო მიღებული. გუშინ დაკრძალვაზე გავიგე ალექსეისაგან...

— განა ალექსეი იყო დაკრძალვაზე?

— შენ რა, მისი სიტყვა არ მოგისმენია?

— მაშ ის იყო, — წამოვიყვირე, — დაბალი, შავგვრემანი კაცი?

— აი, დაბალი თუ იყო, არ შემიმჩნევია... — ჩაფიქრებით

ჩაილაპარაკა გვოზდენკომ და ხელი გამომიწოდა, — როცა სოფელ-სოფელ ივლით, უამბეთ ხალხს აგაფონზე, მის სიკვდილზე, აამხედრეთ ისინი კულაკების წინააღმდეგ. კარგად იყავი!

ამის მეტად აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს.

მეორე დღეს ჩვენი თეატრალური ბრიგადა გზას გაუდგა. კატიაც წამოგვყვა. კარგად ხატავდა, კერავდა, ნაჭრებისაგან ყვავილების გაკეთება იცოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ გამოგვადგა. გვგზავნიდნენ რამდენიმე დღით. აზრად არ გამივლია, თუ ჩვენი გზა წლობით გაგრძელდებოდა და პოზდნეევკას სამუდამოდ დავემშვიდობებოდი. მართალია, შემდეგ არა ერთხელ ვყოფილვარ პოზდნეევკაში, სადაც ჩემმა მშობლებმა სიკვდილამდე, 1929 წლამდე იცხოვრეს, მაგრამ ჩამოვდიოდი მხოლოდ სტუმრად, ცოტა ხნით.

მარშრუტს რომ ვამთავრებდით, ერთ სტანიცაში ოლქის მოხეტიალე თეატრს შევხვდით. ამ თეატრის მსახიობთა უმრავლესობა ჩვენსავით სცენისმოყვარე იყო, მაგრამ გამოცდილება ჰქონდათ, გრიმსა და კოსტიუმებს კარგად ირგებდნენ. ჩვენი სპექტაკლი ნახეს და სამს, მათ შორის მეც, მათთან გადასვლა შემოგვთავაზეს. ორმა უარი განაცხადა. მათ პოზდნეევკასთან გულითადი და სამეურნეო ინტერესები აკავშირებდათ. მე კი აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ასე მოულოდნელად ვეწიე ბედს, ნამდვილ თეატრში თამაში მეღირსა. ნამდვილი დეკორაციები, ნამდვილი კოსტიუმები. მეტზე ოცნებაც არ შემეძლო! მაშინვე დავთანხმდი, მხოლოდ იმ პირობით, რომ კატიუშაც ჩაერიცხათ შტატში.

კატიუშა თეატრის მოლარედ დანიშნეს, თანაც გამოსასვლელ როლებსაც აძლევდნენ. ძალზე მორცხვობდა და თანახმა იყო მხოლოდ უსიტყვო როლები ეთამაშა. იმ რამდენიმე სიტყვასაც ისე სუსტი და მიკნავებული ხმით ამბობდა, რომ მაყურებლები ხშირად ყვიროდნენ, ხმამაღლაო.

ჩვენი თეატრი ახალგაზრდა, ცეცხლოვანი და უმწიკვლო იყო. ხშირად დღეში სამ სპექტაკლს ვთამაშობდით. მთელი დღე-ღამის განმავლობაში გავდიოდით რეპეტიციებს, საათობით ვკამათობდით როლების, პიესებისა და დეკორაციების შე-

სახებ. ვჭამდით, რაც შეგვხვდებოდა, გვეძინა, სადაც მოგვიხ-
დებოდა, გვეცვა ცოტა უკეთ, ვიდრე აგაფონს...

ცხოვრებამ, როგორც იქნა გამიღიმა, მაგრამ, სამწუხა-
როდ, მოკლე ხნით.

ერთხელ დიდ სტანიცა ნოვოკუბანსკში ჩვენი ერთი ყვე-
ლაზე საუკეთესო სპექტაკლი, შილერის „ყაჩაღები“ გადიოდა.
უნდა გვეთამაშა საზაფხულო თეატრში და არა კლუბში. დე-
კორაციამ დაიგვიანა, მანქანები გზაში შეფერხდნენ და მხო-
ლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა მსახიობებს მღელვარებისაგან
გრიმები ოფლად ჩამოეღვარათ და წვერ-ულვაში მოძვრათ.
თეატრის ყველა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა დეკო-
რაციების დადგმაში. მხოლოდ კატიუშა ყიდდა ამ დროს
ბილეთებს ფიცრულ სალაროში, თეატრის შემოსასვლელთან.

ბოლოს და ბოლოს სპექტაკლი დაიწყო. კარლ მოორს ვთა-
მაშობდი. სხვა მსახიობებზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მე მაყურე-
ბელთა დარბაზში ვერაფერს ვამჩნევ, თუნდაც ხელჩართული
ბრძოლა ჰქონდეთ მთვრალებს. მხოლოდ ხანდახან, მონოლო-
გის დროს თუ შევაჩერებ მზერას რომელიმე მაყურებელზე
და მას მივმართავ. ცხადია, სპექტაკლის შემდეგ იმ მაყურე-
ბელს ვეღარ ვცნობ.

მაგრამ ახლა სხვაგვარად გამოვიდა. სანამ მონოლოგს და-
ვიწყებდი, მზერა ერთ შავგვრემან ჭაბუკზე შევაჩერე. ჭაბუკს
ცალ თვალზე არტაში ეკეთა. მონოლოგის შემდეგ მიმავიწყ-
და, მაგრამ უცებ ისევ ამოტივტივდა ჩემს გონებაში მისი
ნაკვთები. თავს ვეღარ ვიკავებდი, ისე მომინდა ცალთვალა
ჭაბუკი დამენახა.

გავიხედე, ერთხელ, მეორედ, უსიამოვნო გრძნობა და-
მეუფლა, მაგრამ ვერ მივხვდი, საიდან გამიჩნდა ეს გრძნობა.
ლამაზი, შავგვრემანი ჭაბუკი იყო, კეხიანი ცხვირი და ხუჭუ-
ჭი, უკან გადავარცხნილი თმები ჰქონდა, საღი თვალით გამ-
ჭოლავად იმზირებოდა.

— რატომ იმას არ მეუბნები, რაც უნდა მითხრა? — მო-
მესმა ფრანც მოორის ნაწყენი ჩურჩული.

ამის შემდეგ შავარტაშიანს ვეღარ ვუყურებდი, მაგრამ
მეხსიერებაში აღდგა: „ბურტოვსკი“.

აი, ვის წამოეწია აგაფონი! ალბათ, მისი მეგობრებიც სადმე ახლომახლო არიან...

რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ იმყოფებოდა კულაკების სამეული. და, მართლაც, გამოვედი თუ არა თეატრის შენობიდან, ბურახის ფარდულთან კარაჩუნი და ვერემეიკო დავინახე. ზურგშექცევით იდგნენ და ბურახს სვამდნენ დიდი ჭიქებით, მაგრამ შემეძლო დამეფიცა, რომ მხედავდნენ.

არ ვიცოდი, რა მექნა. ამეტეხა განგაში? ახლომახლო მილიცია არ იყო. სანამ ხალხი მიხვდებოდა, რაში იყო საქმე, ბანდიტები გაიქცეოდნენ. თანაც ისინი ცალ-ცალკე არიან. ესე იგი, ასე არ ივარგებს. მაგრამ თუ დავაგვიანებ, წავლენ. „არა, არ წავლენ", გადავწყვიტე უცებ და ილაჯგაწყვეტილს საამო გრძნობა დამეუფლა. მიცნეს და სწორედ ამიტომ არ წავლენ. მე არც დამჭირდება მათი ძებნა. თვითონვე მომძებნიან. ისინი სამნი არიან. ბუნებრივია, პირველები დამესხმიან. ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ მოხდებოდა ეს. ყოველ შემთხვევაში, ვერ ჩამისაფრდებოდნენ. მაშასადამე, მხოლოდ და მხოლოდ აშკარად თუ იმოქმედებდნენ...

უცნაურმა, მომნუსხველმა გრძნობამ შეშიპყრო. მე და ჩემს ახლობლებს მთელი ცხოვრება გვდევდა ბოროტი სული. თვრამეტი წელი ძლივს ვიცხოვრე ქვეყანაზე და რამდენი ვინმე დავკარგე: ბებია, პეტია ძია, აგაფონი. ამ ბოროტმა სულმა დამაშორა ცოცხლებსაც: წითურ ჭაბუკს, ანდრეი პონდარს, სერგეი გვოზდენკოს. ბოროტი სული უმტვრევდა ხელებს ლუკიანის საწყალ მომღერლებსა და მეგარმონეებს. ბოროტმა სულმა დაუტოვა მამინაცვალს ზურგზე დამღა, დამიხურა სკოლის კარი, ნაჯახით მისდევდა კატიუშას და ახლა მე მიღერებს დანას...

უცნაურად მოგეჩვენებათ, რომ ამ შეხვედრის შესახებ კრინტიც არ დამიძრავს, არც ჩემს ამხანაგებთან, არც კატიუშასთან. არავის ჩარევა არ მინდოდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, მეხებოდა მხოლოდ მე და მათ, ვინც ახლა აქ არ იყო. ზოგჯერ ხდება ცხოვრებაში ისე, რომ კაცმა მარტომ უნდა გააკეთოს თავისი საქმე...

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დასის უმეტესობა ქალაქში წავიდა ღამის გასათევად. რამდენიმე მსახიობი, მათ შორის მე და კატიუშაც თეატრში დავრჩით. გავშალეთ თეატრის ყოველგვარი ხარახურა და დასაძინებლად მივწექით. დიდხანს ვიტრიალე სხვადასხვა ფიქრებით აფორიაქებულმა, ვიდრე ჩამეძინებოდა. გამთენიისას ვიღაც შემეხო მხარზე. თვალი გავახილე და თეატრის წვეროსანი დარაჯი ვიცანი.

— გესმის, ნაგორნი? ამხანაგები გკითხულობენ, გამოხვალ თუ არა?

— ახლავე... —ვთქვი და ფეხზე წამოვხტი.

ვიცოდი, დანა არ ამცდებოდა, მაგრამ მივდიოდი მთვარეულის გასაოცარი სიმტკიცით. მეგონა, დღეს, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვეტ დავას ბოროტ სულთან, რომელმაც პავშვობა და სიყრმე გამიმწარა-მეთქი.

დარაჯი კრუსუნით შეწვა თავის ლოგიწში შემოსასვლელთან. კარს ხელი ვკარი და ქუჩაში გამოვედი.

გრძელსა და ვიწრო ბოძზე, გაცისკროვნებულ ცის ქვეშ, ობლად ენთო ელექტრონათურა. ბოძთან ისინი იდგნენ: ვერეშეიკო და კარაჩუნი. ბურტოვსკი უკან დამდგარიყო. აგაფონთან შეხვედრის შემდეგ, ეტყობა, თავის გამოჩენის სურვილი გაუქრა. სამი პოზდნეევკელი ბიჭი, სამი მგელი. ამ უზარმაზარ სამყაროში მათთვის არც საყუდარია, არც თავშესაფარი. არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ როგორმე ვინმე დასჭრან, დაახრჩონ, მოკლან. მგლები! მაგრამ ახლა მეც მგელი ვიყავი. მგლებს შორის მგელი.

საოცრად სწორად ვაზროვნებდი. მათ გამომიწვიეს. ჰგონიათ, ვერ ვიცანი: ჩვენ ხომ თითქმის არ შევხვედრიკართ ერთმანეთს სტანიცაში. მაშასადამე, უპირატესობა ჩემს მხარეზე იყო. ჯიბეში ორი სპილენძის შაურიანი მქონდა და ხელი მაგრად მოვუჭირე.

— გამარჯობა, ძმობილო! — მითხრა კარაჩუნმა, თან წინ წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

— გაგიმარჯოს! — ვუპასუხე და რაც ძალი და ღონე მქონდა ვუთაქე სახეში.

კარაჩუნი ჩაიკეცა. იმავე წამს ვერემეიკო მეცა, ცალი ხელით ნიკაპში ჩამებღაუჭა, მეორე კი ჯუხრუჭივით მომიჭირა კისერში. დაძრომა მოვახერხე და სახეში მუშტები ჩავცხე. სწრაფად დაიხარა, მაგრამ სიცარიელის ნაცვლად რაღაც რბილს მივარტყი ისევ. ამ დროს საშინელი ბღავილი გაისმა: ბურტოვსკისათვის მომერტყა ერთადერთ თვალში...

ბურტოვსკის გამწარებულმა ყვირილმა ჩვენები გააღვიძა. კატიუშა, ჩვენი თეატრის მხატვარი გუსაროვი, მისი მეუღლე და მოხუცი დარაჯი მოვარდნენ პირველად.

— სდექ, თორემ ვისვრი! — იყვირა გუსაროვმა და ჰაერში ისროლა. მას ძველისებური რევოლვერი ჰქონდა, რომელიც ოდესღაც ბაზარში გადაეცვალა რაღაცაზე. გუსაროვის ცოლს ისე შეეშინდა სროლისა, რომ ქმარს მივარდა და ხელიდან გააგდებინა რევოლვერი. რევოლვერს იმ წამსვე ვერემეიკო დაეუფლა.

ტკივილისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი (შემდეგ გავიგე, თურმე შეჯახების დროს კარაჩუნს დანით დავუჭრივარ), მაგრამ ვერემეიკოს ვეკვეთე. ცეცხლმა შემომანათა. შემაზრზენად შეჰკივლა კატიუშამ. კიდევ გავარდა. წარბები ამეტრუსა და თითქოს დიდ ქლიბს მისვამდა ვიღაც თხემზე. ვგრძნობდი, რომ გონს ვკარგავდი. ვერემეიკოს ვეკვეთე და მასთან ერთად დავეხეთქე მიწაზე. ვერემეიკომ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ჩემგან თავის დაღწევა. მიუხედავად ამისა, სანამ მშველელები მოვიდოდნენ, დანა ორჯერ ჩამცა. ჩემი დარტყმით დაბრმავებულმა ბურტოვსკიმ შორს წასვლა ვერ შეძლო. იქვე, თეატრთან, ბუჩქებში გაიჩხირა. კარაჩუნი მეორე დღეს დაიჭირეს ტორფის დამამზადებელმა ბიჭებმა. დაჩეჩქვილი სახით ეცნოთ. მათ მახლობლად ჩაევლო და ტყეში აპირებდა თურმე თავშეფარებას...

გონზე საავადმყოფოში მოვედი. თვალი გავაყოლე პატარა ტუმბს, წყლიან გრაფინს, მოხუც მომვლელ ქალს, რომელიც მეზობელ საწოლს ასწორებდა... მოხუცმა მოიხედა და თითით დამემუქრა:

— მშვიდად იწექი, შენი განძრევა არ შეიძლება.

როგორ მოვხვდი აქ? თეატრის მოედანი, ცეცხლი, კატიუშას შემზარავი კივილი... რატომ კიოდა ასე? ალბათ, ტყვია მე ამცდა და მას მოხვდა...

— კატიუშა... — ძლივს ამოვიღე ხმა.

მოხუცი შებრუნდა. არ უნდოდა ეპასუხა, სიმართლის თქმისა ეშინოდა.

— მოჰკლეს? — აღარ არის?... მითხარით მოჰკლეს?

ადგომა ვცადე, მაგრამ მოხუცმა სასთუმალზე მიმაწვინა.

— იწექი, შვილო, იწექი, დაისვენე.

მუსიკის ხმა მესმის, იქნებ მელანდება? არა, გარკვევით მესმის სასულე ორკესტრის ნაღვლიანი, საზეიმო ხმა. მოხუცმა შეშინებული თვალებით შემომხედა. ფანჯრები დახურა და ფარდები ჩამოაფარა.

ყველაფერს მივხვდი: კატიუშას ასაფლავებდნენ. ვერასოდეს ვნახავ კატიუშას, ვერც იმას ვნახავ, როგორ მიასვენებენ მას ქალაქის ქუჩებში პატარა წითელი კუბოთი. ყურადღებით შევყურებ მომვლელ ქალს. აი, ის პატარა, ცარიელი პალატის მეორე ბოლოშია უკვე, ხელებით წამოვიწიე, წამოვხტი, ფანჯარას მივვარდი, ფარდა გადავწიე და სხეულის მთელი სიმძიმით წინ გავიწიე, მინა აწკარუნდა, ჩარჩოს გადავეკიდე... პროცესიის ბოლოს მოკაცარი თვალი. მიეექანები ძირს. ქვაფენილზე დაცემა არ მიგრძვნია — ეტყობა გრძნობა მანამდე დავკარგე. სანამ მიწას შევეხებოდი...

გრძნობაზე, როგორც მეგონა, საკმაოდ სწრაფად მოვედ-ვიწექი წყნარად, თვალები დახუჭული მქონდა და არ ვიმჩნევდი, რომ სრულ გონებაზე ვიყავი, არ მინდოდა, ხელი შეეშალათ, მინდოდა მეფიქრა და სულ ვფიქრობდი და ვფიქრობდი...

არავის ნახვა არ მინდოდა ერთი კაცის გარდა. მტკიცედ ვიცოდი, რომ მოვიდოდა. ის მართლაც მოვიდა, მოვიდა ჩემი ძველი მეგობარი, წითური ჭაბუკი, საწოლზე ჩამომიჯდა და შუბლზე ცივი ხელი დამადო.

საკვირველია, ის აღარ იყო ისეთი, როგორიც მახსოვდა. ქერა არაა, შავგვრემანია, დაბალია, ერთი სიტყვით, ეს ამხანაგი ალექსეია, მაგრამ ამავე დროს წითური ჭაბუკიცაა. სულაც არ გავოცებულვარ. უკვე აღარ ვფიქრობდი, ხმამაღლა

ვლაპარაკობდი, დიდხანს, დაუღალავად და საოცრად დალაგებულად. მოვუყევი მთელი ჩემი თავგადასავალი, როგორ ვეძებდი სიმართლეს, როგორ ვეულოდი მას, სად არის ის — სიმართლე, რომელსაც იგი მპირდებოდა? სად არის ადამიანების სანუკვარი ბედნიერება? სულ სისხლი და სისხლი, უსასრულოდ და დაუსრულებლად სისხლი...

ის თითქოს ჩემივე ხმით მიპასუხებდა:

„განა შეგპირდი, სიმართლეს ადვილად მიაღწევ-მეთქი? აკი გეუბნებოდი, კბილი კბილს დააჭირე და გამაგრდი, გამაგრდი. როგორადაც არ უნდა გაგიჭირდეს და შეგეშინდეს, მაინც გამაგრდი. შენი სიმართლე მოვა“...

„მაგრამ როდისღა, როდის?“ — ვეკითხებოდი განწირული ხმით.

„განა უკვე ხელთ არა გაქვს სიმართლე? სიმართლე ბრძოლაშია, შენ იბრძოდი და იბრძვი“....

„სიმართლე ბედნიერებაა“....

„სიმართლისათვის ბრძოლა კი ბედნიერება არ არის? შენი მეგობარი ავაფონი ხომ ბედნიერი იყო? განა შენ თვითონ ბედნიერი არა ხარ? შენ გეჩვენება, რომ უბედური ხარ. გაივლის წლები და მოიგონებ სიყრმეს, როგორც ბედნიერებას, რადგან იბრძოდი სიმართლისათვის“.

„მე ხომ კატიუშა დავკარგე“...

მოჩვენება გაქრა. დავრჩი მარტო და ისევ ფიქრში წავედი. ვიცოდი, რომ ასეთ მდგომარეობაში ცხოვრებას ვერ მოვერეოდი, ვერ წამოვდგებოდი, სულერთია. ცხოვრებას უნდა დავუბრუნდე, უნდა მივიღო წვალებითა და მსხვერპლით, რომელიც კიდევ წინ მელის...

თვალები გავახილე, ისევ დავინახე თეთრი კედლები და ჭერი. პატარა ტუმბი, წყლიანი გრაფინი, საბნის თეთრ შალითაზე გადადებული ჩემი გამხდარი ხელები და მოხუცი მომვლელი. თავი მოვაბრუნე და მკერდში რაღაცამ მიჩხვლიტა, კიდევ ავწიე თავი და ისევ მიჩხვლიტა. გაბურძგნილი წვერები მჩხვლეტდა....

— რამდენი ხანია ვწევარ? — ვკითხე მომვლელს.

ხელი გაუშეშდა, შემდეგ დაუშვა.

— გონს მოხვედი! — კეთილად გაიღიმა მოხუცმა. — შიშიკი გვაჭამე! ერთი კვირა გონმიხდილი იწექი. შენი გოგო დღეში სამჯერ მოდიოდა...

— რომელი გოგო?

— კატიუშა...

რამდენიმე ხანს თვალდახუჭული ვიწექი.

— მაშ ვინ დაასაფლავეს?

— ერთი მასწავლებელი ქალი...

— სხვა ჩემთან არავინ მოსულა?

— შენი ამხანაგები მოვიდნენ თეატრიდან, მაგრამ ექიმმა ნახვის ნება არ დართო, ძალიან ცუდად იყავი.

— დღეს, ცოტა ხნის წინ ჩემთან არავინ ყოფილა?

— როგორ არა. ერთი კაცი იყო: ექიმმა მას შენი ნახვის ნება მისცა.

— წითური?

— ხოჭოსავით შავი, დაბალი და მკვირცხლი! ეტყობა უფროსი იყო.

ცხადია, ამხანაგი ალექსეი მოსულა. ნუთუ გონმიხდილმა მაინც დავინახე მისი სახე და წითური ჭაბუკი მეგონა?

— მე ველაპარაკებოდი?

— რას ამბობ! ის ცოტა ხნით იჯდა, უსიტყვოდ გიცქერდა და წავიდა.

ამ დღეს პირველად მოვითხოვე საჭმელი. გამოკეთების გზას დავადექი.

14

ათას ცხრაას ოცდათორმეტი წლის ადრეულ გაზაფხულზე გადავწყვიტე, სიმართლე ჩემს ტომთან ერთად მეძია. ადრეულ ბავშვობაში მათთან ერთად გამოვცადე ბევრი სიმწარე, საშინელება, სიმძიმე და ამავე დროს მცირეოდენი ბედნიერებაც. იყო სხვა მიზეზიც, რომ ბოშებთან დავბრუნებულიყავი. ქვეყანაზე მარტოდმარტო დავრჩი, მშობლები დამეხოცნენ. კატიუშამ მიმატოვა.

ეს მოხდა მოულოდნელად, უბრალოდ, ისე როგორც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ხდება ხოლმე.

ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ, კატიუშა მოვიდა და მითხრა:

— კოლია, მე მივდივარ...

— სად?

— ნოვოჩერკასკში... სამასწავლებლო ინსტიტუტში შევალ და მერე ხატვას ვასწავლი.

— მარტო მიდიხარ?

კატიუშა ატირდა და მეც უცებ მივხვდი, რომ მთელი ეს წლები ბრმასავით ვიყავი. კატიუშამ იმდენად მიშაჩვია საიმედო და თანაც შორეულ სიახლოვეს, რომ ვერ გადამეწყვიტა, რამე შემეცვალა მისდამი დამოკიდებულებაში. მან იცოდა, რომ მიყვარდა. თვითონ არასოდეს უთქვამს, რომ ვუყვარვარ, მეც არასოდეს მიკითხავს. ვგრძნობდი, ჯერ არ გაეღვიძა გრძნობას. დარწმუნებული ვიყავი, აუცილებლად შემიყვარებდა. და აი, გაიღვიძა გრძნობამ, მაგრამ ის სხვამ გააღვიძა...

ვიცნობ?...

— ჰო... მასწავლებელი ნესტერენკოა...

ეს კაცი კარგად მახსოვდა ნოვოჩერკასკში ჩვენი გასტროლების დროიდან. ერთი აყლაყუდა, მხრებში მოხრილი, კისერწაგრძელებული კაცი იყო, უცნაური ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. არცერთი ჩვენი სპექტაკლი არ გაუცდენია და შუდამ კულისებში დაძვრებოდა. მაგრამ მე საიდან უნდა მცნობოდა, ან რა შემეძლო მეთქვა მასზე? მხოლოდ ჩემს თავზე შემეძლო ლაპარაკი. კატია ჯიუტად მისმენდა ტუჩებმოკუმული. იმის მიხედვით თუ როგორ ვლაპარაკობდი, უჩვეულოდ იცვლიდა სახეს. ხან ნაღვლიანი იყო, ხან გაოცებული, ხან მოღლილი, ხან სახეზე სიბრალული ეხატებოდა. დავიბენი და გავჩუმდი. კატიაც დუმდა.

— რა მეშველება, კატია? მე ხომ მიყვარხარ... ჩვენ რამდენი რამ გადავიტანეთ ერთად...

—მე შენი მეგობარი ვარ,—თქვა კატიუშამ და ისევ ატირდა.

კატია მეორე დღეს გაემგზავრა და ჩვენ აღარასოდეს გვინახავს ერთმანეთი. კიდევ ნახევარი წელიწადი ვმუშაობდი თეატრში, მაგრამ ადრინდელი აღტაცება აღარ მქონდა. ძალიან ბევრი რამ მაგონებდა კატიუშას. დეკორაციაზე დახატული არყის ხე, იაფფასიანი გულსაბნევი ჩვენი მებილეთის მკერდზე, — კატიას საჩუქარი, სალაროს ფანერის სარკმელი — ყველაფერი გულს მიკლავდა.

აი, ამ დროს გავიგე ჩვენს ქვეყანაში ბოშათა პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ამბავი. ის დნეპრის ნაპირებზე, შუა სმოლენსკჩინაში შეიქმნა. მივწერე სმოლენსკის პარტიის საოლქო კომიტეტს, დავეშვიდობე ამხანაგებს და შორეულ სოფელ ნოვო-ფატეევკაში გავემგზავრე.

სადგურიდან ფეხით წავედი. ისე მიტაცებდა თვისტომთა ახალი, უჩვეულო ცხოვრება, რომ ხშირად გზიდან ვუხვევდი და ჭაობიან ბორცვებზე ავდიოდი. მინდოდა ნოვო-ფატეევკის სახლები დამენახა. გამვლელებისა მრცხვენოდა, თორემ ხეზე ავძვრებოდი.

სოფლის ქუჩა ცარიელი იყო, მხოლოდ ბავშვები თამაშობდნენ. შავ თავებს შორის ქერებიც ერივნენ. ესე იგი, აქ რუსებიც ცხოვრობდნენ...

თვალის ერთი მოვლებით ადვილად ვიპოვე გამგეობის შენობა — ქვის სახლი, ხის დანაშენით. ეზოში შევედი და შავი თუნუქის ფურცელზე წავიკითხე: კოლმეურნეობა „რომენი ზორია“ — კოლმეურნეობა „ბოშათა განთიადი“.

პატარა, სუფთა ოთახში ორი მაგიდა იდგა: ერთზე, მოზრდილზე წითელი მაუდი იყო გადაფარებული, მეორეზე, საკანცელარიოზე, თეთრი მუყაო. იქვე იდგა რამდენიმე ჭილის სკამი, ჯდომისაგან ჩაღრმავებული მუშამბაგადაკრული ტახტი, კედლებზე გაკრული იყო პლაკატები მინდვრის მავნებლების ათასჯერ გადიდებული გამოსახულებით: მუმლი, ქინქლი და მოზრდილი კატისოდენა ხოჭოები ეხატა. კუთხეში წყლიანი კასრი იდგა და ტოლჩა იყო მიბმული სპილენძის ძეწკვით.

მუყაოგადაფარებულ მაგიდასთან რუსი ყმაწვილი იჯდა და რვეულში რაღაცას იწერდა. ისეთი გულმოდგინებით იწერდა, რომ ენის წვერი გამოეყო. ჩემს გამოჩენაზე თავიც არ წამოუწევია.

მწყუროდა, მაგრამ კასრში წყალი ისეთი თბილი იყო, რომ ტოლჩა გაბრაზებით ვისროლე. ყმაწვილი არ შერხეულა. ბოშა რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს სამუშაოს მიატოვებდა და კითხვებს მომაყრიდა, ნათესაობის ძებნას დავიწყებდით, ყვავი ჩხიკვის მამიდაჟ გამოვძებნიდით, მაგრამ ეს რუსი ყმაწვილი თავის საქმეს აკეთებდა და სხვა არაფერი აინტერესებდა.

— გამარჯობათ! — ხმამაღლა ვთქვი ბოშურად. — ვერ მეტყვით, სად არის თავმჯდომარე?

— თავმჯდომარე მალე მოვა, — მიპასუხა რუსულად და თან წერას განაგრძობდა.

— ხალხი სადაა? — ვკითხე რუსულად.

— მინდორში, — მიპასუხა ბოშურად.

ჩამოვჯექი სკამზე და რაკი საქმე არ მქონდა, პლაკატების თვალიერება დავიწყე. მალე კარმა გაიჭრიალა და ოთახში ასე ორმოცდაათი წლის, წვერგაუპარსავი, ტანადი ბოშა შემოვიდა, ძველი ჩექმები და დაშმუჭნული გამოხუნებული ხალათი ეცვა.

— აი, თავმჯდომარე, — თქვა ყმაწვილმა ისე, რომ თავი არ აუწევია.

ჯერ თავმჯდომარის „კაბინეტამდე", როგორც მან კანტორის კუთხეს უწოდა, არ მიგვეღწია და უკვე ვიცოდი, რომ მას იაკუბი ჰქვია, ამელკას გარეთა ბიძაშვილია, ბელორუსიაში ხეტიალობდა, ახლა მინდვრიდან ბრუნდება და მიტომ გამოიყურება ასე, თორემ კოვერკოტის ფრენჩი, ქრომის ჩექმები და ტყავის პალტოცა აქვს. ქალაქში ჩეკისტი ჰგონიათ. სამწუხაროა, რომ რევოლვერის ტარების უფლება არა აქვს, მაგრამ მოახერხებს ნებართვის აღებას მოსკოვში. ისიც გავიგე, რომ სიტყვაძუნწი ყმაწვილი კოლმეურნეობის მოანგარიშეა. ახლა კვარტალის ანგარიშის შედგენითაა დაკავებული და ამ დროს სჯობია, არ ელაპარაკო საერთოდ, ნათელი გონებისაა და იაკუბი მთლიანად მასზეა მინდობილი.

კაბინეტში იაკუბი მაგიდას მიუჯდა. რატომღაც უჯრა გამოსწია, ისევ შესწია და თქვა:

— აბა, გისმენთ.

მაგრამ მოსმენა მომიხდა მე და არა იაკუბს, ის ჰყვებოდა, როგორ პატივს სცემენ რაიონში, ოლქში, გაზეთებს სურთ მის შესახებ წერონ, მოსკოვში წასასვლელად ემზადება, სადაც „დიდ" ხალხს ბოშათა საქმეებზე უნდა ესაუბროს, იაკუბი საშინლად იბერებოდა, ლაპარაკში ბუნდოვან და ბრძნულ სიტყვებს ურთავდა. მასთან საუბარმა უსიამო ფიქრები აღმიძრა ბოშათა კოლმეურნეობაზე.

ბოშათა შორის ასეთი ბევრი შემხვედრია. მოლაყბეები და

ტრაბახები არიან, მაგრამ არც თუ ისე სულელები. პირიქი — ეშმაკები და მეტისმეტი პატივმოყვარეობის გამო საქმიანებიც კი. მაგრამ მე მაინც მოველოდი, რომ კოლმეურნეობის სათავეში უფრო სერიოზული და ჭკვიანი კაცი აღმოჩნდებოდა.

ალლოთი, რომელიც არ გამკვირვებია, იაკუბი ეჭვებს მიმიხვდა და კოლმეურნეობის საქმიანობის აღწერა დაიწყო. რომ დაეშტკიცებინა არ ვტყუივარო, ლამაზად დახაზული ქაღალდიდან ციფრებს მიკითხავდა. გაკვირვებული ვისმენდი ამ ციფრებს, რომელიც საკმაოდ კარგად მოწყობილ მეურნეობაზე ლაპარაკობდა. შუა ლაპარაკში ვიყავით, როცა საშუალო ტანის მხარბეჭიანი კაცი შემოვიდა. ქერა ულვაშები კაგრისს მიუგავდა და ვიწრო, მახვილი თვალები ჰქონდა.

— ჩემი მოადგილეა, — ამაყად თქვა იაკუბმა, — მიხაილ ივანოვიჩ ოკუნჩიკოვი!

ხელი ჩამოვართვი.

— გამარჯობათ! — ოკუნჩიკოვმა იაკუბს შეხედა, ელოდა წარმომიდგენს, ეს ვიღაა.

მაგრამ იაკუბი რას ეტყოდა, როცა არც კი უკითხავს. ვინ ვიყავი და რისთვის ჩამოვედი კოლმეურნეობაში.

ამოვიღე რაიკომის მიმართვა, ოკუნჩიკოვს გავუწოდე და ჩემი მოსვლის მიზანი ავუხსენი.

— გოდვარე მენუშა ამანგე ტრება (ჭკვიანი ხალხი კვეირდება) — ჩაილაპარაკა იაკუბმა.

— კარგია, — თქვა ოკუნჩიკოვმა. — კლუბის გამგე იქნებით...

როგორც კი ეს კაცი გავიცანი, ციფრებში ეჭვი აღარ შემპარვია. მივხვდი, ვინც იყო ამ წარმატების ინიციატორი.

ხალხის საუბრიდან გავიგე ამ სამიოდე წლის წინათ შექმნილ ბოშათა პირველი კოლმეურნეობის არც თუ ისე უბრალო ამბავი.

კოლმეურნეობის ძირითად პირთვს მობინადრე ბოშები შეადგენდნენ. ისინი იყვნენ მკალავები, მეთუნუქეები, მექვაბეები, ხარაზები, ადრე თანასოფლელ მიწისმუშა გლეხებთან მეზობლობდნენ და მიწა მათთვის არც თუ ისე უცხო იყო. მაგ-

რამ მიწას უცნაური ეჭვით უცქეროდნენ. მიწა გულს არ გაუხსნის ბოშას, ნაყოფს არ მისცემსო. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ მოხეტიალე ბოშებზე, რომლებისთვისაც მიწა მხოლოდ ფურგონების გზა იყო.

პირველი თესვა ადრე აპრილში იწყებოდა. წყლით გაჟღენთილი მიწა ამ დროს ჭაობდებოდა. ბოშები თხელ ტალახში თესლს აგდებდნენ და თან ოხრავდნენ:

„უკეთესი იყო, ფაფა მოგვეხარშა! მიწა გადაყლაპავს და ჩვენ არაფერს არ დაგვიბრუნებსო,“ მაგრამ აი, აშოვიდა ჯეჯილი. ამ სასწაულით შეშინებული ბოშები ამბობდნენ:

„შეუძლებელია, თავთავი გაიკეთოს, უკეთესია ცხენები გავუშვათ საძოვრად, ცოტა მაინც ვისარგებლოთ ჩვენი ნაშრომითო“.

თავთავი გაიკეთა, ჭვავი აშრიალდა, მაგრამ ბოშები მაინც უნდობლად აქნევდნენ თავს:

„რომელი პურის მომყვანი ჩვენა ვართ, არა, არ აივსება თავთავი მარცვლითო.“

როცა თავთავები სანთლისფერი მარცვლით დაბეჭდა, მთელი კოლმეურნეობა პინდორში გადასახლდა, — ბოშათა ამ სალოცრებას, პირველ მოსავალს სდარაჯობდნენ.

ბრიგადირებს გაუძნელდათ ხალხის ხმა საუშაოზე გადაყვანა. ყოველი მათგანი ფიქრობდა, მხოლოდ ჩემს თვალს შეუძლია მოსავლის თვალყურის დევნებაო. ბოშათა პირველ პურს ჩიტსაც არ აკარებდნენ, თაგვს არ აჭაჭანებდნენ, კაცშვილს არ გაატარებდნენ. გულის ფანცქალით შეაცქეროდნენ ყოველ ღრუბელს და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

„ჰმ! მარცვალი შეიძლება ჩამოცვივდეს, შეიძლება სეტყვამ გააფუჭოს, კალიამ შეჭამოსო.“

მარცვალი არ ჩამოცვენილა, არც სეტყვას ვაუფუჭებია, არც კალიას შეუჭამია. უკანასკნელი თავთავიც კი აიღეს. მთელ კოლმეურნეობას მიჰქონდა მოსავალი წისქვილში. ჯოხზე დაყრდნობილი ღრმა მოხუცებიც კი მისდევდნენ საბარგულს.

სქელმა, ფართოსახიანმა მეწისქვილემ მშვიდად ჩაიბარა ხორბალი; მოხუცი ქალები მიწაზე დაემხნენ და ჩურჩულით ლოცვა დაიწყეს.

ნამდვილად ისმინა მათი ხმა განგებამ, ღრუბლიდან მოვარდისფრო თბილი ფქვილი წამოვიდა. ბოშები ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, პეშვით იღებდნენ და პირში იყრიდნენ ფქვილს; სხვები პირდაპირ უშვერდნენ პირს. ფქვილი თვალებზე, ლოყებზე ეყრებოდათ, ცრემლისაგან სველდებოდა და კომტებად შეკრული სახეზე უგორდებოდათ...

სიძნელეთა მიუხედავად, არც ერთს იმათთაგან, ვინც პირველი საბარგული წისქვილამდე მიაცილა, მიწა არ მიუტოვებია.

პირველ წლებში კი განთესვა კოლმეურნეობის მთავარი ლბედურება იყო.

როგორც კი შემოდგომის ქარი დაუბერავდა, წვიმები დაიწყებოდა, ოქტომბერში ხეებიდან უკანასკნელი ფოთლები ჩამოიყრებოდა ატალახებულ გზებზე, კოლმეურნეობა ახალმოსახლეებით ივსებოდა. ერთი შეორის მიყოლებით მოედინებოდა ფურგონები კოლმეურნეობისაკენ. ერთი შეორის მიყოლებით შემოდიოდნენ გამგეობაში ოჯახის უფროსები, ქუდებს მიწას ახლიდნენ და ითხოვდნენ:

„ჩაგვწერე კოლმეურნეობაში. თავმჯდომარეო! მთელი ოჯახით ჩაგვწერე! ცხენი ჩაწერე, საზიდარი ჩაწერე. ცარიელი ხელით ხომ არ მოვდივართ კოლმეურნეობაშიო!“...

ჩაწერდნენ, სახლს მისცემდნენ, ცხენსაც დააყენებდნენ ფართო საკოლმეურნეო თავლაში, საზიდარს გადახურულში დაუდგამდნენ. შრომობდა ოჯახი კოლმეურნეობაში. მაგრამ აბა რა სამუშაოა ზამთარში? შეშის დამზადება. საპესლე ხორბლის გადარჩევა, ფარდულისა და ქოხის შეკეთება...

როგორც კი მიწას გაზაფხულის სუნი აუვიდოდა. მზე თოვლს გალღობდა, კვირტები დაივსებოდა, ჰაერი გათბებოდა, ისევ მოდიოდა კოლმეურნეობაში ახალგამომცხვარი კოლმეურნე:

„დამიბრუნე ცხენი, თავმჯდომარეო. გზას უნდა გაეუდგე“.

„რომელ გზაზე მელაპარაკები? შენ ხომ კოლმეურნე ხარ. ჩქარა ხვნა-თესვა დაიწყება!“

„არ შეიძლება. თავმჯდომარეო. დრო მიდის, ყმერინკამდე შორი გზაა“.

„რა გინდა ჟმერინკაში?“ — ეკითხებოდა თავმჯდომარე.

მაგრამ რა იცის ბოშამ, რა უნდა ჟმერინკაში? უბრალოდ მოუარა ხეტიალის, სივრცის სიყვარულმა, მოუარა აუხსნელმა და უძლეველმა ბოშურმა ჟინმა. თავმჯდომარემ იცის ეს და მხოლოდ ფორმალურად ეკითხება. ისიც ხომ ბოშაა და მისთვისაც ნაცნობია ბოშათა უკურნებელი სენი. მაგრამ ის უკვე შეეჩვია ადგილს, ირწმუნა უძრავი მიწის სიკეთე. მან იცის, რომ ტრაქტორის ბორბალი სჯობს ფურგონის სუსტ ბორბალს. კარზე აბრა უკიდია, კაბინეტში ბარომეტრი. წოდება და ჩინი აქვს — მისთვის ადვილია დათრგუნოს საუკუნეებით გამჯდარი ხეტიალის სურვილი. მაგრამ რას ეტყვი ისეთს, რომელსაც ჯერ არ დაუყრია თავისი მოწეული ხორბლის თავთავი ხელზე, არ გამოუცხვია საკუთარ პური, ოდნავადაც არ დამეგობრებია მიწას?

და უშვებდა თავმჯდომარე ოჯახს, რომელმაც კოლმეურნეობის გულუხვ ჭერქვეშ გამოიზამთრა; აძლევდა კოლმეურნეობის საკვებით ნასუქ ცხენს, ატანდა კოლმეურნეობის ხელოსნების მიერ შეკეთებულ და დაზეთილ საზიდარს.

ხანდახან დამყოლი ვინმე თუ შეხვდებოდა, თავმჯდომარე აიძულებდა, კოლმეურნეობის ვალი საგაზაფხულო სამუშაოებზე მუშაობით გადაეხადა. ასეთების ხარჯზე იზრდებოდა კოლმეურნეობა. შრომამ დაუნათესავა ადამიანი ადგილს, თანაც უნდოდა გაეგო, რას მიიღებდა თავისი ნაშრომიდან. იღვიძებდა ფულის ინტერესიც, თუმცა მთავარი მაინც ეს არ იყო. ბოშებს ფულის წინდაწინ მიღება უყვართ, მკითხავიც ხომ წინდაწინ ითხოვს ფულს, სხვანაირად ვერ მიხვდება ადამიანის ბედს...

თვით საკოლმეურნეო ცხოვრება იქცა მაგნიტად; პირველად ხანშიშესული, მოხუცი ბოშები მოვიდნენ, რადგან დაუსრულებელი და უნაყოფო ხეტიალი მოსწყინდათ. ახლა კი კოლმეურნეობა ახალგაზრდა ბოშებსაც იზიდავდა.

არაფერი იყო გასაკვირი! კოლმეურნეობაში სკოლა გაიხსნა. მოზარდებს და ჭაბუკებს სწავლა სწყუროდათ. მათ შურდათ თანატოლი რუსებისა, რომლებიც თავისუფლად კითხულობდნენ წიგნებს, პლაკატებს, ლოზუნგებს, შეეძლოთ წერილის დაწერა. კვირაში ორჯერ, სამჯერ კინოსურათებს აჩვენებდნენ.

თანაც უფასოდ. მოსავლის აღების შემდეგ მოწინავე კოლმეურნეებს ძეწკვიანი საათით, პატეფონით აჯილდოვებდნენ. არა, კოლმეურნეობასაც გააჩნდა თავისებური მომხიბვლელობა. მუშაობა რომ არა, აქ ცხოვრება შეიძლებოდა სამუდამოდ.

ბოშათა კოლმეურნეობაში შემოსულმა რუსების ოჯახებმა ძალიან გააძლიერეს არტელი. რუსები თავისი მეოჯახეობით, აწყობილი ცხოვრებით, მიწისადმი სიყვარულით, ხორბლის დამუშავების გამოცდილებით, სიძნელეთა გადალახვის უნარით, მომავლის იმედითა და შრომისმოყვარეობით მხნეობასა და რწმენას უნერგავდნენ კოლმეურნე ბოშებს. თავიდან აქაც არ იყო ყველაფერი რიგზე. იაკუბმა ხელმძღვანელ სამუშაოებზე რუსები წამოსწია, დაავიწყდა, რომ მათთვის უცნობი იყო ბოშების ხასიათის ზოგიერთი თვისება.

მაგალითად რუსმა ბრიგადირმა ბოშა მერგოლურები დაურიგა სათესი მარცვალი. მერგოლურებმა ოჯახებს გაუნაწილეს. ოჯახებში ბევრი არ უფიქრიათ, ისე დაფქვეს და ფაფა მოხარშეს.

„სად არის ჭვავი“ — ეკითხება ბრიგადირი მერგოლურებს.

„სად უნდა იყოს? ოჯახებს დავურიგეთ...“

„სად არის ჭვავი? — ეკითხებიან კოლმეურნეებს.

„მუცელში! სხვაგან სად უნდა იყოს“.

„ის ხომ სათესლე იყო“.

„ასე გეთქვათ, ჩვენ არ ვიცოდით“.

ერთხელ საღამოს ბრიგადირი მოვიდა, ბოშები მოაგროვა და გამოუცხადა:

„ხვალ სადგურში უნდა წავიდეთ სამენი მასალისათვის, გადავწყვიტოთ, ვინ წავიდეს“.

ბოშები გულმოსულად აყაყანდნენ:

„ტყუილად რას გვაგროვებ? სამუშაო გვაქვს, გასაგებია? ნავახშმევეს მოდი, მოვილაპარაკოთ“...

ბრიგადირი ასეთი მუყაითობით კმაყოფილი დარჩა. საქმეზე წავიდა და საღამოს ისევ გამოცხადდა.

ბოშებმა უკვე ივახშმეს და დასაძინებლად დაწვნენ. ერთი ხმადაბლა ჰყვებოდა ბოშურ ზღაპრებს, სხვანი ტკბილად თვლემდნენ და თან მეზღაპრეს უსმენდნენ. მესამენი კი უკვე

მხიარულ ბოშურ სიზმრებს ხედავდნენ, როცა ბრიგადირმა დაიქუხა:

„კი მაგრამ ვინ წამოვა ხვალ ხე-ტყეზე?

„ჰმ! — უპასუხეს მას — გამთენიისას მოდი და გააღვიძე, რომელიც გინდა, შეუგნებლები ხომ არა ვართ?“

„რომელი გავაღვიძო?“

„ვინც კიდეში იქნება“. — თქვა ახალგაზრდა ბოშამ და ყველამ, ვისაც ჯერ კიდევ ეღვიძა, ერთხმად გაიმეორა:

„ვინც კიდეში იქნება, ვინც კიდეში იქნება, ის გააღვიძე“.

გამთენიისას, როგორც კი პირველმა ჩიტმა დაიყივლა, ბრიგადირი ბოშებთან მივიდა. ბინდბუნდში ვერავინ შეამჩნია კიდეში მწოლიარე. გააღვიძა ერთი ბოშა, ის წამოხტა:

„თვალები შინ დაგრჩა? — ეცა ბრიგადირს. — მე ვარ განა კიდეში?“

მაშინ მიხვდა ბრიგადირი ბოშების ეშმაკობას. წრიულად ეძინათ ზვინის გარშემო. ბრაზით გადააფურთხა და მარტო გაუდგა გზას ხე-ტყის მოსატანად.

როცა იაკუბს შესჩივლა, მან უთხრა:

— ჰმ, რა მიუხვედრელი ყოფილხარ! ამოგერჩია, ვისაც ყველაზე მაგრად ეძინა, გვერდზე გაგეწია და ის იქნებოდა კიდეში.

სწორედ ამ დროს მოვიდა კოლმეურნეობაში ოკუნჩიკოვი. რაიკომმა თავმჯდომარედ გამოგზავნა, მაგრამ ჭკვიანმა ოკუნჩიკოვმა მოადგილეობა ამჯობინა. მიხვდა, რომ ბევრ ბოშასთვის თავმჯდომარე იგივეა, რაც ბანაკის მეთაური, მეთაური კი მხოლოდ ბოშა უნდა ყოფილიყო. იაკუბი თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ბოშა იყო. ასეთებზე ამბობენ, სწორედ რომ ზედ გამოჭრილიაო.

ოკუნჩიკოვმა ბრიგადირის მოტყუების ამბავი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე გამოიტანა. სანამ ბრიგადირი გულმოსული, ნაწყენი ყვებოდა, თუ როგორ იეშმაკეს ბოშებმა, კრება ერთხმად იცინოდა და აღტაცებით შესცქეროდა ჩეკმენს, რომელმაც ეს ხუმრობა მოიგონა.

როცა ბრიგადირმა დაამთავრა, ოკუნჩიკოვმა ჩეკმენს ჰკითხა:

„მართალი თქვა?“

„უფრო სწორად ვერავინ იტყოდა“. — საერთო ხარხარში უპასუხა ჩეკმენმა.

„ტყუილად იცინით, მეგობრებო, აქ საქმე სიცოცხლეს ეხება. პატარა ხვრელით შეიძლება კასრი დაიცალოს, ასევეა საკოლმეურნეო საქმეშიც“...

კრება მიჩუმდა. მხოლოდ ჩეკმენმა მედიდურად წამოიყვირა:

„ჰმ, სიცილიც აკრძალულია?“

„ვინძლო ეგ სიცილი ტირილად არ გექცეთ! ვიცი, ბოშები გონებამახვილი ბალღია, შენ, როგორც ჩანს, ყველაზე ჭკვიანი ყოფილხარ, ყველამ რომ იცოდეს, როგორ აფასებს კოლმეურნეობა შენს გონებამახვილობას, გამგეობა ორმოცდაათი მანეთით გაჯარიმებს დავალების შეუსრულებლობისათვის“.

ისევ გაისმა სიცილი, მაგრამ ახლა ჩეკმენზე იცინოდნენ.

ოკუნჩიკოვი ასეც ფიქრობდა. მას სურდა ბოშების თვალში ჩეკმენის ბოქვლეტა დაემცირებინა, ჩეკმენი სულელად გამოეყვანა. ბოშებიც მიუხვდნენ ოკუნჩიკოვს ეშმაკობას. „ეს ბოშებსაც აჯობებსო“, ამბობდნენ პატივისცემით.

რამდენი დაბრკოლება, რამდენი უბედურება არ გადახდა კოლმეურნეობას. მაგრამ მთავარი, რომელმაც კინაღამ ყველაფერი ჩაშალა. გარედან მოვიდა...

დაქირავებულმა კალატოზებმა ერთ დროს ხანძრისაგან დაზიანებული კულაკის დიდი სახლი კლუბად გადააკეთეს. გვქონდა მაყურებელთა დარბაზი სცენითურთ, ბიბლიოთეკისათვის ოთახი, სამკითხველო დარბაზი, დასასვენებელი ოთახი. შევიძინეთ: მანდოლინა, გარმონები, ბაიანი. იაკუბი ტრაბახობდა, მოსკოვიდან როიალს ჩამოვიტანო.

ჩამოვაყალიბე ორი გუნდი: ერთი ახალგაზრდული, მეორე მოხუცებისა. საინტერესო სანახავი იყო, როგორ ეჯიბრებოდნენ ისინი ერთმანეთს!.. მოხუცები ბანაკების ძველებურ სიმღერებს მღეროდნენ. ახალგაზრდები — ახალს, რუსულს, უკრაინულს, ბოშურს; მათთვის მე თვითონ ვწერდი სიტყვებს იმ მელოდიებზე, რომელნიც ბავშვობაში ხეტიალის დროს გამეგონა.

ბოშებს ბანქოს თამაში უყვარდათ. ხშირად წაგებული შინ უშარკლოდ და უპერანგოდ დაბრუნებულა და დილით სამუშაოდ ვერ გამოსულა. ამ სახიფათო გატაცების მშვიდობიან კალაპოტში ჩასაყენებლად კლუბში „დურაკობანაში“ შეჯიბრება მოვაწყე. გამარჯვებულს ჯილდოდ მაღვიძარა საათი უნდა მიეღო. ბანქოს მოყვარულები ისეთივე აზარტით თამაშობდნენ, როგორც ფულზე ითამაშებდნენ.

როგორც ყოველივე ახალს, კლუბსაც ძალიან შეეჩვივნენ ბოშები. ამიტომ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის დარღვევამ იკლო. იკლო მთვრალების შეხლა-შემოხლამ, ეჭვიანობამ.

მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი აირია.

* * *

უბედურება მოვიდა ჭრელი კარვების, გიტარის ხმების, კოცონის სახით, რომელიც მოხეტიალე ბოშათა ბანაკმა მოიტანა. მოხეტიალენი სოფლის მახლობლად, ტყით შემოზღუდულ მინდორზე დაბანაკდნენ.

კარგად მახსოვს ის საღამო, როცა მეჩხერ არყნარში კოცონები აინთო. მომწვანო ცისკენ აცურდა სქელი კვამლი, რომელმაც ფისის სუნი დააყენა და კოლმეურნე ახალგაზრდობა ტკბილმა მღელვარებამ მოიცვა.

— ბანაკი!.. ბანაკი!.. სოფლის გადაღმა მოხეტიალე ბანაკი!..

ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდა ბოშებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ბანაკის ცხოვრებაზე. ზოგს ბევრი ეხეტიალნა, მაგრამ ბანაკში კი არა, ოჯახთან ერთად. სხვებმა მხოლოდ ყურმოკრულად იცოდნენ. ძალიან ცოტას ეგემნა მთელი სიგრძე-სიგანით ხეტიალის სიტკბო-სიმწარე. მაგრამ ჩვენი ტომის სიმღერებში — ამ დაუწერელ ეპოსში — იმდენია ნათქვამი ბანაკის ცხოვრების მომხიბვლელ თავისუფლებაზე, ცეცხლივით მწველ ბანაკურ სიყვარულზე, ისეთ სილაღეზე, როცა ადამიანს ეშმაკიც ვერას დააკლებს, რომ

ერაყის ხეების მიღმა კოცონმა ანდამატივით მიიზიდა კოლმეურნე ახალგაზრდობა.

და აი ჩვენმა მოხუცებმა იაკუბის მეთაურობით გადაწყვიტეს ენახათ ბანაკი, გაეგოთ თვისტომთა მიზნები.

— არა, კოლმეურნეობაში ჩვენ არ მოვალთ, — თქვა ბანაკის მეთაურმა პრონიამ, რომელსაც ეშმაკური თვალები ჰქონდა და ძელქვასავით მაგარი ჩანდა, — რად გვინდა კოლმეურნეობა? ცხენები მაძღრები გვყავს, კარვები მთელია, ხორციანი საჭმელი არ გვაკლია, ხალხს ემღერება...

პრონიას ტრაბახმა მოხუცები გააცინა. ბანაკში დაჩიავებული ჯაგლაგები ებათ, კარვები აჭრელებული იყო საკერებლებით, სადილი ცხენის ხორცის სუნით ყარდა. სიმღერები კი. მართლაც, კარგი ჰქონდათ. მათ იცოდნენ სიმღერა...

გამოვიდა ისე, რომ ჩვენმა მოხუცებმა ნაადრევად გაიცინეს. სიმღერა ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა. სიმღერამ ვაძვალტყავებული ცხენები სქელგავიან რაშებად აქცია, ჩითის დაკერებული კარვები ფარჩად და ხავერდად, ამყრალებული საჭმელი სურნელოვნად. სიმღერამ მიჩქმალა სიბინძურე და სიღარიბე, ბავშვების ტილები, ბანაკური ცხოვრების მთელი უბადრუკობა. სიმღერა ჰყვებოდა ბანაკელი გოგონების მხურვალე და ჰაეროვან სიყვარულზე, მამაკაცთა ერთგულებასა და შეუდრეკელობაზე, მოხეტიალეთა ცხოვრების მშვენიერებაზე, იმათზე, ვინც მუდამ გზაშია, მოძრაობაშია, ვინც ფართო სივრცეს შეუსისხლხორცდა.

ჩვენთან, კოლმეურნეობაშიც მღეროდნენ კარგ სიმღერებს, მაგრამ სხვისი უკეთესი ჩანდა. ჩვენთან ყველაფერი უკვე ჩვეულებრივი იყო, ნაცნობი, იქ იდუმალი, მიმზიდველი, ათას სიხარულსა და ნაღველს გპირდებოდათ. ბანაკელები დღითიდღე თავხედდებოდნენ.

სამუშაოდ მიმავალ კოლმეურნეებს კვალდაკვალ მისძახოდნენ:

— კეთილო კოლმეურნეე, წელს რად იწყვეტ? მოდი, ჩემო კარგო, ჩვენთან, გემრიელად გაჭმევთ, გასმევთ, გერმის ლოგინში ჩაგაწვენთ.

ქალიშვილებს კი უყვიროდნენ:

— ალბათ, მწველავი ხარ! სად არის შენი რძის მდინარე? დაალევინე ცოტა საწყალ მოხეტიალეთა ბავშვებს.

— ნება არა გვაქვს! — პასუხობდნენ შეცბუნებული გოგონები.

— შენ წველი, მუშაობ, რძეს კი ქალაქში სვამენ.

შებინდდებოდა თუ არა, ჭალის გადაღმიდან კოცონების ალი გამოჩნდებოდა. ისმოდა გიტარებისა და გარმონების ტკბილი, გამომწვევი ხმა. მაშინვე გასწევდნენ სოფლიდან ბანაკისაკენ ახალგაზრდა ბოშები. ზოგი ფარულად ბუჩქებში მიძვრებოდა, ზოგიც აშკარად და ამაყად მიდიოდა.

ჭაბუკები და ქალიშვილები დაისიდან აისამდე სეირნობდნენ და მეორე დილას სამუშაოდ არ გამოდიოდნენ. მკა ახლოვდებოდა და არავინ უწყოდა, ექნებოდა თუ არა კოლმეურნეობას პური...

ოკუნჩიკოვი ცდილობდა, ჩვენი ბიჭები და გოგონები გონს მოეყვანა, არა ერთხელ იყო ბანაკში, ხან უყვავებდა, ხან ემუქრებოდა მათ, მაგრამ ამაოდ.

კლუბი ცარიელი იყო. ხანდახან ოკუნჩიკოვი შემოიცლიდა. უხმოდ შეათვალიერებდა კედლებზე გაკრულ ლოზუნგებს, ამოიოხრებდა და წავიდოდა. ვგრძნობდი, რაღაცას ელოდა ჩემგან. რა თქმა უნდა, მეც მედო ბრალი იმ უბედურებაში, რაც ახლა კოლმეურნეობაში ხდებოდა. მაგრამ არ ვიცოდი, რითი მეშველა.

ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ იყო კომკავშირული უჯრედი და მე მეზობელი რუსების კოლმეურნეობაში ვიყავი აღრიცხვაზე. წავედი იქ. მდივანს რჩევა ვკითხე. ჩიაცხვირპაჭუა და ძალზე სერიოზულმა ყმაწვილმა არ დამაცალა სიტყვა ბოლომდე მეთქვა.

— შენ რა, მოწუწუნეებს მიეკედლე? გააძლიერე აგიტაცია! დააწექი პროპაგანდას, უფრო მაღლა ასწიე იდეოლოგიური მუშაობის დონე!

— მომისმინე, მეგობარო, — ვუთხარი მე, — კი მაგრამ. კოლმეურნეობა იშლება!.

მდივანი ჩაფიქრდა, თანაც აპრეხილ ცხვირს ასრუტუნებდა...

— გამოიძახეთ გამცდენები საერთო კრებაზე და მისცხეთ!

შემდეგ აცნობეთ. სადაც ჯერ არს, რომ ბანაკი ადმინისტრაციული წესით გაასახლონ!

ეს რჩევა ჭკუაში არ დამიჯდა. მაინც მოვუყევი ოკუნჩიკოვს.

— ჰო... — თქვა მან ჩაფიქრებით, — ვცადოთ....

ჩამოვკარი ლიანდაგის ნაჭერს, რომელიც ზარის მაგივრობას წევდა. ხალხი შეიკრიბა. ხანში შესული ბოშები წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ბანაკს, მოითხოვდნენ მათ გარეკვას ჩვენი საზღვრებიდან. ახალგაზრდები იცინოდნენ. დავასკვენი, თუ ბანაკს ძალით გავასახლებთ, ბევრს დავკარგავთ-მეთქი.

— გამოვიდეს ვინმე ახალგაზრდობიდან! — შემოიტანა წინადადება ოკუნჩიკოვმა.

ჯერ არავის არ უნდოდა გამოსვლა. შემდეგ გამოვიდა ჩეკმენი. მხიარული ყმაწვილი იყო, ცნობილი გამცდენი, ბანაკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი. ჩვენთან ხმები დადიოდა, ერთ ყირიმელ ბოშას დაუძმობილდა, სახელად ჩანდრას, მოხერხებულს, ეშმაკსა და ენაკვიმატსო.

— რა არის აქ სადავო, ხალხნო და ჯამაათნო! — თქვა ჩეკმენმა, — გარეკავთ ამ ბანაკს, სხვა მოვა. მეორეს განდევნით. მესამე მოვა. არ მოვა და ჩვენ თვითონ მოვძებნით. მიწა ბოშას საქმე არაა!...

ჩეკმენი, მართალია, სხვისი სიტყვებით ლაპარაკობდა, მაგრამ ერთ რამეში არ ტყუოდა. ძალით ვერაფერს გავხდებოდით. საქმე ბანაკი როდი იყო. მთავარი იყო ის ცრუ რომანტიკა, რომელიც ძვალსა და რბილში გაუჯდა ჩვენს ახალგაზრდობას. კი არ უნდა განვდევნოთ ბანაკი, არამედ ვაჩვენოთ მთელი მისი მიმზიდველობის არარაობა. ახალგაზრდობა დავარწმუნოთ, რამდენად უფრო საინტერესოა საკოლმეურნეო ცხოვრება და რა მომავალი აქვს მას საცოდავ ბანაკურ არსებობასთან შედარებით.

მაგრამ როგორ გაგვეკეთებინა ეს? როგორ მოიქცეოდა ჩემი წითური მეგობარი? გამახსენდა, ცივ საკანში როგორ მიხსნიდა, რა ხდება ქვეყნად. რამდენი მხურვალე სიტყვა დახარჯა, როგორ დამაჯერებლად, ამაღელვებლად ჰყვებოდა.

ძაგრამ ნამდვილად მაშინ მივიდა ჩემს გულამდე, როდესაც სიმღერა წამოიწყო: „დავეცემით გმირულად, საბჭოეთო შენთვის“ — მაშინ გულით მივხვდი იმას, რაც მანამდე დაფარული იყო ჩემთვის მის სიტყვებში. ასეა, ბოშათა გულს უნდა მიმართო. ხელოვნება — აი ყველაზე ძლიერი საბუთი! ასე მივაგენი, რასაც ვეძებდი. დავდგამ პიესას და ეს დადგმა ბანაკზე გაგვამარჯვებინებს.

ჩემი გეგმა ოკუნჩიკოვს გავუზიარე.

კაცი ვერ გაიგებს თქვენი, ბოშების ამბავს, — ჩაიცინა ოკუნჩიკოვმა, — შეიძლება გაგვიმართლოს, შეიძლება ფუჭი გამოდგეს. ვსინჯოთ. — ის გაჩუმდა, შემდეგ ჩაფიქრდა და თქვა:—წარმოდგენა კარგი საქმეა. მაგრამ ნივთიერი მტკიცებაც საჭიროა... კარგი, იმოქმედე, ჩვენ ამ საქმეს ჩავუფიქრდებით.

როცა საოლქო თეატრში ვმუშაობდი, ერთ ძველ ესპანურ მოთხრობას წავაწყდი. მთავარი გმირი მოხეტიალე და მუქთამჭამელა იყო. თავს კეთილშობილ აზნაურად ასაღებდა და ყოველ ნაბიჯზე სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა. საღილობის დრო რომ გავიდოდა, მადრიდში დასეირნობდა, წვერზე პურის ნამცეცებს ბიიყრიდა, ქამარს მოიშვებდა, თითქოს კარგად დანაყრებული იყო. ნამდვილად კი შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა. საბალხო სეირნობის დღეს მოედანზე გამოვიდოდა. ქუდი ბატის ფრთით ჰქონდა დამშვენებული, მოპარულ ლაბადაში გაეხვეოდა, ქვეშ კი გახეული შარვლიდან ტიტველი უკანალი მოუჩანდა... ლამაზმანებს აეკიდებოდა, მდიდარი, გამოუცდელი ყმაწვილების ნდობას იმსახურებდა, ცდილობდა სხვისი ქისისა და სხვისი ცოლების მითვისებას. მაგრამ წილად სილა და პანღური უფრო მეტი ხვდებოდა, ჯიდრე ფული და კოცნა.

ეს თავხედი, მშიშარა, ქურდბაცაცა და უიღბლო გაიძვერა ავირჩიე ჩემი პიესის გმირის ტიპად და ის ჩანდრას თვისებებით შევამკე.

ორი ჭაბუკი — კოლმეურნე გრიშა და ბანაკელი ჩაგანი ერთმანეთს ექიშპებიან ზარას სიყვარულში. თვითეული მათგანი შეყვარებულს თავის სიმდიდრეს ჰპირდება. ერთი — საკოლმეურნეო ცხოვრების სიწმინდესა და გონიერებას. მეო-

რე — ბანაკის თავისუფლებას. თავიდან მატყუარა, მჭევრმეტყველი ჩაგანი იმარჯვებს. ის ზარას ჰპირდება, რომ მოვა ულამაზესი ცხენით. ასეთი ლამაზია მათი ცხოვრებაც. ზარაც თანხმდება. დანიშნულ დღესა და საათს ჩაგანი, მართლაც. მოდის ყორნისფერი ულამაზესი ცხენით. ზარას გაუქრა იოტისოდენა ეჭვიც, მოჯადოებულია ცხენის სილამაზით. მაგრამ, საკვირველია, ჩაგანი ცხენის შემობრუნებას ვერ ახერხებს. ასეთი სიჯიუტით გაბრაზებულმა მხედარმა ცხენს ზათრახი გადაუჭირა, ცხენმა იგი ტალახში ჩააგდო. ამ დროს სცენაზე კოლმეურნე ბიჭები შემოდიან გრიშას მეთაურობით და საცოდავი, მიკნავებული ჯაგლაგი მოჰყავთ. თურმე ჩაგანს ცხენი კოლმეურნეობის რემიდან მოუპარავს. ჭკვიანმა ცხენმა ის კოლმეურნეობამდე მოიყვანა და მერე წასვლა არ ინება. ჩაგანის ნამდვილი ცხენი კი ეს ჯაგლაგია. კოლმეურნეები შესვამენ ჩაგანს მის ჯაგლაგზე და სირცხვილ-ნაჭამს გაისტუმრებენ. ზარა ხვდება თავისი თაყვანისმცემლის ნამდვილ ღირსებებს და გრიშას მიენდობა...

წარმოდგენისათვის ახალგაზრდა ბოშები შევარჩიე, რომელთაც ჯერ არ გადასდებოდათ ბანაკის სენი... ძნელი აღმოჩნდა ჯაგლაგისა და კარგი ბედაურის შოვნა. ბანაკში ნაშიმშილები ცხენები იყო, მაგრამ არც მთლად ისეთი, როგორიც მე მინდოდა. თან პრონია თავის შესარცხვენად არც გვათხოვებდა. კოლმეურნეობაში კარგი ცხენები გვყავდა, მაგრამ ძრა ჯიშიანი, ჩვეულებრივი ბოშური მუშა ცხენები იყო. გამოსავალი ვიპოვეთ.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს სცენაზე გამოხტა სასაცილო ჯაგლაგი. შეღებილი მუყაოს გაძვალტყავებული სახით. გაცვენილი ბეწვით ძროხას ჰგავდა. სწორედ ძროხის ტყავი იყო, რომელიც სასაკლაოზე ვიშოვე. ტყავში ორი ბიჭი შეძვრა. ერთი სახეს და წინა ფეხებს „თამაშობდა", მეორე სხეულის დანარჩენ ნაწილს. ჯაგლაგი სასაცილო ნახტომებს აკეთებდა, წინა ფეხები ებლანდებოდა, უკანას იქნევდა, ბალანგაცვენილ კუდს აქიცინებდა, რამაც მსახიობების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

— სად იშოვი გმირ ცხენს? — მეკითხებოდნენ ისინი.

მაგრამ ეს ჩემი და... ოკუნჩიკოვის საიდუმლო იყო.

წარმოდგენა შედგა მოსავლის აღების დაწყების წინ. ჩვენი კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო, ყველა კოლმეურნე გამოცხადდა. ყველაზე მიხრწნილიც კი; მოვიდნენ სტუმრები მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდანაც. დარბაზის ბოლოში, გასასვლელთან შეიყარნენ ბანაკელები ყირიმელ ჩანდრას მეთაურობით. ისინი ნამდვილად რაღაც არა სასიკეთოს გრძნობდნენ, მაგრამ გარკვევით არაფერი იცოდნენ. წარმოდგენის მონაწილეებმა ბოშათათვის შეუძლებელი რამ გააკეთეს. არსად სიტყვა არ წასცდენიათ.

წარმოდგენა დაიწყო. გრიშას როლს ახოვანი ჭაბუკი, მებოსტნეების მერგოლური კომკავშირელი ჟურბა თამაშობდა. ზარას — სანდომიანი აღმრიცხველი მაშა. ჩაგანის როლი მე ვიკისრე. რაც სცენაზე ხდებოდა, მაყურებლები ხმამაღლა აფასებდნენ. როცა ჩაგანი ზარას ბანაკის ცხოვრების სიმშვენიერეს უხატავდა, თვითონ კი დედამისს ჩუმჩუმად ნამცხვრებს ჰპარავდა, მაყურებლები ყვიროდნენ: „არ დაუჯერო, ზარა. ნამცხვარი მოიპარა!“ ჩაგანი ტრაბახობდა ბანაკის ცხენებით, მოხუცი ბოშები იქვე ამხელდნენ:

— ვნახეთ ჩვენ ის ცხენები, ძვალი და ტყავია მარტო.

ცბიერი ჩაგანი დაიყოლიებს ზარას და მოხუცი ბოშა ქალებიც დარბაზში ხმამაღლა ოხრავენ:

— ვაჰ! გზაკვალი აუბნია ქალიშვილს!

როცა ფიცარნაგზე, გაქცევის სცენაში, საუცხოო ორლოვის ჯიშის ულაყზე შემჯდარი ჩაგანი გამოჩნდა, მაყურებლის ღელვამაც საზღვარს გადააჭარბა...

სპექტაკლამდე ცოტა ხნით ადრე ოკუნჩიკოვმა ორლოვის ცხენსაშენიდან ულაყი შეისყიდა. დიდი ხანია გადაწყვიტეს, კოლმეურნეობაში საჯიშე ცხენების ფერმა მოეწყოთ, მაგრამ საქმე ერთბაშად ვერ მოგვარდა, შემდეგ კი სულ მიივიწყეს. ხან ულაყი ვერ იშოვეს, ხან კიდევ საშუალება არ ჰქონდათ. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში მოახერხა ოკუნჩიკოვმა ბანკიდან სესხის მიღება. ოკუნჩიკოვის ნაყიდი ცხენი საიდუმლოდ გვყავდა დამალული და გამგეობის წევრებს გარდა არავინ არაფერი იცოდა საუცხოო ორლოველზე. ეს იყო ის

„ნიუთიერი“ საშუალება, რასაც ჩვენი სპექტაკლი უნდა დაემშვენებინა და აი ახლა, ცხენი-გმირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პირველად გამოვიდა სცენაზე. ნახევარი წუთით დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. შემდეგ ხალხმა ერთხმად იხუვლა აღტაცებისაგან. ოხრავდნენ, ენას აწლაკუნებდნენ, ხელებს მუხლებზე ირტყამდნენ. ერთი ხანში შესული კოლმეურნე სცენაზე ამოვიდა და ცხენს კბილები გაუსინჯა.

— ექვსწლიანი ულაყია!.. ვაჰ!.. — აუწყა მაყურებელთა დარბაზს და ცრემლი მოიწმინდა.

— საიდან გაჩნდა ასეთი ცხენი? — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს მაყურებლები. — ვისია? სად იშოვა ამ ყაჩაღმა ასეთი ცხენი?

როცა ჩაგანს ფეხდაფეხ მოჰყვა გრიშა. რომელსაც აღვირით მოჰყავდა ჩაგანის ჯაგლაგი, დარბაზში ხარხარი და სტვენა ატყდა.

— შეჰკარით ქურდი! — ყვიროდნენ კოლმეურნეები, — ჭინჭარი მისცხეთ მაგას.

ჩაგანს ვაშლის ნაჭრები და სტაფილო დაუშინეს. ყმაწვილებმა, რომლებიც ჯაგლაგს თამაშობდნენ, საჩქაროდ გამიყვანეს კულისებში.

გრიშა და ზარა გაქრნენ. დაიწკრიალა სიმღერამ და სცენაზე ოკუნჩიკოვი ამოვიდა.

— ამხანაგო კოლმეურნეებო! ცხენი, რომელიც თქვენ ნახეთ, ჩვენმა კოლმეურნეობამ იყიდა სახელმწიფოსაგან ნასესხები ფულით. ეს ცხენი გაამრავლებს ჩვენს ახალ რემას, ჯიშიან რემას, ამისათვის კი საჭიროა გულდაგულ ვიბრძოლოთ, მტკიცედ ჩავეჭიდოთ კოლმეურნეობას. არ უნდა შევაბღალინოთ მისი პატიოსნება ვიღაც უქნარებს. მათ ერთი საზრუნავი აქვთ! სურთ ხელი შეგვიშალონ სამედო, მყუდრო ცხოვრების მოწყობაში!

ყველამ მოხეტიალეებს მიაპყრო მზერა. ისინი ერთ კუთხეში მიყუჟულიყვნენ.

— რას ვაყოვნებთ! — მოისმა ყოველი მხრიდან, — ეი,

მოიყვა რქამოტეხილი ძროხა, პატივით გავისტუმროთ ძვირფასი სტუმრები.

მაგრამ ჩანდრამ და მისმა მეგობრებმა გასტუმრებას არ დაუცადეს. კარისაკენ მოუსვეს. მათ სიცილი დააყარეს, და სიცილში გაქრა „მეკარვეების“ დიდება.

რამდენიმე დღის შემდეგ ოკუნჩიკოვთან მოირბინა აცრემლებულმა გლაშამ, რომელიც ცხენებისა და სხვა საქონლის პასპორტიზაციას განაგებდა. მისი მაგიდიდან დაიკარგა რვა ცხენის პასპორტი. გლაშას ეჭვი მოხეტიალეებზე ჰქონდა. დიდი ხანია მოხეტიალეებმა მის ირგვლივ ფაცური დაიწყეს. ჩანდრა და მისი მეგობარი კოლმეურნე ჩეკმენი ხშირად მიდიოდნენ გლაშასთან სახლში, უკრავდნენ გიტარაზე, უმღეროდნენ სერენადებს. ჩეკმენი კანტორაშიც აკითხავდა. ღრმად ოხრავდა. საწყალი გოგონა ენდობოდა, სანამ პასპორტები არ დაიკარგა.

— ტირილს თავი ანებე, — უთხრა ოკუნჩიკოვმა, — პასპორტებს ვიპოვით.

ოკუნჩიკოვი შეჯდა ცხენზე და მილიციის რაიონულ განყოფილებაში წავიდა. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბანაკის ხალხი გულდაგულ უთვალთვალებდა კოლმეურნეობაში მომხდარ ამბებს. იმავე წუთს მოხუცი პრონიაც შეჯდა ცხენზე და ოკუნჩიკოვს მიჰყვა კვალდაკვალ. მილიციის უფროსთან ერთად შევიდნენ.

— ვაჰ!.. — დაასწრო ოკუნჩიკოვს პრონიამ, ნაღვლიანად გაიღიმა და ხელები გაშალა, — კოლმეურნეობაში კარგი ხალხი არ არის! უყურე, უფროსო, ვიხუმრე: „ნეტა ცხენების პასპორტები მომცა-მეთქი!“ ჩეკმენმა აიღო და რვა ცალი მოიტანა. აჰა, ინებეთ. ჩვენ არ გვჭირდება. თუმცა მოხეტიალენი ვართ, მაგრამ პატიოსნება გვაქვს...

— გასაგებია, — თქვა უფროსმა და პასპორტები გამოართვა, — რამდენი მიეცით ამაში?

— ჭკვიანი ხარ, უფროსო, — ცივად და დაცინვით გამოეხმაურა პრონია, — მაგრამ არც ჩვენ გვაბია მხრებზე გოგრა. მივეცით, თუ არ მივეცით, ეს მხოლოდ მთვარემ იცის, მთვა-

რეს კი მიწმეღ არავინ მოუხმობს. წაიღე პასპორტები და ბანაკს ნუ შეეხები. ჩვენ გზას ვადგივართ...

ჩეკმენი იმ საღამოსვე დააპატიმრეს. არ გაძალიანებულა და ყველაფერი თქვა. მას, მართლაც, მოეპარა პასპორტები, მაგრამ არა იმდენად გამორჩენისათვის — უნდოდა დაემტკიცებინა ბანაკელებისათვის, რომ ისიც მათსავით ბოშა იყო. თანაც მოეტყუებინათ, თითო პასპორტში ოცდახუთ მანეთს დაჰპირებოდნენ და თუმანი კი მიეცათ.

ამ ამბავმა კოლმეურნეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ძნელი სათქმელია, რამ ააღელვა ისინი, ჩეკმენის მოქმედებამ თუ პრონიას ღალატმა.

ბანაკი ჩეკმენის დაპატიმრების ღამეს გაქრა. დაცარიელდა ნაცარი, ნაგავი და ცუდი მოგონება. რამდენიმე დღის შემდეგ კოლმეურნეობაში ბოშა მიხაილო მოფორთხდა. ის ცოლთან და უფროს შვილთან ერთად ფურგონს შეჭმოდა. ეტლში სამი ბავშვი იჯდა. მიხაილომ კოლმეურნეობაში მიღება ითხოვა.

— ჩვენ ექვსნი ვართ, — თქვა მიხაილომ, — სამი მოზარდია, კარგი მუშები დადგებიან. თქვენი ცხოვრება ვნახეთ და ველარ შევძელით ბანაკთან ხეტიალი, სული მეხუთება, იქ თავისუფლება კი არა, საპყრობილეა, ნამდვილი თავისუფლება თქვენთანაა. ცხენი წამართვეს — ხომ ხედავთ, თვითონვე შევეპით. აბა რა! გული გულობდეს, ·თორემ — ხომ ხედავთ, ხოხვით მოვაღწიე თქვენამდის!..

ისევ შემოჰკრეს ლიანდაგის ნაპერს და კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთხმად მიიღო მიხაილო თავისი ოჯახით კოლმეურნეობაში.

ჩვენი სპექტაკლი რამდენიმეჯერ გავიმეორეთ და მაყურებელიც დიდი სიამოვნებით უყურებდა. მოულოდნელობის მიმზიდველობა კი გაქრა, მაგრამ ახლა ბოშებს ბავშვებივით უხაროდათ, რომ ყველაფერი იცოდნენ. ამაში იყო თავისებური მშვენიერება. ოკუნჩიკოვსაც აიძულებდნენ, გაემეორებინა ცნობა მომავალი ჯიშიანი რემის შესახებ და სიხარულით უკრავდნენ ტაშს.

უკანასკნელად ჩვენი სპექტაკლი მოსავლის დღესასწაულზე დავდგით. ამჯერად ოკუნჩიკოვმა კოლმეურნეებს მოსავ-

ლის აღების შედეგები გააცნო. მან მოახსენა რამდენი შვრია და რამდენი ხორბალი აიღეს, რამდენი პროდუქტი და რამდენი ფული მოუწევდათ შრომადღეზე.

მეორე დღეს კოლმეურნეობის გამგეობაში რამდენიმე ბოშა ჭაბუკი და ქალიშვილი გამოიძახეს. ისინი აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ტექნიკუმებში გააგზავნეს.

— შენ სად გინდა წახვიდე? — მკითხა ოკუნჩიკოვმა.

კოლმეურნეობაში დარჩენა ვარჩიე. მან კი მაგიდის უჯრა გამოსწია, რაღაც ქაღალდი გამოიღო და გამომიწოდა. ეს იყო მოსკოვის თეატრალური სასწავლებლის საგზური.

— შენ მსახიობად დაბადებულხარ და მსახიობი უნდა იყო, ნაგორნი! — მითხრა ოკუნჩიკოვმა. — წადი თამამად შენი გზით, აქ კი შენს საქმეს ჩვენ მოვუვლით.

და მე მოსკოვში წავედი.

15

სათქმელი ცოტაღა დამრჩა. დავამთავრე თეატრალური სასწავლებელი და მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის დასში ჩავირიცხე.

როგორც ყველა ადამიანს, რომელიც საყვარელი საქმისათვის გადადებს თავს, მეც ბევრი სიხარული და ბევრი ტანჯვა მხვდა წილად. თუმცა ეს არ ჰგავდა იმ ტანჯვას, რომელიც ბავშვობაში გადამხდა. ამ ტანჯვაში ბედნიერებაც ერია, რადგან შემოქმედების ცეცხლით ვიწოდი.

მერე პარტიაში მიმიღეს. პარტიული ბილეთის სახით ხელში თითქოს ის სიმართლე მეჭირა, რომელზედაც ჩემი წითური მეგობარი მელაპარაკებოდა. მე ვიცოდი, რომ ეს სიმართლე სამუდამოდ მოვიდა ჩემთან და ვერავითარი ძალა ვეღარ წამართმევდა.

მთელმა ჩემმა მომთაბარე ტომმა იპოვა სიმართლე. ბოშები მიდიოდნენ მასთან ნელა, მოხეტიალეთა დაკლაკნილი გზით. სტეპებში დანთებული კოცონის ალი უნათებდათ იმ გზას, რომელიც ტყეებიდან, მდინარეებიდან, ბორცვებიდან და ვე-

ლებიდან მოდიოდა. სიმართლე იმ მიწაში იყო, რომელსაც ბოშები ფურგონის ბორბლებით ტკეპნიდნენ საუკუნეების მანძილზე. მათ მიატოვეს მომთაბარე ცხოვრება. მიხვდნენ, რომ მიწა ბედნიერების წყაროა. მიწას მოაქვს საჭმელი და სასმელი. ნოვოფატეევკის კოლმეურნეობა ერთ-ერთი იყო ბოშათა მრავალ კოლმეურნეობას შორის.

ჩვენი თეატრი ბევრს მოგზაურობდა. იყო იმ ადგილებშიც, სადაც ბავშვობის მწარე დღეები გამიტარებია. იმ სტანიცაშიც ჩავედი, სადაც წითურ ჭაბუკთან ერთად საკანში ვიჯექი. გამოვიკითხე. არავის ახსოვდა. მინდოდა მომეძებნა გაპოჩკა, მაგრამ სტანიცაში მრავალი გაპოჩკა აღმოჩნდა. უფრო სწორად დარბაისელი აგრაფინები, რომელთაც ბუთხუზა ბავშვები ეხვევნენ გარს. არ ვიცოდი, რომლისთვის მიმემართა.

მოსკოვში ჩვენი თეატრი ომის გამოცხადების დღეს დაბრუნდა. შინ უწყება დამხვდა სამხედრო კომისარიატიდან. არ მოგიყვებით ჩემს ჯარისკაცურ, ფრონტულ ცხოვრებას. ის ცოტათი თუ განსხვავდება მილიონი ჩემი მოძმის ცხოვრებისაგან. მაგრამ ერთ ეპიზოდს მაინც გიამბობთ. მან თითქოს ერთმანეთს დაუკავშირა ჩემი ცხოვრების დაკარგული დასაწყისი და მომწიფების ხანა.

...მგონი ვერცერთმა ჩვენთაგანმა ვერ გაიგო იმ კუნძულის ნამდვილი სახელი, რომლის აღებაც ასე გაგვიჭირდა.

ჰქონდა კი სახელწოდება ვოლხოვის ყინულებში მოქცეულ ამ ერთ ციცქნა მიწას, რომელსაც „ეშმაკის კუნძულს“ ვეძახდით? იქიდან ჩანდა არა მარტო წინა ხაზი, არამედ ახლო ზურგიც. მისი მიზეზით ხშირად გვაკლდებოდა საბრძოლო მასალა და საკვები. ორჯერ ვცადეთ იქიდან გერმანელების გარეკვა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგში გავიგეთ ასეთი სიმტკიცის მიზეზი. იმ ჯარისკაცს, რომელიც ორ კვირას გაძლებდა ამ კუნძულზე, გერმანიის სარდლობა რიგგარეშე შვებულებას აძლევდა. არა მგონია, ბევრს დაემსახურებინოს ეს შვებულება, მაგრამ იმედი ამხნევებდა ჯარისკაცებს.

მოუთმენლად ველოდებოდით, როდის გვიბრძანებდნენ კუნძულის აღებას, სარდლობა არ ჩქარობდა. იარაღით გვამარაგებდა. როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე. ორი საათის

განმავლობაში კუნძულზე შადრევანივით ამოდიოდა მიწის, თოვლის, აგურის, ხის, ლითონის ნამსხვრევები. მაგრამ როგორც კი გადავაბიჯეთ უინულზე, მტერმა ცეცხლი შეგვაგება და მაინც, ამჯერად, ჯიქურ ავიღეთ ეშმაკის კუნძული.

დასასვენებლად ოფიცერთა დიდ ბლინდაჟში მოვეწყვეთ. ბლინდაჟი კარგად იყო ნაგები, ექვსი ფენა გვფარავდა მტრის უუმბარებისაგან. ღუმელში შეშა ტკაცუნებდა, იხარშებოდა ოქროცერცვას ფაფა. წინა მობინადრეთაგან დატოვებულ არარუსულ სურნელებას გასაშრობად გაფენილი ფეხსახვევების მშობლიური სუნი ერეოდა.

კარგ ხასიათზე ვიყავით მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეშმაკის კუნძული ავიღეთ. ყველას მიგვაჩნდა, რომ გზა ხსნილი იყო ლენინგრადის ბლოკადის გასარღვევად.

ჯარისკაცებმა ყველაფერი წინდაწინ იციან. სარდლობა, ალბათ, მხოლოდ ემზადება დარტყმისათვის, ითვალისწინებს ყველა „ჰოს“ და „არას“. ჯარისკაცებმა კი იციან, იქნება თუ არა შეტევა, გადალახავენ თუ არა წყლის მიჯნას, თუ პირიქით, ღრმა დაცვაზე გადავლენ. იმიტომ კი არა, რომ ჯარისკაცებს შორის არის თუნდაც ერთი, რომელსაც მარშლის თავი აქვს. არა, საერთო ჯარისკაცული გონება აზროვნებს მარშლისებურად.

სხვა რამეც გვახარებდა: დილას ჩვენ შორის რჩეულთათვის ორდენები და მედლები უნდა გადაეცათ.

ჯილდოები არაჩვეულებრივი ყაზარმების ძველ სარდაფში გვიბოძეს. აქ მე პირველად ვნახე ახლოს დიდი მეთაური, მათ შორის არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი. მან მადლობა გამოგვიცხადა და გვითხრა, რომ ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ არა მარტო ჩვენი ნაწილისათვის, ჩვენი პოლკისათვის, არმიისათვის, არამედ მთელი ფრონტისათვის, ლენინგრადისათვისო.

მოკლე სიტყვის შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი გვერდზე გადგა, ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, თამბაქოთი დატენა და აუჩქარებლივ მოუკიდა, გააბოლა. ამ ბოლთან ერთად თითქო სიზმარში წავედი...

ჩემი საშინელი, საცოდავი და მაინც ძვირფასი ბავშვობა მიყურებდა ბარო შიროს ზღაპრული ჩიბუხიდან. გენერალ-

ლეიტენანტს ხელში ეჭირა ბარო შიროს ჩიბუხი, ჩემი ჩიბუხი, ის ჩიბუხი, რომელიც წითურ ჭაბუკს ვაჩუქე. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მეორე ასეთი ჩიბუხი არ არსებობდა.

როგორ მოხვდა ის გენერლის ხელში? დავაცქერდი გენერალს. ქუდიდან ვერცხლისფერი საფეთქლები მოუჩანდა. გამოჩუქურთმებული პროფილი არაფრით არ მომაგონებდა ჩემი ბავშვობის ნაცნობს. რაც მთავარია, ზამთრის მზისა და ქარისაგან გაშავებულ სახეზე არაფერი ეტყობოდა. დროს შეეძლო ნაკვთების შეცვლა, თმის გახუნება, მაგრამ სახის თავისებურ ფერს ხომ ვერ შეცვლიდა. და თანაც რა საერთო ჰქონდა დამსახურებულ, მებრძოლ გენერალს მოჯამაგირესთან, რომელიც სტანიცის ციხეში ჩემთან ერთად იყოფდა პურის ნატეხსა და ერთ ქილა მაწონს! ახალი ძალით ვიგრძენი, რა ძვირფასი იყო ჩემთვის შორეული მეგობარი, რომელმაც დამანახა სამყარო, რომელმაც მასწავლა ოცნება ადამიანურ სიმართლეზე. შეიძლება ეს ჩიბუხი დამეხმაროს, რომ ასავალ-დასავალი გავიგო. მაგრამ როგორ მივმართო გენერალს, როგორ ვკითხო? დავაყოვნებ და.. სამუდამოდ დავკარგავ ამის საშუალებას...

მართლა, კიდევ მრჩებოდა უკანასკნელი იმედი: ჩვენი ასეულის ზემდეგი. ჩვენ გვწამდა მისი. იგი იმ მტკიცე, საიმედო და მარჯვე ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელთაც წყალში კოცონის დანთება შეუძლიათ. მოკლედ მოვუყევი მას ჩემი ბავშვობის მეგობრის ამბავი და ვუთხარი, რად მინდოდა იმის გაგება, თუ როგორ მოხვდა ჩიბუხი გენერალთან.

— ცუდად მოქცეულხარ, სერჟანტო! — დატუქსვით მითხრა ზემდეგმა.—ვალდებული იყავი გეკითხა, შენი ცნობისმოყვარეობისათვის კი არა, მეგობრის გულისათვის. იქნებ უჭირს, იქნებ დაჭრილია, იქნებ დაიღუპა და ოჯახი დარჩა. ხომ იცი, როგორ ატრიალებს ბედი ადამიანებს!

— ვიცი, გვარდიის ზემდეგო, ყველაფერი ვიცი, მაგრამ ხომ არ შემეძლო სერჟანტს გენერლისთვის მეკითხა, ამხანაგო გენერალ-ლეიტენანტო, საიდანა გაქვთ ეს ჩიბუხი-მეთქი?

— იცი, რა, ნაგორნი, — მითხრა ზემდეგმა. — შეგახვედრებ გენერალს.

უნდობლობა შემამჩნია და ამაყად თქვა:

— ჩემი ნათესავი მის ადიუტანტთან შიკრიკად მსახურობს.

მაგრამ არც მე და არც ზემდეგს ამისათვის არ გვეცალა. ეშმაკის კუნძულის აღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლითაც ბოლო მოეღო დიდი ქალაქის ბლოკადას. ჩვენს მონაკვეთზე მოწინააღმდეგე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. მაგრამ გენერლის მოდრეკა ძნელი იყო. ფრონტის ყოველ მონაკვეთს იარაღით პირთამდე ავსებდა, მტრის სიმაგრეებს ანგრევდა და მტერს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა არც დღისით, არც ღამით.

და აი, დადგა დღე, როცა სიკვდილს გადარჩენილები სინიავინთან შევხვდით ვოლხოველ მებრძოლებს...

ამ სამახსოვრო დღეს, ბრძოლის დამთავრებისას, ბრმა ტყვიამ დასჭრა ჩვენი ზემდეგი.

როცა სანიტარულ პუნქტში გადაჰყავდათ, გამოსამშვიდობებლად მივირბინეთ. საკაცეზე იწვა ფერმიხდილი, მკაცრი სახე ჰქონდა, ჟანგისფერი ულვაშები უჩვეულოდ თეთრ სახეზე თითქოს მისწებებოდა. ჩვენი იქ ყოფნა გაიგო, ქუთუთოები ასწია, თვალებით მომძებნა და მძიმედ წარმოთქვა:

— ჩემი სიტყვა შეესრულე... მოახსენე ადიუტანტს, — და ნელა, ამაყად დახუჭა თვალები.

გენერალმა მეორე დღეს მიმიღო. ბიჭებმა მოაგროვეს თოვლი და ჩემთვის ვიღაცის ნაკლებად შელანძღული ხალათი და შარვალი გარეცხეს. სანამ ცეცხლზე აშრობდნენ, გავიპარსე, ჩექმები გავიპრიალე. შემდეგ ხალათს სუფთა თეთრი საყელო გამოვაკერე და ჯერ ისევ ნოტიო ტანსაცმელი ჩავიცვი, მკერდზე წითელი ვარსკვლავი დავიმაგრე...

როცა შევედი, გენერალ-ლეიტენანტი გლეხურ მაგიდასთან იჯდა პატარა სკამზე. მაგიდა ქაღალდებითა და რუკებით იყო სავსე. გენერალი წიგნს კითხულობდა. შევცქეროდი მის კოხტად გვერდზე გადავარცხნილ ჭაღარას, მარცხენა ხელში ჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა. ბარო შიროს პატარა თვალები

თითქოს მაგიდაზე გაშლილი სტრატეგიული რუკის პირობითი ნიშნების წაკითხვას ცდილობდა.

დანაშაულად მომეჩვენა ამ ადამიანისათვის მყუდროების დარღვევა. ჩუმი, არამტკიცე ხმით წარმოვთქვი წესდებით გათვალისწინებული სიტყვები. გენერალმა წიგნი დახურა და გადადო.

— აბა, ილაპარაკეთ, ამხანაგო სერჟანტო, — და ჩვეული, აუჩქარებელი მოძრაობით ჩაიყო ხელი ჯიბეში ქისის ამოსაღებად.

მოჯადოებულივით შევცქეროდი მის მოძრაობას. ჩიბუხს ახალი ტარი ჰქონდა — ეტყობოდა, მრავალ ორომტრიალში მოხვედრილიყო, მაგრამ მოვლა მაინც არ აკლდა. გვერდები ისევ სწორი ჰქონდა, თამბაქოს არ ამოეჭამა. სანამ მოსწევდა, ჩიბუხი გამოფერთხა. შემდეგ გაჰკრა სანთიას და ჩიბუხი მოქაჩა.

— აბა, რას უცდით, თქვით...—მის თავდაჭერილობაში მოუთმენლობა გამოსჭვიოდა.

სიტყვებს ვეძებდი, მინდოდა მოწიწებით მეკითხა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე და ჩემდა მოულოდნელად ამოვილუღლუღე:

— ამხანაგო გენერალ-ლეიტენანტო, საიდან გაქვთ ეს ჩიბუხი?

მან წარბები ასწია და ჩიბუხი პირიდან გამოიღო. მისი გამოხედვით ვგრძნობდი, რომ მეხსიერებაში მე მიხსენებდა, უნდოდა უცნაური შეკითხვა აეხსნა. მისი ცდა ამაო გამოდგა. დაკოჟრილი ცერით ჩიბუხში ცეცხლი გააღვივა და ცივად მკითხა:

— რად გაინტერესებთ?

ვდუმდი, ერთბაშად უძლური აღმოვჩნდი გამოცანის წინაშე, რომელიც ცხოვრებამ მომახვია თავზე. პასუხისათვის არ დაუცდია, არც ჩემი მდგომარეობა შეუნიშნავს. ჩიბუხი შეათვალიერა ისე, როგორც უყურებენ შეჩვეულ ნივთს, რომელშიაც მოგონებებია ჩამარხული და ჩაფიქრებულმა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ ჩიბუხთან მთელი ამბავია დაკავშირებული...

— დიახ... დიახ... ამბავი... — გამოძახილივით გავიმეორე.

გენერალმა ისევ შემომხედა და სნაიპერივით ამომიღო მიზანში.

— ეს ჩიბუხი, — განაგრძო მან, — დიდი ხნის წინათ მაჩუქა ერთმა უბედურმა პატარა ბოშამ.

— არხიპოვსკისთან... საკანში...

სკამმა დაიჭრიალა, გენერალ-ლეიტენანტი სწრაფად წამოდგა ფეხზე. სახე გაუფითრდა და თითქოს ნამზეური ჩამოერეცხა. სახის კანზე მკვეთრად და თვალნათლივ დააჩნდა ჭორფლის წითური ლაქები.

— ძმობილო!... — წამოიძახა გენერალ-ლეიტენანტმა.

თარგმანი ლილი გოგოხიასი

რედაქტორი ნ. ჩხეიძე
გამომც. რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
მხატვარი ს. საქარელი
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყაველაშვილი
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი ე. ჯიქია.